ავტორის სტილი დაცულია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა

“ფსიქოლოგიური ანთროპოლოგია“ (ინტერდისციპლინური)

თამარ ჩხაიძე

ფატალიზმი - ქართული კულტურული მოდელი

ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
წარმოდგენილი დისერტაცია

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

ლალი სურმანიძე, პროფესორი
ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი
ფსიქოლოგიის დოქტორი

სამეცნიერო კონსულტანტი:

ვახტანგ ნადარეიშვილი, პროფესორი
ფსიქოლოგიის დოქტორი

თბილისი
2021

კვლევის ფინანსური უზრუნველყოფა განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო პროექტის ფარგლებში:

2018-2019 წწ - „ბედისწერა - ქართული კულტურული მოდელი“; PhDF_18_1222; შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების გრანტი. სამეცნიერო კვლევითი ვიზიტი აალბორგის უნივერსიტეტში. დანია.

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი

SHOTA RUSTAVELI NATIONAL SCIENCE FOUNDATION

სარჩევი

აბსტრაქტი VI

Abstract VIII

შესავალი X

სადისერტაციო ნაშრომის მიზანი და ამოცანები XII

თავი I: სად არის და როგორია კულტურა? 1

1.1.კულტურა „გარეთ“ და კულტურა „შიგნით“ 2

1.2. „გვჭირდება კი სუპერორგანული?“ 3

1.3. დიქოტომია კულტურა „გარეთ“ vs კულტურა „შიგნით“ მცდარია - თანამედროვე ფსიქოანთროპოლოგიური ხედვა 6

1.4.დიქოტომია ჰომოგენური კულტურა vs ჰეტეროგენული კულტურა მცდარია - თანამედროვე ფსიქოანთროპოლოგიური ხედვა 9

თავი II: კულტურა ფსიქიკაში - „საიდუმლო მღვიმეში“ შესვლა 15

2.1. კოგნიტური ფსიქოლოგია კულტურის თეორიის სამსახურში 16

2.1.1. დინამიკურობა 28

2.2. სემიოტიკური კულტურული ფსიქოლოგია 29

2.2.1. ფსიქიკური წარმონაქმნების ჰეტერეგენულობა და დიალოგურობა 29

2.2.2. არაცნობიერის არადინამიკური გაგება კოგნიტური მეცნიერებებში 32

2.3. განწყობის ზოგადფსიქოლოგიური თეორია 39

თავი III: „კულტურის აღმოჩენა საუბარში“ და აღმოჩენილის ვერიფიკაცია 48

3.1. კულტურული მოდელების გამოვლენის მეთოდები 48

3.2. კულტურული კონსენსუსი 51

3.3. კულტურული კონსონანსი 54

3.4. კულტურული სფერო (Cultural Domain) და კულტურის კოჰერენტულობის პრობლემა 56

3.5. კულტურული სფეროს შერჩევა 61

თავი IV: კულტურული სფერო - ფატალიზმი 62

4.1. ფატალიზმის განსხვავებული კულტურული გაგებები (Understandings) 62

4.2. ფატალისტური რწმენების კავშირი კონსტრუქტთა ფართო წრესთან 64

4.3. ფატალიზმი - კვლევის სტრატეგია 65

4.4. ფატალიზმის სახეები 69

4.4.1. კოსმოლოგიური ფატალიზმი 69

4.4.2. სტრუქტურული ფატალიზმი 71

4.5. კონტროლის ლოკუსი 74

თავი V: ემპირიული კვლევა 78

5.1. კვლევის მიზანი და ამოცანები 78

5.2. კვლევის მეთოდოლოგია 79
5.3. კვლევის მეთოდები....79
5.4. ემპირიული კვლევა - თვისებრივი მიდგომა 80
5.4.1. თვისებრივ მონაცემთა მოკრების მეთოდი....80
5.4.1.1. კვლევის მონაწილეთა შერჩევა და კვლევის პროცედურა 81
5.4.2. თვისებრივ მონაცემთა ანალიზის მეთოდები და თვისებრივ მონაცემთა ანალიზის შედეგები 82
5.4.2.1. მეტაფორების ანალიზი 83
5.4.2.2. მეტაფორების ანალიზის შედეგები....84
5.4.2.3. პროპოზიციების ანალიზის მეთოდი....103
5.4.2.4. პროპოზიციების ანალიზის შედეგები....106
5.4.2. თვისებრივი კვლევის შედეგების შეჯამება 125
5.5. ემპირიული კვლევა: რაოდენობრივი მიდგომა....125
5.5.1. რაოდენობრივი მონაცემების მოკრების მეთოდები 125
5.5.2. „კულტურული მოდელები → კულტურული კონსენსუსი“ 126
5.5.3. „კულტურული კონსენსუსი → კულტურული კონსონანსი“ 134
5.5.4. რაოდენობრივი კვლევის პროცედურა და კვლევის სუბიექტები 139
5.5.5. მონაცემთა ანალიზის მეთოდები და მონაცემთა შედეგები....142
5.5.5.1. კულტურული კონსენსუსის ანალიზი 142
5.5.5.2. კონსენსუსის ანალიზის შედეგები და შედეგების განხილვა 145
5.5.5.3. კულტურული კონსონანსის მაჩვენებლები....149
5.5.5.4. კულტურული კომპეტენციისა და კულტურული კონსონანსის მაჩვენებლების განაწილების მახასიათებლები....153
5.5.5.5. ჯგუფთა შორისი განსხვავებები: კულტურული კომპეტენცია და კულტურული კონსონანსის მაჩვენებლები 155
5.5.5.6. კორელაციური ანალიზი: კულტურული კომპეტენცია და კულტურული კონსონანსი 158
5.5.5.7. რეგრესული ანალიზის შედეგები და შედეგების განხილვა 168
5.6. სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი შედეგების შეჯამება 170
5.7. სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი დასკვნები....175
5.8. კვლევის შეზღუდვები და სამომავლო კვლევის პერსპექტივები 176
5.9. სადისერტაციო ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული ღირებულება 181
გამოყენებული ლიტერატურა:....183
დანართი №1: თვისებრივ კვლევაში გამოყენებული ინფორმირებული თანხმობის ფორმა და ინტერვიუს გზამკვლევი 192

დანართი №2: რაოდენობრივ კვლევაში გამოყენებული კითხვარი 195

დანართი №3: ქართველების პოზიციიდან შეფასებული დებულებების სიხშირული ანალიზი (გამუქებულია კონსენსუსის ანალიზისთვის შერჩეული 37 დებულება) 206

დანართი №4: პირადი პოზიციიდან შეფასებული დებულებების სიხშირული ანალიზი 209

დანართი №5: რიგის (ordered categorical) მონაცემების შემთხვევაში ბაესიანური მოდელირებით კულტურული კონსენსუსის შემოწმების შედეგები 212

დანართი №6: ფაქტორული ანალიზის შედეგები 213

სურათების ჩამონათვალი

სურათი № 1: კულტურის განზომილებების თანაკვეთა 12
სურათი № 2: კოსმოლოგიური და სტრუქტურული ფატალიზმი 74
სურათი № 3: მონაცემთა მოკრების და ანალიზის მეთოდები 80
სურათი № 4: ფატალიზმის კოგნიტური სქემის კომპონენტები და მეტაფორების ნიმუშები 84
სურათი №5: ფატალიზმის კოგნიტური სქემის კომპონენტების განლაგება უცვლელობა/ცვალებადობის განზომილებაში 117
სურათი № 6: "იღბლის" კომპონენტი ცვალებადობის და კონტროლის განზომილებების თანაკვეთაზე 121
სურათი № 7: პროცესზე/პროდუქტზე ორიენტაციის, რწმენა/ცოდნის და "რბილი"/"მკაცრი" განზომილებების თანაკვეთა 134
სურათი № 8: კულტურული კომპეტენციის მაჩვენებლების ჰისტოგრამა 154
სურათი № 9: კულტურული კონსონანსის მაჩვენებლების ჰისტოგრამა 154

ცხრილების ჩამონათვალი

ცხრილი № 1: დიქოტომიები 5
ცხრილი № 2: „პიროვნული კონტროლის“ აღმწერი პროპოზიციები 109
ცხრილი № 3: „ღვთაებრივი კონტროლის“ აღმწერი პროპოზიციები 111
ცხრილი № 4: „უმწეობის“ აღმწერი პროპოზიციები 114
ცხრილი № 5: „იღბლის“ აღმწერი პროპოზიციები 116
ცხრილი № 6: „პიროვნული კონტროლის“ და „იღბლის“ კომპონენტებს შორის მიმართებები 123
ცხრილი № 7: კომპონენტებს შორის ურთიერთმიმართების აღმწერი პროპოზიციები 124
ცხრილი № 8: კულტურული კომპეტენცია და კულტურული კონსონანსი -აღწერითი სტატისტიკა 155
ცხრილი № 9: ფატალიზმის შესახებ კულტურული კონსონანსის სუბსკალებს შორის ინტერკორელაციები 159
ცხრილი № 10: კულტურულ კომპეტენციასა და ფატალიზმის შესახებ კულტურული კონსონანსის სუბსკალებს შორის კორელაციები 162

ცხრილი № 11: დებულებების დონეზე კულტურა-დონის და ინდივიდი-დონის მონაცემებს შორის დადებითი კორელაციები 163
ცხრილი № 12: დებულებების დონეზე კულტურა-დონის და ინდივიდი-დონის მონაცემებს შორის უარყოფითი კორელაციები 163
ცხრილი № 13: ფატალიზმის შესახებ კულტურული კომპეტენციის და კონსონანსის სოციო-დემოგრაფიულ ცვლადებთან კორელაციები 164
ცხრილი № 14: ფატალიზმის შესახებ კულტურული კომპეტენციის და კონსონანსის რელიგიურობის შესახებ ცვლადებთან კორელაციები 167
ცხრილი № 15: რელიგიურობის შესახებ ცვლადებსა და ფატალიზმის შესახებ კონსონანსის სუბსკალებს შორის კორელაციები 168

აბსტრაქტი

სადისერტაციო ნაშრომი შესრულდა თანამედროვე ფსიქოანთროპოლოგიის, კერძოდ, „კულტურული მოდელები →კულტურული კონსენსუსი → კულტურული კონსონანსის“ კონცეპტუალურ ჩარჩოში. მოცემული ჩარჩო კულტურის თეორიაში არსებულ ორ საკვანძო პრობლემას პასუხობს. პირველი, ესაა დუალისტური მიდგომის, კერძოდ, შინაგანი/გარეგანი, ჰომოგენური/ჰეტეროგენული დიქოტომიების მცდარობის დასაბუთება. მეორე, კულტურა-დონის და ინდივიდი-დონის ერთმანეთისგან გამიჯვნის საჭიროება და შემდეგ მათი კავშირის უზრუნველმყოფელი მექანიზმების თეორიული კონცეპტუალიზაცია.

„კულტურული მოდელები →კულტურული კონსენსუსი → კულტურული კონსონანსის“ ჩარჩოს ღირებულება მხოლოდ თეორიული ღირებულებით არ შემოფარგლულა. მან, ამავდროულად, ნაყოფიერი ემპირიული კვლევის ჩატარების შესაძლებლობა მოგვცა. საკვლევ სფეროდ შეირჩა ფატალიზმი, რომელიც ადამიანის ქცევის საკმაოდ ფართო სპექტრის ახსნაში გვეხმარება. მათ შორის, საზოგადოების განვითარებისთვის ისეთი მნიშვნელოვანი ქცევების, როგორიცაა ეკონომიკური კაპიტალის დაბანდება, უმუშევრობასთან ბრძოლა, სამოქალაქო აქტივობა, საარჩევნო ქცევა, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ქცევა და ა.შ.

ამგვარად, ფატალიზმის შესწავლის აქტუალურობიდან გამომდინარე და მის შესასწავლად ფსიქოანთროპოლოგიის პოტენციალის გათვალისწინებით, წინამდებარე ნაშრომის მიზანი ფატალიზმის შესახებ ქართული კულტურული მოდელის შესწავლა იყო. ამისათვის კი კვლევის ე.წ. “რბილი” და “მკაცრი” მეთოდების სინთეზს მივმართეთ: სიღრმისეული ინტერვიუების საშუალებით შეგროვებული დისკურსების „კულტურული ანალიზის“, კერძოდ, მეტაფორების ანალიზის შედეგად ფატალიზმის კოგნიტურის სქემის შემდეგი ემიკური კომპონენტები გამოვლინდა: *პიროვნული კონტროლი, ღვთაებრივი კონტროლი, წინასწარგანსაზღვრულობა, უმწეობა და იღბალი.* მიღებული მონაცემების ტრიანგულაციისთვის „დისკურსის კულტურული ანალიზის“ მეორე მეთოდი, პროპოზიციების ანალიზი გამოვიყენეთ. დამატებით, პროპოზიციების ანალიზმა კომპონენტებს შორის სპეციფიკური ურთიერთმიმართებების გამოვლენის

საშუალება მოგვცა. ურთიერთმიმართებების სპეციფიკა ცვალებადობა/უცვლელობის განზომილებით აღიწერა.

კოგნიტური მოდელის გამოვლენის შემდეგ მისი გაზიარებულობა, სხვა სიტყვებით, „კულტურულობა“ კულტურული კონსენსუსის ანალიზით დადასტურდა. დამატებით, კულტურული კონსენსუსის ანალიზის შედეგად მივიღეთ რესპონდენტთა კულტურული ცოდნის ფლობის, ანუ კულტურული კომპეტენციის მაჩვენებლები (M=.75; SD=.23) და დებულებებზე კულტურულად სწორი პასუხების შესახებ ინფორმაცია. ამ უკანასკნელის საფუძველზე კულტურული კონსონანსის (კულტურა-დონისა და ინდივიდი-დონის თანხმობა) მაჩვენებლები (M=75.82; SD = 13.45) გამოვთვალეთ და კულტურული კომპეტენციის რაოდენობრივი ანალიზის შედეგებს შევადარეთ. შედეგების თანახმად, კულტურული კომპეტენციის და კულტურული კონსონანსის განსხვავებული კონსტრუქტების შესახებ თეორიული დაშვებები ემპირიულად ვერიფიცირდა.

ფსიქოლოგიური ანთროპოლოგია, თავისი არსით, მეცნიერებათა (ჰუმანიტარული, საბუნებისმეტყველო, სოციალური, ქცევითი) გადაკვეთაზე მყოფი ინტერდისციპლინური სფეროა და მისი ერთ-ერთი მთავარი მიზანი კონცეპტუალური წინააღმდეგობების - როგორც თეორიული, ისე მეთოდოლოგიური - დაძლევაა (სურმანიძე, 2021). წინამდებარე ნაშრომი კიდევ ერთი ნიმუშია იმისა, რომ ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიის, როგორც ინტერდისციპლინური დარგის აქტუალობა დღეს განპირობებულია არა მარტო კომპლექსური თეორიული მიდგომებით, არამედ მეთოდოლოგიური სინთეზის აშკარა პოტენციალითაც.

საკვანძო სიტყვები: კულტურული მოდელი, კულტურული კონსენსუსი, კულტურული კონსონანსი, ფატალიზმი, ემიკური მიდგომა.

Abstract

The dissertation was performed in the conceptual framework of Contemporary Psychological Anthropology, in particular, we used "Cultural Models → Cultural Consensus → Cultural Consonance" conceptual scheme. The latter addresses two key issues in culture theory. The first is to substantiate the fallacy of the dualistic approach, such as the internal vs external culture, homogeneous vs heterogeneous culture dichotomies. The second is to emphasize the need for cultural-level and individual-level separation not only on a theoretical but also on an empirical phase.

The value of the framework "Cultural Models → Cultural Consensus → Cultural Consonance" was not limited with the theoretical value. At the same time, it enabled to conduct the fruitful empirical research. Fatalism was chosen as the field of study (Cultural Domain), which helps us to explain a wide range of human action, including the important actions for the development of society such as investing economic capital, fighting against unemployment, civic activism, electoral behavior, health-related behavior, and so on.

Thus, due to the relevance of studying fatalism and considering the potential of Psychoanthropology to inquiry this phenomenon, the presented paper aims at identifying and verifying the Georgian cultural model of fatalism. The synthesis of so-called "soft" and "hard" research methods was used for this purpose. The "Cultural analysis" (in particular, The Metaphor analysis) of the discourses, collected through in-depth interviews, revealed the emic components of the Fatalism Cognitive Schema. Those are Personal Control, Deity, Destiny, Helplessness and Luck. For triangulation of the obtained data, the second method of "Cultural analysis" of discourse – "Reasoning analysis" (Reconstructing the "gist propositions") was used. In addition, the analysis of propositions allowed us to identify the relationships between the components. The specifics of the relationship were described with the changeable/unchangeable dimension.

After the identification of the cognitive model, its sharedness was confirmed with the cultural consensus analysis. In addition, as a result of the cultural consensus analysis, the respondents' cultural competence scores (M = .75; SD = .23) and "Cultural Answer Key" were obtained. Based on the latter, the Cultural Consonance (consonance of cultural-level and individual-level) scores

(M = 75.82; SD = 13.45) were calculated and compared to the results of the quantitative analysis of cultural competence. According to the results, the theoretical assumptions about different constructs of cultural competence and cultural consonance were empirically verified.

Psychological anthropology, with its essence, is an interdisciplinary field at the crossroads of the sciences (humanities, natural sciences, social), and one of its main goals is to overcome the conceptual contradictions, both theoretical and methodological (Surmanidze, 2021). The present paper is another demonstration of how not only the complex theoretical approaches but also the obvious potential of its methodological synthesis makes the field of psychological anthropology such a relevant interdisciplinary research area.

Key words: Cultural Model, Cultural Consensus, Cultural Consonance, Fatalism, Emic Approach.

შესავალი

ჩვენ ყველანი ვართ მიდრეკილი ფენომენების, მახასიათებლების, პოზიციების განსხვავებისკენ, თუმცა მხედველობის მიღმა გვრჩება (ან მიზანმიმართულად ვტოვებთ), რომ განსხვავების შედეგად შექმნილი ოპოზიციის პოლუსები შესაძლოა *ურთიერთგამომრიცხავი კი არ იყოს, არამედ ურთიერთშემავსებელი.*

ვფიქრობთ, სწორედ ზემოხსენებულმა ტენდენციამ ითამაშა გადამწყვეტი როლი იმაში, რომ დღეს კულტურის შესახებ ერთიანი თეორიის (Grand Theory) განვითარება ჯერ კიდევ პირველ ნაბიჯებს ითვლის. მეორე მხრივ, კულტურის კომპლექსური ფენომენის შესწავლამ დააყენა დღის წესრიგში ზემოთ აღნიშნული დუალისტური მიდგომის გადასინჯვისა და გაწყვეტილი დიალოგების აღდგენის საჭიროება.

ერთ-ერთი ასეთი გაწყვეტილი დიალოგი ანთროპოლოგიასა და ფსიქოლოგიას შორის გაწყვეტილი დიალოგია. როგორც ანთროპოლოგია, ისე ფსიქოლოგია[1] დამოუკიდებელ დისციპლინად ჩამოყალიბების დღიდან ცდილობდა მომიჯნავე სფეროსთან დაახლოება თავიდან აეცილებინა (ჩხაიძე, 2015, გვ. 71). ამ ორმა სფერომ ურთიერთგამომრიცხავად აღქმული ოპოზიციების (გარეგანი/შინაგანი ექსტრაპერსონალური/ინტრაპერსონალური; კოლექტიური/ინდივიდუალური, უნივერსალური/უნიკალური, ინდუქციური/დედუქციური, ერთეული/ზოგადი თვისებრივი/რაოდენობრივი) საპირისპირო პოლუსები გადაინაწილა, ისე, თითქოს, მათ შორის თანაკვეთის არანაირი არე არ არსებობდა. აღნიშნული მიდგომის გამოძახილია ანთროპოლოგიისა და ფსიქოლოგიის სფეროების თავსებადობის (პერსპექტივებისა და მეთოდების თვალსაზრისით) შესახებ დღემდე სკეფსისის არსებობა.

ასეთი სკეფსისი უცხოა ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიის ინტერდისციპლინური სფეროსთვის, რომელიც ანთროპოლოგიისა და ფსიქოლოგიის პოტენციალის სინთეზზეა ორიენტირებული. *„ფსიქოლოგებს ადამიანის ბუნების შესახებ განზოგადებები მოსწონთ, ხოლო ანთროპოლოგებს კულტურულ ჯგუფებს შორის განსხვავებების*

[1] ფსიქოლოგია, რომელიც თავადაც იმკის დიქოტომიური მიდგომის შედეგებს: ჰუმანიტარული და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების უკანონო შვილადაა წოდებული (Valsiner & Rosa, 2007).

იდენტიფიცირება. რეალურად, მათი დისციპლინური მისწრაფებები დაპირისპირებული კი არ არის, არამედ ურთიერთშემავსებელი. როგორც ერთი, ისე მეორე, საჭიროა ადამიანთა განსხვავებულობების შესასწავლად. თითოეულ ბანაკს უდავოდ სჭირდება მეორე მაკონტროლებლად: ანთროპოლოგებმა ფსიქოლოგების ჭარბი გენერალიზაციის ტენდენცია უნდა გამოიჭირონ, ხოლო ფსიქოლოგებმა ანთროპოლოგების ახლომხედველობა" - წერს გეითვუდი (2012, p. 364). ჩვენი გამოცდილებით, იმავეს თქმა შეიძლება შემდეგ ასპექტთან დაკავშირებითაც: ფსიქოლოგია ანთროპოლოგიის იმპროვიზაციულობის კარგი დამაბალანსებელია, ხოლო ანთროპოლოგია - ფსიქოლოგიის რიგიდულობის.

ფსიქოლოგიის და ანთროპოლოგიის ურთიერთთანამშრომლობის კიდევ ერთ მნიშვნელოვან შედეგზე გვინდა ყურადღება გავამახვილოთ. ქვემოთ წარმოგიდგენთ 2016 წელს ქართული ქორწინების მოდელის გამოსავლენად ჩატარებული კვლევიდან ინფორმანტის ციტატას:

> *„ამ ორ სიტყვაში – დასაქორწინებელსა და დაუქორწინებელში ჩანს საზოგადოების დამოკიდებულებაც ადამიანის მიმართ, იმიტომ, რომ ადამიანი რომელიც თავის მეორე ნახევარს ვერ იპოვის, ანუ ცხოვრებაში იმ **გვირგვინს ვერ დაიდგამს თავზე,** რასაც ჰქვია **მეუღლეობის უღელი,** ის რაღაცანაირად შეუმდგარია, ანუ ის დაუქორწინებელია და **აკლია** ის რაღაც, სრულყოფილებამდე. ოჯახი გარკვეულწილად სრულყოფილების კრიტერიუმად აღიქმება საზოგადოებისთვის. ჩემთვისაც ესეა."*

ჩატარებულ კვლევაში ჩვენი შესწავლის საგანი კულტურა-დონე (საზოგადოებაში გაზიარებული ხედვა) იყო, თუმცა ციტატის დასასრული - „ჩემთვისაც ესეა" - ძალიან კარგი ნიმუშია იმისა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია კულტურა-დონის და ინდივიდი-დონის ერთმანეთისგან გამიჯვნა და შემდეგ მათი კავშირის უზრუნველმყოფელი მექანიზმების თეორიული კონცეპტუალიზაცია (ვგულისხმობთ ინტერნალიზაციის თეორიებს). თანამედროვე ფსიქოანთროპოლოგიაში „კულტურული მოდელების → კულტურული კონსენსუსი → კულტურული კონსონანსის" (D'Andrade, 1995; Shore, 1996; Strauss & Quinn, 1997; Quinn, 2011, Quinn, 2018, Dressler, 2018) თეორიული მოდელი სწორედ აღნიშნულ ხანიერ პრობლემასთან გამკლავების მცდელობაა. რაც მთავარია,

კულტურა და ინდივიდი-დონის კავშირის არა მხოლოდ ეფექტურ კონცეპტუალურ ჩარჩოს გვთავაზობს, არამედ მისი შესწავლის მეთოდოლოგიურ ინსტრუმენტებსაც (Dressler, 2018).

წინამდებარე ნაშრომის კონცეპტუალურ ჩარჩოს სწორედ კულტურის ფსიქოანთროპოლოგიური თეორია წარმოადგენს. კერძოდ, „კულტურული მოდელები → კულტურული კონსენსუსი → კულტურული კონსონანსის“ თეორიული ჯაჭვი შესაბამისი მეთოდოლოგიური აპარატით.

სადისერტაციო ნაშრომის მიზანი და ამოცანები

“კულტურული მოდელები → კულტურული კონსენსუსი → კულტურული კონსონანსის” კონცეპტუალური სქემის ამოქმედებაში უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება სფეროს (Cultural Domain) შერჩევას, რომლის კულტურული მოდელის გამოვლენაც სურს მკვლევარს. ჩვეულებრივ, საკვლევ სფეროდ ირჩევენ ყოველდღიური სოციალური ინტერაქციების აქტუალურ თემატიკას („რას ამბობს ხალხი“). ცხადია, არსებითი როლი ენიჭება უკვე ჩატარებული კვლევებისა და სოციალურ კონტექსტზე ეთნოგრაფიული დაკვირვების მონაცემებს (Dressler, 2018). წინამდებარე კვლევაში ასეთ სფეროდ ფატალიზმი შეირჩა. ის ინდივიდისა და სოციალური ცხოვრების მრავალ სფეროში მნიშვნელოვანი პრედიქტორული ძალის მქონე კონსტრუქტია და მისი შესწავლის მიმართ ინტერესი მეცნიერების სხვადასხვა დარგის წარმომადგენლის მხრიდან დღითი დღე იზრდება.

ამგვარად, ფატალისტური რწმენების შესწავლა მაქს ვებერიდან (1905) მოყოლებული დღემდე არ კარგავს აქტუალურობას, თუმცა საყოველთაოდაა ცნობილი ამ ფენომენის შესწავლისას არსებული მეთოდოლოგიური პრობლემები. კერძოდ, ეტიკური მიდგომის ნაკლოვანებები ასეთი თვალნათელი, ალბათ, არც ერთი სხვა კონსტრუქტის შესწავლისას არ გამხდარა. “კულტურული მოდელები → კულტურული კონსენსუსი → კულტურული კონსონანსის” კონცეპტუალური ჩარჩოს ერთ-ერთი უპირატესობა კი სწორედ აღნიშნულ

ნაკლოვანებასთან გამკლავებაა. ის საკვლევი ინსტრუმენტების ემიკური ვალიდობის მისაღწევად კონკრეტულ მეთოდოლოგიურ აპარატს გვთავაზობს.

ამგვარად, წინამდებარე კვლევაში საკვლევ სფეროდ ფატალიზმის შერჩევა ორმხრივად სასარგებლოდ მივიჩნიეთ: ერთი მხრივ, ზემოთდასახელებული რეკომენდაციებიდან გამომდინარე ფატალიზმის სფერო "კულტურული მოდელები → კულტურული კონსენსუსი → კულტურული კონსონანსის" ჩარჩოს თეორიული დაშვებების შესამოწმებლად საინტერესო მასალას გვაწვდის და, მეორე მხრივ, ფატალიზმის შესასწავლად აღნიშნული კონცეპტუალური ჩარჩოს გამოყენება ამ ფენომენის კვლევისას აღმოცენებულ ხანიერ პრობლემებს პასუხობს. ყველაფერი ზემოთქმულიდან გამომდინარე ნაშრომის მიზანია:

- **ფატალიზმის ქართული კულტურული მოდელის შესწავლა**

სადისერტაციო ნაშრომის ამოცანები კი შემდეგნაირად ფორმულირდა:

1. კულტურის თეორიაში არსებული დიქოტომიების („შინაგანი/გარეგანი", „ჰომოგენური/ჰეტეროგენული") ანალიზი კულტურული ფენომენების კვლევის პრობლემათა კონტექსტში.
2. ფსიქოანთროპოლოგიურ, კულტურულ-ფსიქოლოგიურ და ზოგადფსიქოლოგიურ თეორიულ კონცეფციათა შეპირისპირებითი ანალიზი ფატალიზმის, როგორც კულტურის შინაგანი განზომილების, შესწავლის კონტექსტში.
3. ფატალიზმის შესახებ კლასიკური მეცნიერული და ეთნოთეორიების ანალიზი.
4. ფატალიზმის კულტურული მოდელის კომპონენტების იდენტიფიკაცია და მათი ურთიერთმიმართებების დადგენა.
5. ფატალიზმის კულტურული მოდელის გაზიარებულობის დადგენა.
6. ფატალიზმის ფენომენის ემპირიული შესწავლისას კულტურა-დონის და ინდივიდი-დონის ერთმანეთისგან დიფერენცირება.

სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურა

სადისერტაციო ნაშრომი ხუთი თავისგან შედგება.

თავი I: სად არის და როგორია კულტურა? პირველ თავში განხილულია კულტურის თეორიაში არსებული ორი დიქოტომია. პირველი, კულტურის ადგილმდებარეობის განსაზღვრასთანაა დაკავშირებული და წარმოდგენილია ოპოზიცია - შინაგანი/გარეგანი - სახით. მეორე, კულტურის დახასიათებას ეხება: კულტურის თეორიამ კულტურა ჰომოგენური მოცემულობად უნდა განიხილოს თუ ჰეტეროგენულად (სხვა სიტყვებით, ინტრაკულტურული ვარიაციაზე ფოკუსირდეს)? თანამედროვე ფსიქოლოგიურ ანთროპოლოგიაში ორივე დიქოტომიის მცდარობაა დასაბუთებული.

თავი II: კულტურა ფსიქიკაში - „საიდუმლო მღვიმეში“ შესვლა

მეორე თავში კულტურის ფსიქიკური განზომილების აღიარების, ანუ „საიდუმლო მღვიმეში“ შესვლის (შესვლას მკაცრად კრძალავდა გამოჩენილი ანთროპოლოგი, კლიფორდ გირცი) შემდეგ გააქტუალურებული საკითხებია სისტემატიზებული და მათ შესახებ თანამედროვე ფსიქოანთროპოლოგიური (კულტურული მოდელების სკოლა), კულტურული ფსიქოლოგიის (სემიოტიკური მიდგომა) და ქართული ფსიქოლოგიური სკოლის (განწყობის ფსიქოლოგია) ფარგლებში არსებული კონცეფციების შეპირისპირებითი ანალიზია მოცემული.

თავი III: „ კულტურის აღმოჩენა საუბარში“ და აღმოჩენილის ვერიფიკაცია - მეთოდების ფართო სპექტრი

მესამე თავში კულტურული მოდელების გამოვლენის მრავალფეროვანი მეთოდებია სისტემატიზებული. ყურადღება ეთმობა არა მარტო კულტურული მოდელების გამოვლენის, არამედ ვერიფიკაციის მეთოდის განხილვასაც, კერძოდ, კულტურული კონსენსუსის მეთოდის (Romney, Weller & Batchelder, 1986, Weller, 2007) დახასიათებას. თავის ბოლოს განხილულია დრესლერის (2018) მოსაზრება კულტურულ კონსენსუსთან ერთად კულტურული კონსონანსის კონსტრუქტის შემოტანის საჭიროების შესახებ.

თავი IV: კულტურული სფერო - ფატალიზმი

მეოთხე თავში წარმოდგენილია საკვლევი სფეროს შერჩევის კრიტერიუმები. გამოკვეთილია ფატალიზმის განსხვავებული კულტურული გაგებების (Understandings)

არსებობა. განხილულია კოსმოლოგიური და სტრუქტურული ფატალიზმის ცნებები. თავის ბოლოს მოცემულია კონტროლის ლოკუსის თეორიის ავტორის (Rotter, 1966, 1975, 1990) მოსაზრებები. ფატალისტური რწმენების შესწავლისას ძირითადად ყურადღება ჯგუფებსა თუ საზოგადოებებს შორის სხვაობაზე მახვილდება. ჯულიან როტერი კი ინდივიდუალურ სხვაობებს სწავლობს. უნდა აღინიშნოს, რომ კულტურული რწმენების პიროვნულ/ინდივიდუალურ მახასიათებლებთან კავშირი ერთ-ერთ ფუნდამენტურ საკითხს წარმოადგენს და ცხადია, დამატებით სიღრმისეულ თეორიულ დამუშავებას მოითხოვს. წინამდებარე ნაშრომში ჩვენ საკვლევ სფეროსთან შინაარსობრივად ახლოს მდგარი კონსტრუქტი - კონტროლის ლოკუსი - ფატალიზმის შესახებ კონსონანსის სკალის (გამომდინარე იქიდან, რომ კულტურული კონსონანსის გაზომვა კულტურა-დონიდან ინდივიდი-დონეზე[2] გადანაცვლებას გულისხმობს) კონსტრუქტული ვალიდობის შესამოწმებლად გამოვიყენეთ.

თავი V: ემპირიული კვლევა: ნაწილი II

მეხუთე თავში წარმოდგენილია ემპირიული კვლევა, რომელიც შედგება თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის ნაწილებისგან. თვისებრივი მონაცემების დამუშავებისთვის გამოყენებულია მონაცემთა ანალიზის ორი მეთოდი: მეტაფორების და პროპოზიციების ანალიზი. შესაბამისად, თვისებრივი მონაცემთა ანალიზის შედეგები ორ ქვეთავადაა წარმოდგენილი. რაც შეეხება რაოდენობრივ კვლევას, ამ შემთხვევაშიც მონაცემთა ანალიზი კონცეპტუალური ჩარჩოს კვალდაკვალ ორ ეტაპადაა მოცემული. ვგულისხმობთ კულტურული კონსენსუსის და კულტურული კონსონანსის ეტაპებს.

თავის ბოლოს წარმოდგენილია კვლევის შეზღუდვები და დასახულია სამომავლო კვლევის პერსპექტივები. დასასრულ, განხილულია ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული ღირებულება.

---

[2] ცხადია, ინდივიდის მხოლოდ კულტურული (კულტურიდან ინტერნალიზებული) და არა იდიოსინკრეტული რეპრეზენტაციების ნაწილში

თავი I

თავი I: სად არის და როგორია კულტურა?

საყოველთაოდაა ცნობილი კულტურის დეფინიციათა მრავალრიცხოვნობა (Kroeber & Kluckhohn, 1952; სურმანიძე, 2010). მათი რაოდენობა საოცარი სისწრაფით მატულობს, რაც არაა გასაკვირი: კულტურის შემსწავლელი მეცნიერებებისთვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გამოწვევა სწორედ კულტურის დეფინიციაა. საინტერესოა, რა არის ის სპეციფიკური სირთულეები, რომლებიც კონკრეტულად ამ ფენომენის განსაზღვრებისას იჩენს თავს. საუბარს ყველაზე თვალშისაცემი სირთულით დავიწყებთ: კულტურის დეფინიციისას ისიც კი განსასაზღვრია, თუ სად მდებარეობს „X“ (ფენომენი, რომელსაც კულტურა უნდა ვუწოდოთ).

ადგილმდებარეობის კრიტერიუმის მიხედვით კულტურის თეორიები შეგვიძლია ორ ჯგუფად გავყოთ: თეორიები, რომლებიც კულტურის ადგილსამყოფლად ფსიქიკას მიიჩნევს და თეორიები, რომლებიც კულტურას ფსიქიკის გარეთ ათავსებს. მათ კულტურა „შიგნით“ („inside“) და კულტურა „გარეთ“ („outside“[3]) თეორიებს უწოდებენ (Bennardo & Munck, 2014).

დაყოფა „შიგნით“ VS „გარეთ“ შესაძლოა დასავლურ ეთნოცენტრისტულ მიდგომად მოგვეჩვენოს. გამოჩენილი ანთროპოლოგების, რუთ ბენექტიდისა და კლიფორდ გირცის შრომების თანახმად, გარე სამყაროდან გამოცალკევებული და მკაცრად შემოსაზღვრული სელფის, ანუ შინაგანი სამყაროს აღქმა დასავლელებისთვისაა დამახასიათებელი (Strauss, 2018). თუმცა, ფსიქოანთროპოლოგი, კლაუდია სტრაუსი, არ ეთანხმება ამ თვალსაზრისს და თავისი პოზიციის გასამყარებლად ცნობილი ლინგვისტის, ანა ვიეჟბიცკას შრომები მოჰყავს. ვიეჟბიცკას თანახმად, ყველა ენაში გვხვდება სიტყვა, რომლითაც პიროვნება ცალკე არსებულ, სტაბილურ მოცემულობად აღინიშნება. გარდა ამისა, სტრაუსი აღნიშნავს, რომ რამდენადაც მისთვის ცნობილია, არ არსებობს ისეთი საზოგადოება,

[3] ლიტერატურაში გვხვდება შემდეგი სახელწოდებებით: „inner vs outer“; “inside vs outside”; „internal vs external“; “culture_in_the_mind” vs “culture_in_the_world”; “culture in persons” vs “public culture” (Shore, 1996; Strauss, & Quinn, 1997; Bennardo & Munck, 2014; Dressler, 2018).

რომელიც ვერ არჩევს ერთმანეთისგან შინაგან რეალობას (აზრები, ემოციები, მოტივაციები) და პიროვნების მიღმა არსებულ გარე სამყაროს. გასათვალისწინებელი კი ის არის, რომ არადასავლურ კულტურებში შინაგანი რეალობის კონცეპტუალიზაცია შესაძლოა არ ემთხვეოდეს დასავლურ წარმოდგენებს (Strauss, 2018).

ჩვენც ვიზიარებთ სტრაუსის ხედვას. მომდევნო თავებში კი ვისაუბრებთ იმის შესახებ, თუ როგორ ცხადყოფს კულტურა „შიგნით“ VS კულტურა „გარეთ“ დაყოფა კულტურის თეორიებში არსებულ პრობლემებს.

1.1. კულტურა „გარეთ“ და კულტურა „შიგნით“

ადგილმდებარეობის კრიტერიუმით კულტურის თეორიათა კლასიფიკაციაზე მსჯელობამ აქტუალურობა ისეთი ინტერდისციპლინური დარგის ფარგლებში შეიძინა, როგორიცაა თანამედროვე ფსიქოლოგიური ანთროპოლოგია (Shore, 1996; Strauss, & Quinn, 1997; Bennardo & Munck, 2014; Dressler, 2018). აღნიშნულ დარგში შინაგანსა და გარეგანს შორის დაპირისპირების განხილვა ერთი დისციპლინის ფარგლებს სცდება. ამ კრიტერიუმის მიხედვით ფსიქოლოგიისა და ანთროპოლოგიის დარგებია შეპირისპირებული. პირველი მათგანის ფოკუსი „შინაგანი“, ე.წ. ინტრაპერსონალური რეალობაა. ფსიქოლოგიაში მეტწილად მიიჩნევა, რომ თვითონ ფსიქიკაშია ყველა ის საჭირო თვისება, რომელიც საკმარისია მისი ბუნების შესასწავლად. შესაბამისად, კონტექსტი, რომელშიც ფსიქიკა ვითარდება ან ოპერირებს, თითქმის უგულებელყოფილია. აღნიშნული გაგება ასახულია მეთოდოლოგიაშიც. ცალკეული მენტალური პროცესის შესწავლა კონტექსტისგან დაცლილ ლაბორატორიებში[4] ჩატარებული ექსპერიმენტებით მიმდინარეობს (ჩხაიძე, 2015, გვ.13). ანთროპოლოგიაში კი საპირისპირო ტენდენციაა გავრცელებული - „გარეგან“, ე.წ. ექსტრაპერსონალურ რეალობაზე ფოკუსირება. კულტურის თეორიაში ფსიქიკური განზომილების შემოტანის შესახებ ანთროპოლოგების დამოკიდებულებას შემდეგი რეპლიკა ათვალსაჩინოებს: *„ჩვენი დეპარტამენტიდან ერთ-ერთმა ანთროპოლოგმა ჩვენი წიგნის სათაურიდან*

[4] როგორც ანთროპოლოგები უწოდებენ - „ბნელი ოთახის კულტურაში“ (Bruner, 1996).

სიტყვა „კოგნიტურის“ ამოღებაც კი გვირჩია, თუ გვსურდა, საერთოდ ვინმეს მაინც წაეკითხა ის“, იხსენებენ წიგნის - „კულტურული მნიშვნელობების კოგნიტური თეორია“ (“A cognitive theory of cultural meaning“)- ფსიქოანთროპოლოგი ავტორები, კლაუდია სტრაუსი და ნაომი ქვინი (Strauss, & Quinn, 1997, p. 9).

არანაკლებია ფსიქოლოგიის ტენდენციურობა შინაგანი რეალობის სასარგებლოდ. *„თქვენ, ფსიქოლოგები, ფიქრობთ, რომ კანის გარეთ არავითარი რეალობა არ არსებობს“* - მიმართავს ჯერომ ბრუნერს ანთროპოლოგი კოლეგა, კლაიდ კლაქჰონი (ჩხაიძე, 2015, გვ.14). თუმცა, აღსანიშნავია, რომ როგორც ანთროპოლოგებს, ისე ფსიქოლოგებს შორის არიან გამონაკლისები, რომლებიც აღნიშნულ პრობლემაზე წუხან და გააზრებული აქვთ ფსიქოლოგიისა და ანთროპოლოგიის ისტორიული განცალკევების უარყოფითი შედეგები. ჯერომ ბრუნერიც სწორედ ასეთი ფსიქოლოგების რიცხვს მიეკუთვნება. მის ნაშრომებს დიდი როლი მიუძღვის ფსიქოლოგიისა და ანთროპოლოგიის დისციპლინების დაახლოებაში (Mattingly, Lutkehaus & Throop, 2008).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ანთროპოლოგიაშიც ვხვდებით დომინანტური მიდგომის - კულტურის შესწავლისას ფსიქიკის უარყოფა - საპირისპირო პოზიციის მქონე ავტორებს. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ფრანც ბოასის ორი მოსწავლის მოსაზრებების შედარება.

1.2. „გვჭირდება კი სუპერორგანული?“

1917 წელს ანთროპოლოგიის ერთ-ერთ ყველაზე რეიტინგულ ჟურნალში - „ამერიკელი ანთროპოლოგი“ (“American Anthropologist“) იბეჭდება სტატია სათაურით „სუპერორგანული“ (“The Superorganic“). სტატიის ავტორია გამოჩენილი ანთოპოლოგის, ფრანც ბოასის მოსწავლე, ალფრედ კროებერი. ცნება სუპერორგანულით[5] არაორგანული და ორგანული რეალობისგან განსხვავებული რეალობა აღინიშნება. შესაბამისად, არაა გასაკვირი, რომ ამ ცნებით კროებერი კულტურა „გარეთ“ პოზიციის უკიდურეს ფორმას წარმოგვიდგენს (Bennardo & Munck, 2014; Dressler, 2018). მისთვის კულტურა სწორედ ასეთი განსხვავებული რეალობაა. ინდივიდები კულტურის მხოლოდ „მატარებლები“

[5] ცნება სუპერორგანული მე-19 საუკუნის მოაზროვნეს, ჰერბერტ სპენსერს, ეკუთვნის (Dressler, 2018).

არიან. კულტურა მათგან განცალკევებით არსებობს. თუმცა, თუ როგორ იქმნება ეს განსხვავებული რეალობა, რომელიც არ წარმოადგენს „უბრალოდ ინდივიდების ერთობლიობას“, მისთვის „თითქმის უცნობია“ (Kroeber, 1917, p. 212. cited in Bennardo & Munck, 2014).

„კროებერის თეორიაში კულტურა თითქოს მისტიკური აირია, რომელიც გარს გვარტყია და ამ აირით ვსუნთქავთ. ჩვენ არავის არ ვაინტერესებთ, მთელი ყურადღება ამ აირისკენაა“ - ასე წარმოაჩენს კროებერის თეორიაში ინდივიდის უგულებელყოფის უკიდურეს ფორმას ანთროპოლოგი უილიამ დრესლერი (Dressler, 2018, p.14).

1917 წელს ჟურნალი „ამერიკელი ანთროპოლოგის“ მომდევნო გამოცემაში იბეჭდება ედუარდ სეპირის, ასევე ფრანც ბოასის მოსწავლის, სტატია სათაურით - „გვჭირდება კი სუპეროგანული?“ სეპირის პასუხია - არა. მისი აზრით, სოციალური ცხოვრების განმეორებადი და დროში სტაბილური პატერნების მოაზრება ახალი რეალობის დაშვების გარეშეცაა შესაძლებელი (Dressler, 2018).

თუმცა, სეპირიც მხოლოდ იდეის სახით გვამცნობს ამ პოზიციას. თუ როგორ არის ეს შესაძლებელი, მას ამის შესახებ პასუხი არ აქვს[6]. შესაბამისად, ის ვერც ამ საკითხთან მჭიდროდ დაკავშირებულ მეორე შეკითხვაზე - როგორ უნდა დაკავშირდეს ერთმანეთთან „კულტურა“ და „პიროვნება“ - ვერ გვცემს პასუხს. თუმცა, გაცნობიერებული აქვს, რომ მათი კავშირის გარკვევა მნიშვნელოვანია კულტურულ ანთროპოლოგიაში ანალიზის ინდივიდუალური დონის შემოტანისთვის.

რამ უბიძგა სეპირს ანალიზის ინდივიდუალური დონის საჭიროებაზეც ესაუბრა? ერთ-ერთ ცნობილ ესეში ის ომაჰას ინდიელებზე ეთნოგრაფიულ შრომას განიხილავს. ამ შრომის ავტორს, ეთნოგრაფ დორსის, სქოლიოში პედანტური სიზუსტით აქვს აღნუსხული, რომ სოციალური ცხოვრების აღწერაში დანარჩენ ინფორმანტებს არ ეთანხმება ომაჰას ორი მკვიდრი. სეპირი კითხვას სვამს: რა უნდა ვუყოთ ამ ორი ინდიელის პასუხს? ამ შეკითხვაზე კროებერის პასუხი ერთმნიშვნელოვანი იქნებოდა - უნდა უგულებელვყოთ. მთავარია აღიწეროს ზოგადი პატერნი (ვარიაციის შესახებ

[6] ქვემოთ ვნახავთ როგორ ცდილობს ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემას თანამედროვე ფსიქოლოგიური ანთროპოლოგია.

დეტალებით მხოლოდ დაბნეულობას შემოვიტანთ). სეპირის პოზიცია კი განსხვავებულია. მისი აზრით, ანთროპოლოგებმა საზოგადოება ისე უნდა აღწერონ, რომ გამოავლინონ როგორც ცენტრალური ტენდენციები, ისე ინდივიდუალური ვარიაციები. „ომაჰას ორი ინდიელი არასდროს ცდება“ - აღნიშნავს ის (Sapir, 1938 cited in Dressler, 2018).

რომ შევაჯამოთ, კულტურა „გარეთ“ პოზიციის თვალსაჩინო წარმომადგენელია ალფრედ კროებერი. მრავალ წყაროში (Mattingly, Lutkehaus & Throop, 2008; Bennardo & Munck, 2014; Dressler, 2018) სწორედ ამ თვალსაზრისით ხდება მისი თეორიის ციტირება. კროებერისთვის კულტურა საზოგადოების მახასიათებელია და არა ინდივიდის, რაც თავისთავად გულისხმობს დაშვებას, რომ კულტურა ჰომოგენური[7] მოცემულობაა. კულტურა „შიგნით“ განზომილების შემოტანა, ანუ კულტურის აღიარება არა მხოლოდ საზოგადოების, არამედ ინდივიდის მახასიათებლადაც, თავისთავად გულისხმობს ინტრაკულტურული ვარიაციის დაშვებას, რომლის შესახებაც საუბრობს ედუარდ სეპირი.

როგორც ვხედავთ, ფრანც ბოასის ორი მოსწავლის, კროებერის და სეპირის მოსაზრებების დაპირისპირებისას, კულტურის ადგილმდებარეობის საჭირბოროტო საკითხთან ერთად, მასთან მჭიდროდ დაკავშირებული, ასევე ძალიან მნიშვნელოვანი საკითხიც გამოიკვეთა: კულტურა ჰომოგენურ მოცემულობად უნდა განიხილებოდეს თუ კულტურის თეორიამ ინდივიდუალური ვარიაციაც უნდა მოიაზროს? წინამდებარე ქვეთავში წარმოდგენილი დიქოტომიები შეჯამებულია ცხრილში № 1.

ცხრილი № 1: დიქოტომიები

კულტურა „გარეთ“	კულტურა „შიგნით“

[7] ანთროპოლოგიაში ხშირად ვხვდებით დაშვებას, რომ კულტურა ჰომოგენური მოცემულობაა. აღნიშნულს ცხადყოფს ანთროპოლოგიურ ნაშრომებში გავრცელებული დასკვნების ხასიათიც: მაგალითად, მექსიკელები ჩვილობის პერიოდში დიდ დროს ატარებენ დედის სხეულთან მჭიდრო კონტაქტში, ისინი არასდროს განიცდიან ფიზიკურ უგულებელყოფას, იზოლაციასა და სითბოს ნაკლულობას (Currier 1966:259 cited in Dressler, 2018). მიდგომას, რომელიც მსგავს (თითქოს უკლებლივ ყველა მექსიკელზე შეიძლება იმავეს თქმა) გენერალიზებულ დასკვნებს იყენებს, პელტომ და პელტომ (1975) კულტურული უნიფორმიზმი უწოდა. საინტერესოა, რომ კულტურული უნიფორმიზმი ფსიქოლოგიაშიც გვხვდება, კერძოდ, კროსკულტურულ ფსიქოლოგიაში. კროსკულტურული კვლევებში ანალიზის ერთეულია საზოგადოება (განიხილება ჰომოგენურ მოცემულობად). ჩვეულებრივ, აანალიზებენ განსხვავებებს საზოგადოებათა შორის და არა ერთი საზოგადოების ფარგლებში (Ember & Ember 2009).

კულტურა კოლექტივის/საზოგადოების მახასიათებელია	კულტურა ინდივიდის მახასიათებელია
ჰომოგენური კულტურა	ჰეტეროგენული კულტურა/ ინტრაკულტურული ვარიაცია

1.3. დიქოტომია კულტურა „გარეთ“ vs კულტურა „შიგნით“ მცდარია - თანამედროვე ფსიქოანთროპოლოგიური ხედვა

როგორც ზემოთ აღინიშნა, კულტურის თეორიათა კლასიფიკაციის საფუძვლად ადგილმდებარეობის კრიტერიუმის ვარგისიანობა აქტიური განსჯის საგნად თანამედროვე ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიის ფარგლებში იქცა. ამის საჭიროება კი როგორც კულტურა „შიგნით“, ისე კულტურა „გარეთ“ ხედვის შემთხვევაში არსებულმა უკმარისობებმა წარმოშვა. აღნიშნული უკმარისობების დასაძლევად, ფსიქოანთროპოლოგების თანახმად, პირველ რიგში საჭიროა გაცნობიერდეს, რომ დიქოტომია კულტურა „შიგნით“ VS კულტურა „გარეთ“ მცდარია.

ფსიქოანთროპოლოგიურმა გააზრებამ გამოკვეთა, რომ დიდი ხნის განმავლობაში თეორიულ შეხედულებებში მცდარად იყო წარმოჩენილი ფსიქიკასა (შინაგანი სამყარო) და ფსიქიკის მიღმა სამყაროს შორის გადაულახავი უფსკრულის არსებობა (Strauss, & Quinn, 1997). სინამდვილეში „შინაგანი“ და „გარეგანი“ რეალობა ერთმანეთისგან იზოლირებული არაა. თუმცა, ყველაზე საკვანძო ფსიქოანთროპოლოგების შეხედულებაში შემდეგი ხაზგასმაა: ***ამ რეალობებს შორის მჭიდრო ურთიერთკავშირის არსებობის აღიარება არ ნიშნავს მათ შორის განსხვავებების უარყოფას*** (Strauss, & Quinn, 1997). პირიქით, თანამედროვე ფსიქოანთროპოლოგიური ხედვა სწორედ ამ ნიშნით გამოირჩევა სხვა თეორიული ხედვებისგან. აღნიშნულ დარგში ნათლადაა გაცნობიერებული, რომ შინაგანი რეალობა (აზრები, აფექტები და მოტივები) გარეგანი რეალობის (დისკურსები, პრაქტიკები) პირდაპირ ასლს არ წარმოადგენს. შინაგანი რეალობის მოქმედების კანონზომიერებები განსხვავებულია. ამ კანონზომიერების

გასაგებად კი ანთროპოლოგებს ესაჭიროებათ ფსიქოლოგიაში დაგროვილი ცოდნის გამოყენება.

ფსიქოლოგიისა და ანთროპოლოგიის ფოკუსირება განსხვავებულ რეალობებზე - პირველისა მხოლოდ „შინაგან“, ე.წ. ინტრაპერსონალურზე, მეორისა კი მხოლოდ „გარეგან“, ე.წ. ექსტრაპერსონალურზე, თავისთავად აპირისპირებს „შინაგანსა“ და „გარეგანს“, რაც ლოგიკურად აჩენს ურთიერთშემავსებელი მიდგომის აუცილებლობას. სწორედ ასეთ მიდგომას წარმოადგენს თანამედროვე ფსიქოანთროპოლოგია, რომელიც ობიექტური კულტურული ფორმებისა და ინდივიდუალური ფსიქოლოგიური პროცესების ერთიან თეორიაში მოქცევას ცდილობს (Bruner, 1996).

კულტურისა და ქცევის მიმართების საკითხი

ანთროპოლოგიასა და ფსიქოლოგიას შორის გაწყვეტილი დიალოგის აღდგენის აქტუალობა განსაკუთრებით ისეთი ფუნდამენტური საკითხის შესწავლისას ჩანს, როგორიცაა ინდივიდის ქცევა. თეორიული პერსპექტივების მეტა-ანალიზი ქცევის ახსნის პრობლემებს ადასტურებს ორივე სფეროს ფარგლებში. ადამიანის ქცევის წყაროდ ბიოლოგიის და/ან ინდივიდუალური ფსიქიკის დასახელება, ანუ *ფსიქობიოლოგიური დეტერმინიზმის* დომინანტობა ფსიქოლოგიაში აღნიშნული დისციპლინის მთავარი მიზნების - აღწეროს, ახსნას, გააკონტროლოს და იწინასწარმეტყველოს ინდივიდის ქცევა - ჯეროვან განხორციელებას აფერხებს.

ქცევის[8] შესწავლის საკითხი არანაკლებ პრობლემურია ანთროპოლოგიაშიც. როგორც ვიცით, ანთროპოლოგების უმრავლესობა *(სოციოკულტურული დეტერმინიზმის*

---

[8] აღსანიშნავია, რომ ანთროპოლოგიაში არსებობს ისეთი თეორიული შეხედულებებიც, რომლებშიც კულტურის და ქცევის მიმართების საკითხი საერთოდ არც კი განიხილება, რადგან ქცევა კულტურისგან განცალკევებულ ფენომენადაც კი არ არის მოაზრებული. ამ შემთხვევაში კულტურის დეფინიცია მოიცავს ქცევასაც: რასაც ადამიანი აკეთებს, ყველაფერი კულტურის ცნებაშია გაერთიანებული. გამოდის, რომ თითქოს არაფერია ისეთი, რაც კულტურული არ არის. უილიამ დრესლერი (2018) ამ მიდგომის შემდეგ ნაკლოვანებას უსვამს ხაზს: ნებისმიერი ფენომენის კულტურულად განხილვა ტავტოლოგიურია: ვამბობთ, რომ ადამიანები ასე კულტურის გამო იქცევიან და ჩვენ დარწმუნებული ვართ ამაში მხოლოდ იმიტომ, რომ ყველაფერი, რასაც ადამიანი აკეთებს, კულტურის ცნებაში გვაქვს მოაზრებული.

ჩვენც ვიზიარებთ დრესლერის აზრს: ლოგიკურია, რომ თეორიული ხედვა, რომელიც საშუალებას გვაძლევს კულტურა და ქცევა ერთმანეთისგან განცალკევებულ ფენომენებად განვიხილოთ (კულტურა, როგორც წყარო ფსიქიკური წარმონაქმნებისა, რომელიც საფუძვლად ედება ქცევას) და შემდეგ გვაძლევს ამ ორი ფენომენის

კონცეფციის მიმდევრები) კულტურის თეორიაში ფსიქიკური განზომილების შემოტანის წინააღმდეგია. შესაბამისად, ჩნდება კითხვა: თუ კულტურა აბსტრაქტული მოცემულობაა (გავიხსენოთ კულტურა „გარეთ“ პოზიციის უკიდურესი ფორმა კროებერთან) და ფსიქიკაში არ არის ლოკალიზებული, მაშინ როგორ შეუძლია ქცევის აღძვრა?

„რა თქმა უნდა, შეიძლება ითქვას, რომ „ადამიანები იქცევიან ასე იმიტომ, რომ კულტურა აიძულებს მათ ასე მოქცევას“, თუმცა ეს ფორმულირება ვერაფერს ხსნის. „ყოველთვის იქცევიან ადამიანები ისე, როგორც მათ კულტურა აიძულებს? როგორ აიძულებს კულტურა მათ მოიქცნენ ასე და არა სხვაგვარად?“ [D'andrade & Strauss, 1992, 1992:23 ციტირებულია ჩხაიძე, 2015, გვ.6)

ნათელია, რომ ადამიანის ქცევაზე კულტურის ზემოქმედების ახსნა შეუძლებელია ადამიანის ფსიქიკაზე საუბრის გარეშე (D'andrade & Strauss, 1992; Dressler, 2018). შესაბამისად, ქცევის აღძვრის ფუნდამენტური პრობლემის შესასწავლად პირველ რიგში საჭიროა ისეთი მცდარი დიქოტომიის დაძლევა, როგორიცაა კულტურა „გარეთ“ (culture-in-the-world) და კულტურა „შიგნით“ (culture-in-the-mind) (Shore, 1996).

რომ შევაჯამოთ, კულტურის დეფინიციისას საკვანძო შეკითხვაზე - სად მდებარეობს „X“ (ფენომენი, რომელსაც კულტურა უნდა ვუწოდოთ) - ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიის პასუხია: კულტურას ორი ადგილმდებარეობა აქვს. ერთი მხრივ, კულტურა ლოკალიზებულია მნიშვნელობებით დატვირთულ ობიექტურ ფორმებში (ე.წ. კულტურა „გარეთ“). მეორე მხრივ, ასეთი ობიექტური ფორმები მნიშვნელობის მატარებელია მხოლოდ იმიტომ, რომ ინდივიდის ფსიქიკაა (ე.წ. კულტურა „შიგნით) აღჭურვილი მათი საინტერპრეტაციო ინსტრუმენტებით (Hannerz, 1992).

კულტურის ორ ადგილმდებარეობას ხაზს უსვამს ფსიქოანთროპოლოგიის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი წარმომადგენელი - ბრედ შორიც (1996). მისი აზრით, შეუძლებელია კულტურა ადეკვატურად აღიწეროს მხოლოდ ფსიქოლოგიური, ან მხოლოდ

დაკავშირების საშუალებას (როგორ განსაზღვრავს კულტურა ქცევას), გაცილებით უფრო მართებულია კულტურის მეცნიერული შესწავლისთვის, ვიდრე კულტურის და ქცევის ერთ ცნებაში მოქცევა (Dressler, 2018).

სოციოლოგიური ტერმინებით. ის მოიცავს ადამიანის ცხოვრების როგორც ფსიქოლოგიურ (მაგ., პიროვნება, მოტივაცია), ისე სოციოლოგიურ (მაგ., ოჯახი, შრომითი ურთიერთობები) ასპექტებს.

ჯერომ ბრუნერი (1996) ორივე ასპექტის მოხელთების ამოცანას ადამიანის შემსწავლელ ნებისმიერ მეცნიერებას უსახავს: *„ადამიანის შესახებ მეცნიერების, იქნება ეს ანთროპოლოგია, ფსიქოლოგია, ლინგვისტიკა თუ ისტორია, მთავარი გამოწვევაა, შეისწავლოს მნიშვნელობები ისე, რომ გათვალისწინებული იყოს როგორც საზოგადოებრივი/გაზიარებული, ისე ინდივიდის იდიოსინკრეტული განზომილება“(* p. 16)

თანამედროვე ფსიქოანთროპოლოგიაში აღნიშნულ ორ რეალობას შორის კომპლექსური ინტერაქციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან შედეგზეც მახვილდება ყურადღება: ესაა კულტურის სტაბილურობისა და ცვალებადობის თანაარსებობა. ანუ, კულტურის ადგილმდებარეობის საკითხთან მჭიდროდ დაკავშირებულ მეორე საჭირბოროტო საკითხზეც - კულტურა ჰომოგენურ/სტაბილურ მოცემულობად უნდა განვიხილოთ თუ ინტრაკულტურულ ვარიაცია/ცვალებადობაზეც უნდა ვისაუბროთ - ფსიქოანთროპოლოგების პასუხი ორივე პოლუსს მოიცავს. მათი აზრით, დიქოტომიის - კულტურა „შიგნით“ vs კულტურა „გარეთ“ - მცდარობა ავტომატურად მიგვითითებს დიქოტომიის - ჰომოგენური კულტურა vs ჰეტეროგენული კულტურა - მცდარობაზე.

1.4. დიქოტომია ჰომოგენური კულტურა vs ჰეტეროგენული კულტურა მცდარია - თანამედროვე ფსიქოანთროპოლოგიური ხედვა

1990-იანი წლებიდან მიდგომა - „კულტურა X“ (მაგ., მექსიკელები, იაპონელები, ამერიკელები) ძველმოდურად ითვლება. ნაწილობრივ, ეს განპირობებულია იმით, რომ დღეს, ცვალებადი და მრავალგვარი იდენტობების სამყაროში, ძალიან რთულია გამოვყოთ ხალხის რაიმე სახის ერთობლიობა, რომელსაც ვუწოდებთ „X“-ს. თუმცა, ჩვენი ამოცანა ამ საკითხის განხილვა არაა. გლობალიზაციის პროცესი ფრჩხილებს გარეთ რომ გავიტანოთ, ფრაზა „კულტურა X“ მაინც პრობლემურია: თითქოს X-ის ყველა წევრი

აზროვნებს, გრძნობს და მოქმედებს ერთნაირად, საუკუნეების განმავლობაში ცხოვრების ერთსა და იმავე წესს იზიარებდა და მომავალშიც უცვლელად შეინარჩუნებს მას. საკითხის ამგვარად დაყენება აშკარად მცდარია, მაგრამ, მეორე მხრივ, საკუთარი კულტურული გამოცდილებაც და სხვა საზოგადოებების შესწავლაც გვიდასტურებს, თაობათა ცვლილების მიუხედავად, ინდივიდთა აზროვნებასა თუ ქცევაში დროში სტაბილური პატერნების არსებობას (Strauss, & Quinn, 1997).

შესაბამისად, იკვეთება ორი მოსაზრება: 1) კულტურა შემოსაზღვრულ, ჰომოგენურ, სისტემას არ წარმოადგენს 2) ინდივიდთა ქცევის შესწავლისას შეუძლებელია უარვყოთ დროში სტაბილური და სხვა ინდივიდებთან/ჯგუფებთან გაზიარებული ასპექტების არსებობა. ფსიქოანთროპოლოგები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ დღეს მათი დისციპლინის ამოცანა ის კი არაა, რომ ამტკიცოს, ამ ორი მოსაზრებიდან რომელია უფრო სწორი, არამედ დაასაბუთოს, როგორაა შესაძლებელი, რომ ***ორივე მოსაზრება ერთდროულად იყოს სწორი.***

კულტურის ერთსა და იმავე თეორიის ფოკუსში როგორ შეიძლება მოექცეს კულტურის როგორც სტაბილური[9], ისე ცვალებადი განზომილება?

აღნიშნული გამოწვევის გადალახვა ნაცადია მნიშვნელობის (meaning)[10] ფსიქოანთროპოლოგიური დეფინიციით (Strauss, & Quinn, 1997): *ობიექტის ან მოვლენის მიერ პიროვნებაში მოცემულ მომენტში აღძრული ინტერპრეტაცია.* ინტერპრეტაციაში იგულისხმება როგორც ამ ობიექტისა თუ მოვლენის იდენტიფიკაცია (კოგნიტური

---

[9] კულტურის სტაბილურობისა და ცვალებადობის უზრუნველმყოფელი ტენდენციების აღსანიშნად ფსიქოანთროპოლოგები იყენებენ მიხეილ ბახტინის (1981) ტერმინებს: „ცენტრისკენული“ და „ცენტრიდანული“ ძალა (Strauss, & Quinn, 1997). ფსიქიკური წარმონაქმნების დონეზე აღნიშნული ტენდენციების აღსანიშნად ჟან პიაჟე იყენებს ასიმილაციის და აკომოდაციის ტერმინებს: სქემების სტაბილურობას უზრუნველყოფს ასიმილაციის პროცესი (ბახტინის ტერმინებიდან შეესაბამება „ცენტრისკული“ ძალა), ხოლო ცვალებადობას - აკომოდაციის პროცესი (ბახტინის ტერმინებიდან შეესაბამება „ცენტრიდანული“ ძალა).

[10] როგორც არაერთხელ ვახსენეთ, ფსიქოანთროპოლოგების აქტიური განსჯის საგანია კულტურის დეფინიციებში არსებული პრობლემები. აღნიშნული პრობლემების დასაძლევად კი, მათი აზრით, უმთავრესია გავიგოთ, *როგორ ქმნის ადამიანი მნიშვნელობებს* (Strauss, & Quinn, 1997). თანამედროვე მიდგომებში კულტურის პრობლემის გადაჭრა *მნიშვნელობის* პრობლემის გადაჭრაზე დაიყვანება (Hannerz, 1992). როგორც წესი, ანთროპოლოგები კულტურის და „მნიშვნელობის“ ცნებებს ურთიერთჩამნაცვლებლად იყენებენ (Bennardo & Munck, 2014).

პროცესი), ისე მის მიმართ არსებული მოლოდინი, ემოცია და მასზე საპასუხო რეაქციის განხორციელების მოტივაცია[11].

მრავალკომპონენტიანობის (კოგნიცია, ემოცია, მოლოდინი, მოტივაცია) ხაზგასმასთან ერთად, ამ დეფინიციაში საკვანძოა, რომ მნიშვნელობა განიხილება *მოცემული მომენტის/აწმყოს მდგომარეობად*. აწმყო განზომილების შემოტანა კი შესაძლებელს ხდის კულტურის ცვალებადობის ახსნას.

მაგრამ, როგორაა ამავე განსაზღვრებაში კულტურის სტაბილურობაც მოაზრებული? დამატებით ხაზგასმულია, რომ აღნიშნული აწმყო მდგომარეობები შედარებით სტაბილური ორი სახის სტრუქტურის ურთიერთქმედების შედეგია. ეს სტრუქტურებია: ინტრაპერსონალური, მენტალური სტრუქტურები (რომელსაც სხვანაირად სქემებს[12] უწოდებენ) და ექსტრაპერსონალური, გარე სამყაროს სტრუქტურები. გარეგანი სამყაროსა და ჩვენი სქემების შედარებითი სტაბილურობა განაპირობებს იმას, რომ კონკრეტულ ადამიანთან და საერთო ცხოვრების სტილის გამზიარებელ ადამიანთა კონკრეტულ ჯგუფებში, ამა თუ იმ სიტუაციაში, მეტნაკლებად ერთი და იგივე მნიშვნელობები აღიძვრება. შესაბამისად, ამ განმარტების მიხედვით, მნიშვნელობები ფსიქოლოგიურიცაა (რამდენადაც კოგნიტურ–ემოციურ რეაქციებს წარმოადგენს) და საზოგადოებრივ/ობიექტურიც. მნიშვნელობები მოცემულ მომენტში ობიექტური სამყაროს მოვლენებისა და იმ მენტალური სტრუქტურების ურთიერთქმედების პროდუქტია, რომლებიც, თავის მხრივ, წარსულში, ასევე, ობიექტურ სამყაროსთან ინტერაქციის პროცესში და შედეგად წარმოიქმნა (ჩხაიძე, 2015, გვ.29).

როგორც ვხედავთ, თანამედროვე ფსიქოანთროპოლოგიური ხედვა ცდილობს კულტურის თეორიაში არსებული დიქოტომიები დაძლიოს და საპირისპირო პოლუსების („გარეგანი“ და „შინაგანი“; „სტაბილურობა“ და „ცვალებადობა“) ერთიან

---

[11] ქვინს და სტრაუსს (1997) მაგალითად მოჰყავთ ლატარიის ბილეთის ყიდვის სიტუცია. მათი აზრით, იყიდის თუ არა ინდივიდი ბილეთს, დამოკიდებულია იმ მნიშვნელობაზე, რომელსაც ის გასათამაშებელ თანხას ანიჭებს. ეს მნიშვნელობა იდეების/კოგნიციის (მაგალითად, იდეა „კარგი ცხოვრების“ შესახებ), ემოციების (მაგალითად, ვალის გადახდის შემთხვევაში შვების განცდა) და მოტივაციების (მაგალითად, ქველმოქმედების საშუალებით აღიარების მოპოვება) ნაზავია.

[12] სქემის ცნებას ქვემოთ დაწვრილებით განვიხილავთ, ამ ეტაპზე კი მოკლედ შეგვიძლია ვთქვათ, რომ სქემები კოგნიტური ელემენტების ძლიერი კავშირების ქსელებია, რომლებიც მეხსიერებაში შენახული ზოგადი კონცეპტების რეპრეზენტაციას ახდენს (Strauss, & Quinn, 1997).

ფოკუსში თავმოყრით კულტურის კომპლექსური თეორია წარმოგვიდგინოს. ვფიქრობთ, თეორიის საკვანძო მომენტების გათვალსაჩინოებაში ამ განზომილებების მიმართებების ვიზუალური ანალიზი დაგვეხმარება (იხ. სურათი №1)

სურათი № 1: კულტურის განზომილებების თანაკვეთა



როგორც სურათიდან ჩანს, შეგვიძლია გამოვყოთ „გარეგანი“ რეალობის როგორც სტაბილური, ისე ცვალებადი (მაგალითად, დროთა განმავლობაში სოციალური ინსტიტუტების შეცვლა) განზომილება. ანალოგიურად, „შინაგანის“ შემთხვევაში: 1) სტაბილური განზომილება - წარსული გამოცდილების საფუძველზე ფორმირებული, დროში სტაბილური ფსიქიკური წარმონაქმნები (ამ თეორიაში ასეთი წარმონაქმნებია სქემები) 2) ცვალებადი განზომილება - აწმყო მდგომარეობები.

„შინაგანი“ რეალობის შემთხვევაში მნიშვნელოვანია აღინიშნოს გაზიარებული და იდიოსინკრეტული პოლუსების არსებობის შესახებაც. კულტურული მოდელების სკოლის ერთ-ერთი არსებითი სიახლე სწორედ ისაა, რომ შინაგანი არ დაიყვანება იდიოსინკრეტულზე (მეორენაირად, პირადზე). ის გაზიარებულ (მეორენაირად, საზოგადოებრივი) ნაწილსაც მოიცავს (Strauss, & Quinn, 1997).

რომ შევაჯამოთ, მნიშვნელობების სხვა თეორიებისგან განსხვავებით, მნიშვნელობის ფსიქოანთროპოლოგიურ თეორიაში საკვანძოა „შინაგანი“ განზომილება: ხაზგასმულია, რომ მნიშვნელობები პიროვნებაში აღიძვრება. თუმცა, ამავდროულად საუბარია იმაზე, რომ მათი ნაწილი ფართოდაა გაზიარებული საზოგადოების წევრებს შორის. სხვადასხვა

სოციალურ ინსტიტუტში მონაწილეობის პროცესშია დასწავლილი და სხვადასხვა კულტურულ ფენომენთან (მაგალითად, კალენდრული და ცხოვრების ციკლის რიტუალები, ყოველდღიური საუბრები, მასმედია) ასოციაციური კავშირის საშუალებითაა განმტკიცებული. თითოეული მათგანი ყოველდღიურ სიტუაციებში კონკრეტულ საგნებთან მიმართებით აქტიურდება და ამავე სიტუაციებში „იმპროვიზაციის“[13] საშუალებასაც იძლევა (Strauss, & Quinn, 1997).

სხვა სიტყვებით, თუ რა მნიშვნელობას აღძრავს მავანში ესა თუ ის სიტყვა, ობიექტი თუ მოვლენა, დამოკიდებულია, ერთი მხრივ, იმაზე, თუ რას განიცდის ის მოცემულ მომენტში და, მეორე მხრივ, იმ საინტერპრეტაციო ჩარჩოებზე, რომლებიც მოცემულ მომენტში წარსულ გამოცდილებაზე დაყრდნობით აქტიურდება. კულტურული მნიშვნელობა კი მსგავსი ცხოვრებისეული გამოცდილებების საფუძველზე ამა თუ იმ ობიექტის თუ მოვლენის ტიპური (ხშირად განმეორებადი და ფართოდ გაზიარებული) ინტერპრეტაციაა (Spiro, 1987). შესაბამისად, როცა ფსიქოანთროპოლოგები მნიშვნელობებს კულტურულს უწოდებენ, ამით პირველ რიგში იმას გამოკვეთენ, რომ განსხვავებული გამოცდილებების მქონე ინდივიდები საგნებსა თუ მოვლენებს განსხვავებულ მნიშვნელობებს ანიჭებენ. თუმცა, არ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ თითქოს არსებობს რაღაც „კულტურა X“, რომელიც თავს უყრის ან ქმნის მნიშვნელობებს X ხალხისთვის. როგორც დანდრადე აღნიშნავს, ჩვენ უარი უნდა ვთქვათ იდეაზე - „კულტურა როგორც მოცემულობა“ (1995:250). კულტურული არტეფაქტებისა და დასწავლილი მენტალური სტრუქტურების გარდა „კულტურის“ ცნებაში კიდევ რაიმე აბსტრაქტული მოცემულობის მოაზრება, კიდევ უფრო აბუნდოვანებს მას, რამაც, საბოლოოდ, ამ ცნების უარყოფამდეც კი შეიძლება მიგვიყვანოს (Strauss, & Quinn, 1997). თანამედროვე ფსიქოანათროპოლოგების აზრით, „კულტურის“ ცნება შეგვიძლია შევინარჩუნოთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კულტურებს ცალკეულ მეტაფიზიკურ, აბსტრაქტულ მოცემულობებად კი არ განვიხილავთ, არამედ შემდეგნაირად განვმარტავთ: ***ეს არის ინდივიდების განმეორებადი გამოცდილებების, მათ საფუძველზე***

[13] მექანიზმებზე მომდევნო ქვეთავში ვისაუბრებთ

ფორმირებული გაზიარებული სქემებისა და ამ სქემებისა და გარე სამყაროს შორის ინტერაქციების ერთობლიობა (Strauss, & Quinn, 1997).

თავი II

თავი II: კულტურა ფსიქიკაში - „საიდუმლო მღვიმეში“ შესვლა

როგორც ზემოთ აღინიშნა, მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე ფსიქოანთროპოლოგები, კერძოდ, კულტურული მოდელების სკოლის წარმომადგენლები „შინაგან“ და „გარეგან“ რეალობებს შორის მჭიდრო ურთიერთკავშირზე საუბრობენ, მათ ხედვაში ცენტრალურია აღნიშნულ რეალობებს შორის მკაფიო სხვაობების აღიარებაც. ხაზგასმულია, რომ შინაგანი რეალობა (აზრები, აფექტები და მოტივები) გარეგანი რეალობის (დისკურსები, პრაქტიკები) პირდაპირ ასლს არ წარმოადგენს. შინაგანი რეალობის მოქმედების კანონზომიერებები განსხვავებულია. ამ კანონზომიერების გასაგებად კი ანთროპოლოგიას ესაჭიროება ფსიქოლოგიაში დაგროვილი ცოდნის გამოყენება. როგორც ფსიქოანთროპოლოგები აღნიშნავენ, „ყველაფერ ამას ფსიქოლოგიის „საიდუმლო მღვიმესთან“ მივყავართ, სადაც შესვლა გამოჩენილმა ანთროპოლოგმა, კლიფორდ გირცმა, მკაცრად აკრძალა (Geertz, 1973f:362 cited in Strauss, & Quinn, 1997).

როგორც წინა ქვეთავიდან გამოიკვეთა, ფსიქოლოგიის „საიდუმლო მღვიმეში“ შესვლა ანთროპოლოგებისთვის შემდეგ კითხვებზე პასუხის გასაცემადაა მნიშვნელოვანი:

1) თუ კულტურის თეორეტიკოსები აღიარებენ, რომ კულტურა ფსიქიკაშიცაა ლოკალიზებული, მათ პასუხი უნდა გასცენ შემდეგ კითხვას: რა სახით არსებობს ის ფსიქიკაში?
2) ა) ფსიქიკაში არსებობის ფორმის განსაზღვრის გარდა, მნიშვნელოვანია ამ ფორმების დროში სტაბილურობის უზრუნველმყოფი მექანიზმების ახსნაც (როგორც აღინიშნა, კულტურის თეორიისთვის ცენტრალურია შინაგან რეალობაში ანუ ფსიქიკაში არსებული წარმონაქმნების დროში სტაბილურობა[14]).

[14] ვგულისხმობთ დროში განგრძობითად/durability არსებობას, რომელშიც მოიაზრება როგორც საწინააღმდეგო ტენდენციების არარსებობის შემთხვევაში წარმონაქმნის ფსიქიკაში შენარჩუნების უნარი, ისე ასეთის არსებობისას მათზე წინააღმდეგობის გაწევის უნარი. ქართულ ფსიქოლოგიურ სკოლაში ამ უკანასკნელის აღსანიშნად გამოიყენება ტერმინი სიმტკიცე (ფიქსირებული განწყობის მახასიათებელია როგორც სტაბილობა, ისე სიმტკიცე (უზნაძე 1977)).

ბ) როგორც ვნახეთ, ფსიქოანთროპოლოგიური ხედვა მხოლოდ სტაბილურობაზე არ ამახვილებს ყურადღებას. ის სტაბილური და ცვალებადი ასპექტის თანაარსებობასაც უშვებს და, შესაბამისად, საჭიროებს აღნიშნულის უზრუნველმყოფი მექანიზმების ახსნასაც. სხვა სიტყვებით, წარსულის საფუძველზე ფორმირებული სტაბილური წარმონაქმნების და აწმყო მომენტის მდგომარეობების ურთიერთობის ანალიზს. აღნიშნულ საკითხზე რომელი ფსიქოლოგიური კონცეფციები შეიძლება იყოს მათთვის საინტერესო?

3) დაბოლოს, ერთ-ერთი ყველაზე ფუნდამენტური საკითხი: როგორ შეიძლება აიხსნას კულტურის და ინდივიდის ქცევის კავშირი.

მოცემულ კითხვებზე სიღრმისეული პასუხების მისაღებად კულტურული მოდელების სკოლის წარმომადგენლები არ არიან შეზღუდულები და თავისუფლად ეყრდნობიან ფსიქოლოგიის სხვადასხვა მიმართულებაში მოპოვებულ ცოდნას. ესენია ნეიროფსიქოლოგია, კოგნიტური ფსიქოლოგია, სოციალური ფსიქოლოგია,ფსიქოანალიზი. როგორც თავად აღნიშნავენ, მათ ასეთი ეკლექტიკური მიდგომის საშუალებას დარგის ინტერდისციპლინურობა[15] აძლევს (Strauss, & Quinn, 1997).

თუმცა, დასახელებული დარგებიდან შეინიშნება ერთ-ერთი დარგის დომინანტობა. ესაა კოგნიტური ფსიქოლოგია. ქვემოთ განვიხილავთ, რა სამსახური გაუწია აღნიშნულმა დარგმა კულტურის ფსიქოანთროპოლოგიურ თეორიას ზემოთ ჩამოთვლილ სამ მნიშვნელოვან შეკითხვაზე პასუხის გაცემისას.

2.1. კოგნიტური ფსიქოლოგია კულტურის თეორიის სამსახურში

პარადოქსულია, მაგრამ ფსიქოლოგიაშიც არსებობდა მიმდინარეობა, რომელიც „საიდუმლო მღვიმეში“ შესვლისგან თავს იკავებდა. საუბარი გვაქვს ბიჰევიორიზმზე, რომელსაც ანტიმენტალისტური პოზიციის გამო უფსიქიკო ფსიქოლოგიის

[15] დამატებით აღნიშნავენ, რომ მათი ინტერესი მხოლოდ ფსიქოლოგიური თეორიებით არ შემოიფარგლება. ისინი ეყრდნობიან ძალაუფლების, სოციალური მოძრაობების, საზოგადოებრივი კულტურის, ისტორიულ, რელიგიურ და პოლიტიკურ კვლევებსაც კი.

სახელწოდებითაც კი მოიხსენიებენ (იმედაძე, 2008; Bennardo & Munck, 2014). ნიშანდობლივია, რომ სწორედ ბიჰევიორიზმის უკმარისობები გახდა კოგნიტივიზმის ჩამოყალიბების საფუძველი.

ოცდაათიანი წლებიდან კლასიკურ ბიჰევიორიზმს ცვლის ნეობიჰევიორიზმი. სტიმულსა და რეაქციას შორის ჩნდება შუალედური ცვლადები (განზრახვა, მოლოდინი, ცოდნა და სხვა), რომელსაც საკმაოდ მენტალისტური ჟღერადობა აქვთ (იმედაძე, 2008). ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით აღსანიშნავია ტოლმენის ნაშრომები. ტოლმენი 1948 წლის სტატიაში წერს, რომ ლაბირინთში ვირთხების მიერ საკვების ძებნის ქცევის ასახსნელად აუცილებელია დავუშვათ სივრცითი მიმართებების ამსახველი კოგნიტური რუკების არსებობა მათ ფსიქიკაში. მისი აზრით, ასეთივე რუკები არსებობს ადამიანების ფსიქიკაშიც (Bennardo & Munck, 2014). სწორედ ამიტომ მის თეორიას ხშირად შემეცნებით ან კოგნიტურ ბიჰევიორიზმს უწოდებენ და კოგნიტური ფსიქოლოგიის შორეულ წინაპრად მოიხსენიებენ (იმედაძე, 2008).

ბიჰევიორიზმის მიერ ტაბუირებული ფსიქიკური პროცესების კოგნიტურ ფსიქოლოგიაში მეცნიერული შესწავლის საგნად დაბრუნებას ხელი განსაკუთრებით კომპიუტერულმა მეტაფორამ შეუწყო. ფსიქიკური პროცესების კომპიუტერთან ანალოგიამ გაამარტივა კოგნიტური პროცესების შესწავლა; მათ გასაზომად შეიქმნა ექსპერიმენტული მეთოდები; კიბერნიტიკის სფეროდან შემოტანილი ცნებებით[16] კოგნიტური ფუნქციონირების აღსაწერად გამდიდრდა ლექსიკონიც (იმედაძე, 2008).

არაა გასაკვირი, რომ კულტურის თეორიაში ფსიქიკური რეალობის კანონზომიერებებზე ცოდნის ჩასართავად ფსიქოანთროპოლოგებმა აქტიურად სწორედ კოგნიტური ფსიქოლოგიის დარგს მიმართეს. მათი ყურადღება განსაკუთრებით სქემის ცნებამ[17] დაიმსახურა. აღნიშნულმა ცნებამ ერთდროულად რამდენიმე დისციპლინის ფარგლებში

[16] მაგალითად, ინფორმაცია, სისტემის შესავალი, გადამუშავება, კოდირება, პროგრამა და ა.შ. (იმედაძე, 2008).

[17] როგორ იცვლებოდა ცოდნის მაორგანიზებელი სტრუქტურების შესახებ ხედვები ვრცლად იხილეთ: სამაგისტრო ნაშრომში - ჩხაიძე, თ. (2015). „კულტურისა და ქცევის მიმართების საკითხები თანამედროვე ფსიქოლოგიურ ანთროპოლოგიაში“

შეცვალა ხედვა კოგნიციის შესახებ (Quinn, 2011). ესენია კოგნიტური ანთროპოლოგია, კოგნიტური ფსიქოლოგია და კოგნიტური ლინგვისტიკა (D'andrade & Strauss, 1992)

სქემების სახით ორგანიზებული ცოდნა მნიშვნელოვან კოგნიტურ ფუნქციას ასრულებს: დიდი მოცულობის ინფორმაცია ისე ინახება ხანმოკლე მეხსიერებაში და შემდეგ აღდგება, რომ ფსიქიკური რეალობის შეზღუდვებს (მაგ., მილერის მიერ დადგენილი შვიდს პლუს-მინუს ორი ერთეული) უსხლტება. გარდა ამისა, ცოდნის ასეთი ორგანიზაცია აადვილებს[18] მოვლენათა ინტერპრეტაციასა და ახალი ინფორმაციის დასწავლის პროცესსაც (Bennardo & Munck, 2014, ფარჯანაძე, 2008).

ფსიქიკურ რეალობაში ინფორმაციის ეფექტურად შენახვის და გამოყენების მექანიზმების გარდა, სქემის ცნების მიმართ ფსიქოანთროპოლოგების ინტერესი განაპირობა იმანაც, რომ მისი დახმარებით შესაძლებელია ფსიქიკის როგორც პირადი, ისე გაზიარებული განზომილების მოაზრება. სავსებით ლოგიკურია ვივარაუდოთ, რომ ჯგუფის წევრები, რომლებსაც ურთიერთმსგავსი ზოგადი გამოცდილებები აქვთ, ამ საერთო გამოცდილების ზოგად რეპრეზენტაციებს, სქემებსაც იზიარებენ. ასეთ გაზიარებულ სქემებს კი კულტურული სქემები (მოდელები) შეიძლება ვუწოდოთ. რა თქმა უნდა, გამოცდილება ზუსტად ერთნაირი ვერ იქნება, მაგრამ სავარაუდოა, რომ თუ ეს გამოცდილება, მაგალითად, ერთ ოჯახში მცხოვრები და-ძმის, ერთი ორგანიზაციის წევრებისა თუ ერთი რეგიონის მაცხოვრებლებისთვის, რაიმე ხარისხით ურთიერთგადამფარავია, მაშინ მათ შეიძლება ჰქონდეთ იმავე ხარისხის (დონის) საერთო სქემები (ჩხაიძე, 2015, გვ.28).

რომ შევაჯამოთ, კოგნიტური ფსიქოლოგიის წიაღში აღმოცენებული იდეა ინდივიდუალური ცოდნის სქემატური ორგანიზაციის შესახებ კოგნიტურმა

---

[18] როგორ აადვილებს სქემა მოვლენათა ინტერპრეტაციას? წარმოვიდგინოთ პროგრამა, რომელსაც შეუძლია კონკრეტული ადამიანის სახის ამოცნობა სხვა სახეებს შორის, მისი ხედვის კუთხისა თუ ფონის მიუხედავად. ასეთი ინტერპრეტაციული სისტემა კონკრეტული პატერნის მაძიებელიც უნდა იყოს და ამ პროცესში გამარტივებასაც უნდა მიმართავდეს. გამარტივება მნიშვნელოვანია, რადგან შეუძლებელია ისეთი პროგრამის შექმნა, რომელიც სახის შემადგენელი პიქსელების ყოველნაირ კომბინაციას ამოიცნობდა – ასეთი პოტენციური კომბინაციის რაოდენობა უამრავია. პროგრამას შეუძლია ამოიცნოს სახის გამარტივებული, ზოგადი დონის პატერნი ისეთი მინიმალური მიმნიშნებლების საშუალებით, როგორიცაა ზოგადი მიმართებები სახის ნაწილებს შორის (ცხვირის თვალებთან და პირთან და ა.შ). სწორედ ასეთ პროგრამად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ სქემები. მათი საშუალებით ხდება ობიექტებისა და მოვლენების იდენტიფიცირება, რაც, როგორც ვნახეთ, გამარტივებული პატერნების ამოცნობის მექანიზმს ეყრდნობა (ჩხაიძე, 2015, გვ. 27).

ანთროპოლოგიამ იმ მნიშვნელოვანი მიგნებით გაამდიდრა, რომ ცოდნის გარკვეულ სტრუქტურებს საზოგადოების სხვა წევრებთან ვიზიარებთ. სქემატური ორგანიზაციის კოგნიტურ ფუნქციაზე ზემოთ ვისაუბრეთ. მაგრამ, რა ფუნქციას ასრულებს მათი გაზიარებულობა? ის საშუალებას გვაძლევს ყოველდღიური ამოცანების გადაჭრისას გამოვიყენოთ თავისთავად ნაგულისხმევი/ეჭვშეუტანელი ცოდნა. სხვა სიტყვებით, ადაპტაციისთვის მზა სახით გამოვიყენოთ კულტურული რესურსი, რაც არის სწორედ კულტურის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფუნქცია (Bennardo & Munck, 2014, Dressler, 2018, ნადარეიშვილი, 2020). როგორც დრესლერი (2017) აღნიშნავს, *„ჩვენი ცხოვრების მრავალი ასპექტის შესახებ ფიქრიც კი არ გვიწევს. მართალია, დღის განმავლობაში უამრავ გადაწყვეტილებას ვიღებთ და არჩევანს ვაკეთებთ (მაგალითად, როცა ღია მაცივრის წინაშე ვდგავართ და ვირჩევთ, რა მივირთვათ სამხარზე), მაგრამ არჩევანს გვიადვილებს ამ არჩევანის საზღვრების შემოფარგლულობა იმგვარი კულტურული რეპრეზენტაციებით, რომელიც გვკარნახობს, თუ „როგორაა ჩვენში მიღებული.*" (p. 64).

როგორც ვნახეთ, კულტურის თეორიაში საკვანძოა კოგნიტური სქემის *გაზიარებულობის* ასპექტი. ამ ასპექტის გამოსაკვეთად მას **კულტურულ მოდელს** უწოდებენ.

„კულტურული მოდელი არის კოგნიტური სქემა, რომელიც ინტერსუბიექტურადაა გაზიარებული სოციალურ ჯგუფში. ჩვეულებრივ, ასეთი მოდელი შედგება კონცეპტუალური ობიექტებისა და მათ შორის ურთიერთმიმართებებისგან" (D'Andrade, 1987:112 cited in Bennardo & Munck, 2014).

ქვემოთ ამ დეფინიციის შემადგენელ ელემენტებს განვმარტავთ: ა) რა არის კონცეპტუალური ობიექტი? ბ) რა ტიპის ურთიერთმიმართებები არსებობს ამ ობიექტებს შორის? გ) რას ნიშნავს გაზიარებულობა? ყველა კოგნიტური სქემაა გაზიარებული თუ მხოლოდ ნაწილი?

ა) კონცეპტუალური ობიექტი

კონცეპტუალური ობიექტი, რომელსაც აორგანიზებს კულტურული მოდელი, შეიძლება იყოს კონკრეტული (სკამი, ხე, ცხოველი და ა.შ) ან აბსტრაქტული (სიყვარული,

სამართლიანობა და ა.შ.). ანუ, ნებისმიერი კონცეპტი, რომელიც ადამიანის ფსიქიკაშია, შეიძლება კულტურული მოდელის ნაწილი გახდეს.

ბ) ურთიერთმიმართებები ობიექტებს შორის

მრავალფეროვანია კონცეპტუალურ ობიექტებს შორის ურთიერთმიმართების სახეები:

- პარადიგმული მიმართება (paradigmatic) - კონცეპტუალური ობიექტები კონკრეტული პარამეტრებით ერთიანდება პარადიგმაში. მაგალითად, კონცეპტუალური ობიექტები: ქალი, კაცი, ბიჭი, გოგო ერთიანდება პარადიგმაში, რომელიც ორ პარამეტრს მოიცავს: ახალგაზრდა/ხანშიშესული და მამრობითი/მდედრობითი.
- ტაქსონომიური მიმართება (taxonomy) - როცა ობიექტებს შორის სახეობრივი/ტიპოლოგიური მიმართებაა. ტაქსონომიური მიმართებები ტიპურია ბიოლოგიური სამყაროსთვის (მცენარეების, ცხოველების ტაქსონომიები).
- ნაწილი-მთელის მიმართება (partonomy) - მაგალითად, სხეულისა და მისი ნაწილების მიმართება
- სივრცითი მიმართებები - კოგნიტური რუკები, რომელიც ობიექტებს შორის სივრცით მიმართებებს აწესრიგებს.
- მოვლენათა/მდგომარეობათა თანმიმდევრობა - ეს მიმართებები შეიძლება იყოს მიზეზ-შედეგობრივი ან პირობითი[19] (მაგ., „თუ, მაშინ“ და ა.შ.). ჩენკის და აბელსონის 1975 წელს შემოღებული სცენარის ცნება სწორედ ამ ტიპის მიმართებებს ასახავს.

გ) გაზიარებულობა

ამ თვალსაზრისით კოგნიტურ სქემების სამ ტიპს ასხვავებენ:

[19] მიმართებების ამსახველ პროპოზიციებს კულტურული მოდელების აღმოჩენის მეთოდებზე საუბრისას დეტალურად განვიხილავთ.

უნივერსალური კოგნიტური სქემა - ყველა ადამიანთან ვხვდებით, რადგან ფსიქიკის თანდაყოლილ მახასიათებლებს მოიცავს. მაგალითად, ვიზუალური სისტემის მახასიათებლები.

იდიოსინკრეტული კოგნიტური სქემა - ზოგიერთი სქემა იდიოსინკრეტულია, რადგან ინდივიდის პირად (მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ) გამოცდილებასთანაა დაკავშირებული.

კულტურული კოგნიტური სქემა - სქემა, რომელიც გაზიარებულია. ნიშანდობლივია, რომ გაზიარებულობის ხარისხი შეიძლება ვარირებდეს. ასევე, ზოგიერთ მოდელს შეიძლება საზოგადოების რაღაც ნაწილი იზიარებდეს, რაღაც ნაწილი კი არა.

რომ შევაჯამოთ, შეკითხვაზე - რა სახით არსებობს ფსიქიკაში კულტურა - ფსიქოანთროპოლოგების პასუხი კოგნიტურ ფსიქოლოგიაში დაგროვილ ცოდნას ეყრდნობა და შემდეგნაირია: კულტურა ფსიქიკაში **გაზიარებული კოგნიტური სქემების სახით არსებობს.** თუმცა, როგორც ზემოთ აღინიშნა, კულტურის ფსიქიკაში არსებობის ფორმის განსაზღვრების გარდა *წინა პლანზე იწევს ამ ფორმების სტაბილურობის უზრუნველმყოფი მექანიზმებისა და სტაბილური წარმონაქმნების/აწმყო მომენტის მდგომარეობათა ურთიერთმიმართების ახსნის ძალზე მნიშვნელოვანი საკითხებიც.*

აღნიშნულ საკითხებზე ფსიქოლოგიური კონცეფციების წყარო კულტურული მოდელების სკოლისთვის კვლავ კოგნიტური ფსიქოლოგია აღმოჩნდა. კერძოდ, კოგნიტურ ფსიქოლოგიაში მიმდინარე ცვლილებები: ინფორმაციის გადამუშავების ტრადიციული, სერიული მოდელი, რომელიც *კომპიუტერის ანალოგიას* წარმოადგენდა, ჩაანაცვლა კონექციონიზმმა - *ადამიანის ტვინისა და მასში ნეირონული კავშირების ანალოგიამ.* ინფორმაციის გადამუშავების ტრადიციული მოდელისგან განსხვავებით, მასში ინფორმაციული ერთეულები ქსელურად უკავშირდება ერთმანეთს და გადამუშავება სერიულად კი არ მიმდინარეობს, არამედ პარალელურად[20] (ფარჯანაძე, 2008). მისი მოდელირება ხელოვნური ინტელექტის მკვლევრებს ეკუთვნით (Quinn, 2018).

[20] მისი ავტორები არიან დ. რუმელჰარტი და დ. მაკლელანდი. 1986 წელს მათ წარმოადგინეს ნაშრომი - „პარალელურად განაწილებული გადამუშავება“/Parallel Distributed Processing.

როგორც ცნობილია, დროში სიმულტანურად მოცემული სტიმულების მიერ ნეირონების პერმანენტული გააქტიურება ნეირონებს შორის კავშირებს აძლიერებს. ნეირონთა ერთი ჯგუფის გააქტიურების შემთხვევაში იზრდება მასთან დაკავშირებულ ნეირონთა მეორე ჯგუფის გააქტიურების ალბათობაც. ანალოგიურადაა გაგებული სქემების ანუ კოგნიტური ელემენტების კავშირების ქსელის მოქმედების მექანიზმი. სხვა სიტყვებით, სქემების სტაბილურობა ნეირონების მოქმედების მსგავსად დროში სიმულტანურად მოცემული სტიმულების მიერ მათი მრავალჯერადი გააქტიურებით იხსნება. კონკრეტული სტიმულების დროში სიმულტანური მოცემულობა კი გარემოთია განსაზღვრული, რომელიც უმეტესწილად კულტურულადაა კონსტრუირებული (ჩხაიძე, 2015, გვ.35).

სქემის სტაბილურობის/მდგრადობის შენარჩუნების კიდევ ერთი მექანიზმია მისთვის დამახასიათებელი თვითგაძლიერების ტენდენცია. აღნიშნულ ტენდენციას შემდეგნაირად ხსნიან: ძლიერად დაკავშირებული ერთეულთა ქსელი გამოტოვებული და ბუნდოვანი ინფორმაციის შევსებას ქსელის სხვა იმ ერთეულების გააქტიურებით ცდილობს, რომლებიც მოცემული მომენტის გამოცდილებით უშუალოდ არ არის სტიმულირებული. სქემების შემავსებლობის ფუნქცია კი, თავის მხრივ, სქემის საწინააღმდეგო ინფორმაციის დაბლოკვას შეიძლება განაპირობებდეს. ამ შემთხვევაში კულტურული მოდელების სკოლის წარმომადგენლები სოციალურ ფსიქოლოგიაში დაგროვილ ცოდნას ეყრდნობიან ისეთი სტაბილური წარმონაქმნების მოქმედების შესახებ, როგორიცაა სტერეოტიპები. სტერეოტიპებიც ცოდნის სქემატურ სტრუქტურებს წარმოადგენს. როგორც ცნობილია, სტერეოტიპმა შესაძლოა აგვარიდოს ისეთ სიტუაციებს, რომლებიც საწინააღმდეგო ინფორმაციის წყარო შეიძლება აღმოჩნდეს. სხვა სიტყვებით, სიტუაციებს, რომლებიც სტერეოტიპების შეცვლის წინაპირობა შეიძლება იყოს (Strauss & Quinn, 1997).

რაც შეეხება კულტურის თეორიაში სტაბილური (წარსულის საფუძველზე ფორმირებული წარმონაქმნები) და ცვალებადი (აწმყო მდგომარეობები) ასპექტების თანაარსებობას, მის ამხსნელ კონცეფციად ასევე კონექციონიზმი გვევლინება. კონექციონისტური მოდელის ფარგლებში სქემა კონტექსტის/სიტუაციის მიმართ

მაღალი სენზიტიურობით გამოირჩევა, რაც განპირობებულია იმით, რომ ის მოიცავს არა ორწევრიან კავშირებს (როგორც ეს მიაჩნდათ ასოციაციონისტური მიდგომის მხარდამჭერებს), არამედ ურთიერთდაკავშირებული ერთეულების მთელ ქსელებს. ერთეულების მიერ სხვა ერთეულების აქტივაცია ნეირონთა შორის ამგზნები ან შემაკავებელი სიგნალის გავრცელების პროცესის ანალოგიურადაა გაგებული. კონკრეტული სიტუაცია იწვევს იმ ერთეულების აქტივაციას, რომელიც მოცემულ სიტუაციაზე საპასუხოდაა სპეციალიზებული. მოცემული ერთეულები კი, თავის მხრივ, წარსულის გამოცდილების საფუძველზე დასწავლილი ასოციაციებით მასთან ძლიერად დაკავშირებული სხვა ერთეულების აქტივაციას ახდენს. შესაბამისად, კონექციონიზმის მოდელის თანახმად, სქემები საკმაოდ სტაბილურია, თუმცა, მიუხედავად ამისა, მოქნილად ადაპტური უფროა, ვიდრე რიგიდულად განმეორებადი. მას შეუძლია ადაპტირება ახალ და ბუნდოვან სიტუაციაში „დეტერმინირებული იმპროვიზაციის“[21] სახით. კონექციონისტური ქსელის მიერ ინიცირებული რეაქცია იმპროვიზირებულია იმიტომ, რომ კონკრეტულ დროსა და ადგილას აღმოცენდება, მაგრამ, ამავდროულად, არ კარგავს დეტერმინირებულობის ნიშანს იმდენად, რამდენადაც წარსულში დასწავლილი დროში სტაბილური ასოციაციების პატერნებითაა განსაზღვრული (ჩხაიძე, 2015, გვ.39).

დაბოლოს, შევეხებით ისეთ მნიშვნელოვან საკითხს (ჩამონათვალში რიგით მესამე), როგორიცაა კულტურასა და ინდივიდის ქცევას შორის კავშირი. როგორც გამოჩენილი ფსიქოლოგი ჟან პიაჟე აღნიშნავს, ფსიქიკური სტრუქტურების ფორმირებასა და ფუნქციონირებაზე საუბარი მხოლოდ ქცევის პროცესთან მიმართებაში იძენს აზრს (იმედაძე, 2008). ეს მნიშვნელოვანი ხაზგასმა ანთროპოლოგებისთვის კულტურის თეორიაში ფსიქიკური რეალობის შემოტანის საწყის ეტაპზე არც თუ ისე ნათელი და პრიორიტეტული აღმოჩნდა, გამომდინარე იქიდან, რომ მათთვის სიახლეს, პირველ

[21] ფსიქოანთროპოლოგებმა აღნიშნული ტერმინი გამოჩენილი ფრანგი სოციოლოგის, პიერ ბურდიეს ნაშრომიდან გამოიყენეს (Bourdieu, 1977 cited in Strauss, & Quinn, 1997). სემიოტიკურ კულტურულ ფსიქოლოგიაში კი დეტერმინირებულობა და ინდეტერმინირებულობა გაერთიანებულია ტერმინით „შემოსაზღვრული ინდეტერმინირებულობა/bounded indeterminacy“ (Valsiner, 2003). აღნიშნული ტენდენციების სინერგიის შესახებ იდეას ვაწყდებით განწყობის ზოგადფსიქოლოგიური თეორიის დამუშავების თანამედროვე მცდელობებში (ნადარეიშვილი, 2003), რომელზეც დეტალურად ქვემოთ ვისაუბრებთ.

რიგში, ფიზიკური გარემოს შეზღუდვების ნაცვლად ფსიქოლოგიური შეზღუდვების[22] სპეციფიკაზე საუბრის დაწყება წარმოადგენდა (Bennardo & Munck, 2014). შესაბამისად, მთელი ინტერესი ფსიქიკური სტრუქტურების არქიტექტონიკისკენ იყო მიმართული. აქედან გამომდინარე, არაა გასაკვირი, რომ კოგნიტური ფსიქოლოგიის სფეროდან მათი ყურადღება, პირველ რიგში, შემეცნებითი პროცესების შესახებ ცოდნამ მიიქცია. გარდა ამისა, ვფიქრობთ, რომ აღნიშნული ტენდენცია კოგნიტურ ფსიქოლოგიაში მიმდინარე პროცესების ანარეკლიც იყო.

ჯერ კიდევ კოგნიტივიზმის დამფუძნებელი, ულრიკ ნაისერი, გამოთქვამდა უკმაყოფილებას იმის გამო, რომ კოგნიტური ფსიქოლოგია შემეცნების პროცესების ფსიქოლოგიად რჩებოდა. მისი აზრით, ნამდვილმა ფსიქოლოგიამ უნდა დასვას და გადაჭრას ისეთი ფუნდამენტური პრობლემები, როგორიცაა ქცევის დეტერმინაციის საკითხი. აღნიშნული საკითხის მიტოვება მხოლოდ ბიჰევიორიზმისა და ფსიქოანალიზის ამარა არ შეიძლება. კოგნიტურ ფსიქოლოგიასაც ზოგადფსიქოლოგიური თეორიის პრეტენზია უნდა ჰქონდეს (იმედაძე, 2008).

კოგნიტივიზმის დამფუძნებლის იდეას მხარდამჭერები გამოუჩნდა და კოგნიტური ფსიქოლოგიის ფარგლებშიც გაჩნდა თეორიები, რომლებიც შეგვიძლია მივაკუთვნოთ ქცევის ზოგადფსიქოლოგიურ კონცეფციებს[23]. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ კოგნიტივიზმი დღეს ორი სახითაა წარმოდგენილი: ერთი, როგორც შემეცნებითი პროცესების შემსწავლელი დარგი, თავისი სპეციფიკური მეთოდოლოგიური, მეთოდური, ტერმინოლოგიური და კონცეპტუალური ასპექტებით და მეორე - კოგნიტივიზმი, როგორც საერთო კონცეფცია ადამიანის ყოველგვარი აქტივობის შესახებ, ანუ როგორც ზოგადფსიქოლოგიური თეორია (იმედაძე, 2008). კოგნიტივიზმის პირველმა სახემ კულტურული მოდელების სკოლის ორ შეკითხვაზე (ფსიქიკაში

---

[22] ყურადღების ცენტრში მოექცა ისეთი ტიპის კონცეფციები, მაგალითად, როგორიცაა მუშა მეხსიერების ფონოლოგიური ყულფის ფსიქოლოგიური შეზღუდვების არსებობა. საუბარია ინფორმაციის შენახვის ლიმიტზე, რისთვისაც ხდება სწორედ ინფორმაციის „დაჯგუფება“ უფრო მსხვილ კოგნიტურ ერთეულებად, როგორიცაა სქემები (Bennardo & Munck, 2014)

[23] მაგალითად, კოგნიტური თავსებადობის თეორიები, რომლებიც 50-იან წლებში გამოჩნდა სოციალურ ფსიქოლოგიაში და მასში კოგნიტივისტური კონცეფცია დაამკვიდრა; ასევე, აღსანიშნავია მილერის, გალანტერის და პრიბრამის 1960 წელს გამოქვეყნებული კლასიკური ნაშრომი „ქცევის გეგმები და სტრუქტურები“ (იმედაძე, 2008)

კულტურის არსებობის ფორმის განსაზღვრა და ამ ფორმების სტაბილობა/ცვალებადობის ახსნა) პასუხის გაცემაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა, თუმცა, როგორც ვნახეთ, კულტურის თეორიისთვის ეს საკმარისი ვერ იქნებოდა. მას მესამე კითხვაზეც - როგორ შეიძლება აიხსნას კულტურის და ინდივიდის ქცევის კავშირი? - სჭირდება პასუხი.

კულტურის ფსიქოანთროპოლოგიურ თეორიაში ამ ფუნდამენტური პრობლემის გადასაჭრელად პირველი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა - კულტურის ფსიქიკაში ლოკალიზება. როგორც აღინიშნა, ამ თეორიის თანახმად, კულტურა არ წარმოადგენს მხოლოდ კულტურულ არტეფაქტებსა თუ კულტურულ ინსტიტუტებს (culture-in-the-world), ის, უპირველეს ყოვლისა, ინდივიდის ფსიქიკაში ლოკალიზებული გაზიარებული ცოდნაა (culture-in-the-mind). ამ განსაზღვრებით კულტურა და ქცევა მეტნაკლებად დაუახლოვდა ერთმანეთს, რამდენადაც კულტურამ ინდივიდის ფსიქიკაში გადაინაცვლა (culture-in-the-mind), მაგრამ კოგნიციასა[24] და ქცევას შორის არსებული დისტანციის გასაქრობად იქვე დადგა არახალი „დირექტიული ძალის“ პრობლემა - რაც არ უნდა კარგად იყოს აღწერილი კოგნიტური სტრუქტურის არქიტექტონიკა, ღია საკითხად რჩება, თუ როგორ შეუძლია მას ქცევის აღძვრა (Blount, 2011).

აღნიშნული პრობლემიდან ერთ-ერთი გამოსავალი ისაა, რომ სქემები მხოლოდ კოგნიტურ მოცემულობად არ ჩაითვალოს. ამის შესახებ ფსიქოანთროპოლოგები ხშირად განმარტავენ: კულტურული სქემის თეორია კოგნიტური ანთროპოლოგიის ფარგლებში ვითარდებოდა, სწორედ ამან გამოიწვია, რომ ანთროპოლოგებმა ის „კოგნიტურის ფოლდერში“ განათავსეს. სინამდვილეში კი, კულტურის ფსიქოანთროპოლოგიური თეორიის თანახმად, ფსიქიკაში არსებული სტაბილური წარმონაქმნები არ დაიყვანება იმაზე, რასაც „ცივ“ კოგნიციას უწოდებენ ხოლმე (Quinn, 2018). ვესტენის (2001) აზრით, ამის თქმის საშუალებას ფსიქოანთროპოლოგებს კონექციონიზმის მოდელი აძლევს. ამ მოდელის ფარგლებში სქემა შეიძლება აღიწეროს, როგორც კოგნიციის, აფექტისა და მოტივაციის ნაერთი, რაც სქემას მამოტივირებელ ძალას ანიჭებს (Quinn, 2011).

[24] კოგნიცია აქტივობის დინამიკურ წყაროს არ შეიცავს (იმედაძე, 2008)

თავდაპირველად ითვლებოდა, რომ რელევანტური საპასუხო რეაქციის აღმოცენებისთვის ხელოვნური ინტელექტის მკვლევრების მიერ მოდელირებულ კონექციონისტურ მოდელს უნდა გაეთვალისწინებინა კონკრეტულ სიტუაციაში მოცემულ კოგნიტურ პირობათა/სტიმულთა მაქსიმალური რაოდენობა. შემდეგ კი აღმოჩნდა, რომ მხოლოდ ეს საკმარისი არაა. კონექციონისტური მოდელის (ფსიქიკაში მიმდინარე პროცესების ანალოგი) თანახმად, გარემოს სტიმულებზე „საუკეთესო რეაქცია/ყველაზე რელევანტური პასუხი" მოიაზრებს არა მხოლოდ კოგნიტური პირობების, არამედ აფექტური პირობების დაკმაყოფილებასაც (ჩხაიძე, 2015, გვ.48). რომ შევაჯამოთ, ინდივიდის ქცევის აღსაძვრელად სქემის კოგნიტური ნაწილის უკმარისობის გაცნობიერება ბიძგი აღმოჩნდა მიგნებისთვის, რომ კოგნიტური რეპრეზენტაციები აფექტური[25] კომპონენტის გარეშე არც არსებობს (Westen, 2001)

ბუნებრივია, ფსიქიკური წარმონაქმნების აფექტურ მხარეზე საუბრის დაწყებამ ფსიქოანთროპოლოგებში აფექტების შესახებ ფსიქოლოგიური კონცეფციების მიმართ ინტერესი გამოიწვია. არაა გასაკვირი, რომ ასეთი კონცეფციების წყარო ფსიქოანალიზი აღმოჩნდა. საყოველთაოდაა ცნობილი მისი ორიენტაცია აფექტურ და მოტივაციურ პროცესებზე კლინიკურ გამოცდილებიდან გამომდინარე. გარდა ამისა, ანთროპოლოგიასა და ფსიქოანალიზს ისტორიული თანაკვეთის დიდი ხნის ისტორია აქვს. იმის საჩვენებლად, თუ რა მასშტაბით იკვეთებოდა ეს ორი სფერო ერთმანეთთან, იმ ანთროპოლოგების ჩამონათვალიც (ბრონისლავ მალინოვსკი, კლოდ ლევი სტროსი, რუთ ბენედიქტი, აბრაჰამ კარდინერი, კლაიდ კლაკხონი, მარგარეტ მიდი და სხვ.) კმარა, რომელთა ნაშრომებზე ფსიქოანალიზმა მნიშვნელოვანი გავლენა იქონია (Gammeltoft & Segal, 2016). მაგრამ ამ მრავალწლიანი ურთიერთობების ტრადიციისგან განსხვავებით, კულტურული მოდელების სკოლაში სიახლეს წარმოადგენს შემდეგი: *აღნიშნულ სკოლაში ანალიზის საგანია არა ფსიქოანალიზის ცალკეული კონცეფცია, არამედ*

[25] აფექტის ცნება გამოყენებულია როგორც ყველა აფექტური მდგომარეობის (ემოცია, განცდა, გუნება და ა.შ.) გამაერთიანებელი ზოგადი ცნება. სხვა სიტყვებით, საუბარია ფსიქიკის აფექტურ ნაწილზე. როგორც კლასიკური კლასიფიკაციითაა ცნობილი, ფსიქიკა შედგება კოგნიტური, აფექტური და კონატური ნაწილისგან (APA dictionary of psychology, n.d., Affect)

აქცენტი კეთდება მათი ინტეგრაციის მცდელობაზე კოგნიტური მეცნიერებების კონცეფციებთან[26].

ნიშანდობლივია, რომ ეს შესაძლებლობაც კონექციონიზმმა შექმნა. ამ მოდელმა ფსიქოანალიზსა და კოგნიტურ ფსიქოლოგიას შორის ორი მნიშვნელოვანი თანაკვეთის არე გააჩინა: 1) არაცნობიერის ცნება და 2) ასოციაციური კავშირები (Westen, 2001).

1) როგორც აღინიშნა, კონექციონიზმი ინფორმაციის პარალელური გადამუშავების მოდელია. პარალელურად მიმდინარე პროცესები კი ცნობიერებაში ვერ თავსდება. შესაბამისად, კოგნიტურ ფსიქოლოგიაშიც საჭირო გახდა არაცნობიერის ცნების შემოტანა (Westen, 2001). ხოლო, თუ რა როლს ასრულებს აღნიშნული ცნება ფსიქოანალიზში, ვფიქრობთ, დამატებით განმარტებას არ საჭიროებს. ქვემოთ ვისაუბრებთ იმის შესახებ, თუ რამდენად ემთხვევა არაცნობიერის კოგნიტური და ფსიქოანალიტიკური გაგება.
2) მეორე თანაკვეთის არედ ასოციაციური ქსელის ტერმინი ითვლება. თუმცა, ასოციაციონიზმი არა მხოლოდ ფსიქოანალიზის და კოგნიტური მეცნიერების, არამედ ბიჰევიორიზმის წინაპარსაც წარმოადგენს. როგორც ზემოთ აღინიშნა, კოგნიტური ფსიქოლოგიის სათავეები ბიჰევიორიზმის ფარგლებში ჩნდება. ვფიქრობთ, აღნიშნულმა თავისი გავლენა იქონია ამ დარგის განვითარების ტრაექტორიაზე და იმ პრობლემების არსებობაზე, რომელზეც დღეს აქტიურად დაიწყეს მსჯელობა. მათ შორის გამოვარჩევთ ქცევის აღძვრის ფუნდამენტურ პრობლემას.

მოტივაციის კვლევის სფეროს ავტორიტეტული მეცნიერი, ჯოზეფ ნიუტენი (1984), აღნიშნავს, რომ მოტივაციის ფენომენის შესწავლა მნიშვნელოვნად სწორედ *სტიმულის* და *ასოციაციის* ცნებებმა შეაფერხა. დიდი ხნის განმავლობაში ცნება მოტივაციას

---

[26] ვესტენი (2001) ნაშრომში „Beyond the Binary Opposition in Psychological Anthropology: Integrating Contemporary Psychoanalysis and Cognitive Science“ აღნიშნავს, რომ დიდი ხნის განმავლობაში გადაუჭრელ ისეთ საკითხზე მსჯელობისას, როგორიცაა კულტურისა და ინდივიდის ქცევის ურთიერთმიმართება, საჭიროა, ერთი შეხედვით, მოურიგებელი ორი მიმართულების, ფსიქოანალიზისა და კოგნიტური მეცნიერებების ინტეგრაცია. წლების განმავლობაში ორივე მათგანი დამოუკიდებლად ვითარდებოდა როგორც ფსიქოლოგიის, ისე ანთროპოლოგიის ფარგლებში.

საერთოდ არც კი ახსენებდნენ. ასე გრძელდებოდა მანამ, სანამ ფსიქოლოგიაში ასევე ძალიან მნიშვნელოვანმა ფიგურამ, კურტ ლევინმა მისი ერთ-ერთი ადრეული ნაშრომი[27] (Lewin, 1922 cited in Nuttin, Lorion, & Dumas, 1984) არ გამოაქვეყნა. ნაშრომში ლევინი ხაზს უსვამს, რომ ასოციაციური პროცესები ყოველგვარ *დინამიკურ კომპონენტს* მოკლებულია. შესაბამისად, შეუძლებელია, რომ ასოციაციური კავშირები ქცევის აღმძვრელი იყოსო.

2.1.1. დინამიკურობა

დინამიკურობის პრობლემა არის სწორედ ის საკითხი, რომლის გამოც კოგნიტური ფსიქოლოგიის კონცეფციები არაერთხელ გამხდარა კრიტიკის საგანი. ბიჰევიორიზმის მემკვიდრეობასთან ერთად, აღნიშნული პრობლემის აქტუალურობას კომპიუტერის მეტაფორამაც შეუწყო ხელი. დღეს კოგნიტური მეცნიერების წინაშე დგას იმ მექანიკურობის დაძლევის ამოცანა, რომელიც ამ მეტაფორამ შექმნა (Valsiner, 2003). სწორედ ამ გამოწვევის გადალახვაზეა ორიენტირებული თანამედროვე კოგნიტურ მეცნიერებებში დინამიკური სისტემების თეორია (Port & Gelder, 1995).

ნიშანდობლივია, რომ იგივე პრობლემატიკა მუშავდება განსხვავებული ტრადიციიდან მომდინარე ფსიქოლოგიის სხვა სფეროშიც (Valsiner, 2003). საუბარი გვაქვს ფსიქოლოგიის სფეროებს შორის, ჩვენი აზრით, კულტურაზე არსობრივად ყველაზე სიღმისეულად ორიენტირებული სფეროს - კულტურული ფსიქოლოგიის ერთ-ერთ მიმართულებაზე. ესაა სემიოტიკური კულტურული ფსიქოლოგია (Valsiner, 2003, 2013, 2014, 2019; Salvatore & Zittoun, 2011; Wagoner, 2009).

სემიოტიკური კულტურული ფსიქოლოგიის წარმომადგენლები მნიშვნელოვან ასპექტზე ამახვილებენ ყურადღებას. ისინი მიიჩნევენ, რომ კოგნიტურ მეცნიერებებში დინამიკურობის პრობლემა მჭიდროდაა დაკავშირებული სხვა, არანაკლებ მნიშვნელოვან პრობლემასთან. კოგნიტური მეცნიერებები უგულებელყოფს სოციალურ კონტექსტს/კულტურას. ამის გამო მას „ასოციალური“ დისციპლინის სახელითაც კი

[27] Lewin, K. (1922). Das Problem der Willensmessung und das Grundgesetz der Assoziation. I. *Psychologische Forschung*, *1*(1), 191-302.

მოიხსენიებენ (Valsiner, 2003). დინამიკურობის პრობლემის გადაჭრის პერსპექტივა შეიძლება გაჩნდეს მხოლოდ ისეთ დარგებში (კულტურული ფსიქოლოგია, სოციალური ფსიქოლოგია), სადაც ფსიქიკური წარმონაქმნების ფორმირებაში სოციალური კონტექსტის როლი იმთავითვეა მოაზრებული (Valsiner, 2003). ცხადია, ჩნდება კითხვა - რატომ. ქვემოთ სწორედ ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემას შევეცდებით სემიოტიკური კულტურის ფსიქოლოგიიდან რამდენიმე საკვანძო კონცეფციის განხილვის საფუძველზე.

2.2. სემიოტიკური კულტურული ფსიქოლოგია[28]

2.2.1. ფსიქიკური წარმონაქმნების ჰეტერეგენულობა და დიალოგურობა

როგორც ვნახეთ, კულტურული მოდელების სკოლაში კულტურის ფსიქიკაში არსებობის ფორმა გაზიარებული სქემებია. სემიოტიკურ კულტურულ ფსიქოლოგიაში ამ ფუნქციას სემიოტიკური ნიშანი[29] ასრულებს. თუმცა, მათ შორის ერთ-ერთ მნიშვნელოვან განსხვავებაზე გავამახვილებთ ყურადღებას: როგორც არაერთხელ აღინიშნა, ჯერჯერობით ბუნდოვან საკითხად რჩება სქემის დინამიკურობა (Faiciuc, 2009). სემიოტიკური ნიშნის ისეთი მახასიათებლები კი, როგორიცაა *ჰეტეროგენულობა და დიალოგურობა* (Valsiner, 2001, 2003, Branco & Valsiner, 2010, Valsiner, 2011) ამ ნაკლოვანების შევსების ერთ-ერთ მექანიზმად შეგვიძლია მოვიაზროთ. ქვემოთ განვმარტავთ თითოეულ მახასიათებელს.

როგორც კულტურული მოდელების სკოლაში (გაზიარებული სქემების კონცეფცია), ისე სემიოტიკურ პერსპექტივაში აქცენტი კეთდება ფსიქიკური წარმონაქმნების სოციალურ წარმომავლობაზე: სემიოტიკური ნიშნები რთული კომპლექსების სახით ორგანიზდება, რომლებიც პიროვნებიდან პიროვნებას და თაობიდან თაობას გადაეცემა. მათ სოციალურ რეპრეზენტაციებს უწოდებენ (Valsiner, 2003). თუმცა, კულტურული მოდელების სკოლისგან განსხვავებით, ხაზგასმულია, რომ სოციალური რეპრეზენტაციები

---

[28] წინამდებარე ქვეთავის საფუძველზე მომზადდა და დისერტაციის წარდგენამდე გამოქვეყნდა სტატია Chkhaidze, T., & Surmanidze, L. (2020). Culture and Individual Action: Rebuilding the Broken Dialog Between Anthropology and Psychology. Human Arenas, 3(3), 421-434

[29] ეყრდნობა ამერიკელი ლოგიკოსის ჩარლზ სანდერს პირსის განმარტებას. ვრცლად იხილეთ Valsiner, J. (2014). Invitation to Cultural Psychology. Sage. Chapter, 5.

იმანენტურად *ჰეტეროგენული* ბუნებისაა, რაც ურთიერთსაპირისპირო მნიშვნელობების თანაარსებობას გულისხმობს. როცა A მნიშვნელობა (meaning) ჩნდება, აღმოცენდება მისი ოპოზიციური მხარეც - არა-A, რაც მათ შორის დაძაბულობას ქმნის (Wundt, 1921, p. 671 cited in Josephs, Valsiner & Surgan, 1999). დაპირისპირებით შექმნილი დაძაბულობა კი თავისთავად მოიცავს მისი განმუხტვის ტენდენციას, რაც კონკრეტული სიტუაციის შესაბამისი მნიშვნელობის კონსტრუირებას ედება საფუძვლად. A-სა და არა-A-ს შორის დინამიკური მიმართება ბიძგს აძლევს დიალექტიკური სინთეზის პროცესს და იმავდროულად, თავადვეა სიგნალი მისი კონტექსტუალიზაციისთვის. სხვა სიტყვებით, ბიძგს აძლევს კონკრეტული მომენტის შესაბამისი მნიშვნელობის შექმნას. მაგალითად, შოკოლადის, ჰამბურგერის, სიგარეტის და სხვა მსგავსი პროდუქტების შესახებ კონკრეტულ მომენტში მნიშვნელობის შექმნას და შემდგომ კი მის საფუძველზე განხორციელებულ ქცევას განსაზღვრავს ისეთი სოციალური რეპრეზენტაცია, რომელიც ჯანსაღი (HEALTH) და არაჯანსაღი (UNHEALTH) ოპოზიციისგან შემდგარ კომპლექსს წარმოადგენს. ამ ოპოზიციით შექმნილი დაძაბულობის განმუხტვის გზა[30] და აწმყო მომენტში შექმნილი მნიშვნელობა/ქცევა ყოველ სიტუაციაში შეიძლება განსხვავებული იყოს. მაგალითად, ჰამბურგერის მირთმევისას პიროვნებამ შეიძლება ჯანსაღსა (HEALTH) და არაჯანსაღს (UNHEALTH) შორის დაპირისპირება შემდეგნაირად გადაჭრას: კონკრეტული კომპანიის, მაგ., მაკდონალდსის პროდუქციის სიჯანსაღის (HEALTHESS) გარანტიას ენდოს (Valsiner, 2003).

რა ფუნქციას ასრულებს ოპოზიციების ერთიანობა? სემიოტიკური კულტურული ფსიქოლოგები აღნიშნავენ, რომ მისი ფუნქცია ისეთი ღია სისტემის სტაბილურობის შენარჩუნებაა, როგორიცაა საზოგადოება[31]. ოპოზიციების გაერთიანება ერთ

---

[30] განსხვავებული გზების შესახებ ვრცლად იხილეთ (Josephs, & Valsiner, 1998; Josephs, Valsiner & Surgan, 1999; Valsiner, 2003). ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ ოპოზიციური კომპლექსის საფუძველზე მნიშვნელობის კონსტრუირება შეიძლება მოხდეს სწრაფად, ან შეიძლება გადავადდეს გარკვეული დროით. შედეგად ვიღებთ ფსიქიკაში ურთიერთგამომრიცხავი მნიშვნელობების თანაარსებობის შემთხვევებს. ამის შესაძლებლობას ქმნის სემიოტიკური ნიშნების ფლექსიბილური იერარქიული წყობა და მისი ოპერირების მექანიზმი (Valsiner, 2014)

[31] ფრანგი სოციალური ფსიქოლოგი, სერჟ მოსკოვიჩი აღნიშნავს: „საზოგადოება არის ინსტიტუტი, რომელიც თრგუნავს/აკავებს იმას, რის სტიმულირებასაც თავადვე ახდენს. ის აგრესიული, ეპისტემური და სექსუალური ტენდენციების ერთდროულად შემზღუდველიცაა და წამახალისებელიც. ზრდის და ამცირებს აღნიშნული

კულტურულ-ფსიქოლოგიურ მნიშვნელობათა კომპლექსში სოციალური სტაბილურობის დინამიკურ რეგულაციას უზრუნველყოფს. ამ დაშვებიდან გამომდინარეობს სოციალური რეპრეზენტაციის დომინანტური და მისი საპირისპირო მნიშვნელობისგან შედგენილ დინამიკურ სისტემად განხილვის საჭიროება (Josephs, Valsiner & Surgan, 1999). შესაბამისად, ბუნებრივია, რომ ოპოზიციების ერთიანობის იდეა სოციალურ კონტექსტზე ფოკუსირებული დარგის შუქზე აღმოცენდა. მისი წყარო ისეთი „ასოციალური დისციპლინა", როგორიცაა კოგნიტური მეცნიერებები, ვერ იქნებოდაო - აღნიშნავენ სემიოტიკური კულტურული ფსიქოლოგიის წარმომადგენლები (Valsiner, 2003).

ახლა რაც შეეხება მეორე მახასიათებელს: სოციალური რეპრეზენტაციების ჰეტეროგენურობა ქმნის სოციალური რეპრეზენტაციების *დიალოგურობის*[32] საფუძველს (Valsiner, 2003). როგორც ვნახეთ, სოციალური რეპრეზენტაციები არის კომპლექსური მთელი, რომელიც მიმართულებას აძლევს ცხოვრებისეული მოვლენების ინტერპრეტაციის კონსტრუირებას. ეს არის დიალოგური ტიპის პროცესი, როცა სხვადასხვა იდეა (A და არა-A) ერთმანეთთან ოპოზიციაშია. იდეებს შორის დაძაბულობის განმუხტვით კონკრეტულ მომენტში მნიშვნელობის შექმნა კი შეიძლება მიმდინარეობდეს როგორც ინტერპერსონალურ (პიროვნებებს შორის რეალური დიალოგი), ისე ინტრაპერსონალურ (საკუთარ თავთან დიალოგის სახით) ველში. ამიტომ, როცა სოციალური რეპრეზენტაციის სოციალურობაზე საუბრობენ, საკვანძოა, რომ სოციალურობას ორმაგი დატვირთვა აქვს: სოციალური რეპრეზენტაცია სოციალურია წარმომავლობის გამო (თაობიდან თაობას გადაეცემა) და სოციალურია ზემოთ აღწერილი დიალოგური[33] ბუნების გამოც (Valsiner, 2003). კულტურული მოდელების

ტენდენციების დაკმაყოფილების შანსებს... აწესებს აკრძალვებს და, ამავდროულად, ქმნის მათი დარღვევის შესაძლებლობებს." (Moscovici, 1976 cited in Valsiner, 2003)

[32] დიალოგური მიდგომა სხვადასხვა თეორიული ტრადიციიდან იღებს სათავეს: დაწყებული ანტიკური ხანის სოკრატეს და პლატონის დიალოგებიდან და დამთავრებული თანამედროვე მიმართულებებით, რომელიც ინსპირირებულია რუსი ფილოსოფოსის მიხეილ ბახტინის (მაგ. Bakhtin, 1981; 1984), პრაგმატიზმის (მაგ. James, 1890/1950; 1907; Mead, 1934, ჰერმენევტიკისა (Gadamer, 1975; 1984; Ricoeur, 1990/1992) და სოციოკულტურული მიდგომის ავტორების (e.g. Vygotsky, 1978) ნაშრომებით (Markova, 2017).

[33] გამოთქმულია ვარაუდი, რომ აღნიშნულ დიალოგურ, კონტრადიქტულ ბუნებაზე (დებატები, დაპირისპირება ორ ადამიანს შორის) აკეთებდა აქცენტს ლევ ვიგოტსკიც, როცა ფსიქიკური ფუნქციების ინტერფსიქოლოგიურიდან ინტრაფსიქოლოგიურად გარდაქმნის ტრაექტორიაზე საუბრობდა (ვრცლად იხილეთ Veresov, 2010).

სკოლაში გაზიარებული სქემის კონცეფციით სოციალურობის მხოლოდ პირველ გაგებას ვხვდებით, რაც, როგორც არაერთხელ აღინიშნა, ამ სკოლის ფარგლებში ფსიქიკური წარმონაქმნების დინამიკურობის ახსნის ერთ-ერთ შემაფერხებლად შეგვიძლია განვიხილოთ.

2.2.2. არაცნობიერის არადინამიკური გაგება კოგნიტური მეცნიერებებში

კოგნიტივიზმში არადინამიკურია[34] არაცნობიერის გაგებაც. აღნიშნულზე ყურადღებას ასევე სემიოტიკური კულტურული ფსიქოლოგიის წარმომადგენლები ამახვილებენ (Salvatore & Zittoun, 2011). მათ ერთმანეთს შეადარეს კოგნიტურ მეცნიერებებსა და ფსიქოანალიზში არაცნობიერის გაგება და შემდეგი მნიშვნელოვანი განსხვავება გამოკვეთეს: კოგნიტივიზმი არაცნობიერს ცნობიერებასთან დაპირისპირებულად განმარტავს, როგორც არა-ცნობიერებას (not-conscious). ზიტუნის და სალვატორეს (2011) აზრით კი, ფსიქოანალიზის მთავარი წვლილი ფსიქოლოგიაში არა-ცნობიერი (not-conscious) პროცესების არსებობის აღიარება კი არ არის, არამედ მათი მოქმედების სპეციფიკის აღწერაა, რომელიც თვისებრივად განსხვავდება ცნობიერის სპეციფიკისგან.

ფროიდი ერთმანეთისგან განასხვავებს პირველად და მეორად პროცესებს. პირველადი პროცესები დაკავშირებულია სიამოვნების პრინციპთან და უგულებელყოფს სივრცეს, დროს და რაციონალურ ლოგიკას[35] მაშინ, როცა მეორადი პროცესები ეყრდნობა

---

[34] კოგნიტური არაცნობიერის ცნების ავტორი, ჯონ კიჰლსტომიც აღნიშნავს, რომ კოგნიტური არაცნობიერის ლაბორატორიული კვლევების შედეგები არაფერს გვეუბნება არაცნობიერის „დინამიკურ“ გაგებაზე, რომელიც კრიტიკულად მნიშვნელოვანია ფსიქოანალიზისთვის (Kihlstrom, 2015, p.4).

[35] ნიშანდობლივია, რომ აღნიშნულ კლასიფიკაციაზე კოგნიტური ფსიქოლოგიის დამფუძნებელი, ულრიკ ნაისერიც საუბრობს თავის კლასიკურ წიგნში „ კოგნიტური ფსიქოლოგია“. ის უარყოფს ფროიდის მოსაზრებას მეორად და პირველად პროცესებს შორის ანტაგონისტური მიმართების შესახებ. მისი აზრით, ეს ორი პროცესი ურთიერთთანამშრომლობს რეალობის ადეკვატური ადაპტაციური მოდელის (მოდელი, რომელიც „ობიექტურსა“ და „სუბიექტურს“ შორის თავსდება) შესაქმნელად. ნაისერი განმარტავს სახელწოდებებსაც: „რაციონალური აზროვნება „მეორადია“ იმ თვალსაზრისით, რომ პირველადი პროცესების მიერ უკვე ფორმირებულ ობიექტებს გადაამუშავებს “ (Neisser, 1967 cited in Power & Brewin, 1991).
ნაისერის მოსაზრებას იზიარებენ სემიოტიკური კულტურული ფსიქოლოგიის წარმომადგენლებიც (Salvatore & Zittoun, 2011). პირველადი და მეორადი პროცესების ურთიერთთანამშრომლობის (2011) აღსაწერად ისინი ჩილელი ფსიქოანალიტიკოსის - მათე ბლანკოს (1975) თეორიას ეყრდნობიან. ბლანკოს თანახმად, მეორადი პროცესებისთვის დამახასიათებელია ასიმეტრიული მიმართებების პრინციპი, რაც შეუბრუნებელ მიმართებას გულისხმობს. მიმართების შებრუნების შემთხვევაში პროპოზიციის ჭეშმარიტება უქმდება. მაგალითად, შეუძლებელია ერთდროულად იყოს ჭეშმარიტი შემდეგი პროპოზიციები: „მარკო არის ბრუნოს მამა“ და „ბრუნო არის მარკოს მამა“ მაშინ, როცა პირველადი პროცესების შემთხვევაში შესაძლებელია „მარკო იყოს ბრუნოს მამა და ბრუნოც იყოს მარკოს

რეალობის პრინციპს, რომელიც ითვალისწინებს სივრცის, დროის და ლოგიკის წესებს (Power & Brewin, 1991). ფროიდის თანახმად, არაცნობიერის მუშაობის დომინანტური ფორმაა პირველადი პროცესები, რაც არ გულისხმობს უბრალოდ მეორადი პროცესების შესუსტების მდგომარეობას, ის ფსიქიკის მუშაობის სრულიად განსხვავებული გზაა (Salvatore & Zittoun, 2011).

პირველად და მეორად პროცესებს შორის განსხვავების გათვალისწინება განსაკუთრებულ აქტუალურობას აფექტურ კომპონენტთან დაკავშირებით იძენს. სემიოტიკური კულტურული ფსიქოლოგიის წარმომადგენლები ყურადღებას ამახვილებენ აფექტების *მოქმედების იმ ასპექტებზე, რომლებიც პირველადი პროცესების მუშაობის შედეგს წარმოადგენს და მნიშვნელოვნად განსხვავდება კოგნიციის (მეორადი პროცესების) მოქმედებისგან.*

რა განსხვავებაზეა საუბარი? საილუსტრაციოდ განვიხილოთ აფექტის რამდენიმე მახასიათებელი, რომელზეც სემიოტიკური კულტურული ფსიქოლოგები აღწერენ (Salvatore & Zittoun, 2011). ერთ-ერთი ასეთი მახასიათებელია *რეიფიკაცია,* როცა აღმნიშვნელსა და აღსანიშნს შორის ტოლობა მყარდება. სხვა სიტყვებით, აღმნიშვნელი კი არ აღნიშნავს აღსანიშნს, არამედ მათ შორის ზღვარი ქრება, რაც პირველადი პროცესების დომინანტობის შედეგია. მაგალითად, ხშირ შემთხვევაში დროშა უფრო მეტია, ვიდრე სახელმწიფოს კონვენციური ნიშანი (აღმნიშვნელი). ის თავისთავში სამშობლოს მთლიან ღირებულებას ატარებს. საქართველოს ისტორიიდან ცხრა ძმა ხერხეულიძის ამბავი შეიძლება იყოს ამის კარგი ილუსტრაცია. მათ მარაბდის ბრძოლაში დიდგორის და ბასიანის ბრძოლებში გამარჯვების/უძლეველობის სიმბოლოს - დროშის - ტარების პატივი ხვდათ. როცა მარაბდის ველზე ცხრავე ძმა გმირულად დაეცა, დროშამ დის ხელში გადაინაცვლა, როცა ისიც დაეცა, ბოლოს დედამ აღმართა ქართველთა უძლეველობის სიმბოლო. გმირობისთვის ცხრა ძმა ხერხეულიძე, მათი და და დედა

მამა“. შესაბამისად, სიმეტრიულობის პრინციპი არაცნობიერის ლოგიკის ისეთ სპეციფიკურობას გამოკვეთს, როგორიცაა ურთიერთჩანაცვლებადობა. ამგვარად, არაცნობიერის ლოგიკა რადიკალურად არღვევს რაციონალური ლოგიკის ისეთ მნიშვნელოვან კანონს, როგორიცაა წინააღმდეგობის კანონი. მისი სრულად ამუშავება აქრობს განსხვავებებს და წარმოქმნის სემიოტიკური ნიშნების ჰომოგენურობას (მარკო და ბრუნო ერთდროულად მამაც და შვილიც არიან ერთმანეთისთვის, მათი ერთმანეთისგან გარჩევა შეუძლებელია).

ქართულმა მართლმადიდებლურმა ეკლესიამ წმინდანად შერაცხა (Essays on the History of Georgia, 1974).

საქართველოს ისტორიის ეს ეპიზოდი თვალსაჩინო მაგალითია სიტუაციისა, როცა აფექტური ფონია წამყვანი, შესაბამისად, პირველადი პროცესების მოქმედების სპეციფიკაა დომინანტური. ჩვენი აზრით, შეუძლებელია ასეთ ეპიზოდებში ინდივიდის ქცევის ასახსნელად მხოლოდ კოგნიტივისტური მიდგომა აღმოჩნდეს საკმარისი, რომლის თანახმადაც, ინდივიდის ფუნქციონირება სამყაროში ემყარება მხოლოდ მის ცოდნას ამ სამყაროს შესახებ (Gatewood, 2011). მხოლოდ ცოდნით (კონვენციური ნიშნის შესახებ) რთულია აიხსნას, როგორ გარდაიქმნა ბრძოლის ველზე ხერხეულიძეებისთვის დროშა „სამშობლოს უძლეველობად“[36] და სიცოცხლეც კი გასწირეს მის აღსამართად. რეიფიკაციის მექანიზმზე საუბარი კი საშუალებას გვაძლევს ამ პროცესში აფექტების სპეციფიკური როლი მოვიაზროთ[37].

განვიხილოთ კიდევ ერთი მახასიათებელი, რომელიც ფსიქიკური წარმონაქმნების მხოლოდ კოგნიტური კომპონენტით ვერ აიხსნება და სპეციფიკურად აფექტური ფონის და, შესაბამისად, პირველადი პროცესების მოქმედებასთანაა დაკავშირებული. მას კულტურული ფსიქოლოგები *„ჰომოგენიზაცია აბსოლუტიზაციით“* უწოდებენ. ესაა შემთხვევა, როცა პირველადი პროცესების დომინანტობის შედეგად, ერთ კატეგორიაში გაერთიანებული ყველა ელემენტისთვის კატეგორიის ყველა მახასიათებლის მიწერა ხდება და, რაც მთავარია, მაქსიმალური ხარისხით, გამომდინარე იქიდან, რომ არაცნობიერს მოდულაცია არ შეუძლია. განსაკუთრებით თვალსაჩინოა აღნიშნული აფექტური მექანიზმის მოქმედება სტერეოტიპების შემთხვევაში (Salvatore & Zittoun,

---

[36] არა აღმნიშვნელად, არამედ თავად „უძლეველობად“, რაც რეიფიკაციის შედეგს წარმოადგენს.

[37] სემიოტიკურ კულტურულ ფსიქოლოგიაში აფექტების შესახებ უკანასკნელ შრომებში ნაცადია დამატებითი ამხსნელი მექანიზმების მოძებნაც. მაგალითად, ტატეოს (2018) თანახმად, როცა პიროვნებისთვის ობიექტები აფექტურად იტვირთება (მასთან კონკრეტული განცდებითაა დაკავშირებული), ობიექტი პიროვნებაზე უკუზემოქმედების უნარით აღიჭურვება (შეგვიძლია პარალელი გავავლოთ კურტ ლევინის ვალენტობის ცნებასთან). მისი აზრით, სწორედ ეს მექანიზმი სძენს რეალურ არსებობას ისეთ არარსებულ ობიექტებს, როგორიცაა „თავისუფლება, „თავისუფალი ბაზარი“, „სანტა კლაუსი“, „სამშობლო“ და ა.შ.

2010). ქართული კონტექსტიდან კიდევ ერთი მაგალითის მოსაყვანად დავეყრდნობით ლადო გამსახურდიას (2019) უახლეს კვლევას ქართველი ახალგაზრდა გოგონების იდენტობის კონსტრუირების შესახებ რადიკალური სოციალური, კულტურული, ეკონომიკური და პოლიტიკური ცვლილებების ეპოქაში. კვლევამ გამოავლინა, რომ კონსერვატიულად განწყობილი ადამიანები იყენებენ იარლიყს „პრადვინუტები“[38] იმ ადამიანების თუ ჯგუფების შეურაცხყოფის მიზნით, რომლებიც, მათი წარმოსახვით, ლიბერალურ იდეებს ავრცელებენ საქართველოში. ამ შემთხვევაში თვალსაჩინოა ზემოთ ხსენებული *„ჰომოგენიზაცია აბსოლუტიზაციით“* მექანიზმის მუშაობა: სტერეოტიპულად ყველა იმ ლიბერალურ ჯგუფს, რომლებმაც „დაკარგეს ჭეშმარიტი ქართველობა“ მაქსიმალური ხარისხით მიეწერება „მტრის“, ავტომატურად „საფრთხის“ და საბოლოოდ „ცუდის“ თვისებები. ნიშანდობლივია, რომ ოპოზიცია -„ცუდი“ VS „კარგი“ - არაცნობიერის მთლიანობის პირველ დიფერენციაციას წარმოადგენს (Salvatore & Zittoun, 2011). საინტერესოა, რომ ე.წ. „პრადვინუტებსაც“ აქვთ თავიანთი კონტრსოციალური რეპრეზენტაცია - „ბნელი გრუზინები“[39] - იმ ტრადიციული ჯგუფების აღსანიშნად, რომლებიც, მათი თვალსაზრისით, „ბნელი ეპოქის“ ქართველები არიან. საინტერესოა რომ, ამ შემთხვევაშიც მაქსიმალური დონით ხდება „მტრის“, „საფრთხის“ და ბოლოს ყველა იმ თვისების მიწერა, რომელიც „ცუდის“ კატეგორიისთვისაა დამახასიათებელი.



შესაბამისად, არაა გასაკვირი, რომ ლადო გამსახურდიას (2019) რესპონდენტები ინტერვიუში საკუთარ იდენტობას მუდმივად ამ ორ სოციალურ რეპრეზენტაციასთან ოპოზიციაში განსაზღვრავდნენ: „მე არც ბნელი გრუზინი ვარ და არც პრადვინუტი“.

[38] „პრადვინუტები“ მომდინარეობს რუსული სიტყვიდან - продвинутый, რომელი სიტყვასიტყვით გულისხმობს განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე მყოფს/უფრო განვითარებულს (Gamsakhurdia, 2019).

[39] ჟარგონი „გრუზინები“ ასევე რუსული სიტყვიდან მომდინარეობს. აღნიშნავს ქართველებს (Gamsakhurdia, 2019).

ისინი თავს არ მიაკუთვნებენ არც ერთ ისეთ კატეგორიას, რომელსაც *„ჰომოგენიზაცია აბსოლუტიზაციის“* მექანიზმის გამო მაქსიმალური ხარისხით ცუდის თვისებები მიეწერა. აფექტების მოქმედების აღნიშნული მექანიზმი ფსიქიკური წარმონაქმნების ფუნქციონირების ახსნაში გვეხმარება, რომელიც, როგორც არაერთხელ ვახსენეთ, არ დაიყვანება მხოლოდ კოგნიტური კომპონენტის მოქმედების კანონზომიერებაზე.

ამგვარად, მრავალფეროვანია აფექტების შესახებ კონცეფციები, რომლითაც შესაძლებელია შეივსოს კულტურის თეორიის ის სიცარიელე, რომელიც დღეს არსებობს ამ მიმართულებით. როგორც ვნახეთ, კოგნიტური ფსიქოლოგიის გავლენით ფსიქიკური წარმონაქმნების კოგნიტური კომპონენტის თავისებურებების შესწავლას დიდი ხნის ისტორია აქვს. ახლა კი ჯერი აფექტური კომპონენტის შესწავლაზე მიდგა. აღნიშნული ნათლადაა გაცნობიერებული თანამედროვე ფსიქოანთროპოლოგიაში, რასაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ხელი შეუწყო კულტურისა და ქცევის მიმართების ფუნდამენტური პრობლემაზე მსჯელობამ. შესაბამისად, დღეს, ისე როგორც არასდროს ფსიქოანთროპოლოგებს შორის აქტუალურია აქამდე კარგად შესწავლილი კოგნიტური პროცესების აფექტურ პროცესებთან ინტეგრირებულობაზე ხაზგასმა. თუმცა, ამ შემთხვევაში შეინიშნება ტენდენცია, რომ ამ ორ პროცესებს შორის კავშირი თავისთავად ნაგულისხმევ/ეჭვშეუტანელ მოცემულობად დასახელდეს, ისე, რომ დამატებით, სიღრმისეულად არ იქნას შესწავლილი სპეციფიკური სხვაობები კოგნიციასა და აფექტს შორის. ეს უკანასკნელი კი, როგორც ზემოთ განვიხილეთ, ფსიქოლოგიაში არაცნობიერის და ცნობიერის მიმართების ფუნდამენტურ საკითხთანაა დაკავშირებული.

შეიძლება ითქვას, კულტურული მოდელების სკოლაში არაცნობიერის ფსიქოანალიტიკური თეორიის პოტენციალი არასაკმარისადაა გამოყენებული. შეინიშნება მხოლოდ კონკრეტული მიმართულებით საკითხის დამუშავების მცდელობა: ფსიქოანალიტიკური კონცეფციებიდან განსაკუთრებული აქცენტი ადრეული გამოცდილების შესახებ კონცეფციებზე კეთდება.

თანამედროვე ფსიქოანთროპოლოგები სქემების სტაბილურობის ასახსნელად ხშირად სწორედ ამ კონცეფციას ეყრდნობიან. როგორც ფსიქოანალიზიდანაა ცნობილი,

ადრეული გამოცდილებები განსაკუთრებითაა დაკავშირებული ისეთ ძლიერ აფექტებთან, როგორიცაა გადარჩენისა და უსაფრთხოების განცდა. ამ გამოცდილების საფუძველზე ფორმირებული აფექტური კომპონენტი, როგორც ქსელური კავშირების სიმტკიცის გამაძლიერებელი, ჩვილობის პერიოდში დასწავლილი სქემების სტაბილურობას უზრუნველყოფსო, აღნიშნავენ კულტურული მოდელების სკოლის წარმომადგენლები. ამავე კონცეფციითაა ნაცადი სქემების გაზიარებულობის, ანუ სქემების კულტურულობის ახსნაც: თუ კი ჩავთვლით, რომ ადრეული გამოცდილებები ფართოდაა გაზიარებული ერთი კულტურის ფარგლებში, მათ საფუძველზე ფორმირებული სქემების აფექტური კომპონენტი აღნიშნული სქემების დროში დიდხანს შენარჩუნებას უზრუნველყოფს. შესაბამისად, დროში სტაბილურ გაზიარებულ ფსიქიკურ წარმონაქმნებს, ანუ კულტურულ სქემებს წარმოადგენს (Strauss, & Quinn, 1997).

აუცილებელია აღინიშნოს, რომ ფსიქოანალიტიკური თეორიის პოტენციალის სრულად გამოყენების[40] შემთხვევაშიც კი, აფექტების მოქმედების სპეციფიკის ასახსნელად მხოლოდ ამ თეორიაზე დაყრდნობა, მნიშვნელოვან საფრთხეს შეიცავს. თუ აფექტის შესახებ ფსიქოანალიტიკურ კონცეფციებს (მათ შორის ფსიქოანთროპოლოგებში ასე პოპულარულ კონცეფციას ადრეული გამოცდილებების შესახებ) დროითი განზომილების მიხედვით გავაანალიზებთ, მარტივად შევამჩნევთ, რომ მათში აფექტების მოქმედება წარსული - აწმყო ტრაექტორისაა[41] და საერთოდ არ არის საუბარი მომავალზე (Valsiner & Branco, 2010). აფექტების შესახებ თანამედროვე თეორიებში კი, მათ შორის სემიოტიკურ კულტურულ ფსიქოლოგიაში, განსაკუთრებული აქცენტი კეთდება აფექტური პროცესების როლზე მომავალთან მიმართებაში (Valsiner & Branco, 2010). რომ შევაჯამოთ, ფსიქოანალიზში ადამიანის ფუნქციონირების დროის მოდელი არასრულყოფილია: წარსული -> აწმყო -> მომავალი - მოდელის ბოლო ეტაპი

[40] მაგალითად, ადრეული გამოცდილების შესახებ კონცეფციების გარდა სემიოტიკური კულტურული ფსიქოლოგების მსგავსად პირველად და მეორად პროცესებს შორის განსხვავებების სპეციფიკის გათვალისწინება.
[41] წარსული ტრავმული გამოცდილება როგორ ზემოქმედებს აწმყოში სიმპტომების ფორმირებაზე (Valsiner & Branco, 2010).

იგნორირებულია მაშინ, როცა ადამიანური არსებობის სპეციფიკა სწორედ მომავალთან ურთიერთქმედების გზით გაუმჯობესებული ადაპტაციაა.

ადაპტაციის პროცესში მომავლის საკვანძო როლი ქართული ფსიქოლოგიური სკოლის ერთ-ერთი ცენტრალური კონცეფციაა. საუბარი გვაქვს დიმიტრი უზნაძის განწყობის ზოგადფსიქოლოგიურ თეორიასა (1964, 1977) და მისი დამუშავების თანამედროვე მცდელობებზე (ნადარეიშვილი 2009, 2010, 2013, 2015, 2020, Nadareishvili & Chkheidze, 2015). ნიშანდობლივია, რომ აღნიშნულ სკოლას, მომავლის თემის გარდა, კულტურის თეორიის ზემოთ ჩამოთვლილი სამი საკითხის (1. კულტურის ფსიქიკაში არსებობის ფორმა, 2. ა)დროში სტაბილური ფსიქიკური წარმონაქმნები, ბ) დროში სტაბილური წარმონაქმნების და აწმყო მომენტის მდგომარეობების მიმართება, 3) კულტურის და ინდივიდის ქცევის კავშირი) დამუშავების საკმაო ხნის ისტორია აქვს.

თანამედროვე ფსიქოლოგიურ-ანთროპოლოგიური ხედვა იმთავითვე ინტერდისციპლინური და ჰოლისტურია. უნდა აღინიშნოს, რომ ამ თვალსაზრისით ქართულ ფსიქოლოგიურ სკოლაში ჩამოყალიბებული განწყობის თეორია ასევე ქმნის ნაყოფიერ ნიადაგს ფსიქოლოგიის (და არა მხოლოდ ფსიქოლოგიის) სხვადასხვა მიმართულებიდან კონცეფციების ინტეგრაციისთვის. მისი ერთ-ერთი თანამედროვე ვერსია ორიენტირებულია იმგვარი მიდგომის ჩამოყალიბებაზე, რომელიც *„ხელს შეუწყობს კოგნიტური ფსიქოლოგიისა და განწყობის ფსიქოლოგიის ახსნითი პოტენციალის სინთეზურ გამოყენებას სოციალური და პერსონალური ველის მოვლენების მიმართების გასაანალიზებლად* (ნადარეიშვილი, 2020. გვ 143).

როგორც უკვე აღინიშნა, სოციალური და პერსონალური ველის მოვლენების ურთიერთმიმართება ფსიქოანთროპოლოგიის სფეროს განმსაზღვრელი საკითხია. ისიც ხაზგასასმელია, რომ ამ სფეროს წარმომადგენლებს შორის თანამედროვე ეტაპზე კოგნიტური ფსიქოლოგია სარგებლობს განსაკუთრებული პოპულარობით. სწორედ კოგნიტური ფსიქოლოგიის ახსნითი პოტენციალის გაზრდის კონტექსტში განსაკუთრებით საინტერესოდ მოჩანს განწყობის თეორიის საკვანძო კონცეფციების გაცნობა, რომელსაც შემდგომ ქვეთავში გთავაზობთ.

2.3. განწყობის ზოგადფსიქოლოგიური თეორია

თუ კულტურული მოდელების სკოლაში საწყის ეტაპზე განსაკუთრებული ყურადღება ფსიქიკაში კულტურის არსებობის ფორმის გამონახვას დაეთმო და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძინა აქტუალობა მათ მიერ ქცევის აღძვრის უნარიანობის შესახებ მსჯელობამ, განწყობის თეორიის ცენტრალური ფოკუსი იმთავითვე სწორედ ეს უკანასკნელია. ის ქცევის ზოგადფსიქოლოგიურ თეორიას წარმოადგენს და, შესაბამისად, ბუნებრივია, რომ მისი შესწავლის საგანი ყოველგვარი ქცევის აღძვრის და მართვის მექანიზმებია. მათ შორის, ცხადია ისეთი ქცევებისა, რომელთა ფორმირებისთვის მასალის მიწოდებას სოციო-კულტურული სივრცე უზრუნველყოფს (ნადარეიშვილი, 2020). როგორც აღინიშნა, კულტურული მოდელების სკოლაში კულტურის ფსიქიკაში არსებობის ფორმა **კულტურული სქემებია**, სემიოტიკურ კულტურულ ფსიქოლოგიაში - **სემიოტიკური ნიშნები,** განწყობის ქართულ ფსიქოლოგიურ სკოლაში კი ამ ფუნქციას **განწყობები** ასრულებს. განწყობა ქცევის ფსიქოფიზიკური მზაობის მდგომარეობას წარმოადგენს, რომელიც ყოველი ქცევის წინ აღმოცენდება და ქცევის მიზანშეწონილობას უზრუნველყოფს (უზნაძე, 1964, 1977; ნადირაშვილი, 1968, 1985).

კულტურის თეორიის ზემოთ განხილული პრობლემატიკის კონტექსტში ყურადღებას განწყობის თეორიის და მისი დამუშავების თანამედროვე მცდელობების ორ ორიგინალურ კონცეფციაზე გავამახვილებთ, რომლებიც მას ქცევის სხვა ზოგადფსიქოლოგიური თეორიებისგან გამოარჩევს. ესენია:

1) *დროში სტაბილური ფსიქიკური წარმონაქმნების ორი სახეობის გამოყოფა,* რომელთა შორის სხვაობა სწორედ ფსიქიკური წარმონაქმნების დინამიკურობის საკითხს უკავშირდება. ერთმანეთისგან გამიჯნულია მუდმივად აქტუალიზებულ მდგომარეობაში მყოფი ფსიქიკური წარმონაქმნები, რომელიც „დისპოზიციური განწყობის“ სახელით გვხვდება და ამ უნარს მოკლებული წარმონაქმნები, რომელიც „ორდინალური ფიქსირებული განწყობის“ სახელითაა მოხსენიებული (ნადარეიშვილი, 2010, 2013, 2015, 2020).
2) დროში სტაბილური ფსიქიკური წარმონაქმნების გარდა, *სიტუაციური/მომენტალური ფორმის არსებობის დაშვება* და აქტივობის აღძვრასა

და მართვაში მისი გადამწყვეტი მნიშვნელობის დასაბუთება (უზნაძე, 1964, 1977; ნადირაშვილი, 1968, 1985; ნადარეიშვილი, 2010, 2013, 2015, 2020).

წინამდებარე ნაშრომში დროში სტაბილური ფსიქიკური წარმონაქმნის თითოეულ სახეობას დეტალურად არ აღვწერთ, მხოლოდ მათ შორის მთავარ განსხვავებაზე გავამახვილებთ ყურადღებას, რადგან სწორედ აღნიშნული ასპექტია განსაკუთრებით საინტერესო კულტურისა და ინდივიდის ქცევის კავშირის პრობლემის კონტექსტში. საუბარი გვაქვს უკვე არაერთხელ ნახსენებ ფსიქიკური წარმონაქმნების დინამიკურობის პრობლემაზე. იმისათვის, რომ „ორდინარული ფიქსირებული განწყობა“ საფუძვლად დაედოს ქცევას, საჭიროა მასზე გარეგანი სტიმულის ზემოქმედება, ანუ მის მიერ აღძრული ქცევა *რეაქციას* წარმოადგენს, ხოლო „დისპოზიციური განწყობის“ საფუძველზე განხორციელებული ქცევა *აქციაა,* რაც გულისხმობს ყოველგვარი გარეგანი სტიმულის გარეშე თვითსტიმულირების/თვითაქტივობის უნარს, ანუ განწყობის თვითრეალიზაციის უნარს ქცევაში (ნადარეიშვილი, 2013). სხვა სიტყვებით, დინამიკურობის თვალსაზრისით „დისპოზიციური განწყობა“ „ორდინარული ფიქსირებულ განწყობისგან“ განსხვავებით, ისეთ ახალ თვისებრიობას იძენს, როგორიცაა თვითაქტივობის უნარი. როგორ შეიძლება აიხსნას ეს უნარი?

როგორც ზემოთ აღინიშნა, ამხსნელი მექანიზმის ძიებისას ქართული ფსიქოლოგიური სკოლის მიდგომა ჰოლისტურია. ის ფსიქოლოგიის სხვადასხვა მიმართულებაში (პიროვნების ფსიქოლოგია, განვითარების ფსიქოლოგია, სოციალური ფსიქოლოგია, კულტურული ფსიქოლოგია) დაგროვებული ცოდნის სინთეზს მიმართავს.

პირველ რიგში, ხაზგასმულია, რომ ამ სახეობის ფსიქიკური წარმონაქმნების არსებობა სისტემის ტიპზე, მისი ორგანიზაციის სირთულეზე და განვითარების სტადიაზეა დამოკიდებული. „დისპოზიციურ განწყობებზე“ შეგვიძლია ვისაუბროთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ადამიანი „პიროვნების“[42] დონის სისტემადაა ორგანიზებული. აღნიშნულ დონეზე, თვითსრულყოფის და თვითრეალიზაციის ტენდენციიდან გამომდინარე, გამოკვეთილია მოცემული ვითარების უკმარისობის განცდა, მისი

[42] ინდივიდის, სუბიექტის და პიროვნების დონეებს შორის სხვაობები ვრცლად იხილეთ ნადირაშვილი, შ. (1985). განწყობის ფსიქოლოგია ტ. II. თბილისი:მეცნიერება.

არაფინალურობის, ანუ უკეთესი შესაძლებლის არსებობის დაშვება (ნადარეიშვილი, 2013). არაფინალურობის, უკმარისობის, უკეთესი შესაძლებლის დაშვების პირობების შექმნა კი, ამავდროულად, ორიგინალურადაა დაკავშირებული სოციო-კულტურული ველის ისეთ ფენომენთან, როგორიცაა ღირებულება. ხაზგასმულია, რომ ღირებულებების, როგორც საზოგადოებრივი იდეალების/"ჯერარსის მოდელების" საბოლოო რეალიზაციის მდგომარეობა არ არსებობს (მაგალითად, შეუძლებელია სიკეთის ან ნებისმიერი სხვა სათნოების საბოლოო რეალიზაცია. როცა პიროვნება სიკეთეს ჩაიდენს, მის წინაშე სიკეთის ახალი რეალიები იხსნება). სხვა სიტყვებით, ღირებულების ინტერნალიზაციის[43] პირობებში პიროვნებას მუდმივად არ აკმაყოფილებს მიღწეული მდგომარეობა, არღვევს მას და ახალი მდგომარეობისკენ იწყებს სწრაფვას (ნადარეიშვილი, 2013). ინტერნალიზებული ღირებულებების ფსიქიკაში არსებობის ფორმად კი სწორედ „დისპოზიციური განწყობები" სახელდება (ნადარეიშვილი, 2015). შესაბამისად, მათთვის დამახასიათებელია მუდმივად აქტუალიზებულ მდგომარეობაში ყოფნა. სხვა სიტყვებით, „დისპოზიციური განწყობები" ვერასდროს აღწევენ წონასწორობას სტაგნაციის გაგებით (გაგება, რომელიც სტატიკური წონასწორობის[44] მოდელის შესატყვისია) და საჭიროა მათი მოქმედების სპეციფიკის დინამიკური წონასწორობის მოდელის პოზიციიდან განხილვა (ნადარეიშვილი, 2013, 2015, 2020).

„დინამიკურ წონასწორობაში იგულისხმება მუდმივი მოძრაობა/აქტივობა წონასწორობის უკვე მიღწეული მდგომარეობიდან ახალი წონასწორობის მდგომარეობისაკენ, რომელიც ჯერ მხოლოდ სასურველი მდგომარეობის ფსიქიკური მოდელის სახითაა მოცემული, ჯერ არაა რეალიზებული და წარმოადგენს აქტივობის ორიენტირს და მის

---

[43] ცხადია, სოციო-კულტურული ველის ფენომენის - სოციალური ღირებულების ინდივიდუალურ ფსიქიკურ წარმონაქმნად, სხვა სიტყვებით, პიროვნულ ღირებულებებად (ამ სახელწოდებით ვხვდებით დანდრადეს სტატიაშიც (D'Andrade, 2018)) გარდაქმნის ფსიქოლოგიური მექანიზმების აღწერა შესაბამის თეორიულ დამუშავებას საჭიროებს. არსებობს აღნიშნული საკითხის დამუშავების მცდელობები (ნადარეიშვილი (2020) ფიქსირებული და სიტუაციური დისპოზიციური ფსიქიკური წარმონაქმნების მიმართება. ქართული ფსიქოლოგიური ჟურნალი, 2 (1). ISSN 2667–9027. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. 129-156.

[44] სტატიკურ წონასწორობაში, ჩვეულებრივ, იგულისხმება დროის გარკვეულ მონაკვეთში სისტემის ისეთი მდგომარეობა, როდესაც მისი მოთხოვნილებები, ტენდენციები და მისწრაფებები უმეტესწილად რეალიზებულია და ჯერ არ არსებობს არანაირი პირობა, რომელიც სისტემის წონასწორობას დაარღვევდა (ნადარეიშვილი, 2013).

მასტიმულირებელს. მხედველობაშია სისტემის მუდმივი დაუკმაყოფილებლობა... სხვა სიტყვებით, დინამიკად განიხილება მოძრაობა წონასწორობის არსებულ მდგომარეობასა და აქტივობის სუბიექტისმიერვე მიზანმიმართულად გამოწვეული უწონასწორობის მდგომარეობის მოხსნას (მომდევნო წონასწორობას) შორის ინტერვალში“ (ნადარეიშვილი, 2013. გვ.3).

რომ შევაჯამოთ, ქართულ ფსიქოლოგიურ სკოლაში ახალი უწონასწორო მდგომარეობისაკენ სწრაფვა, რომელიც პიროვნების შემდგომი განვითარების საფუძველს წარმოადგენს, ღირებულებათა ძიებისა და მათ სამსახურში ყოფნის ფსიქოლოგიურ მექანიზმადაა განხილული. დამატებით ხაზგასმულია, რომ აღნიშნულ ტენდენციებს ადამიანი სოციალურ ურთიერთქმედებათა პროცესში იძენს და ამჟღავნებს (ნადირაშვილი, 1985). სწორედ ამიტომ პიროვნულ დონეზე ადამიანური აქტივობის სპეციფიკად მისი სოციალურობა სახელდება (ნადარეიშვილი, 2013, 2020).

როგორც ზემოთ აღინიშნა, სემიოტიკურ კულტურულ ფსიქოლოგიაშიც დინამიკურობის წყაროდ ასევე სოციალურობა სახელდება, ცხადია, განსხვავებული პერსპექტივიდან, მაგრამ ჩვენ ხაზი გვინდა გავუსვათ განწყობის ზოგადფსიქოლოგიური თეორიის ერთ-ერთი თანამედროვე ვერსიისა და სემიოტიკური პერსპექტივის ნათესაობას ამ ასპექტში, კერძოდ იმას, რომ, „ასოციალური“ კოგნიტური მეცნიერებებისგან განსხვავებით, ორივე ზემოხსენებულ მიდგომაში ***სოციალურობა, როგორც დინამიკურობის წყარო,*** ცენტრალურ ადგილს იკავებს.

გარდა ამისა, როგორც სემიოტიკური კულტურული ფსიქოლოგიის განხილვისას ვნახეთ, აღნიშნულ საკითხებზე მსჯელობას ფსიქოლოგიური მეცნიერების ისეთ ფუნდამენტურ საკითხთან მივყავართ, როგორიცაა არაცნობიერისა და ცნობიერის მიმართება. ამ თვალსაზრისითაც გამორჩეულია განწყობის თეორიაში დაგროვილი ცოდნა. განწყობის თეორია ხომ არაცნობიერის თეორიას წარმოადგენს[45]. შესაბამისად, ბუნებრივია, რომ

[45] 1979 წელს თბილისში გაიმართა არაცნობიერის პრობლემისადმი მიძღვნილი მასშტაბური საერთაშორისო სიმპოზიუმი. იმედაძე (2020) სტატიაში „თბილისის არაცნობიერის სიმპოზიუმი - მცირე რეტროსპექტივა“ განიხილავს, თუ რატომ წარმოადგენს დ. უზნაძის განწყობის თეორია ე.წ. საბჭოთა ფსიქოლოგიაში ერთადერთ

ქართული ფსიქოლოგიური სკოლა არაცნობიერის და ცნობიერის მიმართების საკითხის დამუშავების ფართო არეალს ქმნის.

გავრცელებული თვალსაზრისით, „თვითაქტივობის“ (თვითორგანიზაციის, თვითრეგულირების, თვითგანვითარების) უნარი ცნობიერი, მიზანმიმართული აქტივობის პრეროგატივად ითვლება, ნადარეიშვილი (2013) კი, როგორც ზემოთ ვისაუბრეთ, „დისპოზიციური განწყობის“ კონცეფციით აღნიშნული უნარის არსებობას არაცნობიერ დონეზეც ასაბუთებს. ზემოთ განხილული მექანიზმების გარდა, მას ამის შესაძლებლობას ჩვენს მიერ შემოთავაზებულ ჩამონათვალში რიგით მეორე ორიგინალური კონცეფციაც აძლევს. საუბარი გვაქვს განწყობის სიტუაციური/მომენტალური ფორმის[46] შესახებ კონცეფციაზე.

„დისპოზიციური განწყობა“ ფიქსირებული წარმონაქმნია, შესაბამისად, წარსული გამოცდილებითაა შემოფარგლული. გარდა ამისა, მისთვის დამახასიათებელი ზოგადობის უმაღლესი ხარისხიდან გამომდინარე, შეუძლებელია ზუსტად თავსებადი იყოს აწმყოში არსებულ ყველა იმ კონკრეტულ მოცემულობასთან, რომელსაც ადგილი აქვს მუდმივად ცვალებად გარემოში. ამის გამო შეუძლებელია უზრუნველყოს ქცევის სრული მიზანშეწონილობა (ნადარეიშვილი, 2013, 2015). აღნიშნული პრობლემის დასაძლევად ნადარეიშვილი გვთავაზობს შემდეგ კონცეფციას: „დისპოზიციური განწყობა“ ქცევაში რეალიზებისას განწყობის სიტუაციური/მომენტალური ფორმით შუალდება, რომელიც უზრუნველყოფს ქცევის თავსებადობას აწმყოს მოცემულობებთან.

აღსანიშნავია, რომ ქცევის აღძვრის და მიზანშეწონილობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით „დისპოზიციური განწყობის“ სიტუაციურით გაშუალებულობის უპირატესობა წარსული გამოცდილებისა და აწმყოს მოცემულობის გაერთიანებით არ ამოიწურება. „სიტუაციური განწყობის“ ფორმირებაში ცნობიერი რესურსის მონაწილეობით საჭიროების შემთხვევაში თვითაქტივობის უნარის არეალის გაფართოებაა შესაძლებელი (როგორც უკვე ვახსენეთ, აღნიშნული უნარი ასოცირებულია

ზოგადფსიქოლოგიური მასშტაბის კონცეფციას, რომელშიც მოცემულია შეხედულებათა მწყობრი სისტემა არაცნობიერი ფსიქიკის ბუნებისა და ფუნქციონირების შესახებ.

[46] განწყობის ასეთ ფორმას სიტუაციური განწყობა ეწოდება.

ცნობიერ რესურსთან, სახელდობრ, ნებელობასა და/ან მოტივაციურ[47] პროცესებთან (ნადარეიშვილი, 2013)). ამ შემთხვევაში, როგორც ვხედავთ, განწყობის თეორიაში წარმოდგენილია ადაპტაციის ოპტიმალური ვარიანტისთვის არაცნობიერი და ცნობიერი რესურსების ურთიერთთანამშრომლობის კონცეფცია, რომელზეც ყურადღებას ამახვილებდნენ როგორც სემიოტიკური კულტურული ფსიქოლოგიის წარმომადგენლები, ისე კოგნიტური ფსიქოლოგიის დამფუძნებელი, ულრიკ ნაისერი.

ქართული ფსიქოლოგიური სკოლის უკანასკნელ შრომებში დეტალურადაა გაანალიზებული შემთხვევები, როცა არაცნობიერი რესურსი დამოუკიდებლად ვერ უმკლავდება ადაპტაციის ამოცანებს და სახეზეა ცნობიერი რესურსის შედარებით დიდი დოზით მონაწილეობის საჭიროება. საკითხის გამარტივებისთვის, პირობითად ორ ნაწილად შეიძლება გაიყოს: 1) როცა ეს ხდება სახელდობრ დისპოზიციურ განწყობასთან

---

[47] როგორც არაერთხელ აღინიშნა, ფსიქოანთროპოლოგები კულტურასა და ქცევას შორის ფსიქოლოგიური რეალობის აღიარებით/დაშვებით, ამ რეალობის კანონზომიერებების შესახებ ფსიქოლოგიური თეორიების პოტენციალის გამოყენებას ცდილობენ. განსაკუთრებული ყურადღება შეინიშნება მოტივაციის თეორიების მიმართ. ამ თვალსაზრისითაც ნიშანდობლივია განწყობის თეორიის აქტუალურობა, რომელშიც თანამედროვე მოტივაციის ფსიქოლოგიის ახსნითი შესაძლებლობების ჩართვაზე კეთდება აქცენტი. კერძოდ, საუბარია მოსალოდნელი ღირებულების მოტივაციის მოდელზე. ამ მოდელის თანახმად, მომავლის საფუძველზე ქცევის აღძვრას რეზულტატის მიმზიდველობისა და მისი მიღწევის მოსალოდნელობის მაჩვენებლები განაპირობებენ. გარდა ამისა, ამ მოდელში ხაზი ესმება ქცევის ინიცირებისთვის ამ განზომილებათა ურთიერთგავლენის ასპექტს (მოსალოდნელობის მაჩვენებელს ზრდის მიმზიდველობის მაჩვენებელი და პირიქით). განწყობის თეორიის პოზიციიდან მოსალოდნელი ღირებულების მოტივაციური მოდელის ანალიზისას ნადარეიშვილი (2009) აღნიშნავს, რომ ამ მოდელში არ არის გამოკვეთილი, თუ სად, რა ფსიქიკურ წარმონაქმნში ან პროცესში ხდება მათი ურთიერთგავლენა, გაერთიანება ისეთ ერთიან წარმონაქმნში, რომელიც ქცევას დაედება საფუძვლად. მისი აზრით, მათ საფუძველზე წარმოქმნილ ასეთ მთლიანობით პროდუქტად განწყობა უნდა მოვიაზროთ. თუმცა, ამასთან ერთად, ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ აღნიშნული პროსპექტული მოცემულობის (მხოლოდ *შესაძლებლის* სახით არსებულის) საფუძველზე განწყობის ფორმირებისა და შემდეგ ქცევის უზრუნველყოფისთვის საკმარის დონემდე მისი სტრუქტურიზაციის ფუნქციას მოლოდინი ასრულებს. ამ შემთხვევაში ნადარეიშვილი (2009) ხაზს უსვამს, რომ აუცილებელია ერთმანეთისგან განვასხვაოთ „მოსალოდნელობისა“ და „მოლოდინის“ ცნებები. მისი აზრით, მოსალოდნელობა, რა თქმა უნდა, სუბიექტური ალბათობაა, მაგრამ ის ობიექტს მიეწერება, *ობიექტის თვისებაა.* მოლოდინი კი *სუბიექტის მდგომარეობას* წარმოადგენს. სხვა სიტყვებით, პირველი ცნება გულისხმობს მხოლოდ პროგნოზს და მეორე ცნება კი პროგნოზირებულის მოლოდინს (არ არის აუცილებელი, რომ პროგნოზი თავისთავად მოიცავდეს პროგნოზირებულის მოლოდინს). მოლოდინის მდგომარეობა, ნადარეიშვილის თანახმად, მხოლოდ სუბიექტურად საკმაო მოსალოდნელობის შემთხვევაში წარმოიქმნება. ამ მდგომარეობაში კი აღნიშნული ფაქტორების - მოსალოდნელობისა და მიმზიდველობის - ხარისხის მატებაც ხდება, ანუ კოგნიტურ-აფექტური მოტივაციური წარმონაქმნების მადეტერმინირებელი ძალა იზრდება. გარდა ამისა, მოლოდინი ამ ფაქტორებით წარმოქმნილი განწყობის აქტუალობის ხარისხის „შენარჩუნების“ ფუნქციასაც ასრულებს და ამით ქცევის სტაბილურობასა და მიზანშეწონილობას უზრუნველყოფს (ნადარეიშვილი, 2009).

ნიშანდობლივია, რომ მომავლის ასპექტს კულტურული სქემის თეორიაშიც საკმაო ყურადღება ეთმობა. ქცევის ინიცირების უნარის მქონე წარმონაქმნებად მიზან-სქემები სახელდება, რომლებიც მომავლის შესაძლებელ და სასურველ მდგომარეობებს სახავენ (Strauss,1992). თუმცა კულტურული სქემების თეორიის ფარგლებში ბუნდოვანია მიზან-სქემების მიერ ქცევის აღძვრის მექანიზმები. ამ მექანიზმების უფრო სრულყოფილ დახასიათებას, ჩვენი აზრით, განწყობის თეორია და მისი პოზიციიდან გაანალიზებული მოსალოდნელი ღირებულების მოდელი გვთავაზობს (ჩხაიძე, 2015; გვ. 68).

დაკავშირებული პრობლემების გამო[48] და 2) როცა დისპოზიციური განწყობის შემთხვევაში ყველაფერი რიგზეა და საჭიროა მისი საწინააღმდეგო სიტუაციური განწყობის ფორმირება. როდის დგება ამის საჭიროება? ეს ის შემთხვევებია, როცა ინოვაციის, ადაპტაციის ახალი, გაუმჯობესებული ინსტრუმენტის შექმნის და, შესაბამისად, ძველი ტენდენციის რიგიდობისგან თავის დაღწევის აუცილებლობა იკვეთება (ნადარეიშვილი, 2013).

ეს უკანასკნელი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კულტურის თეორიისთვის. ზემოთ არაერთხელ ვახსენეთ, რომ კულტურა ჰომოგენური სისტემა არაა. შეუძლებელია იმ ინტრაკულტურული ვარიაციის იგნორირება, რომელიც სათავეს პიროვნებიდან იღებს. ქართულ ფსიქოლოგიურ სკოლაში კი ნაცადია აღნიშნული პროცესების ოპტიმალური მიმდინარეობის უზრუნველმყოფელი ფსიქიკური მექანიზმების იდენტიფიცირება. ხაზგასმულია, რომ ცნობიერი-არაცნობიერის (ნებელობა-დისპოზიციური განწყობა; თვითაქტივობა-დეტერმინირებულობა[49]) კომბინირებული მოქმედება გვაძლევს სწორედ საშუალებას პიროვნება, ერთი მხრივ, სოციალურ კონტროლზე მორეაგირედ, მეორე მხრივ კი თვითმართვად/თვითაქტუალიზებად სისტემად განვიხილოთ (ნადარეიშვილი, 2013).

აღნიშნული დიქოტომიის დაძლევა თანამედროვე ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიის ცენტრალური ამოცანაა. შესაბამისად, დღეს ამ დისციპლინის ფარგლებში განსაკუთრებით თვალსაჩინოვდება კოგნიტური ფსიქოლოგიის კონცეფციების უკმარისობა და სხვა ფსიქოლოგიური კონცეფციებით თვალსაწიერის გაფართოების აქტუალობა. განწყობის ზოგადფსიქოლოგიური თეორიის კონცეფციები კი სწორედ ამის საშუალებას იძლევა.

განწყობის თეორიით ვასრულებთ „საიდუმლო მღვიმეზე“ საუბარს. როგორც ვნახეთ, კულტურის თეორიაში წამოჭრილ პრობლემებს ფსიქოლოგიური მეცნიერების

---

[48] პრობლემა შეიძლება მდგომარეობდეს დისპოზიციური განწყობის ვალენტობაში და/ანუ კომპონენტების დიფერენცირებულობისა და თავსებადობის ხარისხის უკმარისობაში ან ახალ გარემოებებთან ან ამოცანასთან შეხვედრისას ადაპტაციის ასიმილაციური ვარიანტის გამოყენების შეუძლებლობაში (ნადარეიშვილი, 2013, 2015, 2020).

[49] გავიხსენოთ ბურდიეს ცნება „დეტერმინირებული იმპროვიზაცია“.

ფუნდამენტური პრობლემების განხილვამდე მივყავართ. ცხადია, ზემოთ განხილულ ყველა თეორიულ სკოლაში არსებობს გამოწვევები საკითხის თეორიული დამუშავების დონეზე, მაგრამ კიდევ უფრო დიდია გამოწვევა, როცა ემპირიული კვლევების ჯერი დგება. ზემოთ არაერთხელ ნახსენებ სამ შეკითხვაზე (1. კულტურის ფსიქიკაში არსებობის ფორმა 2. ა)დროში სტაბილური ფსიქიკური წარმონაქმნები ბ) დროში სტაბილური წარმონაქმნების და აწმყო მომენტის მდგომარეობების მიმართება 3) კულტურის და ინდივიდის ქცევის კავშირი), ცხადია, საჭიროა არა მხოლოდ თეორიული მსჯელობა, არამედ ემპირიული მტკიცებულებების შეგროვებაც. ამ შემთხვევაში განსაკუთრებით პრობლემური სტაბილურ ფსიქიკურ წარმონაქმნებთან ერთად ცვალებადი, აწმყო მომენტის მდგომარეობების შესწავლაა. ამ უკანასკნელზე ყურადღება განსაკუთრებულად სემიოტიკურ კულტურულ ფსიქოლოგიაში მახვილდება.

შეიძლება ითქვას, რომ ფსიქოლოგიის სხვა სფეროებისგან (მათ შორის, ასევე კულტურაზე ორიენტირებული კროსკულტურული ფსიქოლოგიისგან) განსხვავებით, სემიოტიკური კულტურული ფსიქოლოგია მეთოდოლოგიურ პრობლემებზე განსაკუთრებული რეფლექსიით გამოირჩევა. ყურადღება მახვილდება კვლევისას ***პროცესზე*** და ***პროდუქტზე*** ორიენტირებული მიდგომის ერთმანეთისგან გამიჯვნის საჭიროებასა და იმის გაცნობიერებაზე, რომ დღეს ფსიქოლოგიაში მრავალმა მიმართულებამ პროცესის შესწავლიდან პროდუქტის/სტრუქტურის შესწავლაზე გადაინაცვლა (Valsiner, 2003; Wagoner, 2009) მაშინ, როცა ფსიქოლოგიაში არსებობს პროცესის შესწავლის ტრადიცია. ერთ-ერთ ასეთ ადრეულ ტრადიციას მიეკუთვნება მიკროგენეტიკური მეთოდი (Wagoner, 2009). ეს არის ემპირიული სტრატეგია, რომელიც შესაბამისი მანიპულაციებით[50] ბიძგს

[50] მსგავსი მანიპულაციების გამოყენების გამო, აღნიშნული მეთოდი ექსპერიმენტულ მეთოდს წარმოადგენს. დღეს კი ფსიქოლოგიაში სიტყვა „ექსპერიმენტი“ ძალიან ვიწრო მნიშვნელობით გამოიყენება. თითქოს ექსპერიმენტი მხოლოდ ისაა, როცა მოცემულია დამოუკიდებელი და დამოკიდებული ცვლადები, შემთხვევითი შერჩევა და მონაცემების სტატისტიკური ანალიზი. ექსპერიმენტის ეს გაგება სრულიად უცხო იყო ფსიქოლოგიური მეცნიერებისთვის საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში და სოციალურ ნორმად ფსიქოლოგიაში ისეთი დისციპლინების გავლენით იქცა, როგორიცაა სამხედრო სფერო და განათლება (Wagoner, 2009). ექსპერიმენტული მანიპულაციების საჭიროებას სემიოტიკური კულტურული ფსიქოლოგები შემდეგნაირად ხსნიან: მნიშვნელობის/meaning კონსტრუირების, როგორც გამოცდილების მიმდინარე ნაკადის შენელება ბუნებრივ სიტუაციაში შეუძლებელია. ამისათვის საჭიროა ხელოვნური ინტერვენცია, ე.წ „შემაფერხებლის“ შექმნა, რომელიც ქმნის დროით ფანჯარას პროცესზე რეფლექსიისთვის. ასეთი ექსპერიმენტული მანიპულაცია შესაძლოა იყოს, მაგალითად, კვლევის მონაწილისთვის მიზანმიმართული ქცევის ინსტრუქციის (“როცა გეტყვი, გააკეთე X”) მიცემა. შემდეგ კი ისეთი სტიმულის წარდგენა, რომელიც ამ მიზანმიმართული ქცევის საწინააღმდეგო ტენდენციას აღვიძებს (“X-ის გაკეთება არ შეიძლება”, ან ყველაზე მცირე, „მძიმე გადასაწყვეტია, რომ X გააკეთო“). შესაბამისად, კვლევის მონაწილე დგება რთული ოპოზიციის წინაშე „მე უნდა

აძლევს, მოიხელთებს და აანალიზებს ახალი ფენომენის აღმოცენების უშუალო პროცესს. აღნიშნული მეთოდი კონტინენტური ფსიქოლოგიის ფარგლებში ვითარდებოდა, რომელშიც ჰოლიზმს, განვითარებასა და ადამიანური ცხოვრების შემოქმედებით ასპექტებზე კეთდებოდა აქცენტი. ამის კარგი მაგალითია ვიურცბურგის სკოლა, რომელთა საფუძველზეც შემდეგ განვითარდა ვიგოტკის, ბარტლეტისა და ვერნერის მეთოდოლოგიები (Wagoner, 2009).

აღნიშნული ტრადიციის გაგრძელების მცდელობებს ვხვდებით სწორედ სემიოტიკურ კულტურულ ფსიქოლოგიაში იმისათვის, რომ სოციალურ მეცნიერთა კვლევის ფოკუსში კვლავ მოექცეს სოციალური და ფსიქოლოგიური პროცესების დინამიკურ მხარე (Valsiner, 2003).

სემიოტიკური კულტურული ფსიქოლოგების კვალდაკვალ ჩვენც მიგვაჩნია, რომ აწმყო მოცემულობების შესწავლის მეთოდოლოგიის დამუშავება დღეს სოციალურ მეცნიერებებში ცენტრალური მნიშვნელობისაა, თუმცა ვფიქრობთ, რომ ამავდროულად, მნიშვნელოვანია სტაბილური წარმონაქმნების შესწავლის მეთოდების დახვეწაც. ამ თვალსაზრით საკმაოდ მდიდარ მასალას იძლევა კულტურული მოდელების სკოლა. ამ სკოლაში აღმოცენებულმა კონცეფციებმა განსაკუთრებით შეუწყო ხელი ისეთი ორიგინალური მეთოდების განვითარებას, რომლებიც ემპირიულად რთულად მოსახელთებელი იდეების შემოწმების საშუალებას გვაძლევს. ქვემოთ საუბარს აღნიშნული მეთოდების შესახებ განვაგრძობთ.

გავაკეთო X“ და „არა, მე არ შემიძლია X-ის გაკეთება“. მათ შორის წარმოქმნილი დიალოგი კი ანელებს მიმდინარე აქტივობის პროცესს. ამგვარად, კვლევის მონაწილე „ორმაგი დაბმის“ მდგომარეობაში ვარდება და მკვლევარი ცდილობს დააკვირდეს, თუ როგორ გადაჭრის ის ამ დაპირისპირებას ხმამაღლა საუბრისას (Valsiner, 2003).

თავი III

თავი III: „კულტურის აღმოჩენა საუბარში“ და აღმოჩენილის ვერიფიკაცია

3.1. კულტურული მოდელების გამოვლენის მეთოდები

2005 წელს ნაომი ქვინის ავტორობით იბეჭდება წიგნი „კულტურის აღმოჩენა საუბარში“ (“finding culture in talk”). ამ წიგნის იდეა, როგორც ქვინი აღნიშნავს, მას შემდეგ გაჩნდა, რაც გააცნობიერა, რომ მან და მისმა კოლეგებმა კულტურული გაგებების შესასწავლად მეთოდების ახალი ოჯახი შექმნეს.

რატომაა შესაძლებელი საუბარში კულტურის აღმოჩენა? კულტურული მოდელების ბაზისური ელემენტები ენაშია კოდირებული და ხშირად ადამიანების მიერ ჩვეულებრივ სასაუბრო სიტუაციებში გამოიყენება. მკვლევარს შეუძლია რესპონდენტს პირდაპირი შეკითხვა დაუსვას კულტურული მოდელის ამა თუ იმ ასპექტის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ ინფორმანტები ვერ ახერხებენ ასეთი კულტურული მოდელების სრულად აღწერას, მათ შეუძლიათ იმსჯელონ იმ მოვლენებისა თუ შემთხვევების შესახებ, რომელიც მხოლოდ ამ მოდელის ფარგლებშია მისაღები. ისინი, ჩვეულებრივ, გვთავაზობენ ისეთ ახსნებსა და არგუმენტაციას, რომლის უკან სპეციფიკური მოდელის მოქმედება ჩანს (ჩხაიძე, 2015, გვ.30). შესაბამისად, ლინგვისტურ მონაცემებსა და მისი ანალიზის მეთოდებს ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი უკავია კულტურული მოდელების სკოლაში. ქვინის წიგნში სწორედ მათ შესახებ მიიღებთ დეტალურ ინფორმაციას, თუმცა, ბენარდოს და დემანკის (2014) თანახმად, ლინგვისტური მონაცემები და მათი ანალიზის მეთოდები კულტურული მოდელების სკოლაში არსებული მონაცემებისა და ანალიზის მეთოდების მხოლოდ ერთ-ერთ სახეობას წარმოადგენს.

სრული სურათის წარმოსადგენად მოკლედ გავეცნოთ მათ მიერ შემოთავაზებულ კლასიფიკაციას. ბენარდო და დემანკი (2014) მონაცემების ტიპებსა და შესაბამის ანალიზის მეთოდებს სამ კატეგორიად აჯგუფებენ: 1) ეთნოგრაფიული მონაცემები და ეთნოგრაფიული მონაცემების ანალიზის მეთოდები, 2) ლინგვისტური მონაცემები და

ლინგვისტური ანალიზის მეთოდები, 3) ექსპერიმენტული მონაცემები და სტატისტიკური ანალიზის მეთოდები.

თითოეულ კატეგორიაში მეთოდთა საკმაოდ ფართო არჩევანი გვაქვს. განსაკუთრებული მრავალფეროვნება ლინგვისტური მეთოდების კატეგორიაში შეინიშნება. რამდენიმე საათიანი ინტერვიუების ტრანსკრიპტები მონაცემთა ძალიან დიდ ბაზას გვაწვდის და ცხადია, საჭიროა კარგი ანალიტიკური სტრატეგიები მათ დასამუშავებლად. ასეთ სტრატეგიებს დანდრადემ „განიავების“ (winnowing)[51] პროცედურები უწოდა. მათი დახმარებით შესაძლებელია მონაცემებში მოცემული ზღვა მასალის დიდი დანაკარგის გარეშე გონივრულ ნიშნულამდე დაყვანა და იმ მნიშვნელოვანი ნაწილების გამოჩენა, რომელიც მანამდე დაფარული იყო (Bennardo & Munck, 2014). დამატებით გასათვალისწინებელია გაზიარებული, ანუ კულტურული გაგებების მნიშვნელოვანი სპეციფიკა: ასეთი გაგებები უმეტესწილად იმათთვისაც კი, ვინც მათ იყენებს, თავისთავად ნაგულისხმევი და „გამჭვირვალეა“[52]. შესაბამისად, მათი გამოვლენა სპეციალურ მეთოდებს საჭიროებს, რომელიც ლინგვისტური კომპლექსურობის სხვადასხვა დონეზე შეიძლება იქნას გამოყენებული. ეს შეიძლება იყოს: 1) სიტყვის დონე 2) წინადადებების დონე და 3) დისკურსების დონე[53].

რაც შეეხება ექსპერიმენტული მონაცემებისა და სტატისტიკური ანალიზის მეთოდების კატეგორიას, პირველ რიგში, საჭიროა განიმარტოს, რა გაგებითაა გამოყენებული

---

[51] მარცვლეულის ჰაერში აყრით ზედმეტი ნარჩენების მოშორება. (Ganmarteba.ge, n.d., განიავება).

[52] ინტერპრეტაციისას სქემები განიცდება არა როგორც რეალობის მოდელები, არამედ როგორც თავად რეალობა. აღნიშნული გაგების აღსანიშნად ჰანჩინსს (1980) შემოაქვს „გამჭვირვალობის“ ცნება. ზოგჯერ ადამიანები ისე აღიქვამენ სამყაროს სქემების საშუალებით, რომ თავად სქემებს ვერც ამჩნევენ (ჩხაიძე, 2015, გვ.50).

[53] ცნება დისკურსთან დაკავშირებით ქვინი (2005) აზუსტებს, რომ კულტურული მოდელების სკოლაში ის გამოიყენება იმ გაგებით, რა გაგებითაც ლინგვისტები იყენებენ მას: „ენა ქმედებაში“. ამ შემთხვევაში დისკურსი განიმარტება, როგორც მეტყველების (იქნება ეს ზეპირი თუ წერითი მეტყველება) მონაკვეთი, რომელიც უფრო ვრცელია, ვიდრე ცალკეული სიტყვა თუ წინადადება. მხოლოდ აღნიშნული გაგების შემთხვევაში შეიძლება დისკურსი და ნაკლებად ტექნიკური ტერმინი „საუბარი“ ურთიერთჩანაცვლებად იქნას გამოყენებული (როგორც ვნახეთ, ქვინის წიგნის სათაურში სწორედ ნაკლებად ტექნიკური ტერმინი ფიგურირებს). ქვინი ხაზს უსვამს, რომ კულტურული მოდელების სკოლაში დისკურსის ცნება არ გამოიყენება ამ ცნების უფრო პოპულარული და ვიწრო გაგებით, როგორიცაა ფუკოს გაგება. ფუკოს გაგების შემთხვევაში საუბართან მჭიდროდაა დაკავშირებული კონკრეტული პრაქტიკები, სუბიექტურობის ფორმები და ძალაუფლებრივი მიმართებები. ეს ყველაფერი ერთად კი ქმნის კონკრეტული სახის ცოდნას, რომელიც საზოგადოების კონკრეტული ჯგუფის კუთვნილებას წარმოადგენს, მაგალითად, სამედიცინო ესტაბლიშმენტის. ამ უკანასკნელს კულტურული მოდელების სკოლის წარმომადგენლები „სოციალურ დისკურსს“ უწოდებენ და ასე განასხვავებენ მათ სკოლაში გამოყენებული გაგებისგან.

ტერმინი ექსპერიმენტი. ამ შემთხვევაში ექსპერიმენტულ მონაცემებში იგულისხმება კონტროლირებულ სიტუაციაში სისტემური მეთოდის გამოყენებით მონაცემების შეგროვება კონკრეტული ჯგუფის წევრებისგან, რაც სხვადასხვა სტატისტიკური მეთოდის გამოყენებით შიდაჯგუფური და ჯგუფთაშორისი პატერნების შესწავლის შესაძლებლობას გვაძლევს. ასეთი ექსპერიმენტული მეთოდებია: თავისუფალი ჩამონათვალი (free-listing), დახარისხების ამოცანები (pile sorting), კითხვარები, მეხსიერების სავარჯიშოები, დასახატი სავარჯიშოები, რანჟირების ამოცანები და ა.შ. (Bennardo & Munck, 2014).

ხაზგასასმელია, რომ კოგნიტური ფსიქოლოგიის პოპულარული მეთოდებისგან განსხვავებით, რომლებშიც ძირითადი აქცენტი სტატისტიკურად სანდო სხვაობებზე კეთდება, კოგნიტურ ანთროპოლოგიაში ცენტრალური „საერთო პატერნების“ აღმოჩენაა. მონაცემთა ანალიზის ხშირად გამოყენებული მეთოდებია სიხშირული ანალიზი, მრავალგანზომილებიანი სკალირება, კლასტერული ანალიზი, PROFIT (property fitting analysis) ანალიზი, კონსენსუსის ანალიზი და ა.შ. გარდა ამისა, გამოვლენილი კულტურული პატერნების კონკრეტული მახასიათებლების ვერიფიცირებისთვის გამოიყენება სტანდარტული სტატისტიკური ანალიზებიც - t-ტესტი, ANOVA, MANOVA და ა.შ. (Bennardo & Munck, 2014).

ვერიფიკაციას კულტურული მოდელების სკოლაში ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი უკავია. როი დანდრადე მეცნიერების ფილოსოფოსის, რეიჩენბახის (Reichenbach, 1938) კვალდაკვალ, მეცნიერულ კვლევაში ორ მნიშვნელოვან საფეხურს გამოყოფს - „აღმოჩენის კონტექსტს“ და „ვერიფიკაციის კონტექსტს“. სამყაროს შესახებ რაიმე იდეის აღმოჩენის შემდეგ, მეცნიერმა ამ იდეის ჭეშმარიტების შემოწმების მეთოდიც უნდა შეიმუშავოსო, აღნიშნავს ის (ჩხაიძე, 2015, გვ.33). სწორედ ასეთ მეთოდად შეგვიძლია მოვიაზროთ კონსენსუსის ანალიზი.

3.2. კულტურული კონსენსუსი

ინდივიდები გარკვეული ხარისხით ვფიქრობთ და ვმოქმედებთ ისე, როგორც საზოგადოების დანარჩენი წევრები - კულტურული კონსენსუსის არსებობის შესახებ აღნიშნული იდეა ანთროპოლოგიის დაბადებიდან არსებობდა. მაგრამ ანთროპოლოგიის ისტორიაში საკმაოდ უცნაურად მოჩანს ის ფაქტი, რომ გასულ საუკუნემდე არავინ სცადა მისი ემპირიულად შემოწმება (Dressler, 2018).

1986 წელს კი რომნიმ, ველერმა და ბეთჩელდერმა სამეცნიერო საზოგადოებას წარუდგინეს კულტურული კონსენსუსის მოდელი და დაშვება თუ მეტაფორა - „გაზიარებული კულტურა“ - უეცრად ემპირიაში შემოწმებადად იქცა. შესაბამისად, არაა გასაკვირი, რომ სტატია კულტურული კონსენსუსის შესახებ ციტირების მაჩვენებლით ჟურნალში „ამერიკელი ანთროპოლოგი“ („American Anthropologist“) 118 წლის განმავლობაში ათასობით გამოქვეყნებულ სტატიას შორის მეექვსე ადგილზე აღმოჩნდა (Dressler, 2018).

კულტურული კონსენსუსი ლიტერატურაში ცნობილია როგორც თეორიად, ისე მეთოდად (Bennardo & Munck, 2014; Dressler, 2018). დრესლერი უპირატესობას ანიჭებს მის სტატისტიკურ მოდელად[54] განხილვას. ჩვენც ვიზიარებთ დრესლერის პოზიციას (კვლევის მეთოდის ნაწილში უფრო ვრცლად ვისაუბრებთ ამის შესახებ). ესაა სტატისტიკური მოდელი, რომელსაც ვარგებთ ინდივიდებისგან მიღებულ მონაცემებს და ვამოწმებთ, იკვეთება თუ არა საკმარისი რეგულარულობა იმისათვის, რომ ამ ინდივიდების საერთო კულტურული მოდელის შესახებ დასკვნის[55] გამოტანა შევძლოთ. როგორც ვხედავთ, კონსენსუსის ანალიზის მეთოდმა ფაქტობრივად კულტურის

---

[54] სტატისტიკური მოდელი მხოლოდ აბსტრაქტული, რაოდენობრივი ინსტრუმენტია, რომელშიც მონაცემებს ვათავსებთ იმისათვის, რომ მათი ნათლად ორგანიზება შევძლოთ. გარდა ამისა, სტატისტიკური მოდელი გვეხმარება მონაცემების ინტერპრეტაციისას თვალსაწიერის გაფართოებაში (Dressler, 2018).

[55] დრესლერი დამატებით განმარტავს, რომ, რა თქმა უნდა, კონსენსუსის მოდელი არაა იგივე, რაც კულტურული მოდელი. ჩვენ არ შეგვიძლია კულტურული მოდელის „დანახვა“.რასაც ჩვენ ვხედავთ, არის მხოლოდ ხალხის აქტივობა, იქნება ეს კითხვარის შეკითხვებზე პასუხების გაცემა თუ დახარისხების ამოცანის შესრულება. მათი აქტივობების აღნუსხვით და შესაბამისი დამუშავებით ვასკვნით, რომ ამ აქტივობების უკან კონკრეტული კულტურული მოდელი დგას.

ოპერაციული განსაზღვრება გახადა შესაძლებელი, რომლის გარეშეც ის ბუნდოვანი და კვლევისთვის გამოუყენებელ ცნებად დარჩებოდა (Bennardo & Munck, 2014).

კულტურული კონსენსუსის მეთოდის არსის გასაგებად მნიშვნელოვანია ყურადღება გავამახვილოთ მის შემდეგ ინოვაციურ ასპექტზე: ტრადიციულად მონაცემთა ანალიზისას აქცენტი კეთდება სტატისტიკურად სანდო *სხვაობებზე* (მაგალითად, განსხვავდებიან თუ არა ქალები და კაცები კონკრეტულ შეკითხვაზე პასუხების მიხედვით). ამისგან განსხვავებით, კონსენსუსის ანალიზი ავლენს რესპონდენტებს შორის *მსგავსებებს* დებულებებზე მათი პასუხების პროფილის მიხედვით. ის გვაძლევს საშუალებას გარკვეული დარწმუნებულობით დავასკვნათ, რომ: 1) რესპონდენტებს შორის არსებობს თანხმობა, რაც ერთი და იმავე კულტურის წევრობითაა განსაზღვრული 2) კულტურული კონსენსუსის მოდელზე დაყრდნობით შესაძლებელი ხდება ინდივიდის ე.წ. „კულტურული კომპეტენციის“ ანუ გაზიარებული კულტურული მოდელის შესახებ ცოდნის ფლობის ხარისხის დადგენა 3) კონსენსუსის ანალიზის შედეგად ვიღებთ „სწორი პასუხების ფურცელსაც“, რომელშიც მოცემულია კულტურულად ნორმატიული პასუხი თითოეულ შეკითხვაზე (Weller, 2007; Bennardo & Munck, 2014; Dressler, 2018). თითოეულ პუნქტზე ჩვენი კვლევის მონაცემების მაგალითზე დეტალურად ვისაუბრებთ ნაშრომის ემპირიულ ნაწილში.

ახლა კი, წინა ქვეთავებში განხილულ თეორიულ პრობლემებს დავუბრუნდებით იმის საჩვენებლად, თუ რა როლი შეასრულა კულტურული კონსენსუსის მოდელმა მათ გადააზრებაში.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ედუარდ სეპირი არ ეთანხმებოდა ალფრედ კროებერის ხედვას და სოციალური ცხოვრების განმეორებადი და დროში სტაბილური პატერნების მოაზრების შესაძლებლობას ახალი რეალობის (ე.წ სუპერორგანული) დაშვების გარეშეც ხედავდა (Dressler, 2018). სეპირის ეს პოზიცია მხოლოდ იდეის დონეზე დარჩებოდა, რომ არა კულტურული კონსენსუსის მოდელი, რომელიც გაზიარებული, ანუ კულტურული განზომილების არსებობას ემპირიულად ადასტურებს[56]. აღნიშნულმა მოდელმა

[56] იდეა სტაბილური პატერნების ინდივიდუალური ვარიაციების შესახებ ასევე სეპირს ეკუთვნის.

კლიფორდ გირცის „სიმბოლური წესრიგის“ ცნების ირგვლივ არსებული ბუნდოვანებაც გაფანტა. გირცი ხაზს უსვამდა, რომ სიმბოლური წესრიგი ობიექტური სიმბოლოების სახით ინდივიდის ფსიქიკაში კი არ არსებობს, არამედ „ფსიქიკებს შორის“ (between minds). კონსენსუსის მოდელით ემპირიულად დასტურდება, რომ „ფსიქიკებს შორის“ ნამდვილად არსებობს კულტურა და მას კულტურული კონსენსუსი ეწოდება (Dressler, 2018).

აღნიშნული მოდელის ფარგლებში ცოდნა ექსკლუზიურად ინდივიდის მახასიათებლად არ ითვლება. ის ინდივიდების ერთობლიობის მახასიათებელია, რადგან ინდივიდის ფსიქიკაში განთავსებული ცოდნა სხვა ინდივიდების ცოდნას უკავშირდება. ამასთან დაკავშირებით, როგორც დრესლერი (2018) აღნიშნავს, შესაძლებელია კულტურული კონსენსუსის ავტორების მიმართ კითხვა გაჩნდეს, განსაკუთრებით სოციალური ფსიქოლოგების მხრიდან: *„და მერე რა? ამით თქვენ მხოლოდ ასაშუალოებთ ინდივიდების ცოდნას და გადიხართ ერთობლიობის აღწერაზე. გასაშუალოებით მხოლოდ ინდივიდებისგან აბსტრაჰირებას ახდენთ და რეალურად კულტურის ადგილსამყოფლად მაინც ინდივიდი რჩება.“* დრესლერის (2018) აზრით, მნიშვნელოვანია ამ შეკითხვის ავტორებმა შემდეგ საკვანძო ნიუანსს მიაქციონ ყურადღება: როცა კონსენსუსის მოდელი ცდილობს გაზომოს, რა იცის ხალხმა კოლექტიურად, ის ინდივიდუალური ცოდნების გასაშუალოებას კი არ მიმართავს, არამედ გვიჩვენებს, რომ კონკრეტულ შემთხვევაში ზოგიერთ ინდივიდს უფრო მეტი წვლილი შეაქვს გაერთიანებული ცოდნის სტრუქტურაში, ვიდრე სხვებს. ანუ გამთლიანებული მოდელი ინდივიდების საშუალოს კი არ წარმოადგენს, არამედ *შეწონილ საშუალოს* - მეტი წონა ენიჭება იმ ინდივიდებს, რომელსაც მეტი კულტურული ცოდნა აქვთ. საიდან ვიცით რომ მათ აქვთ მეტი კულტურული ცოდნა? იქიდან, რომ მათი ცოდნა ყველაზე მაღალ კორელაციაშია დანარჩენების ცოდნასთან (სხვა სიტყვებით, მათ ყველაზე დიდი ცოდნა აქვთ იმის შესახებ, თუ რა ცოდნა აქვთ დანარჩენებს).

საბოლოოდ, თუ ვუშვებთ და შემდეგ ემპირიულად ვადასტურებთ, რომ მენტალური მოდელი გაზიარებულია, მხოლოდ ამ შემთხვევაში შეგვიძლია დავასკვნათ, რომ

აღნიშნული მოდელი კულტურული მოდელია (Bennardo & Munck, 2014). ამის შესაძლებლობას კი კულტურული კონსენსუსის ანალიზი გვაძლევს. ის გვეხმარება გამოვავლინოთ ფართოდ გაზიარებული, სუსტად გაზიარებული და საკამათო კულტურული მოდელებიც კი. მაგრამ კულტურული კონსენსუსის მოდელით შეუძლებელია განვსაზღვროთ, ყოველდღიურ ცხოვრებაში რამდენად იქცევიან კონკრეტული მოდელის შესაბამისად ან სჯერათ იმისა, რაც გაზიარებულ კულტურულ მოდელებშია კოდირებული (Dressler, 2018). სწორედ ამ ამოცანის გადასაწყვეტად შეიქმნა კულტურული კონსონანსის მოდელი.

3.3. კულტურული კონსონანსი

როგორც ზემოთ აღინიშნა, კულტურული კონსენსუსის მოდელზე დაყრდნობით შესაძლებელი ხდება ადამიანის ე.წ. „კულტურული კომპეტენციის“, ანუ გაზიარებული კულტურული მოდელის შესახებ *ცოდნის* ფლობის ხარისხის დადგენა. მაგრამ ინდივიდები ერთმანეთისგან არა მხოლოდ კულტურული კომპეტენციით განსხვავდებიან, არამედ ყოველდღიურ ცხოვრებისეულ პრაქტიკაში კონკრეტული კულტურული ცოდნის რეალიზების ხარისხითაც. ამ პრობლემამ ბიძგი მისცა ***კულტურული კონსონანსის*** თეორიის აღმოცენებას.

კულტურული კონსონანსის კონსტრუქტით შესაძლებელი გახდა გაზიარებული, ანუ კულტურული ცოდნისა და ინდივიდის რწმენების/ქცევის ერთმანეთისგან დიფერენცირება. მართალია, გაზიარებული ცოდნის დიდი ნაწილი ინდივიდის ფსიქიკაში არსებობს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ის ავტომატურად ითარგმნება ინდივიდის რწმენასა თუ ქცევაში (Dressler, 2018). აღნიშნული იდეა სიახლეს არ წარმოადგენს, ის 1987 წელს მელფორდ სპიროს მიერ ინტერნალიზაციის თეორიაშიცაა გაჟღერებული. სპიროს აზრით, ცოდნის შეძენა მხოლოდ საწყისი დონეა და ინტერნალიზაცია ამ ცოდნის ემოციურ-მოტივაციურ სფეროებთან დაკავშირებას გულისხმობს, რაც მას ქცევის აღძვრის უნარს ანიჭებს[57] (Quinn, 2018).

[57] ამ იდეას ვხვდებით განწყობის ზოგადფსიქოლოგიური თეორიის დამუშავების თანამედროვე მიმართულებებშიც. (ნადარეიშვილი, 2020). ინტერნალიზაციის შესახებ უფრო ვრცლად იხილეთ სამაგისტრო ნაშრომი (ჩხაიძე, 2015)

როგორც არაერთხელ აღინიშნა, კულტურის თანამედროვე ფსიქოანთროპოლოგიური თეორიის თანახმად, კულტურული რეალობა ნამდვილად არსებობს და შეუძლებელია ის მხოლოდ ინდივიდის აზრებსა და ემოციებზე დავიყვანოთ. ამავდროულად, ამავე თეორიის თანახმად, კულტურა ინდივიდშიც არსებობს და ინდივიდების მიერ მოდიფიცირდება. ინდივიდი წარმოდგენილია, როგორც ინდივიდუალური აგენტობის (თვითაქტივობის უნარის) მქონე არსება, რომელიც ქმნის თავის ცხოვრებისეულ გამოცდილებას კოლექტიურ კულტურასთან მუდმივ ინტერაქციაში (Dressler, 2018). სწორედ ამ ვითარების კონცეპტუალიზაციას წარმოადგენს კულტურული კონსონანსის თეორია, რომელიც ახალი მეტაფიზიკური რეალობის (მაგალითად, ალფრედ კროებერის სუპეროგანული) დაშვების გარეშე ამთლიანებს ინდივიდისეულ და კოლექტიურ კულტურას. არსობრივად, ეს თეორია კულტურული მოდელებისა და კულტურული კონსენსუსის თეორიული ხედვების ლოგიკური გაგრძელებაა.

მაგრამ, კულტურული კონსონანსის თეორიის ღირებულება მხოლოდ ამით არ შემოიფარგლება - ის, იმავდროულად, ნაყოფიერი ემპირიული კვლევის შესაძლებლობასაც იძლევა, რაც ეტაპობრივად ხორციელდება.

პირველი ეტაპია კულტურული მოდელის შემადგენელი დებულებების გამოვლენა, იქნება ეს ლინგვისტური თუ ექსპერიმენტული მეთოდებით. შემდეგ ეტაპზე კულტურული კონსენსუსის მეთოდით დგინდება გაზიარებულობის ხარისხი, მომდევნო ეტაპზე კი იქმნება კულტურული კონსონანსის საზომი ინსტრუმენტი: ინფორმანტი კულტურაში გაზიარებულ დებულებებზე თანხმობის ხარისხს ლიკერტის სკალაზე აფასებს, რის შედეგადაც შესაძლებელი ხდება კულტურული კონსონანსის დონის დადგენა. სხვა სიტყვებით, იმის განსაზღვრა, *თუ რამდენად ახლოსაა ერთმანეთთან ინდივიდის საკუთარი და კულტურულ მოდელში კოდირებული პროტოტიპული რწმენები/ქცევები.*

ამგვარად, „კულტურული მოდელის გამოვლენა → კულტურული კონსენსუსის ანალიზით მისი ვერიფიკაცია → კულტურული კონსონანსის დონის დადგენა“ ერთმანეთის ლოგიკურ გაგრძელებას წარმოადგენს როგორც თეორიულ, ისე ემპირიულ დონეზე. უნდა აღინიშნოს, რომ ამ სქემის ამოქმედებაში უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება სფეროს (Cultural Domain) შერჩევას, რომლის კულტურული მოდელის გამოვლენაც სურს მკვლევარს. წინამდებარე ნაშრომის თეორიულ ნაწილს სწორედ კულტურული სფეროს (Cultural Domain) ტერმინზე საუბრით დავასრულებთ, გამომდინარე იქიდან, რომ მას კულტურის თეორიის ისეთი ხანიერი პრობლემის განხილვამდე მივყავართ, როგორიცაა კულტურის კოჰერენტულობის პრობლემა.

3.4. კულტურული სფერო (Cultural Domain) და კულტურის კოჰერენტულობის პრობლემა

„ცოდნა, რომელიც გჭირდება იმისათვის, რომ მოიქცე საზოგადოების ტიპური წევრის შესაფერისად“ - 1956 წელს გუდენაფის მიერ შემუშავებული კოგნიტური პერსპექტივის წარმომადგენლებს შორის კულტურის ერთ-ერთი ყველაზე ხშირად ციტირებადი დეფინიციაა (Blount, 2011; Bennardo & Munck, 2014; Dressler, 2018). გუდენაფის დეფინიცია არა მარტო იმითაა გამორჩეული, რომ კულტურის *კოგნიტურ* დეფინიციას წარმოადგენს, არამედ იმითაც, რომ მან რადიკალურად შეცვალა კულტურის კოჰერენტულობის შესახებ ხედვა: ის გლობალურიდან ლოკალურზე, მაკრო-დონიდან მიკრო-დონეზე დაიყვანა (Bennardo & Munck, 2014). დეფინიციის თანახმად, კულტურა სხვა არაფერია, თუ არა კონკრეტულ *მიკროკონტექსტში* რელევანტური ქცევისთვის საჭირო ცოდნა. ეს გულისხმობს იმას, რომ შეუძლებელია არსებობდეს ისეთი ცოდნა, რომელიც მრავალ კონტექსტს ერთდროულად მიემართება. *„სკოლის ხალხმრავალ კორიდორში გადაადგილებისთვის საჭირო „კულტურა“ ვერ იქნება იგივე, რაც ჯარისკაცისთვის ომში ან ოჯახთან ერთად პიკნიკზე წასვლისათვის საჭირო „კულტურაა“* - აღნიშნავენ ბენარდო და დემანკი (2014, p. 23). შესაბამისად, არასწორია გაგება, რომ არსებობს რაღაც ერთიანი საბურველი კულტურისა - გაზიარებული რწმენები, განცდები, დაშვებები - რომელიც პოპულაციის ყველა წევრს აქვს და იყენებს მას მრავალი მიკროკონტექსტის ფარგლებში.

ამგვარად, თანამედროვე ფსიქოანთროპოლოგია კულტურას ინტეგრირებულ მთელად კი არ განიხილავს, არამედ სხვადასხვა *კულტურული სფეროს (cultural domain)* შესატყვისი კულტურული მოდელების ერთობლიობად (Dressler, Borges, Balieiro, Dos Santos, 2005). მაგალითად, გამოვლენილია ამერიკული ქორწინების, ავადმყოფობის, გონების, რომანტიკული სიყვარულის, ამერიკული საზოგადოების და ა.შ. მოდელები (Gatewood, 2011).

კულტურის კულტურულ სფეროზე დაყვანის იდეა კულტურული კონსენსუსის მოდელმაც გაამყარა, „ზომავს რა კულტურას" კონკრეტული კულტურული სფეროს ფარგლებში. დებულებებზე თანხმობის საერთო პატერნის გამოვლენისთვის კულტურული კონსენსუსის, როგორც სტატისტიკური მოდელის, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი დაშვებაა, რომ აღნიშნული დებულებები ცოდნის ერთ სფეროს ეკუთვნოდეს. გამოდის, რომ კულტურული კონსენსუსი[58] კულტურის კოჰერენტულობას ზომავს ერთი კულტურული მოდელის ფარგლებში, თუმცა, რას გვეუბნება ერთი სფეროს ფარგლებში გამოვლენილი მაღალი კოჰერენტულობა სხვა სფეროების შესახებ? შეკითხვა მაკრო-დონეზე კულტურის კოჰერენტულობის შესახებ ღია რჩება (Bennardo & Munck, 2014).

კულტურული მოდელების სკოლის წარმომადგენლების აზრით, მცდარია შეხედულება, რომ გაზიარებული კულტურა *მხოლოდ დროსა და სივრცეში თანაარს საზოგადოებებს* აქვთ. ხაზგასმულია, რომ შესაძლოა გამოცდილებებს გარკვეული ხარისხით ვიზიარებდეთ იმ ინდივიდებთანაც, რომლებიც ძალიან შორს ცხოვრობენ ჩვენგან, თუმცა იმავე საქმიანობით არიან დაკავებული, რითაც ჩვენ (იმავე მუსიკას უსმენენ, რასაც ჩვენ, ან უყურებენ იმავე სატელევიზიო გადაცემებს), ან ისეთივე განათლება აქვთ მიღებული, როგორიც ჩვენ და ა.შ. ამგვარად, თითოეული პიროვნება გარკვეული ხარისხით ურთიერთგადამფარავი, უსასრულოდ ბევრი კულტურის შეერთების წერტილად/კვანძად განიხილება (Strauss, & Quinn, 1997).

---

[58] დამატებით კონსენსუსის მოდელი კულტურული სფეროს/მიკროკონტექსტის ფარგლებში ვარიაციის მოხელთების საშუალებასაც გვაძლევს, რაც მიკროკონტექსტის სუბკულტურული გაგების ანალიზის თვალსაზრისითაა საინტერესო.

ჩვენი აზრით, კულტურის თეორიაში მნიშვნელოვანი ნაბიჯია ისეთი კულტურული მოდელების კონცეპტუალიზაციაც, რომელიც მხოლოდ დროსა და სივრცეში თანაარსი საზოგადოების ფარგლებში არაა გაზიარებული (განსაკუთრებით გლობალიზაციის ეპოქაში. თუმცა, არა მარტო, რაზეც ზემოთაც ვისაუბრეთ). აღნიშნული კონცეპტუალიზაციით თანამედროვე ფსიქოანთროპოლოგიამ უარყო კულტურის როგორც ლინგვისტური, ეთნიკური თუ ნაციონალური საზღვრებით შემოსაზღვრული, ჰომოგენური მთელის იდეა. თუმცა, ჩნდება კითხვა: კულტურის ჰომოგენურ მთელად უზრუნველმყოფელი კოჰერენტულობის გამორიცხვის შემდეგ არ რჩება კი რაღაცა დონის კოჰერენტულობა, რომელიც კულტურის შემსწავლელთა კვლევის საგანს უნდა წარმოადგენდეს? როგორც სიველი (2005) აღნიშნავს, შესაძლოა კოჰერენტული კულტურის იდეა ილუზორულია, კონკრეტულ პოპულაციაში ლოკალურ მნიშვნელობათა სისტემები „უფრო მაღალი, საზოგადოების დონის მნიშვნელობათა სისტემას“ არ ქმნის, თუმცა კოჰერენტულობის სრული გამორიცხვა, მისი აზრით, ნაჩქარევია. მართალია, რომ დღეს შეუძლებელია სამყარო დავყოთ ერთმანეთისგან განცალკევებულ „საზოგადოებებად“ მისი შესაბამისი და კარგად ინტეგრირებული „კულტურებით“, თუმცა კულტურის ცნება მაინც უნდა შევინარჩუნოთო, აღნიშნავს ის. რატომ? სიველის აზრით, იმიტომ, რომ სხვადასხვა ადგილისა და დროის მნიშვნელობათა სისტემებში თვალშისაცემია გარკვეული ორგანიზებულობისა და კონსისტენტურობის არსებობა. კონფლიქტების და წინააღმდეგობის მიუხედავად, მნიშვნელობათა სისტემები ერთმანეთთან კავშირს ინარჩუნებენ. კულტურის ანალიტიკოსების ამოცანა კი ლოკალურ მნიშვნელობებში სწორედ აღნიშნული ორგანიზებულობისა და კონსისტენტურობის იდენტიფიცირება და შემდეგ იმის განსაზღვრაა, თუ როგორ, რატომ და რა ხარისხით არიან ისინი ერთმანეთთან ბმაში - აღნიშნავს სიველი (2005).

შეიძლება ითქვას, რომ კულტურული მოდელების სკოლაში სწორედ ამ მიმართულებით მიმდინარეობს აღნიშნული საკითხის დამუშავება. ის უარყოფს კულტურის ჰომოგენურ მთელად განხილვას, მაგრამ, ამავდროულად ყურადღებას ამახვილებს იმაზეც, რომ

კულტურისთვის დამახასიათებელია კულტურული მრავალფეროვნების/ვარიაციის საწინააღმდეგო ტენდენცია - *თემატიზაცია (thematicity).* ზოგიერთი კულტურული მოდელი კონტექსტთა ფართო არეალში აქტიურდება. შესაბამისად, იკვეთება, რომ ასეთი მოდელებისთვის არსებობს რაღაც საერთო კულტურული თემა, რომელიც გამჭოლად გასდევს თითოეულ მათგანს და სწორედ ამ გაგებით შეგვიძლია ვისაუბროთ მათ თემატიზებულობაზე[59]. მაგალითად, ქვინმა ქორწინების კულტურული მოდელის

[59] ამ მახასიათებელზე ქვინი და სტრაუსი ვრცლად 1997 წელს გამოცემულ წიგნში „კულტურული მნიშვნელობების კოგნიტური თეორია"/"A cognitive theory of cultural meaning" საუბრობენ. 2018 წელს კი წიგნში „კულტურის თეორიის განვითარება ფსიქოლოგიურ ანთროპოლოგიაში/ Advances in Culture Theory from Psychological Anthropology" ქვინი კიდევ ერთხელ უბრუნდება აღნიშნულ საკითხს და განხილვისას ამავე წიგნში შესულ როი დანდრადეს უკანასკნელ სამეცნიერო ნაშრომს ეყრდნობა.

დანდრადე მიკრო-დონის, ანუ მისი სიტყვებით, კულტურაში კულტურების აღსაწერად ფენომენოლოგ, ალფრედ შულცსა და იურგენ ჰაბერმასისგან ტერმინს -ცხოვრებისეული სამყარო (lifeworld) სესხულობს, თუმცა, აღნიშნავს, რომ მისი გაგება მცირედით განსხვავდება ორიგინალი ვერსიისგან. ის ცხოვრებისეულ სამყაროს შემდეგნაირად განმარტავს: *„კოლექტივად აღიარებულ ერთობლიობაში ინტერსუბიექტურად გაზიარებული,* ურთიერთდაკავშირებული *ღირებულებების, პრაქტიკების, ნორმების, სანქციების, ინსტიტუტებისა და რეპრეზენტაციების კომპლექსი* (D'Andrade, 2018). რა თქმა უნდა, ამ ცნების დეტალური განხილვა წინამდებარე ნაშრომის მიზანს არ წარმოადგენს, ჩვენ მას, ქვინის კვალდაკვალ, მხოლოდ კულტურის კოჰერენტულობის პრობლემის კონტექსტში დავეყრდნობით.

ქვინი აღნიშნავს, რომ დანდრადეს მიერ შემოტანილი ცხოვრებისეული სამყაროს ცნება, კულტურის არაჰომოგენურობის თეორიული კონცეპტუალიზაციის პერსპექტიულ მიდგომას გვთავაზობს. კულტურული მრავალფეროვნება, როგორც ინტერინდივიდუალური, ისე ინტრაინდივიდუალური სხვაობები, იხსნება სწორედ იმ განსხვავებული ცხოვრებისეული სამყაროებით, რომელშიც მონაწილეობენ ინდივიდები. ნიშანდობლივია, რომ თითოეული პიროვნება მონაწილეობს არა ერთ ან ორ ცხოვრებისეულ სამყაროში, არამედ რამდენიმეში. კომპლექსურ საზოგადოებებში კი, ტომობრივი საზოგადოებებისგან განსხვავებით, მათი რიცხვი საკმაოდ დიდ ნიშნულს აღწევს. მაგალითად, ამაზონის დაბლობიდან ინდიელების ტომი, მაჩიგენგა, ოჯახზე დაფუძნებული საზოგადოებაა, რომელსაც ინსტიტუციონალიზებული პოლიტიკურ-რელიგიური ლიდერიც კი არ ჰყავს. დანდრადეს (2018) აზრით, მაჩიგენგას ტომისთვის სავარაუდოდ ოჯახი ერთადერთ მნიშვნელოვან ცხოვრებისეულ სამყაროს წარმოადგენს მაშინ, როცა ამერიკულ საზოგადოებაში იმდენი ცხოვრებისეული სამყარო არსებობს (ბიზნესის სამყარო, შეიარაღებული ძალების სამყარო, სამართლებრივი სამყარო, განათლების სამყარო და ა.შ.), რომ შეუძლებელიც კია ყველა მათგანის აღწერა. მათი ეთნოგრაფიული აღწერა ათასობით გვერდს შეავსებსო, აღნიშნავს დანდრადე.

ქვინის აზრით, ცხოვრებისეული სამყაროს ცნებით, კულტურის არაჰომოგენურობასთან ერთად, კულტურული მრავალფეროვნების/ვარიაციის საწინააღმდეგო ისეთი თავისებურების ახსნაცაა შესაძლებელი, როგორიცაა კულტურის თემატიზებულობა. ხშირად ცხოვრებისეული სამყარო უფრო ზოგად თემას ეფუძნება, რომელიც, ამავდროულად, სხვა ცხოვრებისეული სამყაროების წყაროსაც წარმოადგენს, ანუ ცხოვრებისეული სამყარო შესაძლოა სხვა ცხოვრებისეულ სამყაროებთან კომპონენტებს იზიარებდეს. ცხადია ჩნდება კითხვა: რამ განაპირობა ცხოვრებისეული სამყაროებს შორის კომპონენტების გაზიარებულობა? ქვინი ორ ვერსიას განიხილავს. პირველს შეკითხვის სახით აყალიბებს: ხომ შესაძლებელია, რომ ოდესღაც ეს ცხოვრებისეული სამყაროები ერთი იყო და შემდეგ გაიყო? თუმცა, იქვე დასძენს, რომ ამ პროცესის რეკონსტრუირება ძალიან რთული იქნებაო. მეორე ვერსიად დანდრადეს იდეას გვთავაზობს - ცხოვრებისეულ სამყაროებში შეინიშნება ერთმანეთის კოლონიზაციის ტენდენცია. ამ შემთხვევაში ერთი ცხოვრებისეული სამყაროს კომპონენტებით „იჟღინთება" მეორე ცხოვრებისეული სამყარო. მარტივი გასაგები რომ იყოს, დანდრადეს ცნობილი მაგალითი შეგვიძლია მოვიყვანოთ: ბიზნესის ცხოვრებისეული სამყაროს მიერ აკადემიური ცხოვრებისეული სამყაროს კოლონიზება - როცა უნივერსიტეტი იწყებს მოქმედებას ისე, როგორც ბიზნესი, ანუ როცა აკადემიური განვითარების ნაცვლად, ფინანსურ მოგებაზეა ორიენტირებული. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ კოლონიზაციამ შეიძლება იმოქმედოს ინდივიდთა მხოლოდ ნაწილზე, ხოლო ნაწილი არ მიესალმებოდეს მას და, პირიქით, წინააღმდეგობა გაუწიოს (D'Aandrade, 2018).

შესწავლისას ქორწინებაში აღმოცენებულ სირთულეებზე და მათი გამკლავების გზებზე დისკურსებიდან სირთულეებთან გამკლავების *ზოგადი ამერიკული სტრატეგიის* იდენტიფიცირება შეძლო. ესაა სირთულის გადალახვა საკუთარი ძალისხმევით (Quinn, 2018).

ბრედ შორთან (1996) აღნიშნული იდეა ფუნდამენტური სქემის ცნებითაა გამოხატული. როგორც შორი აღნიშნავს, ასეთი სქემა ფუნქციონირებს, როგორც შაბლონი[60], საერთო საფუძვლადმდებარე ფორმა, რომელიც, ერთი შეხედვით, განსხვავებულ კულტურულ მოდელებს ერთმანეთთან აკავშირებს და ქმნის კულტურისთვის დამახასიათებელი „სტილისა“ თუ „ეთოსის“ ზოგჯერ ენით გამოუთქმელ შთაბეჭდილებას (Shore, 1996).

თემატიზაციაზე საუბრის კვალდაკვალ ქვინი (2018) ხაზგასმით აღნიშნავს, რომ რაც არ უნდა ფართოდ იყოს გავრცელებული კულტურული თემა, მაინც არ ხდება საჭირო იმის დაშვება, რომ კულტურა კოჰერენტული/ჰომოგენური მოცემულობაა. ამის ხაზგასმა თანამედროვე ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიისთვის მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ თავიდან აირიდოს მცდარი შეფასებები. არსებობს საფრთხე, მავანთ მოეჩვენოთ, რომ ის იზიარებს მისი წინაპარი ვერსიის - „პიროვნება და კულტურა“[61] - ხედვას კულტურის შემოსაზღვრულობისა და ჰომოგენურობის შესახებ. კულტურული მოდელების სკოლის

---

[60] ამერიკული საზოგადოებისთვის ასეთ ფუნდამენტურ სქემად შორი (1996) მოდულარობის სქემას განიხილავს. მოდულარობა პროექტირების სტრატეგიაა, რომელიც მთელს ელემენტებად ყოფს და მათი რეკომბინაციით განსხვავებული პატერნების მთელ მრავალფეროვნებას იღებს. რეალობის მიმართ მოდულარული ორიენტაცია ფენომენებს აღიქვამს, როგორც ნაკრებს, დაშლის და რეკომბინაციის ობიექტს. ამ შემთხვევაში მაღალი ღირებულება ენიჭება ისეთ თვისებებს, როგორიცაა ფლექსიბილურობა, ეფექტურობა და კონტროლი. შორი (1996) დეტალურად განიხილავს მოდალურობის ფუნდამენტურ სქემას ტრანსფორმაციული ავეჯის, სავაჭრო მოლების, ჰამბურგერის ტექნოლოგიის, კორპორაციების, განათლების რეფორმის მაგალითზე (მეცხრამეტე საუკუნის ამერიკაში უმაღლესი განათლების კურიკულუმის შეცვლაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ბრაუნის უნივერსიტეტის პრეზიდენტმა, ფრანსიზ ვეილენდმა და ჩარლზ უილიამ ელიოტმა, რომელიც ჰარვარდის საგანამანათლებლო სქემის ამერიკანიზაციას ხელმძღვანელობდა. ვეილენდმა ევროპული ფიქსირებული კურიკულუმი ასარჩევი კურსებით ჩაანაცვლა, რის შედეგადაც სტუდენტებს კურიკულუმის ინდივიდუალური დაპროექტების შესაძლებლობა მიეცათ (Shore, 1996) .

[61] აღნიშნული სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენელი, რუთ ბენედიქტი ნაშრომში "კულტურის პატერნები" (1934) აყალიბებს "კულტურული ეთოსის" კონცეფციას: კულტურა მოიაზრება პიროვნების ფსიქოლოგიური წყობით გამთლიანებულ წარმონაქმნად. პიროვნება საზოგადოების კულტურაა და მისი შესწავლა შესაძლებელია საერთო კულტურული „თემით“ - ეთოსით გამთლიანებული შიდაკულტურული ელემენტების უნიკალური კონფიგურაციის შესწავლით (ჩუბინიძე, 2018)

წარმომადგენლების აზრით კი, როგორც ინდივიდის ფსიქიკისთვის, ისე საზოგადოებრივი სამყაროსთვის დამახასიათებელია ინკონსისტენტურობა (Strauss, & Quinn, 1997). არ არის აუცილებელი, რომ კულტურული თემა გავრცელებული იყოს. ხშირად ასე არც ხდება. თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, როცა საქმე გვაქვს ფართოდ გავრცელებულ კულტურულ თემასთან, კულტურა ჰომოგენურ მთელად მაინც არ გარდაიქმნება. ქვინის მეტაფორა რომ გამოვიყენოთ, ასეთი თემები კულტურას მხოლოდ სხვადასხვა ზომის, ფორმის და შეფერილობის ნაჭრებისგან შეკერილის იერს ანიჭებს. *„ეს არის ის სურათი, რომელიც მხარდაჭერილია კულტურული სქემის თეორიის მხრიდანო“* - მკაფიოდ განმარტავს ის (Quinn, 2018, p.294).

3.5. კულტურული სფეროს შერჩევა

ბუნებრივია, ფართოდ გავრცელებული კულტურული თემების იდენტიფიცირებამდე საჭიროა კულტურული მოდელების გამოვლენა. პირველი ეტაპი კი იმ კულტურული სფეროს შერჩევაა, რომლის კულტურული მოდელის გამოვლენა სურს მკვლევარს. როგორც წესი, საკვლევ სფეროდ ირჩევენ ყოველდღიური სოციალური ინტერაქციების აქტუალურ თემატიკას („რას ამბობს ხალხი“). ნავარაუდევია, რომ თუ ხალხი საუბრობს, ე.ი. მათთვის მნიშვნელოვანი თემაა. ცხადია, აგრეთვე არსებითი როლი ენიჭება საკვლევ ფენომენზე არსებულ თეორიულ ხედვებს, უკვე ჩატარებული კვლევებისა და სოციალურ კონტექსტზე ეთნოგრაფიული დაკვირვების მონაცემებს (Dressler, 2018).

ჩვენ ამ რეკომენდაციებზე დაყრდნობით საკვლევად შევარჩიეთ ისეთი კულტურული სფერო როგორიცაა **ფატალიზმი**.

რატომ არის მნიშვნელოვანი ფატალიზმის შესწავლა? ამის შესახებ მომდევნო თავში ვისაუბრებთ.

თავი IV

თავი IV: კულტურული სფერო - ფატალიზმი

4.1. ფატალიზმის განსხვავებული კულტურული გაგებები (Understandings)

შრომაში - „პროტესტანტული ეთიკა და კაპიტალიზმის სულისკვეთება“ - გერმანელი სოციოლოგი და პოლიტიკური ეკონომისტი, მაქს ვებერი ხაზს უსვამს წინასწარგანსაზღვრულობის რწმენის (პროტესტანტული ეთიკის, კერძოდ, კალვინიზმის ერთ–ერთი ძირითადი კონცეპტი) როლს თანამედროვე „ეკონომიკური ადამიანის“ ფორმირებაში. აღნიშნული რწმენის თანახმად, ღმერთმა წინასწარ შეარჩია ადამიანები, ვინც ხსნა დაიმსახურა. ხსნის, ანუ საკუთარი რჩეულობის ნიშანი კი მორწმუნეებისთვის კეთილსინდისიერი შრომით მოპოვებული წარმატებაა. ასეთი შრომით მოპოვებული ფული ცოდვად აღარ ითვლება (ჯგერენაია, 2016)[62]. როგორც ვხედავთ, ვებერი ეკონომიკურ ცვლილებებში მნიშვნელოვან როლს მსოფლმხედველობაში/გაგებაში ცვლილებებს აკისრებს. ის კაპიტალიზმის აღმოცენებას ევროპაში პროტესტანტიზმს უკავშირებს, ხოლო მის განუვითარებლობას, მაგალითად, ინდოეთში, ინდუისტური რელიგიისთვის დამახასიათებელ ფატალისტურ[63] გაგებას (Young, Morris, Burrus, Krishnan, & Regmi, 2011).

მაგრამ, ჩნდება კითხვა: აანალიზებდა თუ არა ვებერი გაგებებს/მსოფლმხედველობას ამა თუ იმ რელიგიის მიმდევრის თუ კულტურის წარმომადგენლის პოზიციიდან?[64] მაგალითად, ცნობილი გერმანელ-ამერიკელი ეკონომისტი, უილიამ კაპიც (1963) ინდურ სიღარიბეს ინდუისტურ ფატალიზმს უკავშირებს. თუმცა მისი შრომები ინდოელმა

---

[62] ჯგერენაია (2016). პროტესტანტული ეთიკა და კაპიტალიზმის სულისკვეთება. ლექსიკონ-ცნობარი სოციალურ მეცნიერებებში. http://dictionary.css.ge/content/protestant-ethic-and-spirit-capitalism

[63] ფატალიზმი, ლექსიკონური განმარტების თანახმად, წარმოადგენს რწმენას, რომ ყველა მოვლენა წინასწარგანსაზღვრულია და, შესაბამისად, გარდაუვალია (“Fatalism”, 2019).

[64] ეთნოცენტრიზმის შესახებ ნაშრომებში ხაზგასმულია, რომ ვებერი დასავლურ ხედვას ეყრდნობა. ის სელფს აღიქვამს, როგორც რაციონალურს და ინდივიდუალიზებულს. ამასთან, საზოგადოებასა და სოციალურ ურთიერთობებს სელფის მაკონსტრუირებლად კი არ განიხილავს, არამედ სელფთან დაპირისპირებულ მოცემულობად. მისი სოციოლოგია ბატონობის შესახებ მჭიდროდაა დაკავშირებული დასავლური სტილის მოდერნულობასთან. რელიგიის სოციოლოგები კი ვებერის შეხედულებებს ხშირად ეყრდნობიან, რასაც არადასავლური კულტურების შეზღუდულ და მიკერძოებულ გაგებამდე მივყავართ (Spickard, 1998, Matin-Asgari, 2004).

მეცნიერებმა გააკრიტიკეს. მათი აზრით, კაპი თეოლოგიური ტექსტების ზედაპირულ ინტერპრეტაციებს ეყრდნობა, რომელიც ბედისწერის შესახებ რწმენას პასიურობასთან აკავშირებს (Young, Morris, Burrus, Krishnan, & Regmi, 2011). როგორც ჩანს, ბედისწერის პასიურობასთან დაკავშირება ამ კონსტრუქტის კონკრეტული კულტურის ლინზიდან ხედვამ განაპირობა (ამ შემთხვევაში ვგულისხმობთ დასავლური სამყაროს წარმომადგენლის - კაპის ხედვას). ასეთი საფრთხე ნამდვილად არსებობს, როცა მკვლევარი მხოლოდ თეოლოგიური ტექსტების ანალიზს მიმართავს. საკმაოდ დიდხანს მიაჩნდათ მცდარად, რომ მსგავსი ტექსტებიდან პირდაპირ შეიძლება წავიკითხოთ ის, რაც ხალხის გონებაშია. სწორედ ამაზე მიუთითებს ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიის თვალსაჩინო წარმომადგენელი, მელფორდ სპირო (1987) თავის ცნობილ ფრაზაში: *„ნამდვილად უცნაური სპექტაკლია, როცა ანთროპოლოგები ფილოსოფიური სკოლების შეხედულებებსა და ხალხის რწმენებს/ქცევებს ერთმანეთთან აიგივებენ“* (p.194 cited in Purzycki & Holland, 2019).

ამავე საკითხს ეხმიანება ბარეტის და კეილის (1996) კვლევაც, რომელიც ადასტურებს, რომ ხალხის ყოველდღიური ფიქრები ცხოვრების განმსაზღვრელი უმაღლესი ძალების შესახებ ტექსტებში გადმოცემულ აბსტრაქტულ თეოლოგიას კი არ ასახავს, არამედ ფოლკლორულ რწმენებს. იმის ანალიზი, თეოლოგიურ თუ კულტურულ ტექსტებთან შეხებით როგორ ფორმირდება ხალხის გონებაში ფოლკლორული რწმენები, რომლებითაც ისინი ყოველდღიურ ცხოვრებაში ოპერირებენ, შესაბამის მიდგომას საჭიროებს.

ვფიქრობთ, ასეთ მიდგომას გვთავაზობს თანამედროვე ფსიქოლოგიური ანთროპოლოგია, რომელიც, როგორც არაერთხელ აღინიშნა, კულტურული პროდუქტებისა და ინდივიდუალური ფსიქოლოგიური პროცესების ერთიან თეორიაში მოქცევას ცდილობს (Bruner, 1996). ფსიქოლოგიური თეორიების ჩართვის აუცილებლობას განაპირობებს ამ ორი რეალობის ურთიერთქმედების კანონზომიერებათა შესწავლის აქტუალური ამოცანა, და მისი გადაჭრა უნდა ეფუძნებოდეს ორივე მათგანის სპეციფიკის გათვალისწინებას.

როგორც ვნახეთ, მაქს ვებერიდან დაწყებული ყოველთვის ძლიერი იყო ინტერესი ფატალისტური ტენდენციების კროსკულტურული შედარებების მიმართ. გარდა რაოდენობრივი სხვაობებისა (მაგალითად, აზიელი კანადელები უფრო ფატალისტები არიან, ვიდრე ევროპელი კანადალები), ფატალიზმის ფორმებს შორის თვისებრივი სხვაობებიც გამოვლინდა, მაგალითად, ქრისტიანული ფატალიზმი, აზიური ფატალიზმისგან განსხვავებით, უფრო მეტად აღმოჩნდა დაკავშირებული ღვთის დიდებასთან (Norenzayan & Lee, 2010). მსგავსი კვლევებიდან გამომდინარე, არ არის გასაკვირი, რომ რიგი ავტორებისა (Acevedo, 2005; D'Orlando, Ferrante, & Ruiu, 2011; Ruiu, 2012; Ruiu, 2013) ხაზს უსვამენ იმას, რომ ფატალისტური ტენდენციები ნაწილობრივ კულტურის მიერაა განსაზღვრული. თუმცა, ამ ავტორებისთვის მთავარ გამოწვევად *კულტურის ისეთი დეფინიციის შემოთავაზება რჩება, რომელიც კულტურასა და ფატალისტურ რწმენებს შორის კავშირის ნათელ სურათს წარმოაჩენს* (Ruiu, 2012).

ჩვენი აზრით, სწორედ ასეთ დეფინიციას გვთავაზობს თანამედროვე ფსიქოლოგიური ანთროპოლოგია, რომელზეც ზემოთ ვრცლად ვისაუბრეთ. ამ კონტექსტში მნიშვნელოვანია გავიხსენოთ შემდეგი ხაზგასმა: ე.წ. *ობიექტურ კულტურულ* პროდუქტებთან (ტექსტები, არტეფაქტები, ინსტიტუტები) შეხების საფუძველზე ფორმირდება მეტწილად იმპლიციტური, თავისთავად ნაგულისხმევი/ეჭვშეუტანელი დაშვებები, რომლებიც კოგნიტურ სქემებად ორგანიზდება *ფსიქიკაში.* ფატალისტური დაშვებები ამგვარი დაშვებების ერთ-ერთი ნაირსახეობა შეიძლება იყოს. ასეთი დაშვებები ინტერნალიზაციის პროცესის შედეგად ინდივიდის რწმენებსა და ქცევებში ითარგმნება. ამით დაძლეულია დიქოტომია კულტურა „გარეთ"/ კულტურა „შიგნით", რომლის გარეშეც კავშირი კულტურასა და ფატალისტურ (ანუ ინდივიდის) რწმენებს შორის კვლავაც ბუნდოვანი დარჩებოდა.

4.2. ფატალისტური რწმენების კავშირი კონსტრუქტთა ფართო წრესთან

მრავალი კვლევა აჩვენებს, რომ ფატალისტური რწმენები კავშირშია ეკონომიკურ კაპიტალთან, პოლიტიკურ აქტივობასა თუ ჯანმრთელობის სფეროსთან: დადგინდა, რომ ის დემოკრატიული ატიტუდების, საარჩევნო ქცევისა და პოლიტიკური პარტიის

წევრობის პრედიქტორს წარმოადგენს (Goodwin & Allen, 2006); ეკონომიკური მეცნიერება ფატალიზმს კაპიტალის დაბანდების ერთ-ერთ ხელშემშლელ ფაქტორად განიხილავს - ფულის ინვესტირებაში ფატალისტების თავშეკავება იმ რწმენას ეფუძნება, რომ ვერაფერს შეცვლიან (Bernard, Dercon, & Taffesse, 2011). დადასტურდა ფატალიზმის კავშირი ფულის შეგროვებასთან, პროფესიის არჩევასთან, ჯანმრთელობაზე ზრუნვასა და ბუნებრივი კატასტროფებისადმი მზაობასთანაც კი (Perilla et al.,2002; McClure, Allen and Walkey,1999, 2001; McClure et al., 2007); მხოლოდ ჯანმრთელობის ფსიქოლოგიის სფეროში და ისიც მხოლოდ ერთი ბაზის, PsycINFO, მონაცემების მიხედვით ფატალიზმთან დაკავშირებული კვლევების რაოდენობა წლითიწლობით მატულობს: აღმოჩნდა, რომ ტერმინის - „ფატალიზმი“ - გამოყენებით 1985-დან 1994-მდე 80 სტატია გამოქვეყნდა, 1995-დან 2004-მდე - 169, ხოლო 2005-დან 2014-მდე -334 (Esparza, Wiebe, & Quiñones, 2015).

როგორც ვხედავთ, ფატალიზმის შესწავლა, მისი კომპლექსურობიდან გამომდინარე, სხვადასხვა სამეცნიერო დარგის წარმომადგენელთა ფართო წრის ინტერესის საგანია. თუმცა, არ აქვს მნიშვნელობა, რომელი დარგის წარმომადგენელი იკვლევს მას. ვებერის და კაპის ნაშრომებიდან დაწყებული იკვეთება, რომ თავდაპირველად საჭიროა გაირკვეს, თუ როგორ არის ის გაგებული სხვადასხვა კულტურაში (Ruiu, 2013). თანამედროვე ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიის ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, ფატალიზმის შესწავლისას გასათვალისწინებელია ფატალიზმის განსხვავებული კულტურული მოდელების/სქემების არსებობა (Young, Morris, Burrus, Krishnan, & Regmi, 2011).

4.3. ფატალიზმი - კვლევის სტრატეგია

საქართველოში ჩვენ მხოლოდ ერთი კვლევა მოვიძიეთ ფატალიზმთან დაკავშირებული. კვლევა ეხება ოთხ პოსტსაბჭოთა ქვეყანაში (რუსეთი, საქართველო, უკრაინა და ბელორუსია) ფატალიზმის ზეგავლენას სოციალური მხარდაჭერის აღქმასა და ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე (Goodwin, Allen, Nizharadze, Emelyanova, Dedkova & Saenko, 2002). ამ კვლევამ ფატალისტური დამოკიდებულებების ყველაზე მაღალი დონე საქართველოში

გამოავლინა. ფატალიზმის შესაფასებლად გუდვინმა და მისმა კოლეგებმა დეიკის[65] (1992) ფატალისტური კულტურული ღირებულებების სკალა გამოიყენეს, თუმცა კვლევის შეზღუდვებში მკაფიოდ უსვამენ ხაზს, რომ საჭიროა კულტურულად უფრო რელევანტური ინსტრუმენტის შექმნა.

დღეს მკვლევართა მიერ სულ უფრო ხშირად აღინიშნება იმ უცხოური ინსტრუმენტების არაქმედითუნარიანობის ან უკმარისობის შესახებ, რომლებსაც ხშირად საკუთარი (ლოკალური კულტურის) ადეკვატური ინსტრუმენტების უქონლობის გამო მიმართავენ. კულტურის მკვლევართა ნაწილი ამ პრობლემიდან გამოსავალს კონკრეტული კულტურის შესწავლისას არა შემოტანილ, არამედ ადგილობრივ კონცეპტუალური და საინტერპრეტაციო მოდელებზე დაყრდნობაში ხედავს (სურმანიძე, 2001, 2010). აღნიშნული მიდგომა, *ემიკური*[66] მიდგომის სახელწოდებითაა ცნობილი. მის აღმოცენებას ნოყიერი ნიადაგი მოუმზადა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ სტანდარტიზებული კვლევის ინსტრუმენტების გამოყენების ბუმზე არადასავლელი მეცნიერების საპროტესტო რეაქციამ. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ფილიპინელი მკვლევრის დავიდ ჰოს (1988, 1998) ნაშრომები. მზა დასავლურ კონცეფციებზე ბრმა მიდევნებამ კონკრეტულ ლოკალურ კულტურათა არასწორი გაგება განაპირობა და ბუნებრივია აქტუალურობა შეიძინა აღნიშნული პრობლემიდან თავის დაღწევის გზებზე მსჯელობამ (სურმანიძე, 2010).

ფატალიზმის შესასწავლად თანამედროვე ფსიქოლოგიური ანთროპოლოგია გვთავაზობს არა მხოლოდ კომპლექსურ თეორიულ მიდგომებს, არამედ მნიშვნელოვან მეთოდოლოგიურ ხედვებსაც, სხვათა შორის, ემიკურ მიდგომასთან დაკავშირებითაც.

დრესლერის (2017) აღნიშვნით, „კულტურული მოდელების → კულტურული კონსენსუსის → კულტურული კონსონანსის“ მეთოდოლოგიური ჯაჭვი კულტურული

---

[65]Dake's (1992) Fatalistic Cultural Values scale

[66] „ემიკური“ – კვლევის კულტურულ-სპეციფიკური (შიდა, სუბიექტური) სტრატეგია. „ეტიკური“ – კვლევის უნივერსალისტური (გარე, ობიექტური) სტრატეგია. აღნიშნული ტერმინები ფონეტიკურის და ფონემიკურის ანალოგიით ლინგვისტმა კ. პაიკმა შექმნა. ფონეტიკა შეისწავლის იმ ბგერებს, რომლებიც ყველა ენაშია, ფონემიკა კი – ერთი ენისთვის სპეციფიკურ ბგერებს. მას შემდეგ ჰუმანიტარულ მეცნიერებებში ემიკური კულტურულ-სპეციფიკური, ხოლო ეტიკური უნივერსალისტური მიდგომის აღსანიშნად გამოიყენება (სურმანიძე, 2001)

კონსტრუქტივიზმის მიდგომის თვალსაჩინო მაგალითია (Dressler, 2017). ამ სქემის გამოყენებისას მკვლევარს, როგორც გარე დამკვირვებელს, წარმოდგენა არ აქვს, რა „იცის“ უცხო და ეგზოტიკურმა კულტურის წარმომადგენლებმა (მათ შორის, აშშ-ს სამხრეთში ამერიკული უნივერსიტეტის სტუდენტებმაც კი). მკვლევარი ინფორმანტებს თავზე არ ახვევს მის აზრებსა და დეფინიციებს. ეს არაა მისი მიზანი. ის მოქმედებს ანთროპოლოგიის ძირითადი დირექტივით: აღმოაჩინე ინფორმანტის გაგება. მკვლევრებს განსაზღვრული აქვთ, რა შეკითხვები/დებულებები უნდა დასვან ინფორმანტებთან, მაგრამ წარმოდგენა არ აქვთ, რომელია ამ შეკითხვებზე „სწორი“ (კულტურულად სწორი) პასუხი. როგორც კულტურული კონსენსუსის მოდელის ავტორები აღნიშნავენ, ესაა „ცოდნის ტესტი პასუხების ფურცლის გარეშე“(Romney, Weller & Batchelder, 1986).

კულტურული კონსენსუსით ვერიფიცირებული დებულებებით კი, როგორც აღინიშნა, იქმნება კულტურული კონსონანსის სკალა. ის სოციალურ მეცნიერებებში პოპულარული სტანდარტიზებული ეტიკური სკალებისგან იმით განსხვავდება, რომ იმ ტერმინებით და ფრაზებითაა ფორმულირებული, რომლებსაც თავად იყენებენ რესპონდენტები ამა თუ იმ კულტურულ სფეროზე (cultural domain) სასაუბროდ. აქედან გამომდინარე, დრესლერის აზრით, ფსიქოლოგიაში გამოყენებადი სტანდარტიზირებული სკალებისგან განსხვავებით, კულტურული კონსონანსის სკალებს მაღალი ***ემიკური ვალიდობა*** აქვთ (Dressler & Oths 2014). სოციალურ მეცნიერებებში ვალიდობის მრავალი სახეა ცნობილი: კონსტრუქტული, პრედიქტორული, კონვერგენტული, დისკრიმინანტული ვალიდობა და ა.შ. აღნიშნულ ჩამონათვალს ამდიდრებს ემიკური ვალიდობა, რომელიც ამოწმებს, თუ რამდენად ასახავს სკალის შემადგენელი ფრაზები რესპონდენტებისთვის გასაგებ/შინაარსით დატვირთულ კულტურულ რეალობას (Dengah, 2017).

ემიკური ვალიდობის უზრუნველყოფა ეთნოგრაფიული, ლინგვისტური და ექსპერიმენტული მეთოდებით მონაცემების მოკრების ეტაპიდან იწყება. ამ ეტაპზე ხდება სწორედ იმ სპეციფიკური ნიუანსების გათვალისწინება, რომლებიც თანამედროვე ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიის კულტურის თეორიის დაშვებებიდან გამომდინარეობს. მაგალითად, ლინგვისტური ანალიზისას მკვლევარმა მხედველობაში

უნდა მიიღოს არა მარტო ის, რაც რესპონდენტმა ილაპარაკა, არამედ ისიც, თუ რა იგულისხმა მან, რა დააკლო ნათქვამს იმისათვის, რომ ის გასაგები გაეხადა (Quinn, 2005). მოსაუბრეები საუბრისას ბევრ დაშვებას იმპლიციტურად ტოვებენ, იციან რა რომ მსმენელიც იზიარებს ამ დაშვებას და ავტომატურად შეძლებს მის გაგებას. მკვლევრის ამოცანა კი სწორედ იმპლიციტურის ექსპლიციტურად გარდაქმნაა (Strauss, 2005). როგორაა ეს შესაძლებელი?

სტრაუსის (2005) რეკომენდაციით, ამ შემთხვევაში სასარგებლო იქნება ალტერნატიული დაშვების/გაგების მოაზრება, რომელიც იმავე თემაზე მსჯელობისას შეიძლება ჰქონოდა რესპონდენტს. ამ ალტერნატივების მოაზრების საშუალებას მკვლევარს საკუთარი და რესპონდენტის კულტურული მოდელების შეპირისპირება აძლევს. თუმცა ეს იმ შემთხვევაში, როცა რესპონდენტი სხვა კულტურის ან სუბკულტურის წარმომადგენელია. ხოლო, თუ კვლევას თავისივე კულტურის წარმომადგენელთან ატარებს, კროსკულტურული[67] და ინტრაკულტურული სხვაობების შესახებ ცოდნა ამყოფებს ფხიზლად, შეამჩნიოს კოგნიტურ სქემებს შორის არსებული შესაძლო სხვაობები (Strauss, 2005).

ზემოხსენებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, კვლევის დაწყებამდე მიზანშეწონილად ჩავთვალეთ ფატალიზმის შესახებ არსებული თეორიული და ემპირიული (სხვადასხვა კულტურაში ფატალისტური შეხედულებების კვლევები) ნაშრომების საფუძვლიანი დამუშავება, რამაც ინტერვიუს გზამკვლევის ფორმირების გარდა, ინტერვიუს პროცესში დამაზუსტებელი შეკითხვების მრავალი მიმართულებით

ნიშანდობლივია, რომ კროსკულტურული შედარებები კულტურულ ანთროპოლოგიაში ათწლეულების წინ გამოვიდა მოდიდან და ანთროპოლოგიის მთავარ მიზნად ხანგრძლივი საველე სამუშაოების საფუძველზე მოპოვებული უნიკალური ეთნოგრაფიული და ისტორიული მონაცემების ინტერპრეტაცია გახდა. ამასთან დაკავშირებით განსხვავებული მოსაზრება აქვთ ფსიქოანთროპოლოგებს. სტატიაში -"ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიის დღის წესრიგი"- რობერტ ლევინი (1999) წარმოუდგენლად მიიჩნევს, რომ ანთროპოლოგიური ცოდნის საბოლოო მიზანი ეთნოგრაფიული აღწერა და ინტერპრეტაცია იყოს. მას შემდეგი კითხვები უჩნდება: რატომ არ შეგვიძლია აღნიშნული აღწერებიდან და ინტერპრეტაციებიდან კროსკულტურული სხვაობების ახსნაზე გავიდეთ? მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ უარვყავით ძველი კროსკულტურული მეთოდის ფორმალიზმი, არ რჩება კი შედარების ლეგიტიმური გზა? (levine, 1999). მისი აზრით, ფსიქოლოგიური ანთროპოლოგია დღეს არის ანთროპოლოგიის სწორედ ის სფერო, რომელიც დადებითად პასუხობს ამ შეკითხვებს და, შესაბამისად, ღია რჩება შედარებითი ანალიზის მიმართ. აღნიშნული მიდგომა კი ამ დარგის მთავარი მიზნის განხორციელებას ემსახურება: ანთროპოლოგია ხელახლა ააგოს როგორც მყარ ფსიქოლოგიურ, ისე კულტურულ საფუძვლებზე; ასევე, მსოფლიოს ყველა ნაწილიდან მიღებული მონაცემების საფუძველზე განაახლოს ფსიქოლოგიური მეცნიერება და ბიძგი მისცეს ისეთ კვლევებს, რომელიც შესასწავლი ფენომენების ღრმა გაგებასა და ბრძნული პოლიტიკების გატარებას დაუდებს სათავეს.

დასმის საშუალებაც მოგვცა და იმპლიციტურად ნაგულისხმევი გაგებების იდენტიფიცირებაშიც დაგვეხმარა.

რამდენადაც ჩვენ მოვიძიეთ, ფატალიზმი კულტურული მოდელების სკოლის მეთოდოლოგიით აქამდე ნაკვლევი არ ყოფილა. უბრალოდ, ფრიმანის (1981) მიერ მარცხის და წარმატების კულტურული მოდელების კვლევისას ინფორმანტების დისკურსში ძირითად საკვლევ თემასთან ერთად იღბლის და ბედის შესახებ შინაარსებმაც იჩინა თავი (Bennardo & Munck, 2014). თუმცა, კონკრეტულად ამ თემაზე გაზიარებული კოგნიტური სქემა არ იდენტიფიცირებულა.

4.4. ფატალიზმის სახეები

4.4.1. კოსმოლოგიური ფატალიზმი

ლიტერატურაში ფატალიზმის ორ ძირითად სახეს ვხვდებით: კოსმოლოგიურს და სტრუქტურულს (Acevedo, 2005). პირველი მათგანის შესახებ საუბრობს მაქს ვებერი. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მისი აზრით, ფატალიზმი სხვადასხვა რწმენის სისტემიდან (მაგალითად, კარმის კანონი, დემონური სულები, ღვთაებრივი წინასწარგანსაზღვრულობა, ზოდიაქო, დაბადების წრებრუნვა და ა.შ.) მომდინარეობს (Ruiu 2012). ამ ქვეთავში სწორედ კოსმოლოგიურ ფატალიზმზე ვისაუბრებთ, კოსმოლოგიური დოქტრინების შესაჯამებლად კი ოიდიპოსისა (მეორენაირად, წინასწარგანსაზღვრულობა (Destiny)) და იობის პრინციპს (მეორენაირად, ღვთაებრივი კონტროლი (Deity)) შორის დაპირისპირებას (Young, Morris, Burrus, Krishnan, & Regmi, 2011; Fortes, 2018) მივმართავთ.

ოიდიპოსი ღირსეული და კეთილშობილი პიროვნებაა, რომელმაც თავისი ნებით დატოვა სამშობლო იმისათვის, რომ მზრუნველი მამის მკვლელობა თავიდან აერიდებინა, თუმცა წინასწარგანსაზღვრულობას თავი ვერ დააღწია (Fortes, 2018). შესაბამისად, ოიდიპოსის პრინციპი გულისხმობს, რომ ინდივიდები იბადებიან წინასწარგანსაზღვრული ბედით, რომელსაც ვერ გაექცევიან (Young, Morris, Burrus, Krishnan, & Regmi, 2011).

იანგი და მისი კოლეგები (2011) ხაზს უსვამენ, რომ ოიდიპოსის პრინციპი, ანუ წინასწარგანსაზღვრულობის (Destiny) შესახებ კოსმოლოგიური ხედვა ინდუიზმისთვისაა დამახასიათებელი. ამ უკანასკნელში ცენტრალურია დაბადების და სიკვდილის წრებრუნვის – სამსარას (სანსარას) – რწმენა, რომლის თანახმადაც, სულები ხელახლა იბადებიან წინასწარგანსაზღვრული პოზიტიური და ნეგატიური ბედით, რომელიც წინა ცხოვრებებიდან გამომდინარე განისაზღვრება. ნიშანდობლივია, რომ ძველ ინდუისტურ ტექსტებში არ არსებობს შეთანხმებული აზრი იმასთან დაკავშირებით, თუ რა როლი ეკისრება ღმერთს კარმის განსაზღვრაში. „ბრაჰმა სუტრაში“[68] ხაზგასმულია, რომ ღმერთი მონაწილეობს წინასწარგანსაზღვრული ბედის განაწილებაში (Brahma Sutras III.2.38). სხვა ინდუისტური სკოლების თანახმად კი, ღმერთი ვერ ერევა[69] წინასწარგანსაზღვრულ კარმაში (Young, Morris, Burrus, Krishnan, & Regmi, 2011).

შესაბამისად, ოიდიპოსის უბედურების მიზეზი მისი ცოდვები კი არაა, არამედ ადამიანის და ღმერთის ზოგადი ბუნებიდან მომდინარეობს (Lucas, 1950 cited in Fortes, 2018). რაც შეეხება იობის ისტორიას[70], ის ადამიანის ბუნების შესახებ სრულიად განსხვავებულ ხედვას გვთავაზობს. ოიდიპოსის პრინციპისგან განსხვავებით, ამ შემთხვევაში არ არის საუბარი რაღაც ძალაზე, რომელიც დაბადებიდან *უცვლელად* განსაზღვრავს ადამიანის ცხოვრებას. ადამიანის ცხოვრებაში კარგი და ცუდი მოვლენები ყოვლისშემძლე და პერსონიფიცირებული ღმერთის მიერ მოვლენილი ჯილდოები და სასჯელებია. ანუ, ადამიანის ცხოვრებაში მოვლენების *ცვალებადობაა* დაშვებული. ღმერთი შემთხვევითად და თავისი სურვილების შესაბამისად კი არ მოქმედებს, არამედ,

---

[68] „ბრაჰმა სუტრა“ (n.d.) - ვედანტაში (ინდუიზმის ექვსი მთავარი სკოლიდან ერთ- ერთი სკოლა (პაპუაშვილი, 2002) სამი უმნიშვნელოვანესი ტექსტიდან ერთ-ერთს წარმოადგენს. დანარჩენი ორია „უპანიშადები“ და „ბჰაგავად გიტა“. *ამოღებულია თებერვალი 11, 2020 Wiki : https://en.wikipedia.org/wiki/Brahma_Sutras*

[69] ღმერთის უუნარობა, ჩაერიოს ადამიანის ბედში, გამოხატულია ხალხურ თქმულებაში: ლაქშმი, სიმდიდრის ქალღმერთი, სთხოვს მეუღლეს, დაეხმაროს მათხოვარს. ვიშნუ კი პასუხობს, რომ აზრი არ აქვს, რადგან „საამისოდ მათხოვრის კარმაში არაფერია მოცემული. მას არაფერი ღირსეული არ გაუკეთებია, შესაბამისად, არაფერს იმსახურებს“ (Shweder & Miller, 1991; p. 158). საბოლოოდ ვიშნუ მაინც დაეთანხმება ცოლს და ფულს ხის ქვეშ განათავსებს, მაგრამ მათხოვარი მის დანახვას ვერ შეძლებს. ეს თქმულება გვიჩვენებს, რომ ღმერთის ინტერვენციასაც კი არ შეუძლია შეცვალოს ადამიანის ბედისწერა (Young, Morris, Burrus, Krishnan, & Regmi, 2011).

[70] ესაა ტანჯვით შეპყრობილი მართალი კაცის ისტორია, რომლის ცოდვა საკუთარი თავის განდიდებაა ღმერთის თანასწორად. იობის გასაჭირის შესახებ მეგობრებმა შეიტყვეს და მასთან მივიდნენ. მათ შორის საუბართა ციკლი (იობი, 3-27) შედგება. ამ საუბრებში მეგობრები ურჩევენ იობს, აღიაროს საკუთარი დანაშაული და ღმერთისთვის პატიების თხოვნით დაიბრუნოს ბედნიერება. იობი ეწინააღმდეგება მათ. მისი აზრით, მისი ტანჯვა ცოდვებთან არ არის დაკავშირებული, რადგან მას ცოდვა არ ჩაუდენია. თუმცა, საუბრის ბოლოს აღიარებს, რომ მან ღმერთის თანასწორად წარმოიდგინა თავი. პრეტენზია გაუჩნდა, რომ ღმერთის მსგავსად განსჯიდა, რომელი ქცევა იყო სწორი და რომელი არასწორი და ეს იყო სწორედ მისი ცოდვა.

როგორც ამას პედერსენი (1926) აღნიშნავს, ღმერთი 'შეზღუდულია' თავის ქმნილებასთან დადებული შეთანხმებით. ეს არის კონტრაქტზე დაფუძნებული ურთიერთობა, რომელშიც ღმერთი ვალდებულია იმოქმედოს სამართლიანად, ხოლო ადამიანი თავისუფალია კარგად მოქცევასა და ცოდვას შორის არჩევანში (Fortes, 2018).

4.4.2. სტრუქტურული ფატალიზმი

მეცნიერთა ნაწილი, მაგალითად, ფატალიზმზე ერთ-ერთი ყველაზე ხშირად ციტირებადი სტატიების ავტორი, სოციოლოგი ასევედო (2005, 2008) წინააღმდეგია ფატალიზმის დაყვანისა კოსმოლოგიურ ფატალიზმზე. მისი აზრით ფატალიზმი მხოლოდ რელიგიური/კოსმოლოგიური დოქტრინებიდან არ მომდინარეობს, მისი წყარო *ისტორიული, ეკონომიკური და სოციო-პოლიტიკური პროცესებიც* შეიძლება იყოს. შესაბამისად, ფატალიზმის სრულყოფილი შესწავლისთვის არ არის საკმარისი მხედველობაში მხოლოდ კოსმოლოგიური ფატალიზმი მივიღოთ. საჭიროა ფატალიზმის მრავალგანზომილებიანი მოდელი შეიქმნას, რომელიც *სტრუქტურულ ფატალიზმსაც* მოიცავს (acevedo, 2005, 2008).

სტრუქტურული ფატალიზმის დეფინიცია ეკუთვნის ემილ დიურკემს. ამ დეფინიციის თანახმად, ფატალიზმი წარმოიშობა იმგვარი სტრუქტურული მდგომარეობიდან, როგორიცაა უთანასწორობა და ჭარბი რეგულაცია (extreme over-regulation). დიურკემის იდეას იმის შესახებ, რომ საზოგადოებებში, რომლებშიც ჭარბი რეგულაციაა, ფატალისტური რწმენებიც ჭარბადაა, კვლევებიც ადასტურებს (Ruiu, 2012; Ruiu, 2013). თუმცა, აქვე გვინდა აღვნიშნოთ: სავსებით დასაშვებია, რომ ძლიერმა ფატალისტურმა ტენდენციებმა წარმოშვას დაცულობის მაღალი მოთხოვნა და, შესაბამისად, განაპირობოს ჭარბი რეგულაცია (და არა პირიქით, ჭარბი რეგულაცია ქმნიდეს ფატალისტურ ტენდენციებს). შესაბამისად, ჯერჯერობით აუხსნელი რჩება ამ კავშირის მიმართულება (D'Orlando et al., 2011). ჩვენი პოზიცია კულტურული მოდელების სკოლის თეორიულ ხედვაზე (Strauss & Quinn, 1997) დაფუძნებით კი შემდეგნაირია: მიმართულების დადგენა აზრსმოკლებულია იმდენად, რამდენადაც საქმე გვაქვს ორმხრივ პროცესთან. კულტურული სქემები ობიექტური სამყაროს და იმ მენტალური

სტრუქტურების/სქემების ურთიერთქმედების პროდუქტია, რომლებიც, თავის მხრივ, წარსულში, ასევე, ობიექტურ სამყაროსთან ინტერაქციის პროცესში და შედეგად წარმოიქმნა (ჩხაიძე, 2015, გვ.29)

აღსანიშნავია, რომ დიურკემის მიერ დამკვიდრებულ ცნებებს შორის სტრუქტურული ფატალიზმის ცნება ერთ-ერთ ყველაზე უგულებელყოფილ ცნებად შეიძლება მივიჩნიოთ (Besnard, 1993; Acevedo, 2005; 2008). მათ შორის, თავად ავტორის მიერაც კი. ამ ცნებას დიურკემი მის ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ ნაშრომში - „თვითმკვლელობა“ - მხოლოდ ერთხელ და ისიც სქოლიოში ახსენებს: დღეს ყველასთვის კარგად ნაცნობ ანომიურ, ეგოისტურ და ალტრუისტულ თვითმკვლელობას მეოთხე სახეს - ფატალისტურ თვითმკვლელობას - ამატებს. მისი აზრით, ესაა თვითმკვლელობა, რომელიც გადაჭარბებულ ფიზიკურ თუ მორალურ დესპოტიზმს უკავშირდება, შეუწყნარებელი და ხისტი ნორმების ვითარება კი ინდივიდს თავის დაღწევის შეუძლებლობის, ანუ უმწეობის განცდას უჩენს. ხაზგასასმელია, რომ დიურკემისთვის ფატალიზმი ანომიის ოპოზიციაა[71]: ანომიური თვითმკვლელობა (ალტერნატივათა სიმრავლე) vs ფატალისტური თვითმკვლელობა (ალტერნატივათა სიმცირე). ეს დიქოტომია სამეცნიერო საზოგადოების ყურადღების მიღმა დარჩა. ასევედოს თანახმად კი, დიურკემი სწორედ აღნიშნული ბინარულ სქემაზე დაყრდნობით გვთავაზობს თეორიას ოპტიმალური სოციალური რეგულაციის შესახებ, რომელიც ანომიასა (არასაკმარისი რეგულაცია (underregulation)) და ფატალიზმს (ჭარბი რეგულაცია (overregultion)) შორის ოქროს შუალედს წარმოადგენს.

ასევედო (2005), მისი სიტყვებით, დიურკემის თეორიის ერთ-ერთ ყველაზე დაუფასებელ ცნებას - ფატალიზმსა და მარქსის თეორიის ერთ-ერთ ცენტრალურ ცნებას - *გაუცხოებას (Alienation)* - შორისაც ავლებს პარალელს. თუმცა, დამატებით განმარტავს, რომ ფატალიზმის ცნება ანომიასთან დაპირისპირებისას იძენს მნიშვნელოვან შინაარსს. მარქსი კი აღნიშნული კონტინუუმის (არასაკმარისი რეგულაციიდან ჭარბ

[71] „ის (ფატალისტური თვითმკვლელობა) ანომიის ოპოზიციად უნდა ჩავთვალოთ, როგორც ალტრუისტული სუიციდია ეგოისტურის ოპოზიცია“ [Durkheim, 2005; p. 239].

რეგულაციამდე) მხოლოდ ერთ პოლუსზე - მექანიზებულ საზოგადოებაში მუშახელის გაუცხოება - კონცენტრირებით ცალმხრივ სურათს გვთავაზობსო. თუმცა, დიურკემის და მარქსის ხედვას შორის განსხვავება მხოლოდ ამით არ ამოიწურება. გაუცხოების ცნება მთლიანად არ ფარავს დიურკემის ფატალიზმის ცნების მნიშვნელობას. დიურკემი სტრუქტურულ ფატალიზმში არ გულისხმობს მხოლოდ მატერიალური რესურსების განკარგვის უნარს. მარქსი გაუცხოებას კაპიტალისტურ წყობასთან აკავშირებს, ხოლო დიურკემის ფატალიზმის ცნება მხოლოდ ეკონომიკურ სფეროს არ ეხება. წიგნში „თვითმკვლელობა“ მას სტრუქტურული ფატალიზმის ერთ-ერთ მაგალითად ძალიან ახალგაზრდა ქმრების [და] დაქორწინებული უშვილო ქალების განცდა მოჰყავს. გამოდის, რომ დიურკემი ამ ტერმინის მნიშვნელობას აფართოებს და მასში, ეკონომიკური სფეროს გარდა, სოციალური ცხოვრების მიკროდონეების - ქორწინება და ბავშვის აღზრდა - ჭარბ რეგულაციასაც რთავს (Acevedo, 2005).

დიურკემის კვალდაკვალ, ფართო გაგებას ირჩევს რუიუც (2013) და საზოგადოებაში ჭარბი რეგულაციის სხვა საზომებთან[72] ერთად კვლევაში *გენდერული თანასწორობის, საქორწინო პარტნიორის შერჩევისა და ოჯახის ზომის* მაჩვენებლებსაც იყენებს.

რომ შევაჯამოთ (იხ., სურათი №2), როგორც კოსმოლოგიური ფატალიზმის შემთხვევაში გამოიყო მნიშვნელობების ორი მნიშვნელოვანი შრე იობის და ოიდიპოსის პრინციპების სახით, სტრუქტურული ფატალიზმის შემთხვევაშიც, დიურკემის თეორიის კვალდაკვალ, გამოიკვეთა ორი შრე: 1) სტრუქტურული ფატალიზმი, რომელიც თან სდევს ისეთ გამოუვალ მდგომარეობას, როგორიცაა სოციალური სტატუსის თუ ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილების შეუძლებლობა და 2) სტრუქტურული ფატალიზმი, რომელიც თან სდევს ცხოვრების მიკროდონეების ძლიერ შემზღუდველი და შეუწყნარებელი ნორმებით კონტროლს.

---

[72] რუიუმ კვლევაში (2013) თავისუფლების სახლის/Freedom House მიერ გამოქვეყნებული პერსონალური ავტონომიისა და ინდივიდის უფლებების ინდექსის (2006 წ) მონაცემები გამოიყენა. შეარჩია ქვეყანა-დონის შემდეგი ინდიკატორები: გადაადგილებაზე, საცხოვრებლის არჩევის, დასაქმებასა და უმაღლესი განათლების ინსტიტუტებზე ხელისუფლების კონტროლის ხარისხი; მოქალაქეების საკუთრებისა და კერძო ბიზნესის წამოწყების უფლება; კერძო ბიზნესის ხელისუფლების წარმომადგენლების, ძალოვანი სტრუქტურების, პოლიტიკური პარტიებისა თუ ორგანიზებული კრიმინალის უადგილო ჩარევისგან თავისუფლების ხარისხი; შესაძლებლობების თანასწორობა და ეკონომიკური ექსპლუატაციის არარსებობა.

სურათი № 2: კოსმოლოგიური და სტრუქტურული ფატალიზმი



4.5. კონტროლის ლოკუსი

გაუცხოების ცნებას ახსენებს კონტროლის ლოკუსის ავტორი, ფსიქოლოგი ჯულიან როტერიც (1966). მისი აღნიშვნით, სოციოლოგიურ თეორიაში დიდი ხნის განმავლობაში საკვანძო მნიშვნელობის მქონე ცნება - გაუცხოება - კონტროლის ლოკუსის ცნებასთან დაკავშირებულ ცნებად შეგვიძლია განვიხილოთ. მაგრამ, ცხადია, ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ მარქსის ცნება ჯგუფური-დონის[73] ცნებაა, ხოლო კონტროლის ლოკუსი ინდივიდი- დონის (Rotter, 1966).

ბედის, შემთხვევითობის და იღბლის შესახებ რწმენების მნიშვნელოვნება, როგორც ვნახეთ, მრავალი სოციალური მეცნიერის მხრიდან აღნიშნულა. თუმცა მათი ფოკუსი *ჯგუფებსა თუ საზოგადოებებს შორის სხვაობა იყო და არა ინდივიდებს შორის.* ჯულიან როტერი კი ინდივიდუალურ სხვაობებს სწავლობს (1966, 1975, 1990). კონტროლის ლოკუსის კონსტრუქტის თანახმად, ინდივიდები განსხვავდებიან იმის მიხედვით, თუ რას მიაწერენ ქცევის შედეგს. ინტერნალური კონტროლის შემთხვევაში ქცევის შედეგს აწერენ საკუთარ პიროვნულ მახასიათებელს, ხოლო ექსტერნალურის შემთხვევაში -

[73] როტერი სტატიაში ახსენებს იმ სოციოლოგებსაც (Nettler, 1957, Srole, 1956), რომლებმაც *გაუცხოების* ინდივიდუალურ დონის საზომის შემუშავება სცადეს.

შემთხვევითობას, იღბალს, ბედს, ძალაუფლების მქონე სხვებს, ან უბრალოდ არაპროგნოზირებადად თვლიან მას (Rotter, 1966, 1975, 1990).

ნიშანდობლივია, რომ ინტერნალური და ექსტერნალური კონტროლის ცნება სათავეს სოციალური დასწავლის თეორიიდან იღებს. ზოგიერთი მკვლევრის მიერ მიიჩნევა, რომ ის სოციალური დასწავლის თეორიის ცენტრალური ცნებაა. როტერი (1975) კი ხაზს უსვამს, რომ ეს ასე არაა. მისი ინტერესი კონტროლის ლოკუსის კონსტრუქტის მიმართ შემდეგმა ფაქტმა გამოიწვია: განმტკიცების შესახებ ექსპერიმენტებში მოლოდინები სისტემატურად იცვლებოდა სიტუაციის ბუნებიდან და პიროვნების სტაბილური და კროსსიტუაციური მახასიათებლიდან გამომდინარე. მკვლევართა უმრავლესობის[74] ყურადღების ცენტრში კი <u>პიროვნული მახასიათებელი</u> მოექცა. როტერი კი ამ ტენდენციის შესახებ უკმაყოფილებას გამოთქვამს. ის წუხს იმის გამო, რომ სოციალური მეცნიერები კონტროლის ლოკუსის სკალის გამოყენებისას ნაკლებ ყურადღებას უთმობენ ქცევის იმ ზოგად თეორიას (საუბარია, სოციალური დასწავლის თეორიაზე), რომელსაც აღნიშნული კონსტრუქტი ეფუძნება. კონსტრუქტის ევრისტიკული ღირებულება კი საგრძნობლად იზრდება, როცა ის ქცევის ზოგად თეორიას ეყრდნობაო. როტერის (1990) აზრით, ფსიქოლოგიურ მეცნიერებაში ზოგადად შეინიშნება თეორიებისადმი ინტერესის კლების ტენდენცია, რაც, მისი რწმენით, ამ მეცნიერების პროგრესს მნიშვნელოვნად შეაფერხებს.

რაც შეეხება ინდივიდუალური სხვაობების საზომ ინსტრუმენტს, როტერი (1990) აღწერს მისი კონსტრუირების ლოგიკას. კონსტრუქტის ზოგადობიდან გამომდინარე (მიზნად ისახავს მრავალ სიტუაციაში ქცევის შესწავლას) სკალა მოიცავს მრავალი ტიპის სიტუაციის აღმწერ დებულებებს. სკალის შემქმნელების გადაწყვეტილებით, საბოლოო ქულა ნაკლებად უნდა ყოფილიყო დამოკიდებული ერთი კონკრეტული სახის სიტუაციაზე (მაგალითად, აკადემიური მიღწევის სიტუაცია ან პოლიტიკური ჩართულობა). შესაბამისად, მათი ამოცანა არ ყოფილა შინაგანი შეთანხმებულობის (კრონბახის ალფა) მაღალი მაჩვენებლის მიღება. კორელაცია სხვადასხვა ქცევას შორის

[74] აღნიშნულ თემაზე პუბლიკაციების 90% სწორედ კონტროლის ლოკუს ეძღვნება (Rotter, 1990)

უნდა ყოფილიყო პოზიტიური, თუმცა დაბალი. როგორც როტერი (1990) აღნიშნავს, მავანს შეუძლია ერთი და იგივე დებულება მრავალჯერ გაიმეოროს სკალაში, ამით, ცხადია, შინაგანი შეთანხმებულობის მაჩვენებელს გაზრდის, მაგრამ საგრძნობლად დააზარალებს სკალის პრედიქტულობის მაჩვენებლებს.

ხუთი წლის განმავლობაში სანამ საბოლოო ვარიანტი გამოქვეყნდებოდა კონტროლის ლოკუსის ტესტის ხუთი ვერსია შეიქმნა. ნაადრევი გამოქვეყნებისგან თავშეკავება და ზოგადად ტესტის კონსტრუირების მთლიანი პროცესი როტერის რეფლექსიის საგანია 1990 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში. ამ სტატიაში შეკითხვაზე - რამდენი ფსიქოლოგია საჭირო ახალი ტესტის შესაქმნელად -ის თავის კოლეგასთან კომუნიკაციას იხსენებს *„სულ მცირე ოთხი, ერთი, რომელიც ფიქრობს და განსაზღვრავს ცვლადს, ერთი, რომელიც აგროვებს მონაცემებს, ერთი, რომელიც სტატისტიკურ დამუშავებას მიხედავს და მეოთხე, რომელიც შეაკავებს დანარჩენებს ნაადრევი, დაუფიქრებელი გამოქვეყნებისგან.“* (p. 493).

სტატიის აღნიშნული ნაწილიდან კარგად ჩანს ფსიქოლოგიურ მეცნიერებაში გავრცელებული ტენდენცია, რომ საზომი ინსტრუმენტის შექმნისას კონსტრუქტის განსაზღვრა ფსიქოლოგის პრეროგატივად ითვლება. ამ მიდგომის სისუსტე განსაკუთრებით თვალსაჩინოვდება კროსკულტურულ (ინსტრუმენტის ვალიდაცია/ადაპტაციის პირობებშიც კი) კვლევებში. არაერთხელ აღნიშნულა, რომ როტერის სკალის კროსკულტურული გამოყენების შეზღუდვის მიზეზი მის წარმომავლობაშია. ის ჩრდილოეთ ამერიკაში შეიქმნა და ამ პროცესში არ ყოფილა გათვალისწინებული სხვა კულტურაში არსებული გაგებები (Hui, 1982).

ზემოთხსნებული პრობლემა მხოლოდ კონსტრუქტის განსაზღვრის ეტაპზე არ იჩენს თავს. შედეგების ინტერპრეტაციაც ხშირად მიკერძოებულია. როტერი (1975) თავად აღნიშნავს, რომ ექსტერნალური ლოკუსის ინტერპრეტაციისას ფსიქოლოგთა აზრი ორად გაიყო. ზოგიერთის აზრით, როცა ინდივიდი წარმატებას იღბალს მიაწერს, ის რაციონალიზაციას მიმართავს. ან, როცა თვლის, რომ ძალაუფლების მქონე სხვები

განსაზღვრავენ მის ცხოვრებას, მას პასუხისმგებლობა საკუთარი თავიდან სხვებზე გადააქვს. სხვა სიტყვებით, ამ შემთხვევაში ექსტერნალობა დაცვის მექანიზმადაა განხილული მაშინ, როცა ფსიქოლოგების მეორე ნაწილი ექსტერნალობის ერთადერთ ლოგიკურ ახსნად პასიურობას მიიჩნევს (მიდრეკილება პასიურობისკენ, არაამბიციურობისა და არაკონკურენტულობისკენ).

აღნიშნულ ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით როტერი საკუთარ ვარაუდებს გამოთქვამს: *„ასეთი პასიური დამოკიდებულება აღზრდის შედეგია, თუმცა, ის ეწინააღმდეგება საშუალო კლასის „პროტესტანტულ ეთიკას“ („პროტესტანტული ეთიკა“ შესაძლოა, მაგრამ აუცილებელი არაა, რომ ამერიკული საზოგადოებისთვის ტიპური იყოს). ხოლო ისეთ ფატალისტურ კულტურებში, როგორიცაა ინდუისტური და მუსლიმური, ის (პასიურ-ექსტერნალური დამოკიდებულებები) ნამდვილად ნორმად შეიძლება ჩაითვალოს“* (Rotter, 1975, p. 64).

ზემოთ არაერთხელ აღინიშნა, რომ მსგავსი ტიპის ვარაუდები ემპირიულ შემოწმებას საჭიროებს. ემპირიულ კვლევისას კი ისეთი ხედვა უნდა გამოვიყენოთ, რომელიც შესაძლებლობას მოგვცემს, გამოვავლინოთ ამერიკული, ინდუისტური თუ მუსლიმური ემიკური გაგებები. ასეთ ხედვას თანამედროვე ფსიქოლოგიური ანთროპოლოგია წარმოგვიდგენს. წინამდებარე ნაშრომი ამ ჩარჩოში შესრულდა.

თავი V

თავი V: ემპირიული კვლევა

5.1. კვლევის მიზანი და ამოცანები

როგორც არაერთხელ აღინიშნა, მრავალი წელია არ კარგავს აქტუალურობას ფატალიზმის როგორც ინდივიდისა და სოციალური ცხოვრების მრავალ სფეროში მნიშვნელოვანი პრედიქტორული ძალის მქონე კონსტრუქტის შესწავლა. თუმცა, მნიშვნელოვანი გამოწვევაა იმ მეთოდოლოგიური საშუალებების დახვეწა, რომლებიც ამ მიზნის მისაღწევად შეიძლება იქნეს გამოსადეგი. ჩვენი აზრით, ამ შესაძლებლობას ისეთი ემპირიული კვლევა შექმნის, რომლის კონცეპტუალურ ჩარჩოდ თანამედროვე ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიის, კერძოდ, კულტურული მოდელების სკოლის კონცეფციები შეირჩევა. წინამდებარე ემპირიული კვლევა სწორედ ასეთ მცდელობას წარმოადგენს. მისი მიზანია:

- **ფატალიზმის ქართული კულტურული მოდელის გამოვლენა და ვერიფიკაცია.**

მიზნის მისაღწევი ამოცანებია:

1). ფატალიზმის კულტურული მოდელის კომპონენტების საიდენტიფიკაციოდ რესპონდენტთა დისკურსებში გამოვლენილი მეტაფორების ანალიზი.

2). ფატალიზმის კულტურული მოდელის კომპონენტებს შორის ურთიერთმიმართებების ანალიზი პროპოზიციების ანალიზის მეთოდის გამოყენებით.

3). გამოვლენილი ფატალიზმის მოდელის ვერიფიკაცია კულტურული კონსენსუსის ანალიზის მეთოდის გამოყენებით.

4). ფატალიზმის კულტურული მოდელის საფუძველზე კულტურული კონსონანსის ემიკური ინსტრუმენტის შექმნა და კონსონანსის დონის გაზომვა.

5.2. კვლევის მეთოდოლოგია

წინამდებარე კვლევაში „კულტურული მოდელების → კულტურული კონსენსუსის → კულტურული კონსონანსის“ მეთოდოლოგიური ჯაჭვია გამოყენებული. აღნიშნული ჯაჭვი ცხადყოფს, რომ თანამედროვე ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიის, როგორც ინტერდისციპლინური დარგის აქტუალობა, არა მხოლოდ კომპლექსური თეორიული მიდგომებითაა განპირობებული, არამედ მეთოდოლოგიური სინთეზის პოტენციალითაც. ის ერთდროულად მიმართავს როგორც ანთროპოლოგიის „რბილ“ მეთოდებს – სიღრმისეულ ინტერვიუებს, დაკვირვებას, ლინგვისტურ ანალიზს, ისე ფსიქოლოგიაში გამოყენებად ე.წ. „მკაცრ“ მეთოდებსა და შესაბამის სტატისტიკურ პროცედურებს (Hickman, 2010). სხვა სიტყვებით, აერთიანებს პოზიტივისტური და ჰერმენევტიკული მიდგომების უპირატესობებს.

ამავდროულად, წინამდებარე კვლევა „კულტურული მოდელების → კულტურული კონსენსუსის → კულტურული კონსონანსის“ ჯაჭვის რეალიზაციით *ემიკური მიდგომის* მთავარ მოთხოვნებსაც პასუხობს.

5.3. კვლევის მეთოდები

როგორც ზემოთ აღინიშნა, მრავალფეროვანია კულტურული მოდელების სკოლის ფარგლებში გამოყენებული მეთოდები. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბენარდო და დემანკი (2014) მათ სამ კატეგორიად აჯგუფებს: 1) ეთნოგრაფიული მონაცემები და ეთნოგრაფიული მონაცემების ანალიზის მეთოდები 2) ლინგვისტური მონაცემები და ლინგვისტური ანალიზის მეთოდები 3) ექსპერიმენტული მონაცემები და სტატისტიკური ანალიზის მეთოდები.

წინამდებარე კვლევაში ბენარდოს და დემანკის კლასიფიკაციიდან მე-2[75] და მე-3 კატეგორიის მეთოდებია გამოყენებული. სიმარტივისთვის მათ თვისებრივი და რაოდენობრივი მონაცემების კატეგორია ვუწოდეთ. როგორც ზემოთ ვისაუბრეთ, თითოეულ კატეგორიაში მეთოდთა ფართო არჩევანია. ჩვენს კვლევაში თვისებრივ

[75] თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ლინგვისტური მონაცემების ანალიზის, კერძოდ, მეტაფორების ანალიზის შედეგების ინტერპრეტაციისას აქტიურად ვეყრდნობოდით საქართველოს შესახებ არსებულ ეთნოგრაფიულ ნაშრომებს.

მონაცემთა მოკრების მეთოდად შეირჩა სიღრმისეული ინტერვიუ, ხოლო ანალიზის მეთოდად მეტაფორების და პროპოზიციების ანალიზი. ხოლო, რაოდენობრივ მონაცემთა მოკრების მეთოდად კულტურული კონსენსუსის და კონსონანსის კითხვარები, ანალიზის მეთოდად კი კულტურული კონსენსუსის ანალიზი, დისპერსიული ანალიზი, კორელაციური და რეგრესული ანალიზი. გამოყენებული მეთოდები შეჯამებულად წარმოდგენილია სურათზე №3.

სურათი № 3: მონაცემთა მოკრების და ანალიზის მეთოდები



შესაბამისად, კვლევა ორი ნაწილისგან შედგება. კვლევის პირველი ნაწილი მიეძღვნა თვისებრივი მონაცემების მოკრებას და ანალიზს, ხოლო მეორე ნაწილი რაოდენობრივი მონაცემების მოკრებას და ანალიზს. ქვემოთ კვლევის პირველ ნაწილს წარმოგიდგენთ.

5.4. ემპირიული კვლევა - თვისებრივი მიდგომა

5.4.1. თვისებრივ მონაცემთა მოკრების მეთოდი

კულტურული მოდელების სკოლის თანახმად, კულტურული გაგების რეკონსტრუირების ყველაზე ეფექტური გზა დისკურსის „კულტურული ანალიზია“.

სანამ განვმარტავთ, რა იგულისხმება დისკურსის „კულტურულ ანალიზში“, ყურადღება გვინდა გავამახვილოთ იმაზე, რომ სწორედ აღნიშნული ანალიზის სპეციფიკიდან გამომდინარე შეირჩა მონაცემთა მოკრების მეთოდიც: „კულტურული ანალიზისთვის“ საჭიროა საკმაოდ დიდი მოცულობის, შინაარსებით გაჯერებული დისკურსი (Quinn, 2005). მის შესაგროვებლად კულტურული მოდელების სკოლის გამოცდილების გათვალისწინებით გამოვიყენეთ *სიღრმისეული ინტერვიუს* მეთოდი. ინტერვიუერები იყენებდნენ წინასწარ შემუშავებულ და ქართული კულტურის ორი მკვლევრის მიერ ექსპერტულად შეფასებულ გზამკვლევს; მიუხედავად გზამკვლევის არსებობისა, ინტერვიუები მიმდინარეობდა ყოველდღიურ საუბრებთან მაქსიმალურად მიმსგავსებულად ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოყენებული, თავისთავად ნაგულისხმევი/ეჭვშეუტანელი კულტურული დაშვებების გამოვლენისთვის ნაყოფიერი ნიადაგის შესაქმნელად.

5.4.1.1. კვლევის მონაწილეთა შერჩევა და კვლევის პროცედურა

ქართული კულტურული მოდელის გამოვლენის მიზნით კვლევის მონაწილეთა მრავალფეროვნების, სხვა სიტყვებით, დაფარვის ფართო დიაპაზონის უზრუნველსაყოფად,[76] გამოვიყენეთ კვოტური[77] შერჩევა. კვოტური შერჩევის შემთხვევაში კვლევის მონაწილეები შეირჩევა წინასწარგანსაზღვრული მახასიათებლების მიხედვით. ჩვენს კვლევაში გამოყენებული იყო შემდეგი მახასიათებლები:

- ასაკი (ვარირებდა 18-დან 67-წლამდე).
- სქესი.
- გეოგრაფიული წარმომავლობა (ინტერვიუები ჩატარდა საქართველოს მასშტაბით 5 ქალაქში - თბილისი, თელავი, ბათუმი, ქუთაისი და ფოთი).

[76] თავიდან რომ აგვეცილებინა შემთხვევით კონკრეტული სუბკულტურის მონაცემების თავმოყრა (Strauss & Quinn, 1997)

[77] არაალბათური შერჩევის მეთოდი

- ეკონომიკური მდგომარეობა (ვარირებდა სოციალურად დაუცველი სტატუსის მქონედან მაღალ შემოსავლამდე[78]).
- განათლების დონე (ვარირებდა საშუალო განათლებიდან მაგისტრის ხარისხამდე).
- რელიგიურობა (არარელიგიურიდან რელიგიურამდე)[79].

კვლევაში სულ მონაწილეობა მიიღო 20 ინფორმანტმა. ყველა ინფორმანტი თავს ქართველად აიდენტიფიცირებდა.

კვლევის მიზნების გაცნობის შემდეგ რესპონდენტისგან ვიღებდით თანხმობას. ისინი ინფორმირებულები იყვნენ, რომ ნებისმიერ დროს შეეძლოთ გაეწყვიტათ ინტერვიუ. ინტერვიუები მიმდინარეობდა ქართულ ენაზე, რომელიც ინფორმანტების მშობლიურ ენას წარმოადგენდა. ტრანსკრიპტები მომზადდა ქართულ ენაზე. უზრუნველყოფილია მონაცემთა კონფიდენციალურობა.

5.4.2. თვისებრივ მონაცემთა ანალიზის მეთოდები და თვისებრივ მონაცემთა ანალიზის შედეგები

მონაცემთა ანალიზის მეთოდად შეირჩა დისკურსის „კულტურული ანალიზის“ მეთოდი, რომელიც გულისხმობს გაზიარებული გაგების გამოსავლენად დისკურსის ხშირად განმეორებადი და კულტურულად დატვირთული მახასიათებლების ანალიზს. ჩვენს კვლევაში დისკურსის აღნიშნული მახასიათებლებიდან არჩევანი შევაჩერეთ მეტაფორასა[80] და მსჯელობაზე (პროპოზიციებზე). შესაბამისად თვისებრივ მონაცემთა ანალიზი ორი ნაწილისგან შედგება. პირველ ნაწილში განვიხილავთ მეტაფორების ანალიზის მეთოდს და მიღებულ შედეგებს, ხოლო მეორე ნაწილში პროპოზიციული ანალიზის მეთოდს და მიღებულ შედეგებს.

---

[78] გამოკითხულთა შორის ყველაზე მაღალი შემოსავალი დაფიქსირდა 2000 ლარი. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების თანახმად, 2019 წლის პირველ კვარტალში საქართველოში საშუალო თვიური ხელფასი 1092.7 ლარს შეადგენდა

[79] ფასდებოდა 5 ბალიან სკალაზე, რომელშიც 1 ნიშნავდა „არარელიგიურს“, ხოლო 5 „რელიგიურს“. კვლევაში მონაწილე ყველა რესპონდენტი თავს მართლმადიდებელ ქრისტიანად მიიჩნევს.

[80] მეტაფორა გამოყენებულია ფართო გაგებით, ტროპის ეკვივალენტურად. ტროპი აერთიანებს ყველა სახის გადატანითი მნიშვნელობით ნახმარ სიტყვებსა და გამოთქმებს. *წყარო:* გაჩეჩილაძე, ს. (1997) სიტყვიერებისა და ლიტერატურის თეორია : IX-X კლ. სახელმძღვ.. - მე-2 გადამუშ. და შევს. გამოც.. - თბ. : განათლება. ამოღებულია 28.02.21 http://www.nplg.gov.ge/saskolo/index.php?a=term&d=43&t=39

5.4.2.1. მეტაფორების ანალიზი

რა განაპირობებს მეტაფორის ყოველდღიურ მეტყველებაში გამოყენების სიხშირეს და როგორ აიხსნება მისი კულტურულად დატვირთულობა? მეტაფორა (ბერძნ.: metaphora - გადატანა) ფიგურალური მეტყველების ნაწილია და საუბრისას ერთი ობიექტის თვისებების მეორე ობიექტზე გადატანას გულისხმობს. პირველადი/წყარო ობიექტი, რომლის თვისების გადატანაც ხდება სხვა ობიექტზე, როგორც წესი, გაზიარებულია კულტურაში და ამიტომ მას კულტურულ ეგზემპლარს უწოდებენ. გამომდინარე იქიდან, რომ მოსაუბრე და მსმენელი ინტერსუბიექტურად იზიარებენ ეგზემპლარს (ორივემ კარგად იცის, აღნიშნული ობიექტი თავიანთ კულტურაში რომელი თვისების ეგზემპლარადაც გამოიყენება), მეტაფორა საუბარში სიცხადის შეტანას ახერხებს და სწორედ ამით აიხსნება მისი ხშირი გამოყენება საუბრისას.

სქემის ინდიკატორებად მეტაფორების გამოყენების მეთოდი პირველად ლინგვისტებმა, ჯორჯ ლაკოფმა და მარკ ჯონსონმა (1980) განავითარეს. მათი აზრით, მეტაფორა თავად ქმნის კულტურულ მოდელს/სქემას. მათგან განსხვავებით თანამედროვე ფსიქოანთროპოლოგები მიიჩნევენ, რომ მეტაფორა კი არ ქმნის, არამედ მხოლოდ ასახავს მათ საფუძვლადმდებარე კულტურულ სქემას (Strauss & Quinn, 1997). სქემის გამოსავლენად ისინი მეტაფორების კატეგორიზების მეთოდს გვთავაზობენ და ხაზს უსვამენ, რომ სწორედ გამოვლენილი კატეგორიებია ფართოდ გაზიარებული რესპონდენტებს შორის, ერთი კატეგორიის ფარგლებში გამოყენებული მეტაფორები კი იცვლება როგორც რესპონდენტთა შორის, ისე ერთი რესპონდენტის შემთხვევაშიც. აღნიშნული კატეგორიები კოგნიტური სქემის კომპონენტებს წარმოადგენს.

თანამედროვე ფსიქოანთროპოლოგების კვალდაკვალ, ჩვენც მივმართეთ მეტაფორების[81] კატეგორიზების მეთოდს და გამოვავლინეთ იმ კულტურული მოდელის/სქემის

[81] სემიოტიკურ კულტურულ ფსიქოლოგიაში ყურადღება მახვილდება მეტაფორის საინტერესო ასპექტზე. როგორც თეორიულ ნაწილში განვიხილეთ, მათ კონცეფციებში ინტეგრირებულია ფროიდის პირველად და მეორად პროცესებს შესახებ კონცეფცია. მათი აზრით, მეტაფორის (ანალოგიებით აზროვნების) გამოყენებით ფორმალური აზროვნების დროს დომინანტური მეორადი პროცესების პარალელურად აქტიურდება პირველადი პროცესებიც (Salvatore & Zittoun, 2011). შესაბამისად, ვფიქრობთ, რომ მეტაფორების ანალიზი ე.წ. „ცივი“ კოგნიციის მიღმა შრესთან მისასვლელ ფანჯარასაც გვიხსნის.

კომპონენტები, რომელსაც ფატალიზმის შესახებ საუბრისას ეყრდნობოდნენ ჩვენი რესპონდენტები.

5.4.2.2. მეტაფორების ანალიზის შედეგები[82]

მონაცემთა ანალიზმა გამოავლინა ფატალიზმის ქართული კულტურული მოდელის შემდეგი კომპონენტები: პიროვნული კონტროლი, ღვთაებრივი კონტროლი, წინასწარგანსაზღვრულობა, უმწეობა და იღბალი. სურათზე №4 გამოსახულია კომპონენტები და ნიმუშის სახით წარმოდგენილია შესაბამისი მეტაფორებიც. თითოეულ მათგანს ქვემოთ დეტალურად განვიხილავთ.

სურათი № 4: ფატალიზმის კოგნიტური სქემის კომპონენტები და მეტაფორების ნიმუშები



პიროვნული კონტროლი. რესპონდენტთა დისკურსში გამოვლენილ გაზიარებულ გაგებებს შორისაა პიროვნულ კონტროლთან დაკავშირებული გაგება: პიროვნებას შესწევს ცხოვრებისეული მოვლენების კონტროლი.

ერთ-ერთი მეტაფორა, რომელიც „პიროვნული კონტროლის“ კატეგორიაში გვხვდება, არის *დამუშავება.* როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მეტაფორა გულისხმობს კულტურაში

[82] წინამდებარე ქვეთავის საფუძველზე მომზადდა და დისერტაციის წარდგენამდე გამოქვეყნდა სტატია Chkhaidze, T., Chubinidze, D., & Gegenava, E. (2019). Fatalism–Georgian Cultural Model. Prizren Social Science Journal, 3(3), 41-52.

გაზიარებული წყარო ობიექტის (მეორენაირად, კულტურული ეგზემპლარის) თვისების გადატანას სხვა ობიექტზე. ამ შემთხვევაში ქართული კულტურისთვის ასეთ წყარო ობიექტს მიწის დამუშავება/კულტივირება[83] უნდა წარმოადგენდეს. მეტაფორული გამონათქვამი გამოხატავს ძალისხმევის გამოჩენით განვითარებას, დახვეწას, საკუთარი ცვლილების ხარჯზე მოვლენებზე კონტროლის მოპოვებას.

> "ძალიან ცოტა ადამიანი იბადება თანდაყოლილი ნიჭით... თავის თავზე ადამიანმა თუ არ **იმუშავა**, შეიძლება არაფერი არ გამოუვიდეს."
>
> "ყოველდღე უნდა **იმუშაო** შენს თავზე, დაუთმო გარკვეული დრო, რომ მიაღწიო წარმატებას".

„პიროვნული კონტროლის" კომპონენტში გვხდება ბრძოლასა და ბრძოლის თემატიკასთან დაკავშირებული მეტაფორები, რაც გაზიარებულად შეგვიძლია მივიჩნიოთ რესპონდენტთა პასუხების თანახმად.

> „არ უნდა დაემორჩილო ბედს უნდა **იბრძოლო** და მერე იქნება რამე."
>
> „შენ თუ **დაყრი ფარხმალს** და იფიქრებ, ყველაფერი განსაზღვრულიაო და მე არაფერს არ გავაკეთებ, მაშინ **მონობაში მოკვდები."**

არ არის გასაკვირი, რომ ბრძოლის სფეროც ქართულ კულტურაში გაზიარებულ წყარო ობიექტს წარმოადგენს. გეოპოლიტიკური მდებარეობის გამო საქართველოში ხშირად დგებოდა გარეშე მტრების[84] თავდასხმების მოგერიების საჭიროება (ლორთქიფანიძე, მეტრეველი, აფაქიძე, მუსხელიშვილი, 2012). აღნიშნულს ადასტურებს თანამედროვე ერი-სახელმწიფოს ფორმირების კონტექსტში ქართველების ფსიქიკური წარმოდგენების

---

[83] ქართველ ტომთა სულიერი კულტურის შესახებ მასალები წარმოდგენილია უძველესი საკულტო დანიშნულების ნივთებზე, საიდანაც ჩანს, რომ ამ ტომთა მითოლოგია და რელიგიური შეხედულებები მიწათმოქმედ ტომთა მსოფლაღქმას გამოხატავს. უძველეს მითებში წარმოდგენილია ბუნების სეზონური აღორძინებისა და კვდომის, მიწის ნაყოფიერებისა და ხვავის სიმბოლოები. საკულტო ნივთებზე გამოსახულია წრიული ფერხულები და ნაყოფიერების, გამრავლებისა და კეთილდღეობის ამსახველი საკრალური ქმედებანი. ეთნოგრაფიული მასალების თანახმად, ქართულ ეთნოგრაფიულ ჯგუფებში გავრცელებულია შრომის ორგანიზაციის, ადგილობრივ ბუნებრივ-გეოგრაფიულ გარემოსთან ოპტიმალურად მორგებული სამუშაო იარაღების, შრომის წარმოების ხერხებისა და კულტურულ მცენარეთა ჯიშების მრავალფეროვნება (ბასილაია, 2006)

[84] ბრძოლის სფეროს კულტურულ ეგზემპლარობას არაერთი მხატვრული ნაწარმოებიც ცხადყოფს. თვალსაჩინო მაგალითია ნიკო ლორთქიფანიძის ნოველის -„შელოცვა რადიოთი"- ევროპელი პერსონაჟის, ჰექსლეის ციტატა: „თქვენ, ქართველები, ყველაზე უფრო არსებობის შენარჩუნებაზე ფიქრობდით და ჭეშმარიტად განსაცვიფრებელია, როგორ გადაიტანეთ ამდენი მრავალგვარი უბედურება... მაკვირვებს, როგორ გადარჩით ამდენ მტერს, მტერს უცხოს, შემოსეულს, მტერს შინაურს და თქვენ გაკაჟებული იბრძოდით არსებობისთვის. ეს არის პირველი. ყველა დანარჩენი - ევროპული გატაცება მეცნიერებით, პოლიტიკით, ხელოვნებით და ამერიკის დევიზი - სიმდიდრე, დოვლათი, დოლარი - თქვენთვის მეორეხარისხოვანი მოთხოვნილება იყო თქვენი სულისა" (ლორთქიფანიძე 2000 : 121).

კულტურული სპეციფიკის შესასწავლად ჩატარებული კვლევის (Surmanidze & Tsuladze, 2008) შედეგებიც[85].

„პირდაპირი პიროვნული კონტროლის“ გარდა ინტერვიუებში „ირიბი პიროვნული კონტროლის“ გამომხატველი მეტაფორებიც გამოვლინდა. „ირიბი პიროვნული კონტროლის“ ტერმინი იამაგუჩის (2001) ეკუთვნის და მასში მოიაზრება ინდივიდის მიერ პიროვნული კონტროლის შენიღბვა: თითქოს არ აკონტროლებს, რეალურად კი კონტროლის განმახორციელებელია. რატომ სჭირდება ინდივიდს კონტროლის უნარის შენიღბვა? ამ შეკითხვას ქვემოთ დავუბრუნდებით.

ჩვენს მიერ ჩატარებულ ინტერვიუებში „ირიბი პიროვნული კონტროლის“ გამომხატველ შემდეგ მეტაფორულ გამონათქვამებს ვხვდებით: „ალღო“[86] და „ეშმაკობა“.

> „[წარმატების მისაღწევად] **ეშმაკობა** უნდა გქონდეს, **ალღო** გქონდეს და რა ვიცი."
>
> „მაქვს **ალღო,** ადამიანებს ვიცნობ, ადვილად ვიგებ ვინაა სანდო და ვინ არა“.
>
> „შეიძლება პროდუქტი ცუდი იყოს, მაგრამ შენ ისე უნდა **შეფუთო,** პრეზენტაცია გაუკეთო, რომ გაყიდვადი გახდეს“.

აღნიშნული გაგება ადაპტაციური ქცევის ქართული კულტურული მოდელების იდენტიფიცირების მიზნით ანდაზური გამონათქვამების ფსიქოანთროპოლოგიური კვლევის შედეგებს ეხმიანება. ამ კვლევის თანახმად, „სტრატეგიული ელასტიკურობა“ კულტურულად სპეციფიკური ქცევითი სტრატეგიაა. ადაპტაციური მნიშვნელობის განმსაზღვრელია ისეთი თვისებები, როგორიცაა – ელასტიკურობა, მოქნილობა და ზომიერება (ჩუბინიძე, 2018).

იამაგუჩის (2001) კლასიფიკაციაში „ირიბი პიროვნული კონტროლის“ გარდა ვხვდებით „სხვისი მეშვეობით კონტროლის“ ცნებასაც (სხვა პიროვნების მეშვეობით სასურველი

---

[85] კვლევაში ფსიქოსემანტიკური ექსპერიმენტის მეთოდია გამოყენებული და გამოვლენილი სუბკლასტერის (შეადგინა კონცეპტებმა: „სახელმწიფო“, „სამშობლო“,“ერი“, „ეროვნება“, „ერთიანობა“ და „სამართალი“) დეტალური სემიოტიკური ანალიზია შემოთავაზებული (Surmanidze & Tsuladze, 2008).

[86] ლექსიკონური განმარტებით ცხოველის მიერ სუნის აღების უნარი, ინსტინქტი. წყარო: უნივერსალური ენციკლოპედიური ლექსიკონი : [3 ტომად] / შეადგინა ალექსანდრე ელერდაშვილმა. - I-ლი გამოც.. - [თბ.] : ფანტაზია, 2006.

შედეგების მიღწევა). ინტერვიუებში აღნიშნული კონტროლის გამომხატველი შემდეგი მეტაფორული გამონათქვამი გამოვლინდა: „ხელის წაკვრა“, „ხელის მომართვა“, „ხელის შეწყობა“.

> „ძნელია ამ ქვეყანაში.. ვინმემ უნდა **წაგიკრას ხელი.“**
>
> “რაც მეტ ადამიანთან გაქვს კარგი ურთიერთობა, მით მეტი შანსია რომ **ხელი მოგიმართონ** თუ საჭიროა, წმინდა პრაგმატული ნიშნით ვამბობ.”
>
> „ნუ, ოჯახზეც არის დამოკიდებული ყველაფერი, რა თქმა უნდა. (ოჯახზე რა მხრივ?) **ხელი შეგეწყოს** ყველანაირად, ეხლა მარტო ის ხომ არ არის, ფული და რაღაცა, თუ ოჯახმა **ხელი არ შეგიწყო,** ვერც განათლებას მიიღებ, ვერც ფულს და ვერაფერს, რა თქმა უნდა.“

აღსანიშნავია, რომ კონტროლის ფორმების კლასიფიკაციის ავტორი, იამაგუჩი (2001) „ირიბი“ და „სხვისი მეშვეობით კონტროლის“ იმ კულტურებში გავრცელებულობას უსვამს ხაზს, რომლებშიც ინტერპერსონალური ჰარმონიაა ღირებული და „პირდაპირი პიროვნული კონტროლი“ არასასურველად აღიქმება. სწორედ ამიტომ სჭირდება ამ კულტურის წარმომადგენლებს მიმართონ კონტროლის უნარის შენიღბვის ან სხვების დახმარების სტრატეგიას.

კულტურებს შორის აღნიშნული სხვაობები დიდი ხანია იპყრობს მრავალი მეცნიერის ყურადღებას და შესაბამისად, არაა გასაკვირი, რომ ამ საკითხის ირგვლივ არაერთ კლასიფიკაციას ვხვდებით, რომლებშიც ტერმინების/სახელწოდებების დონეზე მცირედი განსხვავებებია, თუმცა შინაარსობრივი თვალსაზრისით ერთსა და იმავე პრინციპებზეა საუბარი. ჩვენი მიზნებისთვის საკმარისად ვთვლით ორი მათგანის განხილვას. მხედველობაში გვაქვს მენონის და მისი კოლეგების (1999) მიერ შემოტანილი „ინდივიდუალური“ და „კოლექტიური აგენტობის“ და მარკუსის და კიტაიმას (2003) „განცალკევებული“ (disjoint) და „გაზიარებული (conjoint) აგენტობის“ ტიპები.

ნიშანდობლივია, რომ აგენტობის[87] (agency) ცნება ხშირად დასავლურ ფილოსოფიასთან იგივდება. დასავლური პერსპექტივის თანახმად, ქცევები არ ჩნდება თავისთავად, აუცილებლად მოითხოვს აგენტის არსებობას, ანუ ქცევის აღმძვრელს. აღნიშნული ხედვის თანახმად, აგენტობა ექსკლუზიურად ინდივიდის მახასიათებელია. მარკუსი და კიტაიმა (2003) აღნიშნავენ, რომ ეს არ არის აგენტობის ზოგადი მოდელი, არამედ მხოლოდ ერთ–ერთი მოდელია[88], რომელიც საშუალო კლასის ევროპელი ამერიკელების კონტექსტში შესაბამისი მნიშვნელობებითა და პრაქტიკებით შეიქმნა და ნარჩუნდება. ამგვარად, მცდარია შეხედულება, რომ აგენტობის განცდა მხოლოდ ამ სახით შეიძლება არსებობდეს. თუ მხოლოდ ამ გაგებით ვიხელმძღვანელებთ, მოგვეჩვენება, რომ „გაზიარებული/კოლექტიური აგენტობა“ არც კი შეიძლება აგენტობად ჩაითვალოს. სწორედ ამიტომ უსვამენ ხაზს მარკუსი და კიტაიმა (2003), რომ "გაზიარებული აგენტობა" არ არის მცირე დოზით აგენტობა, არამედ აგენტობის განსხვავებული სახეა. მართალია, ამ შემთხვევაში ინდივიდის ქცევა მოითხოვს სხვების გათვალისწინებას, რეციპროკული ვალდებულებებისა და მოლოდინების დაკმაყოფილებას, თუმცა, სხვების მიმართ ვალდებულებებისა და სხვების მოლოდინების შესრულება აღიქმება *არა წნეხად,* არამედ, პირიქით, *მოტივაციის აღმძვრელად და გამაძლიერებლად.*

ჩვენს კვლევაში „გაზიარებული/კოლექტიური აგენტობის“ გამომხატველად გვხვდება კავშირის აღმწერი მეტაფორები;

---

[87] აგენტობის (agency) ცნება ფილოსოფიაში თავისუფალი ნების საკითხთანაა დაკავშირებული. ადამიანი, ექსტერნალური (გარემო, საზოგადოება, ბუნება, ღმერთი და სხვა აგენტები) და ინტერნალური (გაუკონტროლებელი სურვილები, მოთხოვნილებები, გენები და პიროვნება) შეზღუდვების მიუხედავად, თავისუფალი არჩევანის უნარის მქონე აგენტად განიხილება.
ფსიქოლოგიურ მეცნიერებაში აგენტობის აღმწერია ისეთი ცნებები, როგორიცაა თვითკონტროლი, თვითეფექტურობა, თვითდეტერმინაცია და ა.შ. შესაბამისად, ფსიქოლოგიაში აგენტობის საკითხი ძირითადად ალბერტ ბანდურას სახელთანაა დაკავშირებული (Feldman, 2017).
დაბოლოს, სოციოლოგიაში ცნება „აგენტობის“ მნიშვნელობა „აგენტი“ VS „სტრუქტურა“ ოპოზიციის კონტექსტში განისაზღვრება. ის გამოიყენება ინდივიდის იმგვარი მოქმედებების აღსაწერად, რომელიც წინააღმდეგობას უწევს ჰეგემონურ სოციალურ სტრუქტურებს (Quinn & Strauss, 1997).

[88]აღსანიშნავია, რომ ტერმინის „მოდელი“- გამოყენებისას ისინი ეყრდნობიან სოციალური რეპრეზენტაციისა (Duveen, 2001; Moscovici, 2001) და კულტურული მოდელების თეორიას (Holland & Quinn, 1987; D'andrade & Strauss, 1992; Shore, 1996).

> "[წარმატების მიღწევას] მარტო შრომა არა, რაღაც **კავშირების დამყარებაც** უნდა. შესაბამისი გარემოს შექმნაც და ამას თავის მხრივ ბევრი დრო სჭირდება."

> „ძალიან რთულია უმუშევრად რომ ვარ, მაგრამ ეგ იმას არ ნიშნავს, რომ ხო ხვდებით... ოჯახის წევრები მყვანან ისეთი, რომ **მხარში მიდგანან."**

> „როდესაც ადამიანთან მეგობრობ, ეს **იძულებითი** არ არის. ეს არის რაღაც ჰარმონიული **ურთიერთგაგება** და რაღაცა ისეთი, აი, **უსასყიდლოდ.**

საინტერესოა, რომ „გაზიარებული აგენტობის" ანუ კოლექტიური რესურსის გამოყენებით (საერთო ძალებით) მიზნის მიღწევის შინაარსში გამოვლინდა, რომ არა მხოლოდ კონკრეტული ადამიანების დახმარებით ხდება მიზნის მიღწევა, არამედ ამავე ფუნქციას შეიძლება „სახელიც" ასრულებდეს .

> „საქმეში რამდენად **მოგემართება ხელი,** შეიძლება **მამის პატიოსანი სახელი** კი დაგეხმაროს, მაგრამ, აი, ეგ იმიტომ, რომ იცნობდა ვიღაცას და პატივს სცემდა და მაგიტომ. იმიტომ არა, რომ რამე ზებუნებრივი იყოს."

> „ჩვენთვის ფულს და თანამდებობას არ აქვს მნიშვნელობა და უპირველესი **სახელია,** რადგან გარდაცვლილი მამაჩემის **სახელმა** გვაცხოვრა და **გვასაზრდოვა** მთელი ცხოვრება."

ვფიქრობთ, აგენტობის კლასიფიკაციის ავტორებმა (Markus & Kitayama, 2003; Menon et al., 1999) დასავლური პერსპექტივის გარდა, სხვა პერსპექტივის არსებობის გამოკვეთაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს. თუმცა, მათ მიდგომაში კროსკულტურული ფსიქოლოგიისთვის დამახასიათებელი პრობლემები იჩენს თავს. მარკუსი და კიტაიმა (2003) „გაზიარებული აგენტობის" უფრო მეტად კოლექტივისტურ კულტურებში გავრცელებულობას უსვამენ ხაზს. დღეს კი, კულტურების ინდივიდუალისტურ და კოლექტივისტურ კულტურებად დაყოფის კროსკულტურული მიდგომის კონცეპტუალური და მეთოდოლოგიურ პრობლემებზე სულ უფრო და უფრო მეტი ავტორი მიუთითებს (Guimar˜aes, 2019; Huang, Bedford, & Zhang, 2018; Omi, 2012; Tripathi & Leviathan, 2003).

კროსკულტურული ფსიქოლოგიისგან განსხვავებით, კულტურული ფსიქოლოგია, კერძოდ, ჩვენ მიერ თეორიულ ნაწილში განხილული, სემიოტიკური მედიაციის კულტურული ფსიქოლოგია, აზრს მოკლებულად მიიჩნევს „ინდივიდუალიზმის" და

„კოლექტივიზმის“ ურთიერთგამომრიცხავ გაყოფას[89]. მანამდე გაბატონებული ურთიერთგამომრიცხავი დაყოფიდან („ინდივიდუალიზმი“ ან „კოლექტივიზმი“) უფრო რელევანტურად ინკლუზიურ დაყოფაზე გადასვლა მიიჩნევა - „ინდივიდუალიზმი“ და „კოლექტივიზმი“ (Valsiner, 2019), რაც ამ ცნებების ქვეშ მოაზრებული შინაარსების თანაარსებობის შესაძლებლობას გულისხმობს.

ვფიქრობთ, აღნიშნული მიდგომის რელევანტურობას ადასტურებს ჩვენი კვლევის მონაცემებიც, რომელშიც „ინდივიდუალური“ და „გაზიარებული აგენტობები“ ერთმანეთს კი არ გამორიცხავს, არამედ ერთდროულად გვხვდება ქართველი რესპონდენტების დისკურსებში. ქვემოთ ციტატა გვიჩვენებს, რომ “გაზიარებული აგენტობის” გამომხატველ მეტაფორასთან -„გვერდში დგომა“ - ერთად მოცემულია პირადი ძალისხმევის ხარჯზე მიღწეული წარმატების გამომხატველი მეტაფორა („აქ ვერ ვიქნებოდი“).

> „მშობლები **დამიდგნენ გვერდში,** როცა მჭირდებოდა სწავლა. ჩემს სწავლაში ჩადეს მათ ფინანსები. მაგრამ, რომ არა ეს გათენებული ღამეები, მე დღეს **აქ ვერ ვიქნებოდი.** ვერ მივაღწევდი იმას, რაც ვარ ახლა“.

მომდევნო ციტატაში კი ერთი მხრივ, ამბივალენტური განცდები შეიმჩნევა კოლექტიური რესურსის მოხმარებასთან დაკავშირებით და მეორე მხრივ, იმ პერსპექტივიდან, როცა პიროვნება თავადაა რესურსის გამღები სხვისთვის, სხვების მხრიდან აღნიშნული დამოკიდებულების გამოვლენა მიუღებლად კვალიფიცირდება.

> „შინაგანად მაინც სტრესში ვარ, რომ როგორ შეწუხდა... როგორ **დაიხარჯა...** თან ამავდროულად არ მინდა, ეს სიტყვები რომ ვიხმარო - როგორ შეწუხდით. იმიტომ, რომ ჩემთვის ეს შეურაცხყოფა იქნება, ვიღაცამ რომ მითხრას, როგორ შეწუხდიო, იმიტომ, რომ თუ რაღაცა ეგეთს ვაკეთებ, ვარ ხოლმე მოტივირებული თავიდან ბოლომდე და მთელი **გულით..** აი, რომ **ჩააქსოვ.“**

ვფიქრობთ, მომდევნო ორი კომპონენტის განხილვისას კიდევ უფრო კარგად გამოჩნდება ორმხრივად ინკლუზიური, ანუ არაურთიერთგამომრიცხავი მიდგომის რელევანტურობა.

---

[89] ხაზი გაესმის ფენომენების გაყოფის ორი შესაძლო ვარიანტის არსებობას: 1). ურთიერთგამომრიცხავი გაყოფა, როცა A არ არის არა-A. 2). ორმხრივად ინკლუზიური გაყოფა, როცა A არ არის არა-A, მაგრამ დაკავშირებულია არა-A-სთან (Valsiner, 2014).

ღვთაებრივი კონტროლი და წინასწარგანსაზღვრულობა. ინტერვიუების საფუძველზე გამოვლენილი მეტაფორები: „სასჯელი“, "გამოცდის ჩაბარება", “გზის გავლა“ (მსგავსს შინაარსს გამოხატავდა ნაბიჯის გადადგმა – სწორი და არასწორი მიმართულებით), „ადამიანური ურთიერთობები“ (პიროვნების მსგავსს არსებასთან ურთიერთობა), „ძიძა“ “ღვთაებრივი კონტროლის” კომპონენტში გაერთიანდა.

> „დიდი ცოდვა დავიდე, ამისთვის **დავისაჯე** უოჯახობით“.
>
> "ის, თუ **როგორ ვაბარებთ ამ გამოცდას** ან როგორ **გავივლით ამ გზას**, განაპირობებს ჩვენს მომავალს.“
>
> „[ადამიანის ბედი წყდება] ზუსტად ისე, როგორც **ადამიანები ვურთიერთობთ.** აი, მაგალითად, მე შენ გაწყენინე, მაგრამ მერე ძალიან დაგეხმარე და საუკეთესო ურთიერთობა ჩამოგვიყალიბდა.
>
> “ერთი კომიკოსი ამბობდა, რომ ქრისტე არის უფასო **ძიძაო.** ადამიანს რომ ეტყვი, **გიყურებსო,** ცუდ რამეებს არ გააკეთებსო.”

მეტაფორები: „სასჯელი“, "გამოცდის ჩაბარება", “გზის გავლა“, „ადამიანური ურთიერთობები“, „ძიძა“ ცხადყოფს, რომ ამ შემთხვევაში არ არის საუბარი რაღაც ძალაზე, რომელიც დაბადებიდან უცვლელად განსაზღვრავს ადამიანის ცხოვრებას. ადამიანის ცხოვრებაში კარგი და ცუდი მოვლენები ყოვლისშემძლე და პერსონიფიცირებული ღმერთის მიერ მოვლენილი ჯილდოები და სასჯელებია. თუმცა, ღმერთი არ მოქმედებს შემთხვევითად და თავისი სურვილების შესაბამისად, არამედ, მისი გადაწყვეტილება ადამიანის ქცევაზეა დამოკიდებული. მსგავსი ტიპის შინაარსები ლიტერატურაში იობის პრინციპის სახელწოდებით გვხვდება (Young, Morris, Burrus, Krishnan, & Regmi, 2011, Fortes, 2018).

საინტერესოა, რომ იობის პრინციპის გარდა, ქართველ რესპონდენტებთან გამოვლინდა მეტაფორები, რომელიც ლიტერატურაში ოიდიპოსის პრინციპის (ინდივიდები იბადებიან წინასწარგანსაზღვრული ბედით, რომელსაც ვერ გაექცევიან) სახელწოდებით ცნობილ გაგებასაც გამოხატავს (Young, Morris, Burrus, Krishnan, & Regmi, 2011, Fortes, 2018). ერთ-ერთი მათგანია: „ვარსკვლავზე დაბადება“.

"მე ძალიან მჯერა ბედისწერის, რა **ვარსკვლავზეც** არის ადამიანი **გაჩენილი.** ზოგი ისე იოლად აღწევს ყველაფერს, ზოგი კიდე პირიქით."

ადამიანის დაბადებისას მისი სახელობის ვარსკვლავის გაჩენა ზეცაში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული რწმენა-წარმოდგენაა საქართველოში ეთნოგრაფიული შრომების თანახმად (აბაკელია, 1997).

„ვარსკვლავზე დაბადება“ და სხვა მსგავსმა მეტაფორებმა, რომლებიც გამოხატავენ გაგებას - დაბადებისას უკვე წინასწარგანსაზღვრულია ადამიანის ცხოვრება - ერთ კომპონენტში მოიყარა თავი და მას *“წინასწარგანსაზღვრულობის”* კომპონენტი ვუწოდეთ.

რესპონდენტებში წინასწარგანსაზღვრულობის მსოფლმხედველობის ისეთი უკიდურესი ფორმაც გამოვლინდა, როგორიცაა *ეკვიფინალობა.* გაგება, რომლის თანახმად, როგორადაც არ უნდა განვითარდეს მოვლენები, შედეგი მაინც იგივე იქნება (Norenzayan & Lee, 2010).

ეკვიფინალობის გამოსახატად ისინი იყენებდნენ შემდეგ მეტაფორულ გამონათქვამებს: „მონა“, „ბრუნვა“.

„ბედის მიმართ ხარ **მონა“.**

„შეიძლება უბედური შემთხვევა აირიდო, მაგრამ შეიძლება უახლოეს პერიოდში სხვა რაიმეთი **შემობრუნდეს.“**

“წინასწარგანსაზღვრულობის” კომპონენტში ქართველ რესპონდენტებთან ასევე ვხვდებით მეტაფორულ გამონათქვამს „წერა“.

„სადაც არ უნდა წახვიდე, მაინც არ აგცდება, რაც **გიწერიაო“**

„თითქოს ყველაფერი წინასწარ არის **დაწერილი“.**

დაბოლოს, როგორც ვნახეთ, ჩვენს კვლევაში გამოვლინდა როგორც “ღვთაებრივი კონტროლის” (იობის პრინციპი), ისე “წინასწარგანსაზღვრულობის” (ოიდიპოსის პრინციპი) შესაბამისი გაგება. საინტერესოა ამ ხედვების თანაარსებობის ისეთი პატერნის გამოვლენაც რესპონდენტებში, როცა ადამიანის ქცევისგან დამოუკიდებელი

წინასწარგანსაზღვრულობა, ბედის უცვლელობა (ოიდიპოსის პრინციპი) პერსონიფიცირებული ღმერთის ცნებასთანაა (იობის პრინციპი) დაკავშირებული.

„რელიგია მიყვება ბედისწერას, ოღონდ **ბედისმწერელი** ღმერთია.“

„ღმერთი იმიტომ მომივიდა თავში, რომ ყველას ჰგონია, რომ ღმერთი **წერს.“**

საინტერესოა, რომ ქართველ რესპონდენტებში ღვთაებრივი კონტროლისა და წინასწარგანსაზღვრულობის რწმენების შესაბამისი სამომავლო რისკების მართვის განსხვავებული სტრატეგიებიც თანაარსებობს. იანგი და მისი კოლეგები (2011) აღნიშნავენ, რომ წინასწარგანსაზღვრულობის ინდუისტური მოდელის თანახმად, რადგან ბედისწერა დაბადებიდანვეა გაწერილი, შესაძლებელია მომავლის შესახებ წინასწარ შეტყობა. თუმცა, უბრალო მოკვდავთათვის ეს შეუძლებელია, მხოლოდ მკითხავებისთვის, წინასწარმეტყველებისა და ნათელმხილველებისთვის. ასევე, რადგან სამსარას სისტემა ვარსკვლავებთანაა დაკავშირებული, პიროვნების ბედისწერის შესახებ ასტროლოგებსაც შეუძლიათ შეიტყონ. ღვთაებრივი კონტროლის, ანუ ქრისტიანული კოსმოლოგიის თანახმად კი, ზებუნებრივი ძალების გავლენის წინასწარ შეტყობა შეუძლებელია, რადგან ის წინასწარგანსაზღვრული, პროგნოზირებადი კოსმოსური წყობიდან კი არ მომდინარეობს, არამედ პიროვნების მსგავსი არსებიდან, რომელიც ცვლის თავის აღქმებს, ემოციებსა და განზრახვებს. შესაბამისად, ეფექტურ სტრატეგიად ღვთის წინაშე ლოცვა ითვლება. მაგ., ბიბლიაში დავით მეფე ფსალმუნებში ხშირად მიმართავს ღმერთს.

როგორც ვახსენეთ, სამომავლო რისკების მართვისთვის ჩვენს რესპონდენტებში ორივე სტრატეგია ვლინდება:

„მჩხიბავებთან დადიან, ტაროს შლიან; დაქალებიც დადიან. ძაან მექაჩებიან მეც.“

„ჩემს გარშემო ბევრს სჯერა მკითხავის”.

„მე თვითონ ვმკითხაობდი კარტზე“.

„გონება მეფანტება ხოლმე, მაგრამ, რომ არ ვილოცო, მეშინია. არ შეიძლება რომ გამოვტოვო."

„ასტროლოგიაც ღმერთის მოგონილია“ (“ღვთაებრივი კონტროლისა” და “წინასწარგანსაზღვრულობის” კომპონენტის შესაბამისი გაგების შეთავსების კიდევ ერთი ილუსტრაცია).

საინტერესოა, რომ ჩვენი კვლევის შედეგების ანალოგიურ შედეგებს აღნიშნავს ანთროპოლოგი მაიერ ფორტესიც (2018) დასავლეთ აფრიკულ რელიგიაში. კერძოდ, ოიდიპოსის და იობის პრინციპებს შორის დაპირისპირებულობის ნაცვლად ისიც მათ კომპლემენტარულ თანაარსებობაზე მიუთითებს. მის სტატიაში ოიდიპოსის და იობის პრინციპები ზრდასრულ მოქალაქედ ჩამოყალიბების პროცესში წარმოქმნილ სირთულეებთან გამკლავების სტრატეგიებად განიხილება. განმარტებულია, რომ ზოგიერთი პიროვნება ვერ ახერხებს სოციუმის სრულფასოვან წევრად ჩამოყალიბებას და სწორედ ასეთი მარცხის ინტერპრეტირებისთვის, მისთვის მორალური შეფასების მინიჭებისთვის და საზოგადოების კონტროლის ქვეშ მოსაქცევად, გამოიყენება რწმენები და რიტუალები, რომლებიც ოიდიპალური ბედისწერის ცნებას ეფუძნება (მაგალითად, ასეთი მარცხის შემდეგ პიროვნებებისთვის იარლიყი „უბედოს“ მიკვრა). რაც შეეხება, იობის პრინციპს, მაიერ ფორტესის ხაზგასმით, ადამიანთა უმრავლესობა ამ პროცესს წარმატებულად ართმევს თავს, თუმცა, მხოლოდ ჯილდოებისა და სასჯელების არსებობის პირობებში. სწორედ ამიტომ დასავლეთ აფრიკის რელიგიურ სისტემაში პერსონიფიცირებული ზებუნებრივი ფიგურებიც (იობის ღმერთის გამარტივებულ ვერსიად შეიძლება ჩაითვალოს) გვხვდება, რომლებიც, ფორტესის (2018) თანახმად, ავტორიტეტული მშობლების ანალოგიად შეგვიძლია განვიხილოთ.

წინამდებარე ქვეთავში განხილული “ღვთაებრივი კონტროლისა” და “წინასწარგანსაზღვრულობის” კომპონენტები ლიტერატურაში კოსმოლოგიური ფატალიზმის სახელწოდებით ცნობილ ფატალიზმს მიეკუთვნება.

„უმწეობა“. ჩვენი კვლევის ინფორმანტები აღწერდნენ გარკვეულ გარემოებებს, რომლებსაც ისინი აღიქვამენ, როგორც „გამოუვალს“, მაგალითად, სოციალური სტატუსის, საცხოვრებელი პირობების შეცვლის შეუძლებლობა. ამგვარი გაგების

გამომხატველი მეტაფორები ფატალიზმის კულტურული მოდელის „უმწეობის“ კომპონენტში გაერთიანდა.

> „ეგეთი ფრაზაა ფული ფულთან **მიდის**, ეგ მართალია“.
>
> „ხალხი **შეგუებულია** მარცხს და არ ცდილობს, **გლეხიკაცისთვინ არავინ არ არი,** ხო გაგიგია.“

ვფიქრობთ, მკვიდრი კულტურის წარმომადგენელი ინტერვიუერის მიმართ ნათქვამი ფრაზა „ხო გაგიგია“, აღნიშნული გაგების გაზიარებულობის მაჩვენებლად შეგვიძლია მივიჩნიოთ.

> „ეგ არის, რომ წინასწარ თუ გგონია, რომ ყველაფერი განსაზღვრულია... მაგაზე მახსენდება მე-13 - მე-14 საუკუნეებში ქრისტიანებს რომ ეგონათ, რომ გეტყვიან **რომ გლეხი ხარ და გლეხი უნდა იყო**, იმის იქით ვერ და არ მიდიოდნენ, რადგან ეგონათ, რომ აუცილებლად ასე უნდა ყოფილიყო“.

როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაში ლიტერატურაში კოსმოლოგიური ფატალიზმის სახელწოდებით ცნობილ ფატალიზმთან კი არ გვაქვს შეხება, არამედ სტრუქტურულ ფატალიზმთან, რომლის დეფინიცია, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ემილ დიურკემს ეკუთვნის. ამ დეფინიციის თანახმად, ფატალიზმი წარმოიშობა სტრუქტურული მდგომარეობიდან, როგორიცაა უთანასწორობა და ჭარბი რეგულაცია (Acevedo, 2005, 2008, Ruiu, 2012, 2013).

უმწეობის გაგებასთან დაკავშირებული სტრუქტურული პროცესებიდან აღნიშვნის ღირსია მე-19-ე საუკუნის მეორე ნახევრის გარდამავალი ისტორიული პერიოდი საქართველოში, როცა ახალი სოციო-პოლიტიკური რეალობა ყალიბდება: არისტოკრატიასა და გლეხობას შორის ახალი სოციალური ფენა, ბურჟუაზია (იმდროინდელი ქართული შესატყვისი - ვაჭარი) ჩნდება (ქორჩილავა, 2019). არისტოკრატია კარგავს თავის ძლევამოსილებას და სასოწარკვეთილია, ხოლო ბურჟუაზია იბრძვის თავის დასამკვიდრებლად. აღნიშნული პროცესები ასახულია ქართულ მწერლობაშიც. ამავე ეპოქაში ახალი მიმართულება - ,,ქართული კრიტიკული რეალიზმი“ - ყალიბდება. იქმნება არაერთი საინტერესო ლიტერატურული ტექსტი, რომელთა შორის მნიშვნელოვან ადგილს დრამატურგიული ტექსტები იკავებს (რატიანი,

ლეთოდიანი და წერედიანი, 2017). გიორგი ერისთავი თავის პიესებში („დავა“, 1840; „გაყრა“, 1849) კრიტიკულად აღწერს *„ფეოდალიზმის ძველი სისტემის ნანგრევებქვეშ მოყოლილ თავადაზნაურობას, რომელთაც არ აღმოაჩნდათ ალღო ფეხი აეწყოთ ახალი, ბურჟუაზიული წყობისთვის და სასაცილონი იყვნენ თავიანთ უმწეობასა და უსუსურობაში“* (რატიანი, ლეთოდიანი და წერედიანი, 2017; გვ.129).

საინტერესოა, რომ საქართველოში ბურჟუას ცნებას დასავლური სამყაროს მსგავსად სოციალური და კულტურული განვითარების სხვადასხვა ეტაპის გავლა არ დასცალდა. ის ბოლშევიკურმა რევოლუციამ შთანთქა (რატიანი, ლეთოდიანი და წერედიანი, 2017). კომუნისტური წყობა კი არანაკლებ (მეტად თუ არა) საინტერესოა სტრუქტურული ფატალიზმის საკვლევად.

კვლევები პოსტ-კომუნისტურ ევროპაში ფატალიზმის მაღალ დონეს ავლენს (Schwartz & Bardi, 1997; Goodwin et. al, 2002; Ruiu, 2012, 2013;). აღნიშნულს ზოგადად ამ რეგიონში საუკუნეების განმავლობაში მომხდარ მრავალ დრამატულ ისტორიულ მოვლენას უკავშირებენ და უფრო უახლოეს მომავალში, იგულისხმება კომუნისტური ეპოქა, ინდივიდუალური აგენტობის რეპრესიითაც ხსნიან (Goodwin et. al, 2002). კვლევები საბჭოთა კავშირის დაშლამდე და დაშლის შემდეგაც, ტრანზიციულ ეპოქაში, ფატალიზმსა და ალკოჰოლის ავადმოხმარების[90] შორისაც ავლენს კავშირს (Goodwin et. al, 2002).

რატომ შეიძლება კომუნისტური წყობა ფატალიზმის მაღალ მაჩვენებლებთან იყოს დაკავშირებული? შვარცმა და ბარდმა (1997) გამოკვეთა ორი მნიშვნელოვანი ასპექტი: 1) კომუნისტური რეჟიმი სხვა ტოტალიტარული რეჟიმების მსგავსად მისი მოქალაქეებისგან ითხოვს ზემდგომების მიმართ უსიტყვო მორჩილებას საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, იქნება ეს პოლიტიკური, სოციალური, განათლების თუ ეკონომიკურ სფერო. დაუმორჩილებლობას კი აუცილებლად მოჰყვება სასჯელი. შესაბამისად, მოქალაქეების მხრიდან აზრის გამოხატვა ან ისეთი ქცევების განხორციელება, რომელთა

[90] ამ ქვეყნებში ცხოვრების ხანგრძლივობის დრამატული შემცირების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად ითვლება (Goodwin et. al, 2002).

მისაღებობაში დარწმუნებულნი არ იყვნენ, საფრთხესთან იყო დაკავშირებული. შედეგად კი მათ დაისწავლეს ინიციატივის და რისკის გაწევისგან თავშეკავება, თავს არიდებდნენ მოსაზრებების და მითუმეტეს, კრიტიკის გამოთქმას. შესაბამისად, აგენტობის, პიროვნული კონტროლის განცდამ იკლო, მოქალაქეები სტატუს-კვოს ეგუებოდნენ. 2) რაც შეეხება მეორე ასპექტს, კომუნისტური რეჟიმისთვის დამახასიათებელმა პატერნალიზმმაც[91] შეუწყო ხელი პასიურობის ზრდას, ამბიციის ჩახშობას, პოლიტიკური პროცესების მიმართ ინტერესის დაკარგვას. ხალხი სახელმწიფოსგან ელოდა სამსახურებით, საცხოვრებლითა და ცხოვრების ადეკვატური სტანდარტით უზრუნველყოფას. პატერნალიზმის კიდევ ერთი შედეგი მოქალაქეების მხრიდან საკუთარ ქცევებზე პასუხისმგებლობის განცდის დაკარგვაც აღმოჩნდა. ასეთ მენტალობას ტერმინით -„მორალური ესკაპიზმი“ - მოიხსენიებენ (Schwartz & Bardi, 1997).

პატერნალიზმის შესახებ ჩვენი კვლევის ინფორმანტიც ახსენებს:

> „ისეთნაირად იყო, რომ ადრე ყველა მუშაობდა, აუცილებელი იყო და სახელმწიფო ზრუნავდა ისეთნაირად, რომ მოვიდოდნენ, შეგამოწმებდნენ“.

ინფორმანტები საუბრობენ საბჭოთა დაშლის შემდეგაც მძიმე წლებით (შეიარაღებული კონფლიქტები საქართველოში, დევნილობა, მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა) გამოწვეულ უკონტროლობის განცდაზეც:

> “ალბათ, აი თუნდაც ლტოლვილები ან ისეთი ხალხი, რომლებიც ვერ აკონტროლებენ თავიანთ ცხოვრებას გარემოებების გამო”.

> „მე ვფიქრობ რომ მე მქონდა იმის პოტენციალი, რომ ვყოფილიყავი უფრო მეტი და, იცი, ძალიან ცუდი დროც დამემთხვა, ვაბრალებ ამ დროს. ძალიან მძიმე წლებში მომიწია სტუდენტობაც.. მაშინ წარმატებაზე არ იყო საუბარი, იყო გადარჩენაზე.“

---

[91] ძალაუფლება, რომელიც ხორციელდება ზემოდან იმათ გასაძღოლად და მხარდასაჭერად, ვინც ქვემოთ არის, და რომელიც მამებისა და შვილების ურთიერთობის მოდელს ეფუძნება (წყარო: პოლიტიკური იდეოლოგიები: შესავალი კურსი / ენდრიუ ჰეივუდი; [მთარგმნ.: თამარ ბაკურაძე და სხვ.; რედ.: ლაშა ბერაია, ზეინაბ სარაძე]. - მე-3 გამოც.. - თბ.: ლოგოს პრესი, 2004. - 432გვ.]

თუმცა, აღსანიშნავია, რომ დიურკემი სტრუქტურულ ფატალიზმში არ გულისხმობს მხოლოდ მატერიალური რესურსების განკარგვის უნარს. როგორც თეორიულ ნაწილში ვახსენეთ, წიგნში „თვითმკვლელობა“ ავტორს სტრუქტურული ფატალიზმის ერთ-ერთ მაგალითად ძალიან ახალგაზრდა ქმრების [და] დაქორწინებული უშვილო ქალების განცდა მოჰყავს. ანუ, სტრუქტურული ფატალიზმის დიურკემისეული გაგება ფართოა და მასში ეკონომიკური სფეროს გარდა, სოციალური ცხოვრების მიკროდონეების (ქორწინება, ბავშვის აღზრდა და ა.შ) ჭარბი რეგულაციის შედეგად აღმოცენებული ფატალისტური ხედვებიც მოაზრება (Acevedo, 2005).

სოციალური ცხოვრების მიკროდონეების ძლიერ შემზღუდველი და შეუწყნარებელი ნორმებით კონტროლის შესატყვისი შინაარსები გამოვლინდა ჩვენს კვლევაშიც: რესპონდენტები და ოჯახის შექმნასთან დაკავშირებით ზეწოლასა და სხვისი აზრის გათვალისწინებით პარტნიორის შერჩევაზე საუბრობენ:

„სხვები ფიქრობენ, რომ ჩემთვის უკვე დრო არის, რომ დავოჯახდე“.

„ოჯახი **ძალით** შემაქმნევინეს“.

„მამას ჰქონდა ორი პროფესია: ჯერ იყო ფიზიკის მასწავლებელი და მერე გახდა მშენებელი. ჩვენ შვილებმა, ერთმა სამშენებლო აირჩია, მეორემ ფიზიკა. მამის პროფესიები. დედაჩემს ძალიან უნდოდა ექიმები ვყოფილიყავით. ჩვენ არ გვინდოდა და უფრო მამას დავუჯერეთ. სამაგიეროდ, ისიც შევუსრულეთ, რომ რძლები მოვიყვანეთ ექიმები. დედას ვასიამოვნე.”

ქართულ კულტურაში საქორწინო პარტნიორის ამორჩევაში სიფრთხილის დაცვის (“არ შეცდე”) მკაცრი ნორმატული მოთხოვნის არსებობაზე უკანასკნელი კვლევებიც მიუთითებს. სურმანიძის (2000) აზრით, “არ შეცდე” კატეგორიული იმპერატივია ქცევის სტანდარტის მისადევნებლად, რომელიც ცვალებადი ქცევის კულტურულ მიუღებლობას გამოკვეთს. “შეცდომის” დაშვება შემდეგი სახის კონოტაციებთანაა დაკავშირებული: არასტანდარტულობა (არატრადიციულობა) არჩევანში, სუბიექტის ინტერნალური მახასიათებლების (მაგალითად, გემოვნების) პრიორიტეტი კოლექტივის მოთხოვნებზე, რაც ეგოიზმად კვალიფიცირდება (*“არავისზე არ იფიქრა”, “ანგარიში არავის გაუწია”*), ოჯახისა და სანათესავოს მხარდაჭერის არად ჩაგდება (“*ჩემგან/ჩვენგან ვერაფერს*

მიიღებს" ან "ვერაფერს ეღირსება", "ჩვენს ოჯახს არ ეკადრებოდა" და ა. შ.). ამგვარად, რეფერენტული ჯგუფების მხრიდან დაწესებული შემზღუდველი ნორმები და მათი უფლებამოსილება აკონტროლონ ინდივიდის პირადი ცხოვრება[92] *("ცოლი ისე უნდა ითხოვო, რომ ოჯახს არ უნდა მიაყენო ცუდი რამე")* ფატალისტური უმწეობის შესატყვისი დაშვებებისთვის ქმნის ნაყოფიერ ნიადაგს. აღნიშნულის შესახებ საუბრობენ ჩვენი კვლევის ინფორმანტებიც:

> „სხვა ქვეყანაში რომ დავბადებულიყავი და მეცხოვრა, ამ ასაკში ბევრი რამისთვის მექნებოდა მიღწეული, ოღონდ არ ვგულისხმობ, კარიერას, ცოდნას და ესეთ რაღაცებს, მეტად გაზრდილი ვიქნებოდი პიროვნულად. [აქ რამ შეგაფერხა?]. წმინდად აქაური სოციალური, ეკონომიკური, სტერეოტიპული დამოკიდებულებები. რაც უფრო გავიზარდე, რაღაცებს არ ვაქცევ ყურადღებას, მაინც ვცდილობ ჩემი ავტონომიურობის შენარჩუნებას, მაგრამ საზოგადოებრივი **წნეხი** დიდია. აზროვნებაშიც კი ხელს გიშლის ესე მგონია, როცა რაღაც პერიოდი სხვანაირს ვერ ნახულობ, ვერ ისმენ, მგონია, რომ შენც **იმ ჩარჩოში** აზროვნებ, გინდა არ გინდა."

„მომავალი უსასოოდ ბლოკირებული, უპერსპექტივოა და ვნებები ოპრესიული დისციპლინით ძალადობრივად ჩახშულია" (Durkheim, 2005; p. 239[93]) ასე აღწერს დიურკემი ფატალისტური ხედვას ჩვენთვის უკვე კარგად ნაცნობ სქოლიოში. ოპრესიული დისციპლინის საკითხი, რა თქმა უნდა, წინამდებარე კვლევის სიღრმისეული შესწავლის საგანი არ ყოფილა. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვან მონაცემებს გვაწვდის უკანასკნელ წლებში ჩატარებული ფსიქოანთროპოლოგიური კვლევები (სურმანიძე, 1998, Kristesashvili, Surmanidze, Tsuladze, Shengelia, & Zardiashvili, 2009, Surmanidze & Tsuladze, 2010, გამსახურდია, 2016, 2019), რომლებიც ქართული

---

[92] იგივე გაგება გვხვდება 2016 წელს ქორწინების კულტურული მოდელის გამოსავლენად სურმანიძე, ჯინჭარაძე, ჩუბინიძე და ჩხაიძის მიერ ჩატარებულ კვლევაშიც. რესპონდენტები ხაზს უსვამენ პირად ცხოვრებაში საზოგადოების დიდი დოზით ჩარევას: *„როცა საზოგადოება ასე თვლის და შენ ამ საზოგადოებაში გიწევს ცხოვრება, გინდა - არ გინდა, საზოგადოების აზრის გათვალისწინება მოგიწევს. უმეტეს შემთხვევაში ისე ვცხოვრობთ, როგორც საზოგადოებას უნდა. სხვა შემთხვევაში საზოგადოებამ შეიძლება გაგრიყოს და დარჩე მარტო".*

[93] Durkheim, E. (2005). Suicide: a study in sociology [1897]. Translated by JA Spaulding and G. Simpson (Glencoe, Illinois: The Free Press, 1951; This edition published in the Taylor & Francis e-Library, 2005)

ეთნიკური იდენტობის მჭიდრო კავშირს ავლენენ კონსერვატიულ სექსუალურ ქცევასთან[94].

აღსანიშნავია, რომ ქართული კულტურის შემთხვევაში უშვილო ქალის მიმართ არსებული წნეხით განპირობებული უმწეობის დიურკემისეული გაგებაც აქტუალურია. ენობრივ მსოფლმხედველობრივ ფორმულებსა („მზე დედაა ჩემი“, „დედაენა“, „დედაბოძი“ და ა.შ.) და ეთნოგრაფიულ მონაცემებზე დაყრდნობით ქართული კულტურის შესახებ უკანასკნელი კვლევების (სურმანიძე, 1998) თანახმად, საქართველოში არსებობს არა ქალის, არამედ - დედის კულტი. *„ამაზე მიუთითებს უძველეს რელიგიურ ქალურ ღვთაებათა ფუნქციური დანიშნულება - ბუნების დიდი დედა ნანა, ნაყოფიერების სიმბოლო; აღმოსავლეთის მთის სამძივარი, დედების და შვილების მფარველი ღვთაება; დალიც კი - ყველაზე „არადედური“, სვანეთის ტყეების მეუფე და მონადირეთა შურისმაძიებელი სატრფო, ვერ ასცდა დედობის ატრიბუტს - ის ამირანის დედაა“* (სურმანიძე, 1998; გვ.5). შესაბამისად, კულტურისგან მინიჭებული მთავარი ფუნქციის შეუსრულებლობის შემთხვევაში ქალის მიმართ არსებული წნეხი შესაძლოა ფატალისტური უმწეობის განცდასთან იყოს დაკავშირებული.

როგორც ვხედავთ, ფატალიზმის ქართული კულტურული მოდელის „უმწეობის“ კომპონენტში დასტურდება ორგვარი გაგების არსებობა 1) უმწეობა, რომელიც თან სდევს ისეთ გამოუვალ მდგომარეობას, როგორიცაა სოციალური სტატუსის თუ ეკონომიკური მდგომარეობის შეცვლის შეუძლებლობა და 2) უმწეობა, რომელიც თან სდევს ცხოვრების მიკროდონეების ძლიერ შემზღუდველი და შეუწყნარებელი ნორმებით კონტროლს.

იღბალი. „იღბლის“ კომპონენტში გაერთიანდა გაზიარებული გაგება იმის შესახებ, რომ შრომის, გონებით მოქმედების („ტვინი დააყოლე“, „ასჯერ გაზომე, ერთხელ გაჭერი“) გარდა კიდევ არსებობს რაღაც, რაც განკარგავს ცხოვრებისეულ მოვლენებს. ამ რაღაცას რესპონდენტები იღბალს უწოდებენ. საინტერესოა, რომ იღბალი ინტერვიუებში, ერთი

[94] *„ერთი მეგობარი მყავს და იმას მისმა ლუქსემბურგელმა მეგობარმა ბიჭმა უთხრა ჩემზე, რომ აი ნამდვილი ქართველიაო... ძალიან, ხანდახან ზედმეტადაც კი ჩაკეტილი ვარ ჩარჩოებში. ბევრი რამის უფლებას არ ვაძლევ თავს. შინაგანი ქართველური რაღაცები არ მაძლევს ამის საშუალებას”*) (ციტატა კვლევიდან გამსახურდია, 2016; გვ.147).

მხრივ, აღწერილია, როგორც ინდივიდუალური მახასიათებელი, რომელიც დაბადებიდან დაგყვება. მის აღსანიშნად გაზიარებული მეტაფორული გამონათქვამი „ქუდბედიანი“ [95]("ზოგი ადამიანი ქუდბედიანი იბადება") გამოიყენება.

მეორე მხრივ კი, რესპონდენტების მიერ იღბალი აღწერილია არა როგორც ინდივიდუალური/პიროვნული, არამედ როგორც სიტუაციური (პიროვნებისგან დამოუკიდებელი მიზეზებით განპირობებული) მახასიათებელი. აღნიშნული გაგება გამოხატულია მეტაფორული გამონათქვამით: "ცხოვრების აწყობა", „საჭირო დროს, საჭირო ადგილას მოხვედრა“.

> "წარმატებას მიაღწია, გათხოვდა, გამდიდრდა, სამსახური იშოვა ან ყველაფერი ერთად. მანამდე არ უმართლებდა და მერე უცებ ყველაფერი **აეწყო.** "
>
> „ხშირად ხდება ისე, რომ ძაან ბევრი შეიძლება იწვალოს ადამიანმა და ვერაფერს ვერ მიაღწიოს, ან ძაან ცოტა იწვალოს, **საჭირო დროს, საჭირო ადგილზე** აღმოჩნდეს და ადვილად მიიღოს რაღაცები“.

ინტერვიუებში გამოვლენილი განსხვავება იღბლის ორ გაგებას შორის ეხმიანება ლიტერატურაში არსებულ კლასიფიკაციას, რომლის თანახმად, იღბლის შესახებ რწმენები ორ ტიპად კატეგორიზდება: „ცვალებადი იღბალი“ და „სტაბილური იღბალი“. „ცვალებადი იღბლის“ რწმენის თანახმად, იღბალი სიტუაციური გარემოებების შედეგია, ხოლო „სტაბილური იღბლის“ რწმენა მას სტაბილურ პიროვნულ ნიშნად განიხილავს (Weiner, 1998). საინტერესოა, რომ „სტაბილური იღბალი“ განიხილება როგორც რესურსი, რომლის გამოყენება პიროვნებას შეუძლია ნებისმიერ დროს, როცა მოინდომებს. ეს აღქმა მათ მეტ თავდაჯერებულობას (Darke & Freedman, 1997b; Day &Maltby, 2003, 2005) და აგენტობის (Young et al., 2009) განცდას ანიჭებს. თუმცა, როგორც პიროვნული

---

[95] ქუდბედიანი კომპოზიტური სიტყვაა და ორი ნაწილისგან შედგება „ქუდ“ და “ბედიანი”. ენათმეცნიერი, ომიაძე (2006) აანალიზებს აღნიშნული კომპოზიტის შექმნის მოტივაციას. “ქუდბედი” აღნიშნავს იმ გარსს, მომყოლს, რომელშიც გახვეული იბადება ხოლმე ბავშვი. ბავშვის ამგვარად დაბადება იშვიათი, ანომალიური მოვლენაა. ადამიანისათვის აუხსნელი მოვლენები, როგორც ზებუნებრივი და მისტიკური, ყოველთვის აღძრავდა შიშს და ძრწოლას და აჩენდა მისი ახსნის სურვილს. შესაბამისად, არაა გასაკვირი, რომ არაორდინარული მოვლენა რაღაცის ნიშნად, ავის ან კეთილის მომასწავებლად ითვლებოდა. ბედნიერების ნიშნად კი მისი მიჩნევა, შესაძლებელია, მოვლენის ხელსაყრელი მხრიდან დანახვის ტენდენციით ყოფილიყო განპირობებული. რაც შეეხება, რატომ მაინცდამაინც „ქუდ”, ეს უნდა უკავშირდებოდეს იმას, რომ ბავშვი, ჩვეულებრივ, თავით იბადება და პირველი აღქმაც ისეთია, თითქოს მას ქუდი ხურავს (ომიაძე, 2006).

კონტროლის ქვეთავში ვახსენეთ, აგენტობის განცდა და შესაბამისად მასთან დაკავშირებული პრაქტიკები კულტურულად განსხვავებულია. მაგალითად, ამერიკაში აგენტობის განცდა გულისხმობს, რომ კარგი იღბლის მოსაპოვებლად პიროვნებას არ სჭირდება ცრურწმენული რიტუალების აღსრულება, მაშინ, როცა აზიურ[96] კულტურებში აგენტობის განცდა ცრურწმენებისადმი უფრო მაღალ მიდრეკილებასთან აღმოჩნდა დაკავშირებული (Chen and Young, 2018). როგორაა ეს შესაძლებელი? ჩენი და იანგის (2018) აზრით, აღნიშნული სხვაობის გასაღები აგენტობის სხვადასხვა ფორმაში დევს: ამერიკელებისთვის მეტად „ინდივიდუალური აგენტობაა“ დამახასიათებელი, ხოლო აზიელები უფრო „კოლექტიური აგენტობისკენ“ იხრებიან (Menon et al., 1999). როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „კოლექტიურ აგენტობაში“ იგულისხმება კოლექტიური, საერთო ძალისხმევით შედეგის მიღწევა. კოლექტივში კი, ჩენის და იანგის (2018) აზრით, არ არის აუცილებელი მხოლოდ ადამიანები შედიოდეს, შესაძლოა სხვა არსებებიც მოიაზრებოდეს, მაგალითად, ღვთაებები/ზებუნებრივი ძალები ან ცხოველები და სწორედ მათი დახმარების/ძალისხმევის მოსაპოვებლად ერთვებიან ადამიანები ცრურწმენულ რიტუალებში (Thompson, 1978). შესაბამისად, არაა გასაკვირი, რომ ასეთ რიტუალებში მონაწილეობის პრაქტიკა და „გაზიარებული/კოლექტიური აგენტობის“ განცდა თანაარსებობს.

იღბლის მართვისას ცრურწმენების გამოყენების პრაქტიკა გამოვლინდა ქართველ რესპონდენტებშიც. ისინი აღნიშნავენ, რომ ხანდახან ცრურწმენულ რიტუალებს აღასრულებენ თავდაცვის, შიშისა და საქმეში „ხელის მომართვის“ მიზნით.

> "დედაჩემმა იცის ცრურწმენები, ბავშვი რო მიდის სადმე, სანამ არ ჩავა, არ გამოხვეტოო და მაინც, თითქოს **ვიზღვევ თავს** და ვაკეთებ მასე, რო წავლენ ხოლმე ვჩერდები და არ ვაკეთებ არაფერს, მაინც მეშინია."
>
> " მარილის დაყრაზე ვიძახი ხოლმე, წყალი დაასხი, წყალი დაასხი-თქო."
>
> „ ეს ტანსაცმელი კარგად მაქვს **დაცდილი“.**

[96] კვლევის მონაწილეები იყვნენ აზიური წარმომავლობის ამერიკელები, კერძოდ ამერიკელები, რომლებსაც ჰქონდათ ჩინური, ვიეტნამური, კორეული და იაპონური წარმომავლობა.

როგორც ვხედავთ „სტაბილურ იღბალს“, აგენტობის განცდასა და ცრურწმენებისადმი მიდრეკილებას შორის გამოვლენილი კავშირები *კულტურულ-სპეციფიკურია,* რაც კიდევ ერთხელ ათვალსაჩინოებს ემიკური მიდგომის მნიშვნელობას ისეთი მრავალგანზომილებიანი ფენომენის შესასწავლად, როგორიცაა ფატალიზმი. ფატალისტურ გაგებებს შორის მიმართებების ანალიზში კი განსაკუთრებულ როლს პროპოზიციების ანალიზის მეთოდი ასრულებს. ქვემოთ მონაცემთა ანალიზის ამ მეთოდს და მიღებულ შედეგებს განვიხილავთ.

5.4.2.3. პროპოზიციების ანალიზის მეთოდი

კულტურული მოდელების სკოლის ჩამოყალიბების ერთ-ერთ მნიშვნელოვან წინაპირობად კოგნიტურ ანთროპოლოგიაში სიტყვების მნიშვნელობების ტრადიციული ლინგვისტური მიდგომის მიმართ კრიტიკის გაჩენა შეიძლება ჩაითვალოს. კულტურული მოდელების სკოლის მეთოდები კოგნიტური ანთროპოლოგიის ადრეული მეთოდებისგან სწორედ იმით განსხვავდება, რომ მხოლოდ ლექსიკური სემანტიკის ანუ სიტყვების[97] მნიშვნელობების შესწავლით აღარაა დაკავებული. აღნიშნული სკოლის ფარგლებში ხაზგასმულია, რომ თავისთავად ნაგულისხმევი/ეჭვშეუტანელი კულტურული დაშვებების საკმაოდ დიდი ნაწილი არ არის მიბმული სიტყვების მნიშვნელობებზე (Strauss, 2005). ასეთი დაშვებების გამოსავლენად კი ჩვენს მიერ წინა ქვეთავებში

[97] ამასთან დაკავშირებით, ლიტერატურაში ხშირად ციტირებადია ლინგვისტი, ჩარლზ ფილმორის (Charles Fillmore) ნაშრომი „An Alternative to Checklist Theories of Meaning”. ის ამტკიცებს, რომ სიტყვა „Bachelor”-ის განმარტების ტრადიციული მიდგომა, რომელიც არსებითი ნიშნების ჩამონათვალს გულისხმობს, არაადეკვატურია (Fillmore, 1963). ამ მიდგომის მიხედვით, „Bachelor” არის მამაკაცი, რომელიც დაუქორწინებელია (Katz & Fodor, 1963). თუმცა, როგორც ფილმორი აღნიშნავს, გაუგებარი რჩება, თუ რატომ არ ვუწოდებთ ჩვენ „Bachelor”-ს რომის პაპს ან ტყეში გაზრდილ ბიჭუნას, ე.წ. მაუგლს. ფილმორი შემდეგ ალტერნატიულ ახსნას გვთავაზობს. მისი აზრით, სიტყვა „Bachelor” აკეთებს უფრო მეტს, ვიდრე „დაუქორწინებელი მამაკაცის“ აღნიშვნაა (Quinn, 2011). ის ქმნის „გამარტივებულ სამყაროს“ (ფილმორის ტერმინით, მას ერთგვარ „ჩარჩოში/ფრეიმში აქცევს“), რომელშიც პროცესები პროტოტიპული მოვლენების სახით ვითარდება: მამაკაცი ქორწინდება გარკვეულ ასაკში და ეს ქორწინება მთელი ცხოვრების განმავლობაში გრძელდება (Holland & Quinn, 1987). ასეთ სამყაროში მამაკაცისადმი არსებობს მოლოდინი, რომ ის გარკვეულ ასაკში მოიყვანს ცოლს, შესაბამისად „Bachelor” ეწოდება იმ მამაკაცს, რომელიც დაუქორწინებელი დარჩა სწორედ ამ მოსალოდნელი ასაკის შემდეგ (Quinn, 2011). ქართულ ენაში სემანტიკური ეკვივალენტია ბერბიჭა. ჰოლანდის და ქუინის (1987) აზრით, ეს არის ერთ სიტყვაში მოცემული ხალხური მოდელის კარგი მაგალითი. იმავე შეხედულებას გვთავაზობს ლუცი (Lutz) (1987) წყნარი ოკეანის კუნძულის, იფალუკის მაცხოვრებლების სასაუბრო ენაში ემოციების აღმნიშვნელი სიტყვების კვლევისას. მისი აზრით, სიტყვების მნიშვნელობების დაჭერა შეუძლებელია მხოლოდ სიტყვების ანალიზიდან. ამისათვის საჭიროა ემოციის შესახებ იფალუკის მაცხოვრებლების იმ ეთნოთეორიის გაგება, რომელიც საფუძვლად უდევს ამ სიტყვებს (Holland & Quinn, 1987) (ჩხაიძე, 2015, გვ.23).

განხილული მეტაფორების ანალიზის გარდა, **პროპოზიციების ანალიზსაც** (მეორენაირად, მსჯელობის ანალიზი) გვთავაზობენ.

პროპოზიციის ცნება ლოგიკიდან და ლინგვისტიკიდან იღებს სათავეს. ის ცოდნის უმცირეს ერთეულს წარმოადგენს, რომელიც ან უარყოფს, ან ამტკიცებს რაიმეს. ჩვეულებრივ, პროპოზიცია ორი ნაწილისგან შედგება: ელემენტებისგან (არგუმენტების სახელწოდებითაა ცნობილი) და ამ ელემენტებს შორის მიმართების აღმწერებისგან (პრედიკატებისგან) (ფარჯანაძე, 2008).

პროპოზიცია მრავალი სახის შეიძლება იყოს: მიზეზშედეგობრიობის აღმწერი მარტივი და მოკლე ფორმებით დაწყებული, როგორიცაა „თუ X, მაშინ Y“ ან „თუ არა-X, მაშინ Y“, უფრო რთული ფორმებით დამთავრებული, მაგალითად: „მე არ შემიძლია ვიფიქრო X-ზე, რადგან ის Y-ზე მაწყებინებს ფიქრს“ (Quinn, 2005).

რატომ არის სასარგებლო კულტურული მოდელის გამოსავლენად პროპოზიციული ანალიზი? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად საჭიროა დასაბუთდეს, პროპოზიცია/მსჯელობა აკმაყოფილებს თუ არა იმავე კრიტერიუმებს, რასაც მეტაფორა. საუბარი გვაქვს შემდეგ ორ კრიტერიუმზე: 1) რამდენად გავრცელებულია/რამდენად ხშირად გამოიყენება ის და 2) არის თუ არა კულტურულად დატვირთული.

ქვინი (2005) შემდეგ დასაბუთებას გვთავაზობს: ამა თუ იმ საკითხის (მისი კვლევის შემთხვევაში საუბარია ქორწინებაზე) შესახებ მსჯელობის სქემა იმიტომ განვითარდა და შემდეგ გავრცელდა ხალხში, რომ ის ყოველდღიური ცხოვრების დილემებზე მსჯელობის ფუნქციას კარგად ასრულებდა. სხვა სიტყვებით, მისი მეშვეობით ყოველდღიური კოგნიტური ამოცანა ეფექტურად იჭრებოდა, რამაც კოგნიტური ამოცანების გადაჭრის გაზიარებული სტრუქტურის არსებობა განაპირობა. მსჯელობის გაზიარებული სტრუქტურის არსებობა კი, ცხადია, მსჯელობის კულტურულად დატვირთულობას გულისხმობს (გავიხსენოთ ამ სკოლის მიერ შემოთავაზებული კულტურის დეფინიცია, რომელზეც ვრცლად თეორიულ ნაწილში ვისაუბრეთ). შესაბამისად, როგორც მეტაფორები გვიხსნის ფანჯარას კულტურული ეგზემპლარების შესახებ გაზიარებული

ცოდნის საბადოსკენ, მსჯელობაც ასეთივე კარგი ანალიტიკური ფანჯარაა გაზიარებულ სტრუქტურამდე, ანუ კულტურულ სქემამდე მისასვლელად (Quinn, 2005).

მსჯელობის გაზიარებულობის საინტერესო ინდიკატორებზე ამახვილებს ყურადღებას კულტურული მოდელების სკოლის ასევე თვალსაჩინო წარმომადგენელი, კლაუდია სტრაუსი (2005):

- როცა მოსაუბრეს პოზიციის გასამყარებლად მტკიცებულება მოჰყავს, ის უშვებს, რომ ასეთი ტიპის მტკიცებულება სანდოდ ჟღერს მსმენელისთვის.
- როცა მოსაუბრე ერთ თემას მეორე თემასთან კავშირში განიხილავს ისე, რომ საერთოდ არ ხსნის ამ კავშირს, ის ამ თავისთავად ნაგულისხმევ კავშირის აღმწერ კულტურულ მოდელს ეყრდნობა.
- როცა მოსაუბრე აღწერს საგანს ან მოვლენათა მიმდინარეობას ისე, რომ დეტალებს ტოვებს, ის უშვებს, რომ ამ დეტალებს ახსნა არც სჭირდება, ისედაც ნათელია.

ინტერვიუს პროცესის დასრულების შემდეგ პროპოზიციების ანალიზის შემთხვევაში კვლევის მნიშვნელოვან ეტაპად ითვლება ინფორმანტების მონაყოლის მარტივ პროპოზიციებად წარმოდგენა. მას გაფილტვრის პირველ პროცედურას უწოდებენ (D'Andrade, 2005). ამ პროცედურის მიზანი ინფორმანტების საუბრის ძირითადი არსის გამოვლენაა. ძირითადი არსის გამომხატველი პროპოზიციების ფორმულირებისას, დანდრადეს (2005) თვალსაზრისით, აუცილებელია თავად ინფორმანტების სიტყვების გამოყენება. მაგალითისთვის, ქვემოთ მოცემულია ნაწყვეტი ერთ-ერთი რესპონდენტის ინტერვიუდან და ამ ნაწყვეტის მიხედვით დანდრადეს მიერ ფორმულირებული პროპოზიციები.

„პრობლემა ისაა, რომ ზოგიერთი შეიძლება მუდმივად წუწუნებდეს, ჩივილებით გავსებდეს, ითხოვდეს დახმარებას, ხოლო ზოგიერთი პირიქით, უარს ამბობდეს შეთავაზებულ დახმარებაზე და განმარტოება სურდეს. თუ ადამიანს სურს მაღლა მთაზე განმარტოებით იცხოვროს, თვითონ მოამზადოს ვისკი და მარტო სვას, ასეთი ადამიანი მარტო უნდა დავტოვოთ“ (D'Andrade, 2005:97 ციტირებულია ჩხაიძე, 2015, გვ. 77).

დანდრადე ამ ნაწყვეტის ძირითადი არსის გამომხატველ შემდეგ პროპოზიციებს გამოყოფს:

1. ზოგიერთ ადამიანს სურს განმარტოება და არ ითხოვს დახმარებას.

2. ადამიანები, რომელთაც განმარტოება სურთ და არ ითხოვენ დახმარებას, მარტო უნდა დავტოვოთ.

ანალიზის შემდეგ ეტაპზე დანდრადემ გამოვლენილი პროპოზიციები მსგავსების მიხედვით დააჯგუფა. დაჯგუფების მიზანი კულტურული მოდელის უფრო ზოგადი, ცენტრალური იდეების იდენტიფიცირება იყო. საბოლოოდ, ამ კატეგორიებს შორის ურთიერთმიმართებების დადგენის საფუძველზე მან საზოგადოების შესახებ ამერიკელთა კულტურული მოდელი გამოავლინა (ჩხაიძე, 2015, გვ.78).

წინამდებარე კვლევაშიც გაფილტვრის პროცედურის შემდეგ პროპოზიციების დაჯგუფების/კატეგორიზების პროცედურას მივმართეთ. აღნიშნული პროცედურის საფუძველზე გამოვლენილი კატეგორიებით გადავამოწმეთ მეტაფორების ანალიზის საფუძველზე გამოვლენილი კატეგორიები, სხვა სიტყვებით, კულტურული მოდელის კომპონენტები.

5.4.2.4. პროპოზიციების ანალიზის შედეგები

პროპოზიციული ანალიზის შედეგად გამოვლენილი კომპონენტები დაემთხვა მეტაფორული ანალიზის საფუძველზე გამოვლენილ კომპონენტებს (კომპონენტის/კატეგორიის დამატების საჭიროება არ გაჩენილა). მეტაფორული ანალიზის შედეგების ტრიანგულაციის გარდა პროპოზიციების ანალიზი გამოვლენილ კომპონენტებს შორის ურთიერთმიმართებების გათვალსაჩინოებისთვის აღმოჩნდა განსაკუთრებით ნაყოფიერი. სანამ ურთიერთმიმართებების ნაწილზე გადავალთ, თვალსაჩინოებისთვის წარმოგიდგენთ გაფილტვრის პროცედურას (ციტატებიდან ძირითადი არსის გამომხატველი პროპოზიციების გამოყოფა) რამდენიმე ციტატის მაგალითზე და მიღებულ საკვანძო პროპოზიციების ჩამონათვალს თითოეული კომპონენტის მიხედვით.

პიროვნული კონტროლი

> „ადამიანი რომ ზის და დახმარებას ითხოვს, ის არის კომფორტულად, ძირითადად პრობლემა ისაა, რომ **არ გვინდა კომფორტის ზონიდან გამოსვლა.** ეგაა პრობლემა. ადექი, ისწავლე, იშრომე, ათრიე წელით და გაუმჯობესდება. მე არ მჯერა, რომ ადამიანს არ შეუძლია სამსახური იშოვოს. ყველას უნდა ეგრევე 2000, 3000, 4000 ლარი ხელფასად, მაგრამ ვერ დაიწყებ ეგრევე დირექტორად. **უნდა დაიწყო პატარიდან, რომ ახვიდე დიდზე.“**

დანდრადეს ინსტრუქციის გათვალისწინებით ამ ნაწყვეტის ძირითადი არსის გამომხატველი შემდეგი პროპოზიციები გამოვყავით:

- თუ კომფორტის ზონაში იქნები, წარმატებას ვერ მიაღწევ (ამ შემთხვევაში ნათლად ჩანს პროპოზიციის სტრუქტურა: **თუ X, მაშინ არა-Y**, სადაც X გულისხმობს „კომფორტის ზონას“, ხოლო Y- „წარმატებას“).
- თუ მოინდომებ, ყველაფერს მიაღწევ (**თუ X, მაშინ Y**, სადაც X გულისხმობს „მონდომებას“, ხოლო Y- „წარმატებას“).
- ადამიანები წარუმატებლები იმიტომ არიან, რომ მოთმინებას არ იჩენენ (**თუ არა-X, მაშინ არა-Y**, სადაც X გულისხმობს „მოთმინებას“, ხოლო Y- „წარმატება“).

“პიროვნული კონტროლის” კომპონენტის ფარგლებში „ირიბი“ და „სხვისი მეშვეობით კონტროლის“ (Yamaguchi, 2001) შესაბამისი გაგების არსებობა პროპოზიციების ანალიზმაც დაადასტურა:

> „ადამიანს **ალღო** და უნარი უნდა ჰქონდეს, რომ ფული ატრიალოს, თორემ ბევრი ფული შეიძლება გქონდეს და გაფლანგო, შეიძლება პატარა და პირიქით...“

მოცემული ციტატიდან „ირიბი კონტროლის“ აღმწერი შემდეგი პროპოზიცია გამოიყო:

- ფულის ქონა ცალსახად არ განაპირობებს წარმატებას, წარმატებისთვის საჭიროა ალღო.

> „საქმეში გამართლება ერთგულ პარტნიორზეა დამოკიდებული, ერთი პირობა ესაა, რავიცი აბა... გააჩნია, ეხლა დიდ ბიზნესს თუ იწყებ მართლა, პარტნიორი უნდა გყავდეს სანდო.“

მოცემულ ციტატაში ყურადღებას იქცევს ნდობის კატეგორია, რომელიც „სხვისი მეშვეობით კონტროლის“ აღმწერი პროპოზიციების ძირითადი ლაიტმოტივია:

- საქმეში გამართლება ერთგულ პარტნიორზეა დამოკიდებული.
- დიდი საქმის წამოწყების დროს განსაკუთრებით საჭიროა სანდო პარტნიორი.

დანდრადე (2005) ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ინტერვიუს დროს ინფორმანტებს, რა თქმა უნდა, პირდაპირ არ უნდა ვკითხოთ, თუ რომელ კულტურულ მოდელს იზიარებენ ამა თუ იმ საკითხზე. ამის ნაცვლად, მათ უნდა დავუსვათ ისეთი ირიბი შეკითხვები, რომელიც გამოიწვევს სწორედ იმ მოდელების გააქტიურებას, რომლითაც ისინი ამ საკითხებზე საუბრისას ხელმძღვანელობენ (ჩხაიძე, 2015, გვ.76).

აღნიშნული რეკომენდაციის გათვალისწინებით, პიროვნული კონტროლის შესახებ დაშვებების გამოსავლენად ინტერვიუს გზამკვლევი მოიცავდა შეკითხვებს, რომელთა მიზანი იყო რესპონდენტთა მსჯელობის გააქტიურება მრავალი მიმართულებით: ჯანმრთელობის მდგომარეობით დაწყებული და პოლიტიკური მდგომარეობის კონტროლის შესაძლებლობით დამთავრებული. ჯანმრთელობის შესახებ საუბრისას განსაკუთრებით გამოიკვეთა კონტროლის შესაძლებლობის გამოუყენებლობის ტენდენცია ქართველებში. მთავარ მიზეზად, რესპონდენტების სიტყვებითვე რომ გადმოვცეთ, კულტურის არარსებობა დასახელდა.

> „ჩვენთან ეს კულტურა ჯერ არ არის. ჩვენ, ხომ იცი, სანამ არ აგვტკივდება და არ წავიქცევით, ექიმთან რომ არ მივდივართ. ნუ, ალბათ, იმიტომ, რომ უფულობაა, უსახსრობაა. მარტო ოჯახის კვებაზე რომ ფიქრობ, ძნელია მაშინ, თუ ეკონომიკა არ გაძლიერდა, ისე აბა როგორ?! თორე ყველა უნდა ზრუნავდეს ჯანმრთელობაზე.“

კულტურის არარსებობის გარდა, გაზიარებული აღმოჩნდა ამ ტენდენციის მიზეზად ცუდი ეკონომიკური მდგომარეობის ჩათვლაც. აღნიშნულს გვიდასტურებს ერთ-ერთი რესპონდენტის მსჯელობა, რომელიც თავადვე ახსენებს ამ გაზიარებულ ხედვას და ამავდროულად ცდილობს მის გაბათილებას:

> „ჯანსაღი ცხოვრებით იცხოვროს, პრევენციის მიზნით წავიდეს ექიმთან. არის უამრავი უფასო სკრინინგი. *შეიძლება თქვას, ფული არ მაქვს და ვერ*

მივდივარ, არადა უფასოა და არ დავდივართ. არა გვაქ ის კულტურა, რომ ვიაროთ. არადა, აი, ეგ არის, რომ წინასწარ მიხვიდე ექიმთან, სანამ ავად გახდები.“

გამოვლენილი პროპოზიციები კატეგორიზების შედეგად “პიროვნული კონტროლის” კომპონენტში გაერთიანდა. ცხრილში წარმოდგენილია ამ კომპონენტის საკვანძო პროპოზიციები.

	ცხრილი № 2: „პიროვნული კონტროლის“ აღმწერი პროპოზიციები	
1.	თუ ადამიანი მოინდომებს, ყველაფრის მიღწევა შეუძლია.	
2.	როგორ წარიმართება ადამიანის ცხოვრება, მის არჩევანზეა დამოკიდებული	
4.	თუ ადამიანი საკუთარ თავზე არ იმუშავებს, არაფერი გამოუვა.	
5.	როგორც წესი წარუმატებლობა ადამიანის ბრალია (რაღაც დააკლო).	
6.	უბედური შემთხვევის მიზეზი ძირითადად ადამიანების გაუფრთხილებლობაა	
7.	ყველაფერზე, რაც ადამიანის ცხოვრებაში ხდება, პასუხისმგებელი თავად ადამიანია	
8.	ადამიანი ცხოვრებაში წინასწარ უნდა გეგმავდეს სამომავლო ნაბიჯებს	
9.	ჯანსაღი ცხოვრების წესით შესაძლებელია დაავადებების თავიდან არიდება	
10.	ადამიანმა საფრთხეები წინასწარ უნდა აირიდოს (მაგ., უსაფრთხო საცხოვრებელი, სამუშაო, სამოგზაურო და ა.შ. გარემოს უზრუნველყოფით).	
11.	წარმატების მისაღწევად ადამიანს ალღო უნდა ჰქონდეს	**ირიბი კონტროლი**
12.	წარმატების მისაღწევად მხარში უნდა გედგეს ვინმე	**სხვისი დახმარებით/ გაზიარებული კონტროლი**
13.	ადამიანები თუ ერთად აკეთებენ რამეს, აუცილებლად გამოუვათ - ერთობას დიდი ძალა აქვს	**სხვისი დახმარებით/ გაზიარებული კონტროლი**

ღვთაებრივი კონტროლი

მეტაფორებით - „სასჯელი“, „გამოცდის ჩაბარება“, „გზის გავლა“ - გამოვლენილი “იობის პრინციპის“ შესაბამისი გაგების (ადამიანის ცხოვრებაში კარგი და ცუდი მოვლენები მის ქცევაზე საპასუხოდ ღვთის მიერ მოვლენილი სასჯელი ან ჯილდოა) არსებობა ქართულ კულტურაში პროპოზიციების ანალიზმაც დაგვიდასტურა. რესპონდენტების საუბარი

გაჯერებული იყო ამ საკითხზე მსჯელობით. ინტერვიუს ტრანსკრიპტებიდან მსგავსი მსჯელობების იდენტიფიცირებისთვის ლინდეს (1993) ნაშრომს დავეყრდენით. ის კარგად ჩამოყალიბებულ მსჯელობას „არგუმენტაციულ დისკურსულ ერთეულს“[98] უწოდებს. „არგუმენტაციულ დისკურსულ ერთეულს“ შემდეგი სახის სტრუქტურა აქვს: იწყება დასასაბუთებელი პროპოზიციით, რომელსაც მოჰყვება პროპოზიციების წყება, თუ რატომ უნდა ვირწმუნოთ ის და სრულდება დასკვნით, რომელიც საწყისი პროპოზიციის ჭეშმარიტებას კიდევ ერთხელ ხაზგასმით ადასტურებს.

ქვემოთ მოცემულია არგუმენტაციის/ახსნის ასეთი დისკურსული ერთეული, რომელშიც რესპონდენტი ცდილობს დაასაბუთოს შემდეგი პროპოზიცია: *სტიქიური უბედურება ღვთის სასჯელია.*

> „ნუ მე მორწმუნე ადამიანი ვარ, შეძლებისდაგვარად... არ ვიტყვი, რომ ფანატიზმში მაქვს გადასული, მაგრამ, ვფიქრობ, რომ მაინც ღვთისგან არის მოვლენილი [სტიქიური უბედურება], არამარტო სპონტანური ბუნებრივი რეაქციებია რაღაცის გამო, იმიტომ, რომ სტიქიური უბედურებები ყოველთვის ხდებოდა დედამიწაზე, *მაგრამ, რატომ ხდებოდა ერთ და არა სხვა ადგილას, რომლის ლანდშაფტიც მსგავსია?* მე ესეთი ახსნა მაქვს, რომ რაღაცების გამო **ისჯება.** ომიც იგივეა“

ცოდვის გამო წინაპრიდან პასუხისმგებლობის შთამომავლობაზე გავრცელების დაშვების შესახებ მეტაფორების ანალიზის ნაწილშიც აღვნიშნეთ (ერთ-ერთმა რესპონდენტმა შემდეგი ანდაზაც ახსენა: „ბაბუას ნაჭამი ტყემალი შვილიშვილს კბილს ჭრიდაო“). აღნიშნული გაგება მსჯელობის ფორმატშიც გამოვლინდა:

> „აი, მაგალითად, რომანოვები რომ გაწყვიტეს, რის დაშავებას მოასწრებდნენ ბავშვები? ოჯახის გამო **დაისაჯნენ**, ასე გამოვიდა. თუნდაც მამამისს დაემსახურებინა, ის ბავშვები ხომ არ იმსახურებდნენ ფიზიკურად?!“

---

[98] აღსანიშნავია, რომ დისკურსის ერთეული და დისკურსის ტიპი ურთიერთჩამნაცვლებელ ტერმინებად გამოიყენება. კულტურული მოდელების ფარგლებში, გარდა არგუმენტაციული ტიპისა, დისკურსის კიდევ ორი ტიპის კვლევები გხვდება. ესენია: ნარატივი და ცხოვრებისეული ამბები (Quinn, 2005)

როგორც წინა თავში განვმარტეთ, „ღვთაებრივი კონტროლის“ გაგების შემთხვევაში სამომავლო რისკების მართვის სტრატეგიად ღვთის წინაშე ლოცვა და მარხვა მიიჩნევა (რისკები წინასწარგანსაზღვრული, პროგნოზირებადი კოსმოსური წყობიდან კი არ მომდინარეობს, არამედ პიროვნების მსგავსი არსებიდან, რომელიც ადამიანის ქცევიდან გამომდინარე ცვლის თავის დამოკიდებულებას (Young, Morris, Burrus, Krishnan, & Regmi, 2011). აღნიშნულ გაგებას ეხმიანება ქვემოთ მოყვანილი არგუმენტაციული დისკურსული ერთეული, რომლიდანაც შემდეგი სტრუქტურის პროპოზიცია გამოიკვეთა: თუ ბედისწერა არსებობს, მარხვა საჭირო არაა (**თუ X, მაშინ არა-Y,** სადაც X ბედისწერას აღნიშნავს, ხოლო Y მარხვას).

> „ხომ განსაწმენდად ვმარხულობ... რომ კარგად ვიყოთ და თუ ბედისწერაა და ბედია, მაშინ არ ჰქონია აზრი.“

„ღვთაებრივი კონტროლის“ კატეგორიაში შემდეგი პროპოზიციებია წარმოდგენილი:

	ცხრილი № 3: „ღვთაებრივი კონტროლის“ აღმწერი პროპოზიციები
1.	ცოდვების გამო ღმერთი გვსჯის
2.	ლოცვას აქვს ძალა
3.	სტიქიური უბედურება შეიძლება ღვთის სასჯელი იყოს
4.	უბედური შემთხვევები ღვთის დაშვებულია
5.	უფლის ნებაა ყველაფერი
6.	ადამიანს წინაპრების ცოდვა მოეკითხება
7.	ლოცვით და მარხვით შესაძლებელია ცოდვის გამოსყიდვა და ღვთის სასჯელის არიდება

წინასწარგანსაზღვრულობა

ინფორმანტებში „წინასწარგანსაზღვრულობის“ კომპონენტის შესაბამისი მსჯელობები ყველაზე თვალსაჩინოდ შემდეგი კითხვის დასმის შემდეგ გააქტიურდა: „როცა უბედურ შემთხვევაზე იგებთ, მაგალითად, ავტოსაგზაო შემთხვევა, ფიქრობთ თუ არა, იმ დღეს მანქანით რომ არ წასულიყო, ცოცხალი იქნებოდა?“

„გარდაუვალი იყო. იცი რატო? იმიტომ, რომ ეს სცენარი მაინც ესე უნდა ყოფილიყო…. უეჭველი მანქანით წავიდოდა.“

„ამბობენ, ხოლმე, იმ მანქანაში რომ არ მჯდარიყო, ხომ გადარჩებოდა, მაგრამ, მერე მეორე მხარის არგუმენტი მოდის ხოლმე, რომ რაც გიწერია, ვერ ასცდები. შეიძლება სახლიდან გახვიდე და აგური დაგეცეს თავში და დაიღუპო.“

ქვემოთ მოცემულია პროპოზიციული ანალიზის საფუძველზე გამოვლენილი წინასწარგანსაზღვრულობის აღმწერი პროპოზიციები. მათ შორისაა სამომავლო რისკების აღნიშნული კომპონენტის შესაბამისი სტრატეგიის გამომხატველი დებულებებიც (თუ ბედისწერა დაბადებიდანვეა გაწერილი, მკითხავების, წინასწარმეტყველების, ნათელმხილველების და ასტროლოგების დახმარებით მომავლის შესახებ წინასწარშეტყობა შესაძლებელია).

	ცხრილი № 4: „წინასწარგანსაზღვრულობის“ აღმწერი პროპოზიციები
1	რაც გიწერია, ვერ ასცდები
2	რეალურად ის ხდება, რაც მოსახდენია
3	ბედისწერის მართვა შეუძლებელია.
4	რა ვარსკვლავზეც ხარ დაბადებული, ცხოვრებაც ისეთი გექნება
5	შეიძლება ზოგჯერ უბედური შემთხვევა აგცდეს, მაგრამ აუცილებლად შემოგიბრუნდება, თუ ეს შენი ბედისწერაა
6	ადამიანი ბედისწერას ვერსად წაუვა
7	ასტროლოგიით შესაძლებელია მომავლის წინასწარმეტყველება
8	მკითხავს შეუძლია უწინასწარმეტყველოს ადამიანს მომავალში რა მოხდება მის ცხოვრებაში

უმწეობა

ინტერვიუს ტრანსკრიპტებში უხვად გვხვდება მსჯელობა ცვლილების შეუძლებლობის შესახებ საზოგადოებრივი ცხოვრების ნებისმიერ სფეროში: ეკონომიკური მდგომარეობით *(„ჩვენ ცხოვრებაში ცოტა რთულია ეს, რადგან ძალიან ბევრი ღარიბი*

ადამიანია. ბევრი კიდევაც შრომობს, მაგრამ არაა ცხოვრება ისე ***აწყობილი,*** *რო ყველასთვის“*) დაწყებული და პოლიტიკური სფეროთი დამთავრებული *(„გვყავს ის მთავრობა, ვისაც* ***ვიმსახურებთ“*****).**

საინტერესოა, ინფორმანტების მხრიდან ასეთი გამოუვალი მდგომარეობების გამომწვევი მიზეზების ქართველების[99] ხასიათში ძიება:

> „ნუ, **ქარაფშუტა**[100] ერი ვართ. მგონი არაფერი ჩვენ არ გვადარდებს. უფრო სწორედ, ყველაფერი გვადარდებს, მაგრამ არაფერს არ ვაკეთებთ. როცა უკვე აქტივობაზე მიდგება საქმე, ოფ, მოიცა ერთი...“
>
> „ჩვენ ზარმაცი ერი ვართ. უფრო ფიქრი გვიყვარს, ვიდრე შრომა. ალბათ, თაობა უნდა გამოიცვალოს... რომ შრომა არაა სათაკილო. მაგალითად, ვიძახით ბიჭი-ბიჭი... ვიძახით, გვინდა და ისე ვზრდით, რომ საწოლში მივართმევთ საჭმელს და ცივ ნიავს არ ვაკარებთ და რა ვიცი, შრომას არ ვასწავლით და სანამ ეს არ იქნება არა მგონია...“ [რამე შეიცვალოს].

ნიშანდობლივია, რომ მეორე ციტატიდან ბიჭი-შვილის სასურველობის შესახებ[101] რეპლიკიდან იკვეთება უმწეობის კომპონენტის ის მნიშვნელოვანი ასპექტი, რომელზეც ყურადღება გავამახვილეთ სტრუქტურული ფატალიზმის (დიურკემის ცნება) განხილვის დროს. საუბარი გვაქვს უმწეობის იმ განცდაზე, რომელიც სათავეს სოციალური ცხოვრების მიკროდონეების (პარტნიორის შერჩევა, ქორწინება და ბავშვის ყოლა) ჭარბი

---

[99] როგორც ზემოთ ვახსენეთ, მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში სტრუქტურული ფატალიზმის ქართულ რაკურსს ლიტერატურული ტექსტები წარმოაჩენდნენ კარგად. მიხეილ ჯავახიშვილი (2011:127) წერს: *„ ადამიანს სძულს ყოველივე, რაც არ ეხერხება და არ ძალუძს, ესე იგი, მას ეზიზღება საკუთარი თავის უძლურება, უმწეობა და ჩამორჩენა! მორჩა და გათავდა! ამიტომ მოხდა, რომ ფულიანების მახვილს ჩვენ დავუპირდაპირეთ ჩვენი აზნაურული ფარი - დენდობა და რაინდობა, ესე იგი, ფუქსავატი ცხოვრება, მფლანგველობა, ყოყოჩობა, კუდაბზიკობა, ნებამოშლილი ადამიანის უძლური ამპარტავნება და ღატაკის ჭექა-ქუხილი“.*

[100] „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში მოცემული ქარის მონაწილეობით შედგენილი ფრაზეოლოგიური ერთეულებისა და კომპოზიტების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ქართულ ცნობიერებაში ქართან დაკავშირებულია ადამიანის ისეთი თვისებები, როგორიცაა *დაუფიქრებლობა, ზერელობა, ამჩატებულობა, აჩქარებულობა*“ (ომიაძე, 2006. გვ112)

[101] *„ქალი ქართველებში ოჯახის ბურჯად, გვარის გამგრძელებლად არ ითვლებოდა. თანახმად ერთი ანდაზისა, „ქალი სხვათა საქონელიაო“. ოჯახის იმედად, ბურჯად, გვარის გამგრძელებლად ვაჟი მიაჩნდათ. ამიტომ, ბუნებრივია, ქალის დაბადებას სულ მუდამ უკმაყოფილოდ ხვდებოდნენ. საარაკოდაცაა გადაქცეული ეს უკმაყოფილება: როცა რაიმე წამოწყება, საქმე, სათხოვარი უცდებოდათ, იტყოდნენ ხოლმე: „ქალიაო! იმ შემთხვევაში კი, როცა უმარჯვდებოდათ, ხელი მოემართებოდათ, იტყოდნენ... ვაჟია!“* წყარო: თ. სახოკია (1979), ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი, გამომცემლობა „მერანი“, თბილისი.

რეგულაციიდან იღებს. ქვემოთ მოყვანილი არგუმენტაციული დისკურსული ერთეული კიდევ უფრო ნათლად წარმოაჩენს ამ ასპექტს:

> [როგორ გესმით ფრაზა „ბედი გაეხსნა“?] „ანუ, გათხოვდა. მე მარტო მაგაზე გამიგია. კულტურა, ჯანდაბა და ოხრობა. ჩვენს კულტურაში არადაოჯახებული ხომ უპატრონოა?! და უპატრონო ხომ აუცილებლად დამაკნინებელია?! უპატრონოს კიდევ ხომ შველა სჭირდება?! და ბედი ხომ ყველაფერს განსაზღვრავს?! და ვიღაცას რომ გაიცნობს, აი, ბედი გაეხსნა, ეშველა.“

მარტივია ამ ციტატის პროპოზიციული სტრუქტურის ამოკითხვა, გამომდინარე იქიდან, რომ ეს ის შემთხვევაა, როცა რესპონდენტი იმპლიციტურ ნაწილებსაც თავად ხდის ექსპლიციტურს. მაგალითად, რომ უპატრონო საშველია. ეს არის ლინგვისტების მიერ შემოტანილი და შემდეგ ფსიქოანთროპოლოგების კვლევის ფოკუსში მოქცეული სამყაროს გამარტივებული ხალხური მოდელის კარგი ნიმუში:

- თუ X (არადაოჯახებული), მაშინ Y (უპატრონო);
- თუ Y (უპატრონო), მაშინ Z (საშველი);
- თუ K (პოტენციური მეუღლის გაცნობა), მაშინ Z (ნაშველი)

ცხრილში მოცემულია უმწეობის კომპონენტის შესაბამისი პროპოზიციები:

	ცხრილი № 4: „უმწეობის“ აღმწერი პროპოზიციები
1	ადამიანი უძლურია ფინანსურ გაჭირვებას თავი დააღწიოს
2	ქართველები ყოველთვის ასეთ გამოუვალ მდგომარეობაში ვიქნებით
3	დროთა განმავლობაში არაფერი იცვლება და მომავალშიც ასე იქნება
4	ინდივიდი უძლურია რაიმე შეცვალოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში
5	აზრი არ აქვს რამის გავაკეთო, საბოლოოდ მაინც არაფერი გამოვა
6	სხვა გზა არ არის, ისე უნდა იქცეოდე, როგორც შენგან შენი ოჯახი და ახლობლები ელიან
7	გარშემომყოფებისგან იგრძნობა წნეხი/ზეწოლა რომ აუცილებლად უნდა დაოჯახდე
8	ქალის მიმართ არსებობს წნეხი/ზეწოლა რომ შვილი აუცილებლად უნდა გააჩინოს
9	გინდა, არ გინდა, იძულებული ხარ ისეთი მეუღლე შეარჩიო, ოჯახს და ახლობლებს რომ მოეწონება

10	ვერსად წაუვალთ იმას, რომ საზოგადოება ინდივიდის პირად ცხოვრებაში ერევა

იღბალი

„იღბლის“ კომპონენტი მეტაფორების ანალიზის გარდა პროპოზიციების კატეგორიზაციის შედეგადაც ცალკე კატეგორიად გამოიკვეთა. რესპონდენტთა მსჯელობისას გამოვლინდა შემდეგი პროპოზიცია: ხშირად ძალისხმევის ჩადება არასაკმარისი პირობაა წარმატებისთვის. ამ შემთხვევაში ის რაღაც, რაც დამატებითაა საჭირო, არის სწორედ იღბალი.

> „ხშირად ხდება ისე, რომ ძაან ბევრი შეიძლება იწვალოს ადამიანმა და ვერაფერს ვერ მიაღწიოს ან ძაან ცოტა იწვალოს, საჭირო დროს, საჭირო ადგილზე აღმოჩნდეს და ადვილად მიიღოს რაღაცები. {რა განაპირობებს?} იღბალი.“

> „როცა ნიჭიც აქვს ადამიანს და უნარიც, მაგრამ მაინც ვერ აღწევს იმას, რაც შეეფერება, ასეთზე იტყვიან ხოლმე უიღბლოაო“.

„იღბლის“ კომპონენტში კატეგორიზდა არგუმენტაციული დისკურსული ერთეულები იღბლის სამართავად ცრურწმენების აღსრულების შესახებაც:

> „სხვათა შორის დაახლოებით 7 ადამიანი მყავს მოკლული. სადაც შევედი მეკვლედ, იმ ოჯახში კვდებოდა ხალხი, ერთ წელს სამ მეზობელთან აღმოვჩნდი და სამივეს ოჯახში მოკვდა ვიღაც. როგორ არ გინდა დაიჯერო?!“

ეთნოგრაფიული ნაშრომების თანახმად, საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში მეკვლეობა ბედის მითოლოგემასთან დაკავშირებულ ისეთ დღეობებზეა გავრცელებული, როგორიცაა ბარბარობა (პირველი ბედობა მარხვაში), შობა, ახალი წელი და ახალი წლის მეორე დღე (აბაკელია, 1997). ამ დღეობებში ერთიანდება რწმენა-წარმოდგენები ბედ-იღბალზე და საშობაო და საახალწლო მყარი ტრადიციების სახით არსებობს. ამ დროს გასათხოვარი გოგონები მკითხაობენ საკუთარ მომავალ ბედზე (მეუღლეზე). არსებობს სხვადასხვაგვარი და სხვადასხვა დანიშნულების ბედის კვერების (რიტუალური პური) გამოცხობის პრაქტიკა და სხვა მაგიური ქმედებები (აბაკელია, 1997).

საინტერესოა, რომ რაჭაში ბედობას „ფეხის დაპწნა“ ეწოდება (აბაკელია, ალავერდაშვილი & ღამბაშიძე, 1991). როგორც მეტაფორების ანალიზის ნაწილში ვახსენეთ, ბედის კონსტრუქტი დაკავშირებულია ძაფის რთვასთან, დაწნასთან. შესაბამისად, „ფეხის დაპწნა“ კარგი ფეხის დაბედებას, კარგი ბედის რთვას გულისხმობს. ეთნოგრაფიული ნაშრომების თანახმად, თუ მეკვლე ფეხბედნიერი გამოდგებოდა ოჯახისთვის, შემდეგ წელსაც მას იწვევდნენ (აბაკელია, ალავერდაშვილი & ღამბაშიძე, 1991). აღნიშნული გაგების აღმწერი პროპოზიციები „იღბლის“ კომპონენტში კატეგორიზდა. ცრურწმენების აღსრულების აუცილებლობის შესახებ დაშვებები კი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი აღმოჩნდა „იღბლის“ კომპონენტის სხვა კომპონენტებთან ურთიერთმიმართებების გათვალსაჩინოებისთვის. ქვემოთ დეტალურად ვისაუბრებთ ამის შესახებ.

	ცხრილი № 5: „იღბლის“ აღმწერი პროპოზიციები
1	თუ მეკვლე ფეხბედნიერი აღმოჩნდა, მეორე წელსაც უნდა მოიწვიო
2	უიღბლობის მიზეზი შეიძლება სხვისი ბოროტი თვალი იყოს
3	ქუდბედიანი (იღბლიანი) იბადება ადამიანი, თვითონ ამას ვერ მიაღწევს
4	ცუდად დაცდილს (ტანსაცმელი, გარემო, ადამიანი და ა.შ) თავი უნდა აარიდო, წარუმატებლობა რომ არ მოგიტანოს.
5	არსებობენ იღბლიანი ადამიანები, რომლებიც ნაკლები შრომით აღწევენ წარმატებას
6	შეიძლება ადამიანი ნიჭიერი იყოს, მაგრამ თუ საჭირო დროს, საჭირო ადგილას ვერ მოხვდა, წარმატებას ვერ მიაღწევს.
7	წლის განმავლობაში რაიმე ცუდი თუ მოხდა, შეიძლება ოჯახის მეკვლეს ფეხის ბრალი იყოს
8	არსებობენ უიღბლო ადამიანები, რომლებმაც რაც არ უნდა იშრომონ, წარმატებას ვერ აღწევენ
9	ცრურწმენული რიტუალების (მაგ.: „ვინმე თუ სადმე მიდის, არ უნდა გამოხვეტო“, „დაყრილ მარილზე წყალი უნდა დაასხა“ და ა.შ.) შეუსრულებლობის შემთხვევაში, შეიძლება მართლაც ისე მოხდეს, როგორც ამბობენ.
10	თუ მეკვლეს კარგი ფეხი ექნება, ის წელი წარმატებული იქნება

კომპონენტების ურთიერთმიმართება

პროპოზიციების ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ კომპონენტებს შორის ურთიერთმიმართებების კომპლექსური სურათი ცვალებადობა/უცვლელობის განზომილებით აღიწერება.

„პიროვნული კონტროლის“ კომპონენტის მაგალითზე რომ განვიხილოთ, ამ კომპონენტში გაერთიანებული გაგებების თანახმად, ადამიანი თავად მართავს თავის ცხოვრებას. შესაბამისად, მის ცხოვრებაში მოვლენების სხვადასხვა ტრაექტორიით განვითარების, ანუ ცვალებადობის შესაძლებლობა არსებობს. „პიროვნული კონტროლის“ კომპონენტი ის შემთხვევაა, როცა კომპონენტი სრულად თავსდება ცვალებადობის ნაწილში (იხილეთ სურათი №5, სადაც ცვალებადობა/უცვლელობის განზომილების ცვალებადობის პოლუსი აღნიშნულია თეთრი ფონით, ხოლო უცვლელობის დაშტრიხულით). მაშინ, როცა „წინასწარგანსაზღვრულობის“ (‘ადამიანის ცხოვრებაში მოვლენები წინასწარ გაწერილია’) და „უმწეობის“ (‘შეუძლებელია რაიმეს ცვლილება’) კომპონენტები სრულად თავსდება საპირისპირო **-უცვლელობის** - ნაწილში.

სურათი №5: ფატალიზმის კოგნიტური სქემის კომპონენტების განლაგება უცვლელობა/ცვალებადობის განზომილებაში



განსხვავებული ვითარება გვაქვს „ღვთაებრივი კონტროლისა“ და „იღბლის“ კომპონენტების შემთხვევაში. ამ კომპონენტების შესაბამისი გაგებები/ხედვები მიეკუთვნება როგორც ცვალებადობის, ისე უცვლელობის ნაწილს. ქვემოთ დეტალურად განვიხილავთ თუ რა ნაწილებზეა საუბარი თითოეულის შემთხვევაში.

„ღვთაებრივი კონტროლის“ კომპონენტი ცვალებადობა/უცვლელობის განზომილების ჭრილში

როგორც ზემოთ აღინიშნა, „ღვთაებრივი კონტროლის“ კომპონენტში მოცემულია იობის პრინციპის შესაბამისი გაგება, რომ ადამიანის ცხოვრებაში კარგი და ცუდი მოვლენები ყოვლისშემძლე და პერსონიფიცირებული ღმერთის მიერ მოვლენილი ჯილდოები და სასჯელებია, ანუ ადამიანის ცხოვრებაში მისი ქცევების შესაბამისად მოვლენების ცვალებადობის შესაძლებლობა არსებობს. შესაბამისად, არაა გასაკვირი, რომ „ღვთაებრივი კონტროლის“ კომპონენტი, ამ გაგების თანახმად, ცვალებადობის ნაწილში თავსდება. თუმცა, ამ კომპონენტის ფარგლებში უცვლელობის შესაბამის გაგებასაც ვაწყდებით, რომელიც რესპონდენტების დისკურსში მძიმე ცოდვის ხსენებასთან ერთად შემოიჭრება. ხაზს უსვამენ ისეთი სიმძიმის ცოდვის არსებობას, რომელსაც უცვლელად ერთი და იგივე შედეგი მოაქვს ადამიანისთვის. ნიშანდობლივია, რომ მძიმე ცოდვაზე მსჯელობამ რესპონდენტებში ღმერთის მოწყალების კონცეპტი გააქტუალურა, თუმცა მისი ხსენებითაც ვერ დაიძლია უცვლელობის ასპექტი (რესპონდენტის ფრაზა: „ღმერთი მოწყალეა, მაგრამ...“)

ჩვენთვის საინტერესო აღმოჩნდა ინფორმანტების დისკურსში იობის პრინციპის შესაბამისი გაგების -‘ღმერთი ჩადენილი ცოდვებისთვის სჯის ადამიანს’ - ერთად შემდეგი გაგების - ‘ღმერთმა ადამიანის ცხოვრება მისი ცოდვებისგან დამოუკიდებლადაც შეიძლება განკარგოს’ - არსებობაც. ინტერვიუს მსვლელობის პროცესში, გზამკვლევის თანახმად, ინტერვიუერი ცოდვის გამო დასჯის ვარიანტს მიზანმიმართულად გამორიცხავდა. აღნიშნულმა ინფორმანტების მიერ “ღვთაებრივი კონტროლის” კომპონენტის არეალის ისეთი დაშვებებით გაფართოება განაპირობა, როგორიცაა „ღმერთს თავისთან კარგები მიჰყავს“ და „ღმერთმა უარეს ცოდვას აარიდა“.

„[როგორ ხსნით უბედურ შემთხვევებს, როცა მისი მსხვერპლი კარგი პიროვნებაა და მას ცუდი არაფერი ჩაუდენია?] მე ვფიქრობ, რომ შეიძლება, რამე უფრო ცუდს, რომელიც შეეძლო ჩაედინა, ეს აერიდა.“

ყურადსაღებია, რომ გაგება - ‘უფრო მძიმე ცოდვას აარიდა’ - იმპლიციტურად მოიაზრებს წინასწარგანსაზღვრულობას: თითქოს ადამიანის ცხოვრებაში მძიმე ცოდვა გარდაუვალია და ღმერთისთვის ეს წინასწარ ცნობილია. აღნიშნული გაგებით „ღვთაებრივი კონტროლის“ კომპონენტი კავშირს ავლენს „წინასწარგანსაზღვრულობის“ კომპონენტთან (შესაბამისად, უცვლელობის ნაწილთან). აღნიშნული კომპონენტების არაურთიერთგამომრიცხავი მიმართების შესახებ ვისაუბრეთ მეტაფორების ანალიზის ქვეთავშიც.

„იღბლის“ კომპონენტი ცვალებადობა/უცვლელობის განზომილების ჭრილში

იღბლის შესახებ გამოვლენილ გაგებებს შორის იყო იღბლის, როგორც სიტუაციური გარემოებების შედეგის გაგება (მეტაფორული გამონათქვამები: „საჭირო დროს, საჭირო ადგილას მოხვედრა“, „უეცრად ყველაფერი კარგად აეწყო“). როგორც ზემოთ განვიხილეთ, ამ ტიპის იღბალი ლიტერატურაში „ცვალებადი იღბლის“ სახელწოდებითაა ცნობილი. შესაბამისად, ნათელია, რომ „იღბლის“ კომპონენტის აღნიშნული ნაწილი ცვალებადობის არეალში თავსდება (იხ. სურათი №5). თუმცა, საინტერესოა, ამ ნაწილით ამოიწურება თუ არა მისი ამ არეალში ლოკალიზება. აღნიშნულის გასარკვევად ცვალებადობის პოლუსზე უფრო დეტალურად უნდა შევაჩეროთ ყურადღება.

ცვალებადობის პოლუსის განხილვისას ყურადღების მიღმა არ უნდა დაგვრჩეს იმპლიციტურად ნაგულისხმევი შემდეგი დაშვება: ცვლილება შეიძლება იყოს შემთხვევითი, ანუ პიროვნების კონტროლს არ ექვემდებარებოდეს ან პირიქით, ექვემდებარებოდეს. ცვალებადობის პოლუსის კონტროლის განზომილებასთან თანაკვეთის სპეციფიკის შესასწავლად კი, პირველ რიგში, საჭიროა „იღბლის“ „პიროვნული კონტროლის“ კომპონენტთან ურთიერთმიმართებების გათვალსაჩინოება.

ჩვენ მიერ ზემოთ ნახსენები „ცვალებადი იღბალი“, სწორედ იქიდან გამომდინარე, რომ სიტუაციურ გარემოებების შემთხვევით ცვალებადობას მოიაზრებს, თითქოს, საერთოდ არ უნდა ავლენდეს კავშირს „პიროვნულ კონტროლის“ კომპონენტთან. თუმცა, ამას აქარწყლებს ზოგიერთი ინფორმანტის შემთხვევაში გამოვლენილი შემდეგი დაშვება: შეიძლება პიროვნებამ სიტუაციის მიერ მონიჭებული შანსი გამოიყენოს ან ვერ გამოიყენოს, ანუ შანსის გამოყენება პიროვნების კონტროლს ექვემდებარება.

“მაგას ვამბობ, რომ შეიძლება საჭირო დროს, საჭირო ადგილას გაიჩითო და გამოიყენო. შეიძლება ვერ გამოიყენო. და ეს კაცი ვერ იყენებს. უკვე ბევრჯერ... ვერ იყენებს რა ... აი, ზუსტად ეგ არი რა შენზე დამოკიდებული. როცა იქ ხარ, იმ ადგილას, სადაც უნდა იყო და მიხვდები, რომ ეს ის ადგილია, უნდა გამოიყენო რა, გამიგე?”

„ცვალებადი იღბლის“ შემთხვევაში კონტროლის ასპექტი სიტუაციური გარემოებებისთვის ხელის შეწყობის თვალსაზრისითაც გამოვლინდა:

„იმისათვის, რომ მოიგო ლოტოში და ჯეკპოტი მოიგო და ასე შემდეგ, ან ზოგადად იფიქრო, რომ „ვახ, უცებ ამდენი ფული მოვიგეო“, ლოტოს ბილეთი უნდა იყიდო რა“.

რაც შეეხება „სტაბილური იღბლის“ შემთხვევაში კონტროლის ასპექტს, როგორც ზემოთ ვახსენეთ, ზოგიერთ კულტურაში შესაძლებელია „სტაბილური იღბლის“ მოპოვება ცრურწმენული რიტუალების აღსრულებით. ეს ის კულტურებია, რომლებშიც პიროვნული კონტროლი უფრო მეტად „გაზიარებული აგენტობის/Conjoint Agency“ (საერთო, კოლექტიური ძალისხმევით კონტროლი) სახითაა გავრცელებული (Chen and Young, 2018). როგორც მორისი და მისი კოლეგები (2001) აღნიშნავენ, ამ შემთხვევაში კოლექტივში, ადამიანის გარდა, სხვა არსებებიც შეიძლება იგულისხმებოდეს, მაგალითად, ღვთაებები/ზებუნებრივი ძალები ან ცხოველები. რიტუალების საშუალებით ღვთაებების კეთილგანწყობა მოიპოვება, რომლებიც „გაზიარებული აგენტობის“ ნაწილად მოიაზრებიან („საქმეში ღმერთიც ხელს მომიმართავს“) და პიროვნების იღბლიანობას განაპირობებენ. რომ შევაჯამოთ, „სტაბილური იღბალი“ ამ თვალსაზრისით კავშირში აღმოჩნდა „პიროვნული კონტროლის“ „გაზიარებული აგენტობის“ ქვეკომპონენტთან, რაც, თავის მხრივ, მას “ღვთაებრივი კონტროლის”

კომპონენტთან აკავშირებს (იხ. სურათი №5). „პიროვნულ კონტროლის“ კომპონენტთან კავშირი კი „სტაბილური იღბლის“ აღნიშნულ ნაწილს ცვალებადობის არეალში ათავსებს. კიდევ ერთხელ ხაზს ვუსვამთ, რომ ცვალებადობა აუცილებლად არ გულისხმობს კონტროლის არსებობას (ცვლილება შეიძლება იყოს შემთხვევითიც), მაგრამ კონტროლი აუცილებლად გულისხმობს ცვალებადობას: თუ მოვლენებზე მართვის კონტროლი პიროვნების ხელშია, მოვლენების ცვალებადობა შესაძლებელია.

როგორც ვახსენეთ, “სტაბილური იღბლის” მხოლოდ ის ნაწილი თავსდება ცვალებადობის არეალში, რომელიც „პიროვნულ კონტროლის“ კომპონენტთანაა დაკავშირებული. ის ნაწილი კი, რომელიც მასთან კავშირში არაა და არც შემთხვევითად ცვალებადია, უცვლელობის არეალში იკავებს ადგილს. ეს ის შემთხვევაა, როცა „სტაბილური იღბალი“ დაბადებიდან თანდაყოლილ ინდივიდუალურ მახასიათებლად აღიქმება. მის აღსანიშნად გაზიარებული მეტაფორული გამონათქვამია „ქუდბედიანი“ ("ზოგი ადამიანი ქუდბედიანი იბადება"). „ქუდბედიანობა“ მთელი ცხოვრების განმავლობაში უცვლელად მიყვება ადამიანს და მის კონტროლს არ ექვემდებარება. სწორედ “სტაბილური იღბლის” ამ გაგების გამო გადაკვეთა „იღბლის“ კომპონენტმა ცვალებადობის საზღვარი და აღმოჩნდა უცვლელობის ნაწილში როგორც ეს სურათზე №5 ასახული. ხოლო მისი ქვეკომპონენტების განლაგება ცვალებადობა/უცვლელობის და კონტროლის ქონა/არქონის თანაკვეთაზე შეჯამებულად მოცემულია სურათზე №6.

სურათი № 6: "იღბლის" კომპონენტი ცვალებადობის და კონტროლის განზომილებების თანაკვეთაზე



“პიროვნული კონტროლის” კომპონენტის ურთიერთმიმართებები “წინასწარგანსაზღვრულობის”, “ღვთაებრივი კონტროლის” და “უმწეობის” კომპონენტებთან

“პიროვნული კონტროლის” გაგება შენარჩუნებულია “ღვთაებრივი კონტროლის” გაგების ფარგლებში: პიროვნების ცხოვრებაში ღმერთი მოვლენებს როგორ განკარგავს, მის ქცევებზეა დამოკიდებული. აღნიშნული კავშირი განსაკუთრებით თვალსაჩინოდ იკვეთება, როცა რესპონდენტები “ღვთაებრივი კონტროლისა” და “წინასწარგანსაზღვრულობის” ურთიერთსაპირისპირო მიმართებაზე მსჯელობენ (თუ X, მაშინ არა-Y, სადაც X „ღვთაებრივ კონტროლს“ აღნიშნავს, ხოლო Y „წინასწარგანსაზღვრულობას“)

> „ჩემი აზრით, ყველაზე კარგად მართლმადიდებლურ რელიგიას ვიცნობ და ნეგატიური შეხედულება უნდა ჰქონდეს ბედისწერაზე, იმიტომ, რომ თუ ვამბობთ რომ არჩევანის თავისუფლება მისცა ღმერთმა ადამიანს, ვერ ვიტყვით რო რამე განსაზღვრა წინასწარ, თორე ჯოჯოხეთში რატო უნდა გაუშვა ღმერთმა ადამიანი თუ წინასწარ განუსაზღვრე რო ცუდი ადამიანი ყოფილიყო ამის გამო მგონია, რომ ცუდი დამოკიდებულება უნდა ჰქონდეს.“

და პირიქით, როცა “ღვთაებრივი კონტროლის” გაგებები “წინასწარგანსაზღვრულობის” კომპონენტთან იკვეთება (ვგულისხმობთ უცვლელობის ასპექტს, რომელიც დეტალურად ზემოთ განვიხილეთ), „პიროვნული კონტროლის“ კომპონენტთან მიმართება უარყოფითი ხდება (სურათზე №5 აღნიშნულია ლურჯი ისრით), რაც ლოგიკურია. უარყოფითია „პიროვნული კონტროლის“ მიმართება უცვლელობის არეალში განთავსებულ ყველა კომპონენტთან („წინასწარგანსაზღვრულობა“ და „უმწეობა“) თუ კომპონენტის ნაწილთან.

ინტერვიუს პროცესში „უმწეობის“ კომპონენტის, „პიროვნული კონტროლისა“ და „იღბლის“ მიმართებების გამოვლენისთვის ნაყოფიერი ნიადაგი წარმატების მიღწევის გზების შესახებ მსჯელობამ შექმნა. ამ მსჯელობის დროს სამი ტიპის გაგება გამოიკვეთა, რომელიც პროპოზიციების სახით ცხრილში №6 შეჯამებულადაა წარმოდგენილი და თვალსაჩინოებისთვის თანდართული აქვს ციტატებიც.

ცხრილი № 6: „პიროვნული კონტროლის“ და „იღბლის“ კომპონენტებს შორის მიმართებები

წარმატების მისაღწევად საკმარისია **შრომა**	„მარტო **შრომა** არაფერს გიშველის, თან **იღბალიც** თუ არ გექნება” და პირიქით, მხოლოდ იღბალიც არ არის საკმარისი	შეიძლება **იშრომო** და მაინც ვერ მიაღწიო **წარმატებას.** ასე ვარდები **უმწეობის** მდგომარეობაში
თუ X , მაშინ Y X -შრომა (კონტროლი) Y - წარმატება	თუ X და Z, მაშინ Y X - შრომა (კონტროლი) Z - იღბალი Y -წარმატება	თუ X, მაგრამ არა-Y, მაშინ U X -შრომა (კონტროლი) Y - წარმატება U - უმწეობა
„შრომით აღწევ ყველაფერს.“	„წარმატებას, ალბათ, განაპირობებს, ნუ, შრომა თავისთავად, მაგრამ, აი, კარგ დროს და კარგ ადგილას რომ მოხვდები.“	„იშრომე რამდენიც გინდა და ხანდახან მაინც ვერ ხდება...“
„წარმატებას განაპირობებს მიზანდასახულობა და შრომა, ჩემს შემთხვევაში წარმატება ისეა როგორც **კარდიოგრამა,** ხან ასე, ხან ისე. თვითონ როგორ განწყობაზე ვარ, რამდენად მინდა, რომ მიზანს მივაღწიო.“	“არიან ადამიანები ვისაც უმართლებთ. მგონია, ეგ რაღაც დამატებითი არის იღბალი რა, რაც განაპირობებს წარმატებას. რაღაცნაირად თანაბარ სიმაღლეზე არ ვრჩებით ერთნაირი ცოდნით და გამოცდილებით.“	„რომ შრომობს, შრომობს, შრომობს და აი, არაფერი რომ არ გამოსდის მაინც და **აწყობილი ენგრევა** უცებ თავზე.“
„მიზანი და შრომა განაპირობებს ამას, შინაგანად უნდა იყოს განწყობილი ადამიანი რომ **წაიქცევა, წამოდგეს.**	„თორემ იმის არ იყოს, მთლად **ჩემი ფეხის იმედზე** ნუ იქნებიო რა, შენ თვითონაც უნდა მოინდომო“ *(მეკვლეობის ტრადიცია)*	„ადამიანმა შეიძლება იშრომოს ბევრი, მაგრამ, ქვეყანაში უნდა შეიცვალოს ვითარება, ისე არაფერი გამოუვა“.

როგორც ვხედავთ, ცხრილში №6 რიგით მეორე გაგების თანახმად, „პიროვნული კონტროლი“ და „იღბალი“ არათუ გამორიცხავენ ერთმანეთს, არამედ უნდა თანაარსებობდნენ იმისათვის, რომ სასურველი შედეგი დადგეს.

რაც შეეხება „უმწეობის“ კომპონენტს, ბუნებრივია, რომ ის დადებით მიმართებაშია უცვლელობის არეალში განთავსებულ „წინასწარგანსაზღვრულობის“ კომპონენტთან (‘თუ წინასწარგანსაზღვრულიაყველაფერი, უძლური ვარ რაიმე შევცვალო’) და „იღბლის“ კომპონენტის ნაწილთან („სტაბილური იღბალი“). ამ შემთხვევაში საუბარი გვაქვს გაგებაზე, რომლის თანახმადაც, „სტაბილური იღბალი“ უცვლელია. რესპონდენტთა დისკურსში გვერდიგვერდ გვხვდება შემდეგი გაგებები:

1) ადამიანები დაბადებიდან ქუდბედიანები არიან
2) უძლური ხარ შეცვალო ის, რაც დაბადებიდან თანდაყოლილია.

გვხვდება საპირისპირო თანმიმდევრობით მსჯელობაც:

1) უძლური ხარ, რაღაცები შეცვალო ცხოვრებაში
2) გამოდის, რომ იღბლიანობა დაბადებიდან დაგყვება

ამით ვასრულებთ კომპონენტების ურთიერთმიმართების ანალიზს და ამ თავის ბოლოს გთავაზობთ პროპოზიციებს, რომლებიც აღწერს არა ერთი კომპონენტის შესაბამის გაგებას, არამედ კომპონენტების ურთიერთმიმართებებს:

	ცხრილი № 7: კომპონენტებს შორის ურთიერთმიმართების აღმწერი პროპოზიციები
1	წარმატებას მხოლოდ შრომით ვერ მიაღწევ, იღბალიც აუცილებელია
2	ასტროლოგიაც ღმერთის მოგონილია
3	მთლად მეკვლეს ფეხის იმედზე არ უნდა იყოს ადამიანი, თვითონაც უნდა მოინდომოს
4	ღმერთი უძლურია ჩაერიოს ადამიანის ბედისწერაში
5	ახალგაზრდას სიკვდილის დაშვებით ღმერთი მას იმ მძიმე ცოდვისგან იცავს, რომელიც შეეძლო ჩაედინა, ცოცხალი რომ ყოფილიყო
6	ღმერთმა ადამიანს თავისუფალი ნება მიანიჭა
7	ბედს ღმერთი წერს

5.4.2. თვისებრივი კვლევის შედეგების შეჯამება

კულტურული მოდელების სკოლის თეორიულმა აპარატმა შესაძლებლობა მოგვცა კულტურული გავლენით ფორმირებული ფატალიზმი არა მხოლოდ ფსიქიკის მიღმა არსებულ ობიექტური კულტურის ელემენტად წარმოგვედგინა, არამედ ფსიქიკის ნაწილად მოგვეაზრებინა, სახელდობრ კი, საერთო გამოცდილებების საფუძველზე ფორმირებულ კოგნიტურ სქემად/მოდელად.

სიღმისეული ინტერვიუების საფუძველზე მიღებული დისკურსების „კულტურული ანალიზის“ (კერძოდ, პირველ ეტაპზე დისკურსის „კულტურული ანალიზის“ ერთ-ერთი სახე - მეტაფორების ანალიზი - გამოვიყენეთ) საშუალებით კი შესაძლებლობა მოგვეცა აღნიშნული სქემის შემდეგი ემიკური კომპონენტები გამოგვევლინა: *პიროვნული კონტროლი, ღვთაებრივი კონტროლი, წინასწარგანსაზღვრულობა, უმწეობა და იღბალი.* მომდევნო ეტაპზე კი დისკურსის „კულტურული ანალიზის“ მეორე სახის - პროპოზიციების ანალიზი - გამოყენებით გამოვლენილ კომპონენტებს შორის ურთიერთმიმართებები შევისწავლეთ.

ცხადია, გამოვლენილ კოგნიტური მოდელთან დაკავშირებით პირველ რიგში ჩნდება კითხვა, არის თუ არა ის გაზიარებული, ანუ კულტურულ მოდელი. კულტურული მოდელის ვერიფიცირებისთვის როგორც თეორიულ ნაწილში აღვნიშნეთ კულტურული კონსენსუსის მეთოდი (Romney, Batchelder, & Weller, 1987) გამოიყენება, რომელიც რაოდენობრივი მონაცემთა ანალიზის მეთოდია. კვლევის მეორე ნაწილი სწორედ რაოდენობრივი მიდგომით განხორციელდა.

5.5. ემპირიული კვლევა: რაოდენობრივი მიდგომა

5.5.1. რაოდენობრივი მონაცემების მოკრების მეთოდები

ემპირიული კვლევის პირველი ნაწილით (თვისებრივი მონაცემების მოკრება და ანალიზი) მეთოდოლოგიური ჯაჭვის პირველი ეტაპი - კულტურული მოდელების გამოვლენა - დავასრულეთ. შემდეგი ეტაპების - კულტურული კონსენსუსი →

კულტურული კონსონანსი - რეალიზაციას კი კვლევის მეორე ნაწილი (რაოდენობრივი მონაცემების მოკრება და ანალიზი) დაეთმობა.

თუმცა, სანამ რაოდენობრივი მონაცემების მოკრების დეტალურ აღწერაზე გადავალთ, მანამდე მნიშვნელოვნად მიგვაჩნია შემოთავაზებული ჯაჭვის *ერთი ეტაპიდან მეორე ეტაპზე გადასვლის მეთოდოლოგიური ასპექტების განხილვა* და კვლევის პროცედურის განსხვავებულ ვერსიებს შორის ჩვენი არჩევანის ლოგიკური საფუძვლის წარმოდგენა.

5.5.2. „კულტურული მოდელები → კულტურული კონსენსუსი“

პროცესზე ორიენტირებული/პროდუქტზე ორიენტირებული

როგორც ვიცით, ორივე - კულტურული მოდელების და კულტურული კონსენსუსის თეორია კოგნიტურ-ანთროპოლოგიური თეორიებია. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ეს ორი თეორია ერთმანეთისგან დამოუკიდებლად ვითარდებოდა და კულტურული ცოდნის ბუნების შესახებ განსხვავებულ ხედვას გვთავაზობს (Garro, 2000). კულტურული კონსენსუსის თეორია კულტურულ ცოდნას აღწერს მეტაფორით - ინფორმაციის საცავი (Information pool)[102]. ამ მეტაფორისგან განსხვავებით, კულტურული მოდელების თეორია კულტურული ცოდნის იერარქიულ და ქსელურ ორგანიზაციაზე ხაზგასმით, გარკვეულწილად დინამიკური და კონსტრუირებადი პროცესების მოხელთებასაც ცდილობს. შესაბამისად, კულტურული მოდელების თეორია კოგნიტური ფუნქციონირების უფრო რეალურ სურათს გვთავაზობს. კულტურული კონსენსუსის თეორიაში აღნიშნული პრობლემატიკა მხოლოდ ზედაპირულადაა მოცემული და სიღრმისეული განხილვის საგანი არაა (Garro, 2000), რასაც სავსებით ბუნებრივად მივიჩნევთ. კულტურული კონსენსუსის ანალიზი კულტურულად „სწორ“ პასუხებსა და

[102] მეხსიერების როგორც საცავის გაგება დიდი ხნის წინ უარყო ფსიქოლოგიური მეცნიერების ისეთმა თვალსაჩინო ფიგურამ, როგორიც იყო ბარტლეტი. სწორედ მის სახელთაა დაკავშირებული კოგნიტური პროცესების ყოველდღიურ კონტექსტებთან კავშირის კონცეპტუალიზაცია და შესაბამისად, მათ აქტიურ, კონსტრუირებად ბუნებაზე ხაზგასმა. მისი სიტყვებით, „სამყაროში, რომელშიც გარემო მუდმივად ცვალებადია, ზედმიწევნით ზუსტი გახსენება სრულიად უსარგებლო ხდება“ (1932:204 cited in Garro, 2000).

კულტურულად კომპეტენტურ ინფორმანტებს („ყოვლისმცოდნე ინფორმანტებს“) ავლენს. აღნიშნული პროცედურის განხორციელებისას კი შეუძლებელია კონტექსტური ფაქტორების გათვალისწინება და შესაბამისად, კოგნიციის დინამიკური მხარის მოხელთება. ამგვარად, სემიოტიკური კულტურული ფსიქოლოგების (Valsiner, 2003; Wagoner, 2009) მიერ შემოთავაზებულ - პროცესზე ორიენტირებული/პროდუქტზე ორიენტირებული - კლასიფიკაციას რომ დავეყრდნოთ, კულტურული კონსენსუსის მეთოდი პროდუქტზე ორიენტირებულ მიდგომას შეგვიძლია მივაკუთვნოთ.

კულტურული კონსენსუსის გაზომვისას გვიწევს ინფორმანტებს ვკითხოთ მათ კულტურაში *ზოგადად* როგორაა მიღებული და შესაბამისად, ვიღებთ აბსტრაქტულ პასუხებს. მიღებული აბსტრაქტული პასუხები, რა თქმა უნდა, განსხვავებული იქნება რეალური ცხოვრებისგანო[103] - სავსებით სამართლიანად აღნიშნავს დრესლერი (2018). მისი რეკომენდაციით, ამ შემთხვევაში აუცილებელია გავიაზროთ, რომ როგორ შეკითხვასაც დავსვამთ, ისეთ მონაცემებს მივიღებთ. შემდეგ კი ამ მონაცემებზე იმაზე მეტი ფუნქციის დაკისრება, ვიდრე მას რეალურად აქვს, არარეალისტურია (Dressler, 2018, p.73).

კონსენსუსის მეთოდით მოპოვებულ მონაცემთა მნიშვნელობის გაზვიადების თავიდან ასაცილებლად მკაფიოდ უნდა განისაზღვროს ამ მეთოდით მოწოდებული ინფორმაციის ტიპი. ამ მიზნით კულტურული კონსენსუსის მეთოდის ჩამოყალიბების ისტორიული კონტექსტის მიმოხილვა გვაწვდის სასარგებლო ინფორმაციას.

რბილი/მკაცრი

რაც უფრო თვალშისაცემი გახდა იმპრესიონისტული და არარეპლიკაციური ეთნოგრაფიული ნაშრომების პრობლემები[104], მით მეტად მიიპყრო ყურადღება ფორმალურ წესებზე დაფუძნებულმა, შესაბამისად, სიზუსტით გამორჩეულმა კოგნიტურ-ანთროპოლოგიურმა მეთოდებმა (Blount, 2011).

---

[103] რეალურ ცხოვრებაში ინფორმაციის გადამუშავებაზე გავლენას ახდენს კონტექსტი (Garro, 2000; Dressler, 2018).

[104] მაგ., ურთიერთსაწინააღმდეგო შედეგები ეთნოგრაფიულ კვლევებში. ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი შემთხვევაა დერეკ ფრიმენის მიერ მარგარეტ მიდის სამოას შესახებ ეთნოგრაფიული ნაშრომის სანდოობის ეჭვქვეშ დაყენება (Romney, Batchelder and Weller, 1986)

ანთროპოლოგიური კვლევის სპეციფიკა („უცხოსთან“ საუბარი, ინფორმანტის კომპეტენტურობის ხარისხის არ ცოდნა და ა.შ.) ცხადყოფდა რბილ მეთოდებთან ერთად ფორმალიზებული/მკაცრი მეთოდების ჩართვის, კულტურული კონსენსუსის მეთოდის შემქმნელთა აღნიშვნით, *„კულტურის შესწავლის უფრო ობიექტური გზის აღმოჩენის საჭიროებას“* (Romney, Batchelder and Weller, 1986:314). შესაბამისად, კულტურული კონსენსუსის ანალიზი რბილი/მკაცრი მეთოდების კონტინუუმზე ანთროპოლოგების მიერ გამოყენებულ მეთოდებს შორის ერთ-ერთ მკაცრ მეთოდად შეიძლება ჩაითვალოს.

ვფიქრობთ, მეთოდის სიმკაცრე განსაკუთრებულ ფუნქციას ასრულებს „კულტურული მოდელები →კულტურული კონსენსუსის“ მეთოდოლოგიური ჯაჭვის გამოყენებისას. კულტურულ მოდელს ვერ ვუწოდებთ კულტურულს, სანამ არ დავადასტურებთ მის გაზიარებულობას. მართალია, მეტაფორების და პროპოზიციების ანალიზის მეთოდების აღწერაში დასაბუთებულია, რა მექანიზმებით ახერხებს თითოეული მათგანი გასცდეს იდიოსინკრეტულს და და მოიხელთოს გაზიარებული მნიშვნელობა, მაგრამ, გაროს (2000) თქმით, „კულტურული მოდელების სკოლაში არ არის მოცემული ექსპლიციტური საფუძველი იმის განსასაზღვრად, მოდელი გაზიარებულია თუ არა“. მას დასტურად სტრაუსის და ქვინის შემდეგი ციტატა მოჰყავს: „გაზიარებულობის კონტინუუმის რომელ ნიშნულზე დავარქმევთ სქემას „კულტურულს“, მხოლოდ გემოვნების საკითხია" (Quinn & Strauss,1997:122).

აღნიშნული პოზიცია არ არის გასაკვირი ანთროპოლოგიისთვის დამახასიათებელი „რბილი“ მიდგომებიდან გამომდინარე, რომელსაც საკითხის სიღრმისეული შესწავლისთვის მნიშვნელოვანი უპირატესობები აქვს. თუმცა, როცა საქმე ეხება არა სიღრმეში ჩასვლას, არამედ ფორმალური საკითხის განსაზღვრას (ამ შემთხვევაში გაზიარებულობის დონის კრიტერიუმის შერჩევას), უდავოა „მკაცრი“ მეთოდის საჭიროება. შესაბამისად, მეთოდოლოგიური ჯაჭვი - „კულტურული მოდელი → კულტურული კონსენსუსი“- ნათელი მაგალითია იმისა, თუ როგორ ავსებს ერთმანეთს „რბილი“ და „მკაცრი“ მეთოდების კომბინაცია.

ნიშანდობლივია, რომ კულტურული კონსენსუსის ანალიზის ეტაპამდე „რბილი/ მკაცრი“ კრიტერიუმით შეიძლება კულტურული მოდელების გამოვლენის ეტაპიც დახასიათდეს. ზემოთ აღინიშნა, რომ „დისკურსის კულტურული ანალიზი“ (მეტაფორების და პროპოზიციების ანალიზი) კულტურული მოდელების შესწავლის ერთადერთი მეთოდი არ არის. დისკურსის ანალიზზე დაფუძნებული მიდგომისგან მკვეთრად განსხვავდება კულტურული მოდელების კვლევის მეორე მიდგომა, რომელსაც ბენარდოს და დემანკის კლასიფიკაციაში ექსპერიმენტული მეთოდების[105] (თავისუფალი ჩამონათვალი, დახარისხების ამოცანები, დასახატი სავარჯიშოები და ა.შ) სახელწოდებით ვხვდებით. ბლონტის (2011) აღნიშვნით, დისკურსის ანალიზზე დაფუძნებული მიდგომა, დახარჯული დროის და ძალისხმევის გათვალისწინებით, ძვირ სიამოვნებად მიიჩნევა, ამის გამო, როგორც წესი, მკვლევრები მას თავს არიდებენ.

აღსანიშნავია, რომ „კულტურული მოდელების → კულტურული კონსენსუსის → კულტურული კონსონანსის“ მეთოდოლოგიური ჯაჭვის შემქმნელი, უილიამ დრესლერიც საკუთარ კვლევებში დისკურსზე დაფუძნებული მიდგომის ნაცვლად ექსპერიმენტულ მიდგომას (თავისუფალი ჩამონათვალი და დახარისხების ამოცანები) იყენებს. თუმცა, ცხადია, მკაფიოდ უსვამს ხაზს მეთოდთა მრავალფეროვნებას, თუმცა მის მიერ გამოყენებულ მეთოდს კულტურული მოდელების გამოვლენის ყველაზე მარტივ, პირდაპირ და ეფექტურ გზად მიიჩნევს. სიმარტივესთან ერთად, განზომილების - „მკაცრი/რბილი“- თვალსაზრისით, დრესლერისეული მიდგომა, დისკურსის ანალიზზე დაფუძნებული მიდგომისგან განსხვავებით, უფრო „მკაცრია“. მაგალითად, თავისუფალი ჩამონათვალის ანალიზისას რამდენიმე ფორმალური/რაოდენობრივი მაჩვენებელი[106] გამოითვლება. არანაკლებ ფორმალიზებულია დახარისხების ამოცანებით მიღებული შედეგების ანალიზის პროცესი. როგორც წესი, გამოიყენება მრავალგანზომილებიანი სკალირების მეთოდი (multidimensional scaling), რომელიც კონკრეტული კულტურული

---

[105] ბლონტი (2011) აღნიშნულ მიდგომას გამოვლენა-ანალიტიკური (elicitation-analytical) მიდგომის სახელწოდებით მოიხსენიებს.

[106] მაგალითად, რესპონდენტთა რამდენმა პროცენტმა დაასახელა კონკრეტული სიტყვა/დებულება, ან რანჟირების შედეგად ყველა რესპონდენტის მონაცემზე დაყრდნობით როგორია თითოეული დებულების მედიანური მაჩვენებელი. ასევე ითვლება წინა პლანზე წამოწეულობის (salience) მაჩვენებელი. რაც უფრო მაღალი აქვს დებულებას აღნიშნული მაჩვენებელი, ეს ნიშნავს იმას, რომ მით უფრო ბევრმა რესპონდენტმა დაასახელა ის და, რაც მთავარია, ამავდროულად რანჟირებისას ზედა პოზიციებში იკავებდა ადგილს.

სფეროსთვის შერჩეულ ტერმინებს შორის მსგავსებებსა და განსხვავებებს ამ ტერმინებით მიღებულ განზომილებებს/კლასტერებს შორის მანძილით ადგენს. აღნიშნულის გათვალისწინებით შეიძლება ითქვას შემდეგი: ექსპერიმენტული მიდგომით კულტურული მოდელის გამოვლენისას, „კულტურული მოდელი → კულტურული კონსენსუსი“ წარმოადგენს ტრაექტორიას “**მკაცრი → მკაცრი“**, რამდენადაც „მკაცრი“ მეთოდით მოპოვებული მონაცემების დამუშავება ისევ „მკაცრი“ მეთოდით ხდება.

ჩვენ უფრო რთულ გზას დავადექით: „**მკაცრი → მკაცრი“** ტრაექტორიის ნაცვლად მივმართეთ ტრაექტორიას „**რბილი → მკაცრი“.** ამგვარად, დრესლერის მიერ შემოთავაზებულ სამეტაპიან ჯაჭვში კულტურული მოდელების გამოვლენის ეტაპზე ექსპერიმენტული მიდგომა დისკურსის ანალიზზე დაფუძნებული მიდგომით ჩავანაცვლეთ.

ცოდნის სისტემა/რწმენის სისტემა

კულტურული მოდელების სკოლაში განხორციელებული კვლევების დასახასიათებლად „მკაცრი/რბილი“ კონტინუუმის გარდა, ვფიქრობთ, საჭიროა კიდევ ერთი კონტინუუმი შემოვიტანოთ. კვლევების[107] (Boster, 1986, Boster & Johnson, 1989, Atran, et.al, 1999, Shafto & Coley, 2003, Ragupathy, et.al, 2008) გარკვეული ნაწილის შემთხვევაში თვალშისაცემია მათი ორიენტაცია **ფაქტობრივ ცოდნაზე,** რაც არაა გასაკვირი კულტურული კონსენსუსის მეთოდის შექმნის ისტორიული საფუძვლებიდან[108] გამომდინარე. აღნიშნულს ნამდვილად ვერ გავავრცელებთ კულტურული კონსონანსის კონსტრუქტის ავტორის,

---

[107] ამ შემთხვევაში განსაკუთრებით გამოვყოფთ კულტურული კონსონანსის კონსტრუქტის შექმნამდე ჩატარებულ კვლევებს. აღნიშნული კვლევები სამი ეტაპის ნაცვლად ორ ეტაპს მოიცავს: კულტურული მოდელი → კულტურული კონსენსუსის ეტაპები.

[108] კოგნიტურ ანთროპოლოგიის ერთ-ერთ წინაპარ სფეროდ „ეთნომეცნიერება“ (მრავალი სხვა სახელწოდებითაც მოიხსენიებენ: „ეთნოსემანტიკა“, „კომპონენტური ანალიზი“, „ლექსიკური სემანტიკური ანალიზი“ და ა.შ.) ითვლება, რომელიც ცოდნის სხვადასხვა სფეროს იკვლევდა, იქნებოდა ეს ნათესაური სისტემები, ფერები, ეთნობოტანიკა, ეთნოზოოლოგია, ეთნომედიცინა და ა.შ. (Blount 2011). აღნიშნულ თემებს პოპულარულობა არ დაუკარგავს კოგნიტური ანთროპოლოგიის წიაღშიც და შესაბამისად, კულტურული კონსენსუსის მეთოდი ხშირად სწორედ მსგავსი ცოდნის საკვლევად გამოიყენება. საუბარი გვაქვს მცენარეების, ცხოველების სახელწოდებებზე, ისტორიულ მოვლენებზე, ფერებზე და ა.შ. ფაქტობრივ ინფორმაციაზე ორიენტაციას ცხადყოფს კულტურული კონსენსუსის კომპიუტერული პროგრამის შემქმნელის, ბორგატის (1996) შემდეგი ფრაზაც: „თუ ანთროპოლოგი მკითხავს მცენარეების სახელებს, დიდია ალბათობა, რომ ჩემგან არასწორ პასუხებს მიიღებს. სამაგიეროდ, კარგი მეხსიერება მაქვს ევროპის ისტორიული მოვლენების და თარიღების შესახებ“. ვფიქრობთ, ფაქტობრივ ცოდნაზე ფოკუსირებულობის გამოძახილია მრავალარჩევნიანი ტესტის გამოყენებაც კონსენსუსის ანალიზისთვის, როცა კონკრეტული ჩამონათვალიდან სწორი პასუხი უნდა შეარჩიოს ინფორმანტმა.

დრესლერის, კვლევებზე (1997, 1998, 1999, 2000, 2007, 2017, 2018). ბუნებრივია, ჩნდება კითხვა: მაშინ ფაქტობრივი ცოდნისგან განსხვავებულ რა ტიპის კოგნიციას შეიძლება მივაკუთვნოთ დრესლერის საკვლევი თემები?

ამ შეკითხვაზე პასუხის გასაცემად დავეყრდნობით კოგნივიტივიზმის ერთ-ერთ თვალსაჩინო წარმომადგენელს, რობერტ აბელსონს (1979). მან უარყო კოგნიციის მხოლოდ ცოდნის სისტემაზე დაყვანა და გამოყო ცოდნის სისტემასთან ძალიან მჭიდროდ დაკავშირებული, თუმცა მაინც განსხვავებული სისტემა - რწმენა. მიგვაჩნია, რომ დრესლერის საკვლევი თემები სცდება ფაქტობრივი ცოდნის არეალს და რწმენასთან უფრო ამჟღავნებს საერთოს. რა გვაძლევს ამის თქმის საშუალებას? აბელსონის მიერ შემოთავაზებული ცოდნის და რწმენის სისტემების განმასხვავებელი რამდენიმე საკვანძო ნიშანი[109] და ამავე კრიტერიუმებზე დაყრდნობით ვეცდებით გამოვკვეთოთ ჩვენი საკვლევი თემის -ფატალიზმის - ადგილიც ცოდნა/რწმენის კონტინუუმზე. ეს ნიშნებია:

1) საკამათო/არაკონსენსუსური ბუნება

ცოდნისგან განსხვავებით რწმენისთვის დამახასიათებელია საკამათო შინაარსის ქონა. ამა თუ იმ რწმენის მატარებელმა იცის, რომ სხვები განსხვავებულად ფიქრობენ. ჩვენი თვისებრივი კვლევის შედეგებმა ცხადყო, რომ ინფორმანტები საკუთარისგან განსხვავებული ხედვის არსებობას აცნობიერებდნენ. შესაბამისად, აღნიშნული მახასიათებლის გათვალისწინებით ჩვენი საკვლევი ფენომენი - ფატალიზმი - კონტინუუმზე - „ცოდნა/რწმენა“ - რწმენის პოლუსისკენ იხრება.

საკამათო/არაკონსენსუსური ბუნების განხილვისას აბელსონი (1979) მნიშვნელოვან ასპექტზე ამახვილებს ყურადღებას: რწმენისა და ცოდნის სისტემების ერთმანეთისგან გამიჯვნა განსაკუთრებით რთულდება, თუ რწმენის მატარებელს ალტერნატიული ხედვის არსებობა გაცნობიერებული არა აქვს. აბელსონი სწორედ ამ კონტექსტში ახსენებს კულტურული მოდელების სკოლის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენლის, როი დანდრადეს ტერმინს - „კულტურული რწმენის სისტემები“. აბელსონის ლოგიკა შემდეგნაირია: თუ კონკრეტული კულტურის ყველა წევრს სჯერა გრძნეულის/ჯადოქრის არსებობა, მაშინ ეს უკვე აღარაა რწმენის სისტემა, არამედ

[109] აბელსონის ჩამონათვალიდან შევარჩიეთ რამდენიმე საკვანძო ნიშანი.

ცოდნის სისტემაა. როგორც ვხედავთ კოგნიტივიზმის თვალსაჩინო წარმომადგენელი ამ მსჯელობისას კულტურული უნიფორმიზმის პოზიციას ავლენს: კულტურა წარმოგვიდგება ჰომოგენურ მთელად, რომლის ყველა წევრი ერთნაირად ფიქრობს, განსხვავებული ხედვა (თუნდაც გრძნეულის არსებობის შესახებ) საერთოდ არ არსებობს. კულტურის თანამედროვე თეორიის თვალსაზრისით კი შეუძლებელია კულტურაში ინდივიდუალური ვარიაციის ანუ განსხვავებული ხედვის არსებობა უარვყოთ. თუმცა ინდივიდუალური ვარიაციის ხარისხი კონკრეტულ კულტურულ სფეროში მისი სპეციფიკის შესაბამისად იცვლება (მაგალითად, რამდენად საკამათოა მისი შინაარსი). აღნიშნულის გამოვლენის საშუალებას კი სწორედ კულტურული კონსენსუსის ანალიზი იძლევა.

2) შინაარსის „ღიაობა“

რწმენის სისტემების შინაარსი/კონტენტი მაღალი „ღიაობით“ გამოირჩევა, რაშიც რწმენის სისტემის შინაარსის არეალის შემოფარგვლის სირთულე იგულისხმება. სხვა სიტყვებით, ცოდნის სისტემისგან განსხვავებით, რწმენის სისტემის შემთხვევაში რთულია მისი შემადგენელი შინაარსის ერთ სფეროდ/დომენად შემოსაზღვრა. კულტურული კონსენსუსის მეთოდისთვის კი, როგორც არაერთხელ აღვნიშნეთ, საკვანძოა ერთი სფეროს/დომენის არსებობა.

ფატალიზმი, მასთან დაკავშირებული მნიშვნელობების ფართო არეალის გამო, „ღიაობის“ კრიტერიუმითაც რწმენის სისტემას უფრო ემსგავსება, ვიდრე ცოდნის. ეს ვითარება განსაკუთრებით საინტერესოს ხდის კულტურული კონსენსუსის მეთოდის გამოყენებას კონსენსუსის იმ ხარისხის გამოსავლენად რა ხარისხიც შეიძლება არსებობდეს ამ სპეციფიკის მასალის შემთხვევაში.

3) შეფასებითი კატეგორიები

დაბოლოს, ვფიქრობთ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია, ცოდნის სისტემისგან განსხვავებით, რწმენის სისტემის მჭიდრო კავშირი შეფასებით კატეგორიებსა („კარგი“/“ცუდი“)[110] და აფექტურ კომპონენტთან. ნიშანდობლივია, რომ აბელსონს (1963)

[110] მაგ., ბირთვული ენერგიის მოწინააღმდეგისთვის ბირთვული ენერგია ცუდია, დაბინძურება „ცუდია“, მატერიალიზმი და ნარჩენები ცუდია, ენერგიის ალტერნატიული წყაროები „კარგია“ (Abelson, 1979).

ეკუთვნის „ცხელი“ კოგნიციის ტერმინიც და მასში სწორედ აფექტით დატვირთული/გაჯერებული კოგნიცია მოიაზრება. შესაბამისად, ცოდნა/რწმენა კონტინუუმს მეორენაირად შეიძლება „ცივი კოგნიცია“/“ცხელი კოგნიცია“ კონტინუუმიც ვუწოდოთ.

დრესლერის (1997, 1998, 1999, 2000, 2007, 2017, 2018) საკვლევ თემებს რომ დავუბრუნდეთ, ის საგანგებო ყურადღებას უთმობს სწორედ შეფასებით კატეგორიებს. აღნიშნავს, რომ მრავალი კულტურული სფეროს შემთხვევაში მნიშვნელობის (meaning) მთავარი განზომილება შეფასებითია[111]. დრესლერი აღნიშნულ ასპექტს ითვალისწინებს კვლევის პროცედურაშიც. შესაბამისად, ვთვლით, რომ მისი საკვლევი თემები კონტინუუმზე - ცოდნიდან რწმენამდე - რწმენის პოლუსს უახლოვდება. თუმცა, გავიხსენოთ, რომ „მკაცრი/რბილი“ მეთოდების კონტინუუმზე დრესლერის კვლევა მკაცრი მეთოდების პოლუსისკენ იხრება, რაც მას კონსენსუსის ანალიზის ეტაპამდეც რაოდენობრივი მონაცემებით ოპერირების საშუალებას აძლევს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ შემთხვევაში ვიღებთ ტრაექტორიას „მკაცრი → მკაცრი“.

დრესლერის საკვლევი თემების მსგავსად, ფატალიზმიც ცოდნის სისტემას სცდება და მეტ მსგავსებას რწმენის სისტემასთან ავლენს. მასთან დაკავშირებით კი კულტურული კონსენსუსის სტატისტიკური მოდელის დაშვებათა დაკმაყოფილება რთულია. გარდა ამისა, ორმაგ გამოწვევას ქმნის ჩვენს მიერ კონსენსუსის ანალიზამდე ე.წ. რბილი მეთოდის, ანუ საბოლოოდ, ტრაექტორიის „რბილი → მკაცრი“ გამოყენება. თუმცა ჩვენი პოზიცია ამ შემთხვევაშიც ნაშრომში არაერთხელ გაჟღერებული სულისკვეთების შესაბამისია - ურთიერთგამომრიცხავი დიქოტომიური ხედვის დაძლევის მნიშვნელობის ხაზგასმა. ამ ხედვით, არაკონსენსურობა, როგორც რწმენის სისტემის შინაარსის სპეციფიკა, არ გამორიცხავს იმავდროულად კონსენსუსის გარკვეულ დონესაც. და ამას აბელსონიც არაერთხელ გამოკვეთს კონსენსუსის არსებობისას რწმენის და ცოდნის სისტემებს შორის საზღვრების გაბუნდოვანებაზე მითითებით. ამგვარად, ვფიქრობთ, რომ შესაბამისი ინსტრუმენტების გამოყენებით საინტერესოა კონსენსუსის იმ დონის მოხელთება რა დონეც შეიძლება არსებობდეს რწმენის სისტემის შემთხვევაში.

---

[111] ტერმინს - შეფასებითი- იყენებს ფართო გაგებით, რომ რაღაც „კარგია“ ან „ცუდია“ (Dressler, 2017).

რომ შევაჯამოთ, წინამდებარე ქვეთავში განხილულია სამი განზომილების - პროდუქტზე ორიენტაცია/პროცესზე ორიენტაცია, „რბილი/მკაცრი“, ცოდნა/რწმენა - თანაკვეთა (იხილეთ სურათი №7). ჩვენი კვლევის პირველი ეტაპი (კულტურული მოდელის გამოვლენა) „რბილი“ მეთოდებისა და „პროცესზე ორიენტაციის“ პოლუსებისკენ იხრება, კონსენსუსის ანალიზის ეტაპზე კი ცხადია გადანაცვლება ხდება „მკაცრი“ და „პროდუქტზე ორიენტაციის“ პოლუსებისკენ. ხოლო, რაც შეეხება ცოდნა/რწმენის კონტინუუმს, აბელსონის მიერ შემოთავაზებული მახასიათებლების გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ წინამდებარე კვლევა „რწმენის“ პოლუსს უახლოვდება, რაც „მკაცრი“ მეთოდის (კულტურული კონსენსუსის მეთოდი) თანაკვეთის არეში, როგორც ზემოთ არაერთხელ აღვნიშნეთ, განსაკუთრებულ გამოწვევად გამოიყურება.

სურათი № 7: პროცესზე/პროდუქტზე ორიენტაციის, რწმენა/ცოდნის და "რბილი"/"მკაცრი' განზომილებების თანაკვეთა



5.5.3. „კულტურული კონსენსუსი → კულტურული კონსონანსი“

ეტაპის - „კულტურული მოდელი → კულტურული კონსენსუსი“ - განხორციელების შემდეგ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მეთოდოლოგიური საკითხი იჩენს თავს.

კულტურული კონსენსუსის მეთოდი მოდელის გაზიარებულობას ანუ კულტურულობას ადგენს, მაგრამ ვერაფერს გვეუბნება ინდივიდის დონეზე კულტურული მოდელის ინტერნალიზებულობის ფაქტზე და, შესაბამისად, ამ მოდელის შესატყვისი ქცევის რეალურ განხორციელებაზე (Dressler, 2018). ეს უკანასკნელი *კულტურული კონსონანსის* თეორიის ცენტრალური საკითხია. როცა თეორიული კონსტრუქტის ემპირიულ დონეზე შემოწმების ჯერი დადგა, პირველ რიგში, გაჩნდა კითხვა: კვლევის განხორციელებისას როგორაა შესაძლებელი კულტურული კონსენსუსის (კულტურა- დონე) და კონსონანსის (ინდივიდი -დონე) ერთმანეთისგან გამიჯვნა?

დრესლერი შემდეგ პრინციპს გვთავაზობს: კულტურული კონსენსუსის ეტაპზე მნიშვნელოვანია ინსტრუქციის დახმარებით ინფორმანტები ვაფიქროთ არა პირადი პოზიციიდან, არამედ საზოგადოების თვალსაზრისიდან. მათ ზოგადი პასუხი უნდა გაგვცენ კითხვაზე „რას ფიქრობს ხალხი“, როგორაა ესა თუ ის საკითხი აღქმული საზოგადოებაში. თუმცა, დრესლერი აქვე დასძენს: *„ისეთი გულუბრყვილოც არ ვარ ვიფიქრო, რომ ამ შეკითხვებზე პასუხის გაცემისას ინდივიდები სრულიად გამორიცხავენ საკუთარ ინდივიდუალურ რეპრეზენტაციებს. უბრალოდ, აღნიშნული ინსტრუქციით ექსპერიმენტულ ფსიქოლოგიაში ხშირად გამოყენებული მეთოდის - პრაიმინგის - მსგავსი ეფექტი მიიღწევა. ეს არის მცდელობა კონკრეტული კულტურული სფეროს/დომენის შესახებ ინდივიდის რეპრეზენტაციების კულტურული ნაწილი (კულტურა- დონე თ.ჩ) გავააქტიუროთ* [Dressler, 2018. p. 129]. კონსონანსის შემთხვევაში კი საჭიროა ინდივიდის დონეზე გადავინაცვლოთ. ზოგიერთი კულტურული სფეროს შემთხვევაში მსგავსი გადანაცვლება უფრო მარტივად განსახორციელებელია, ზოგიერთ შემთხვევაში კი ლიკერტის სკალის კონსტრუირებაა საჭირო (Dressler, 2018).

ემპირიული კვლევისას ინდივიდი და კულტურა-დონის ერთმანეთისგან გამიჯვნის სირთულეზე და ამგვარი გამიჯვნის აუცილებლობაზე მიუთითებს დანდრადეც (D’Andrade, 2008) საკუთარი გამოცდილების მოშველიებით. 2008 წელს მის მიერ

ღირებულებათა კვლევაში მიღებული მოულოდნელი შედეგები უკავშირდებოდა კოლექტივისტური ღირებულებების დაბალ მაჩვენებლებს იაპონელებში, გამოჩენილი ეთნოგრაფების (რუთ ბენედიქტი, ჩი ნაკანეს, ტაკი ლებრა და რონალდ დორი) ნაშრომებში ასახულ მონაცემთა საპირისპიროდ, რომელთა თანახმად, იაპონურ სოციალურ ჯგუფებში არსებობს ძლიერი სოლიდარობა და ჯგუფური შეჭიდულობა (მკაცრი სოციალური კონტროლის თანხლებით). ამ წინააღმდეგობრივი შედეგების მიზეზს დანდრადე (2019) ხედავს იმაში, რომ ერთ შემთხვევაში საქმე გვაქვს კულტურა-დონის მონაცემებთან (ეთნოგრაფიული ნაშრომები კულტურა-დონის ანუ კულტურულ ღირებულებებს (cultural values) წარმოგვიდგენს), მეორეში კი - ინდივიდი-დონის მონაცემებთან (დანდრადეს კვლევა პიროვნულ ღირებულებებს (personal values) ავლენდა).

ამგვარად, მკვლევრის წინაშე შემდეგი საკითხის განსაზღვრა დგას: კითხვარის შევსებისას რით ხელმძღვანელობს ინფორმანტი - პიროვნული თუ კულტურული ღირებულებით? დანდრადემ შემდეგ ტექნიკას მიმართა: ინფორმანტებს ღირებულებები ტიპური ამერიკელის (კულტურა დონე) და სელფის (ინდივიდის დონე) პოზიციიდან ცალ-ცალკე შეაფასებინა.[112]

წინამდებარე კვლევაში კულტურა-დონის მოსახელთებლად (სხვა სიტყვებით, კულტურული კონსენსუსის გასაზომად) დანდრადეს და დრესლერის მიერ შემოთავაზებული ტექნიკები გამოვიყენეთ: სპეციალური ინსტრუქციით ვცდილობდით ინფორმანტებში პირადი პოზიციის ნაცვლად საზოგადოების პოზიციიდან შეფასება გაგვეაქტიურებინა. კითხვარის პირველი ბლოკის ინსტრუქცია შემდეგნაირად იყო ფორმირებული:

---

[112] ტიპური ამერიკელის და სელფის გარდა, დანდრადემ რესპონდენტებს კიდევ 10 როლისთვის (ექიმი, დასაქმებული, მასწავლებელი, ბიზნესმენი, სტუდენტი, მმართველი, მამა, დედა, შვილი (გოგო) შვილი (ბიჭი), მეგობარი, შეყვარებული) შეაფასებინა ღირებულების გამომხატველი 43 დებულება. დანდრადე (2019) განმარტავს: კულტურულ ღირებულებებად შესაძლებელია ჩაითვალოს ისეთი ღირებულებები, რომლებიც სოციალურ როლშია ინსტიტუციონალიზებული. ამ შემთხვევაში არსებული ნორმები ადგენს სანქციას/ჯილდოს ღირებულებებთან თავსებადი/არათავსებადი ქცევებისთვის. ამერიკული კულტურისთვის (კულტურა-დონე) ფაქტია, რომ ღირებულება - „იყო კარგად ორგანიზებული“ ინსტიტუციონალიზებულია მაგალითად, როლებისთვის დასაქმებული და დედა, თუმცა, არ არის აუცილებელი რომ აღნიშნული ღირებულება კონკრეტული ამერიკელისთვის პიროვნულ ღირებულებას (ინდივიდის დონე) წარმოადგენდეს.

ბლოკი I: ქართველების აზრი

„გთხოვთ, კითხვარის ამ ბლოკში დებულები შეაფასოთ არა თქვენი პირადი შეხედულების მიხედვით, არამედ, ზოგადად, ქართველების პოზიციიდან - „რას ფიქრობს ხალხი“.

რა თქმა უნდა, არ არსებობს სწორი და არასწორი პასუხები. პასუხის გაცემისას მნიშვნელოვანია იმის დაფიქსირება, რაც გსმენიათ: ამა თუ იმ საკითხის შესახებ როგორია გავრცელებული აზრი ქართველებში. ზოგჯერ შეიძლება ქართველების/ტიპური ქართველის პოზიციიდან შეფასება რთული აღმოჩნდეს, ამ შემთხვევაში მონიშნეთ ის პასუხი, რომელიც პირველი მოგივათ თავში.

თითოეული დებულების შემთხვევაში ჯერ განსაზღვრეთ ფიქრობენ თუ არ ფიქრობენ ასე ქართველები და შემდეგ დააზუსტეთ რა ხარისხით ფიქრობენ ან არ ფიქრობენ ასე. ამისათვის გამოიყენეთ ოთხბალიანი სკალა, სადაც 1 ნიშნავს „ქართველები ასე ნამდვილად არ ფიქრობენ“, 2 - „ქართველები ასე არ ფიქრობენ“, 3 –„ქართველები ასე ფიქრობენ“ და 4 – „ქართველები ნამდვილად ასე ფიქრობენ“.

როგორც ინსტრუქციიდან ჩანს კითხვარში გამოვიყენეთ ოთხბალიანი ლიკერტის სკალა. თუმცა მნიშვნელოვანია, რომ ინფორმანტებს ჯერ ვთხოვეთ დიქოტომიური გადაწყვეტილების მიღება და შემდეგ სკალაზე შეფასება (ამ ასპექტს მონაცემთა ანალიზის ქვეთავში დავუბრუნდებით). რაც შეეხება სკალის პუნქტების აღმწერებს, კულტურა-დონეზე თანხმობის გამოსავლენად ვერ გამოვიყენებდით „სრულიად ვეთანხმებიდან“ „სრულიად არ ვეთანხმებამდე“ პუნქტებს (ინდივიდის დონეზე გადაგვიყვანდა). ამიტომ, ჩავთვალეთ, რომ ტიპური ქართველის პოზიციიდან შეფასებისთვის სკალის ინსტრუქციის გარდა აღმწერ პუნქტებშიც გვეხსენებინა „ქართველი“ („ქართველები ასე არ ფიქრობენ/ფიქრობენ“). ამ მცირე სიახლით, ვფიქრობთ, გავაძლიერეთ დრესლერის (2018) მიერ ხსენებული პრაიმინგის ეფექტი.

კონსენსუსის კითხვარი დაკომპლექტებულია 56 დებულებით, რომლებიც კულტურული მოდელის გამოვლენის ეტაპზე პროპოზიციების ანალიზის საფუძველზე იქნა ფორმულირებული. კითხვარის მოცულობასთან დაკავშირებულ მეთოდოლოგიურ საკითხებს მონაცემთა ანალიზის ნაწილში დეტალურად შევეხებით.

რაც შეეხება კონსონანსის გამოვლენას, ჩვეულებრივ, კვლევათა უმრავლესობაში (Dressler et al. 1997, 1998, 1999, 2000, 2007, 2017, Dressler, 2018; Dengah, 2017; Read-Wahidi and DeCaro, 2017) კონსენსუსის დონე დგინდება კვლევის პირველ ეტაპზე, მცირე რაოდენობის[1]

ინფორმანტთა გამოკითხვის საფუძველზე. მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით კომპლექტდება კონსონანსის კითხვარი. კვლევის მეორე, კონსონანსის დონის გაზომვის ეტაპი კი, ხორციელდება ინფორმანტთა ახალ შერჩევაზე.

ჩვენ გადავწყვიტეთ განსხვავებული კვლევის ტექნიკა გამოგვეყენებინა. კერძოდ, კონსენსუსის და კონსონანსის ეტაპები ინფორმანტთა ერთსა და იმავე შერჩევაზე ჩაგვეტარებინა, ანუ ერთსა და იმავე ინფორმანტს შეეფასებინა ტიპური ქართველის ხედვა და პირადი პოზიცია.

აღნიშნულის განხორციელების ორი გზა არსებობდა: 1) კონსენსუსის და კონსონანსის ბლოკების ერთ კითხვარში გაერთიანება, შესაბამისად, დროის ერთსა და იმავე მონაკვეთში ორივე ეტაპის რეალიზაცია. 2) ინფორმანტთა ერთსა და იმავე შერჩევაზე კონსენსუსის და კონსონანსის დონის დროში ინტერვალით გაზომვა ორი დამოუკიდებელი კითხვარით.

პირველ შემთხვევაში, ვფიქრობთ, რომ უმჯობესდება ტიპური ქართველის და პირადი პოზიციის დაპირისპირება, რადგან ინფორმანტს დროის ერთსა და იმავე მონაკვეთში უწევს ორივე პოზიციიდან პასუხის დაფიქსირება, რაც თავის მხრივ, თავიდან გვარიდებს კითხვარის შევსების დროს ამ ორი პოზიციის შერევას. როგორც დრესლერი (2018) აღნიშნავს, ამ ტიპის კვლევებში სხვისი პოზიციის გააქტიურება ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს. სწორედ ამიტომ ჩვენს კვლევაში პირველ ვარიანტს მივანიჭეთ უპირატესობა, თუმცა, მივიჩნევთ, რომ მეორე ვარიანტიც განსახორციელებელია (სამომავლო კვლევების ბლოკში ვისაუბრებთ ვრცლად).

კულტურული კონსონანსის ბლოკის ინსტრუქცია შემდეგნაირად იყო ფორმირებული:

ბლოკი II: პირადი აზრი

კითხვარის ამ ბლოკში კი, თქვენი პირადი აზრი უნდა გამოხატოთ. თითოეული დებულება უნდა შეაფასოთ 4 ბალიან სკალაზე, სადაც 1 ნიშნავს "სრულიად არ ვეთანხმები", 2 -"არ ვეთანხმები", 3-"ვეთანხმები" და 4 -"სრულიად ვეთანხმები".

5.5.4. რაოდენობრივი კვლევის პროცედურა და კვლევის სუბიექტები

რაოდენობრივი კვლევა პანდემიის გამო ონლაინ რეჟიმში ჩატარდა. დაფარვის ფართო სპექტრის უზრუნველსაყოფად კითხვარის ელექტრონული ვერსია განთავსდა სოციალურ ქსელებში (Facebook, Linkendin) სხვადასხვა რეგიონის, პროფესიის თუ თემის ირგვლივ შექმნილ ჯგუფებში. სულ კვლევაში მონაწილეობა მიიღო 355 ინდივიდმა. მათი უდიდესი უმრავლესობა 306 (86%) დედაქალაქში (თბილისი) ცხოვრობს, ხოლო დანარჩენი 49 (14%) რეგიონებში (მათ შორის, კახეთი - 3, ქვემო ქართლი -13, სამცხე ჯავახეთი 1, მცხეთა-მთიანეთი - 2, შიდა ქართლი -7, იმერეთი- 6, გურია-2, სამეგრელო - 13, რაჭა-ლეჩხუმი 1, აჭარა -1). თუმცა, ვინც ამჟამად ცხოვრობს თბილისში, იქიდან 35 (11%) ბოლო ათი წლის განმავლობაში გადავიდა რეგიონიდან დედაქალაქში საცხოვრებლად.

ქვემოთ მოცემულია ინფორმანტების განაწილება სხვადასხვა სოციო-დემოგრაფიული ცვლადის მიხედვით.

- **სქესი** - მდედრობითი 281 (79%); მამრობითი 74 (21%)

ინფორმანტთა **ასაკი** ვარირებდა 16-დან 74 წლამდე (M=29; SD=12.1). ხოლო ასაკობრივი კატეგორიების მიხედვით მონაწილეთა რაოდენობა შემდეგნაირად გადანაწილდა:

- 16-20 ასაკობრივი კატეგორია - 111 (31%);
- 21-35 ასაკობრივი კატეგორია -179 (50%)
- 36-55 ასაკობრივი კატეგორია - 44 (12%)
- 56-74 ასაკობრივი კატეგორია -21 (6%)

განათლების დონის მიხედვით ინფორმანტების გადანაწილება საკმაოდ მრავალფეროვანია:

- არასრული საშუალო განათლება -4 (1%);
- სრული საშუალო განათლება -27(8%);
- არასრული ბაკალავრიატი -96 (27%)
- ბაკალავრიატი - 56 (16%)
- არასრული მაგისტრატურა - 32 (9%)

- მაგისტრატურა (ხუთწლიანი დიპლომის ჩათვლით) – 88 (25%)
- არასრული დოქტორანტურა - 22 (6%)
- დოქტორანტურა (ან ასპირანტურა)- 29 (8%)
- პროფესიული განათლება -1 (0.003%)

ოჯახური მდგომარეობის თვალსაზრისითაც ინფორმანტთა მრავალფეროვანი სპექტრია წარმოდგენილი, თუმცა განაწილება ასიმეტრიულია, უმრავლესობა არასდროს ყოფილა ქორწინებაში.

- არასდროს ვყოფილვარ ქორწინებაში - 230 (65%)
- დაქორწინებული - 82 (23%)
- თანავცხოვრობ ქორწინების გარეშე - 21 (6%)
- განქორწინებული - 15 (4%)
- ქვრივი - 7 (2%)

ინფორმანტთა ფართო სპექტრია წარმოდგენილი **დასაქმების სტატუსის** მიხედვითაც:

- ვმუშაობ სრულ ან ნახევარ განაკვეთზე (სტუდენტის/პენსიონერის ჩათვლით)- 145 (41%)
- ვარ სტუდენტი და არ ვმუშაობ - 119 (34%)
- ვარ თვითდასაქმებული (სტუდენტის/პენსიონერის ჩათვლით) -30 (9%)
- ვარ უმუშევარი - 23 (7%)
- ვარ დიასახლისი და არ ვმუშაობ -7 (2%)
- ვარ პენსიონერი და არ ვმუშაობ -2 (1%)
- სხვა - 29(8%)

კითხვარში გამოვიყენეთ **ეკონომიკური მდგომარეობის** სუბიექტური საზომი. ინფორმანტებს საქართველოს ოჯახების ეკონომიკური მდგომარეობის ამსახველ ათსაფეხურიან კიბეზე საკუთარი პოზიცია უნდა განესაზღვრათ. ინფორმანტთა განაწილება ამ კიბეზე მოცემულია ცხრილში.

	1	2	3	4	5	6	7	8	9	10
სიხშირე	2	3	15	42	76	87	92	33	3	2
პროცენტი	0.6	0.8	4.2	11.8	21.4	24.5	25.9	9.3	0.8	0.6

კითხვარში ჩართული იყო ცვლადები რელიგიურობის შესახებაც, კერძოდ, ინფორმანტებს ყოველდღიურ ცხოვრებაში რელიგიის მნიშვნელობა უნდა შეეფასებინათ

(„ძალიან მნიშვნელოვანიდან“ „სრულიად უმნიშვნელომდე“) და ასევე, რელიგიური პრაქტიკების (რელიგიურ მსახურებაზე დასწრება, მარხვა, ლოცვა) სიხშირის შესახებ მოეწოდებინათ ინფორმაცია. ქვემოთ მოცემულია თითოეული ცვლადის შემთხვევაში ინფორმანტთა განაწილება.

რელიგიის მნიშვნელობა ყოველდღიურ ცხოვრებაში:

- ძალიან მნიშვნელოვანი-70 (19.7%)
- მნიშვნელოვანი- 43 (12.1%)
- არც მნიშვნელოვანი, არც უმნიშვნელო -138 (38.9%)
- უმნიშვნელო -69 (19.4%)
- სრულებით უმნიშვნელო - 35(9.9%)

რელიგიურ მსახურებებზე დასწრება:

- კვირაში ერთხელ ან უფრო ხშირად -118 (33.2 %)
- თვეში ერთხელ მაინც -123 (34.6%)
- მხოლოდ დღესასწაულებზე- 65 (18.3%)
- უფრო იშვიათად - 33 (9.3%)
- არასდროს -16 (4.5%)

მარხვის სიხშირე:

- ყოველთვის მარხულობთ -11 (3.1%)
- ხშირად მარხულობთ -222 (62.5%)
- ხანდახან მარხულობთ -67(18.8%)
- იშვიათად მარხულობთ -23 (6.4%)
- არასდროს არ მარხულობთ -11 (3.1%)
- ჩემი რელიგია არ მოითხოვს მარხვის დაცვას- 21 (5.9%)

ლოცვის სიხშირე:

- ყოველთვის ლოცულობთ -12 (3.4 %)
- ხშირად ლოცულობთ - 112 (31.5 %)
- ხანდახან ლოცულობთ- 103 (29.0 %)
- იშვიათად ლოცულობთ - 59 (16.6 %)
- არასდროს არ ლოცულობთ - 52 (14.6%)
- ჩემი რელიგია არ მოითხოვს ლოცვას- 17 (4.8 %)

რაც შეეხება **რელიგიურ კუთვნილებას,** ინფორმანტთა უმრავლესობა თავს მართლმადიდებლურ ეკლესიას მიაკუთვნებს:

- მართლმადიდებლური ეკლესია -248 (69.9%)
- ისლამი -2 (.6%)

- სხვა- 4 (1.1%)
- არცერთი -101 (28.5%).

5.5.5. მონაცემთა ანალიზის მეთოდები და მონაცემთა შედეგები

5.5.5.1. კულტურული კონსენსუსის ანალიზი

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კონსენსუსის ანალიზის შედეგად ვიღებთ სამი ტიპის ინფორმაციას:

1) არსებობს თუ არა გაზიარებული მოდელი, რომელსაც ეყრდნობიან ინფორმანტები კითხვებზე პასუხის გაცემისას.
2) კონსენსუსის ანალიზი აფასებს ინფორმანტების კულტურული კომპეტენციის დონეს.
3) კონსენსუსის ანალიზის შედეგად ვიღებთ „სწორი პასუხების ფურცელს“, რომელიც ასახავს კულტურულად ნორმატიულ პასუხებს თითოეულ შეკითხვაზე.

ქვემოთ თითოეული მათგანს უფრო სიღრმისეულად განვიხილავთ.

გაზიარებულობის დადგენის მექანიზმის გასაგებად კულტურული კონსენსუსის ანალიზი სოციალურ მეცნიერებებში პოპულარულ ფაქტორულ ანალიზს უნდა შევადაროთ. როგორც ვიცით, ფაქტორული ანალიზი გვეხმარება იმ ლატენტური ფაქტორების იდენტიფიცირებაში, რომელიც ცვლადის ცვლადთან (variable-by-variable) კორელაციებს გვიხსნის. კულტურული კონსენსუსის შემთხვევაში კი, ცვლადის ცვლადთან კორელაციის მატრიცის ნაცვლად ინფორმანტის ინფორმანტთან (informant-by-informant) კორელაციის მატრიცა იქმნება. შემდეგ კი ხდება იმ ლატენტური ფაქტორის იდენტიფიცირება, რომელიც ინფორმანტის ინფორმანტთან კორელაციაზე/თანხმობაზეა პასუხისმგებელი. ასეთ ლატენტურ ფაქტორად კი კულტურა მიიჩნევა.

სხვა სიტყვებით, კულტურული კონსენსუსის ანალიზის შემთხვევაში ფაქტორული ანალიზის სცენარი შემოტრიალებულია. როცა სპეციალური პროგრამის გარეშე ითვლი კონსენსუსის ანალიზს, ფაქტორული ანალიზისთვის გამზადებულ მონაცემთა მატრიცას უბრალოდ 90 გრადუსით ატრიალებ. ინფორმანტები თავსდება მატრიცის სვეტებში,

ხოლო ცვლადები მატრიცის მწკრივებში. შემდეგ კი ითვლი კორელაციებს ინფორმანტთა წყვილებს შორის მატრიცაში. კორელაცია გვიჩვენებს რამდენად ეთანხმება ინფორმანტთა თითოეული წყვილი შეკითხვაზე გაცემული პასუხების მიხედვით. საბოლოოდ კი, ფაქტორული ანალიზის მსგავსად, ვიღებთ ფაქტორებს შესაბამისი კუთრი წონებით (Eigenvalue). კუთრი წონა აჩვენებს ინფორმანტთა პასუხების ვარიაციის რა მაჩვენებელი იხსნება კონკრეტული ფაქტორით. იმისათვის, რომ პირველი ფაქტორი კულტურად (გაზიარებულ ცოდნის სისტემად) ჩაითვალოს მისი კუთრი წონა საგრძნობლად უნდა აღემატებოდეს დანარჩენი ფაქტორების კუთრ წონებს. სხვა სიტყვებით, უნდა განისაზღვროს პირველი ფაქტორი მეორე ფაქტორთან მიმართებაში რამდენად კარგად ხსნის ინფორმანტებს შორის თანხმობის ხარისხს. ამ მიზნით ითვლება პირველ და მეორე ფაქტორის კუთრ წონებს შორის ფარდობა. თუ მიღებული მაჩვენებელი დიდია, შეიძლება ითქვას, რომ გამოვლენილი მოდელი კულტურულია.

რა თქმა უნდა, ჩნდება კითხვა: რამდენად დიდი უნდა იყოს პირველი და მეორე ფაქტორის ფარდობის მაჩვენებელი? რომნი, ველერი და ბეტჩელდერი (1986) თავიანთ ფუძემდებლურ ნაშრომში **3:1 ფარდობას** გვთავაზობენ. აღნიშნული მაჩვენებელი იქცა ტექნიკურ სტანდარტად. თუმცა ველერი (2007) გვაფრთხილებს, რომ 3:1 წესი პრაქტიკიდან გამომდინარე უხეშ შეფასებაზე დაფუძნებული წესია და შესაბამისად, ყოველთვის სიფრთხილე უნდა გამოვიჩინოთ მისი ინტერპრეტაციისას (Weller, 2007).

კულტურული კონსენსუსის მონაცემთა დამუშავების კომპიუტერული პროგრამები და პაკეტები (Packages)

1980-იან წლებში ბორგატის მიერ შეიქმნა სპეციალური პროგრამა, Anthropac, რომელიც კონსენსუსის ანალიზის განხორციელების საშუალებას გვაძლევს. აღნიშნული პროგრამა ერთ-ერთი ყველაზე ხშირად გამოყენებული პროგრამაა დღესაც კი (მათ შორის, კონსონანსის ცნების ავტორის, დრესლერის მიერ). თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ 1980-იან წლებში ის შეიქმნა, როგორც დისკური ოპერაციული სისტემის პროგრამა (DOS -

Disk Operating System) და არ არის განახლებული ახალი პლატფორმებისთვის[113] (Dressler, 2018). გარდა ამისა, საჭიროებს მონაცემთა მოწესრიგებას შესაბამისი ფორმით, რაც დიდი რაოდენობის მონაცემის შემთხვევაში დიდ დროით დანახარჯთანაა დაკავშირებული. სწორედ აღნიშნული პრობლემების გათვალისწინებით ჯეიმსონ-ლეინის და პურზიკის (2016) მიერ შეიქმნა დღეს მონაცემთა ანალიზისთვის ფართოდ გამოყენებული R პროგრამის ერთ-ერთი პაკეტი - AnthroTools. ის კულტურული კონსენსუსის კლასიკურ მოდელს[114] ეფუძნება. თუმცა, ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ აღნიშნული პაკეტი *სახელდების ცვლადების* (როგორც დიქოტომიური/ბინარული, ისე რამდენიმეარჩევნიანი ფორმატის პასუხები) დასამუშავებლად გამოიყენება.

ჩვენს კვლევაში კი გამოყენებული იყო ლიკერტის ოთხბალიანი სისტემა, რაც რიგის (Ordered Categorical) ცვლადს წარმოადგენს. თუმცა, როგორც ვიცით, შესაძლებელია რიგის ცვლადის ტრანსფორმაცია სახელდების, კერძოდ დიქოტომიურ/ბინარულ ცვლადად. ამის შესაძლებლობას კი კითხვარში გამოყენებული ორ ეტაპიანი ინსტრუქცია გვაძლევს, რომლის თანახმადაც, ინფორმანტებს ჯერ დიქოტომიური გადაწყვეტილება უნდა მიეღოთ (ფიქრობენ თუ არ ფიქრობენ ასე ქართველები) და შემდეგ შეეფასებინათ სკალაზე. აღნიშნული კვლევითი ტექნიკა დრესლერის მიგნებას წარმოადგენს. ის უზრუნველყოფს ერთი კვლევის ფარგლებში როგორც დიქოტომიური, ისე ლიკერტის სკალის ტიპის მონაცემების გამოყენებას კონსენსუსის ანალიზისთვის[115].

ცვლადის ტიპთან დაკავშირებით დრესლერი შემდეგ მნიშვნელოვან ასპექტზე ამახვილებს ყურადღებას: "*ამერიკელები მცირე ასაკიდანვე მიჩვეულები ვართ ვიაზროვნოთ სკალის ტერმინებში, მაგრამ ეს ნამდვილად არაა ასე სხვა კულტურის*

---

[113] თუმცა, დრესლერი (2017) აღნიშნავს, რომ ახალი პლატფორმებზეც შესაძლებელია ამ პროგრამის გამოყენება DOS *ემულატორი* პროგრამის დახმარებით.

[114] როგორც არაერთხელ აღინიშნა, 1986 წელს რომნი, ველერი და ბეტჩელდერის მიერ გამოქვეყნებული სტატიით საფუძველი ჩაეყარა კულტურული კონსენსუსის მოდელს, რომელიც დღეს კლასიკური მოდელის სახელით მოიხსენიება. მას შემდეგ მრავალი განახლებული მოდელი შეიქმნა, მათ შორის ცვლადების სხვადასხვა ტიპზე (სახელდების , რიგის, შეფარდების/უწყვეტი) მორგებული და ასევე, მნიშვნელოვანი ინოვაცია იყო იერარქიული ბაესიანური მოდელირების შემოტანა. შესაბამისად, დღეს სახელწოდებით - კულტურული კონსენსუსი - მოდელების მთელი ოჯახი აღინიშნება. უფრო ვრცლად ამ მოდელების შესახებ იხილეთ (Oravecz, Vandekerckhove, Batchelder, 2014; Anders, Alario, & Batchelder, 2018).

[115] დიქოტომიური მონაცემების შემთხვევაში გამოყენებული კონსენსუსის ანალიზი ფორმალური მოდელის სახელწოდებითაა ცნობილი, ხოლო არადიქოტომიურის შემთხვევაში -არაფორმალურის (Dressler, 2018)

წარმომადგენლების შემთხვევაში. ოთხბალიანი სკალა კი გვაძლევს საშუალებას გამოვიყენოთ დიქოტომიური პასუხების ფორმატიც, რომელიც ინფორმანტებს ბინარული გადაწყვეტილების მიღების სიტუაციაში აყენებს. ეს უკანასკნელი გაცილებით ბუნებრივი უნდა იყოს მათთვის, ვიდრე ოთხბალიან სკალაზე შეფასება" (p. 129).

დრესლერის კვალდაკვალ ჩვენც ცვლადების რეკოდირების ფუნქცია გამოვიყენეთ და რიგის ცვლადი გარდავქმენით დიქოტომიურ ცვლადად, შესაბამისად, ამ ტიპის ცვლადის გასაანალიზებლად გამოვიყენთ ჯეიმსონ-ლეინის და პურზიკის (2016) მიერ შექმნილი R პროგრამის პაკეტი, AnthroTools. ხოლო რიგის ცვლადის მონაცემების შემთხვევაში ანდერსის და მისი კოლეგების (2012, 2013, 2014, 2017) მიერ შექმნილი R პროგრამის ახალი პაკეტი - CCTpack, რომელიც ეტაპობრივად ვითარდებოდა და AnthroTools-სგან განსხვავებით დღეს უკვე სამივე ტიპის (სახელდების, რიგის, შეფარდების) ცვლადის ანალიზის საშუალებას იძლევა. თუმცა, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ეს პაკეტი კონსენსუსის ანალიზის კლასიკურ ვერსიას კი არ ეყრდნობა, არამედ იერარქიულ ბაესიანურ მოდელირებას მიმართავს.

5.5.5.2. კონსენსუსის ანალიზის შედეგები და შედეგების განხილვა

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გამომდინარე იქიდან, რომ თვისებრივი მონაცემების ანალიზის ეტაპზე არასწორად მივიჩნიეთ დებულებების გასაფილტრად რაიმე რაოდენობრივი კრიტერიუმის შემუშავება (სხვა სიტყვებით, თვისებრივი მონაცემების გარაოდენობრივება), კითხვარი მაქსიმალური რაოდენობის დებულებით (56 დებულება) დავაკომპლექტეთ. შემდეგ კი კონსენსუსის ანალიზის ჩატარებამდე რაოდენობრივი მონაცემების საფუძველზე ჩავატარეთ წინასწარი/პირველადი (preliminary analysis) ანალიზი[116].

[116] კულტურული კონსენსუსის ანალიზამდე მსგავსი პირველადი/წინასწარი ანალიზის (preliminary analysis) იდეა ოჯახური ცხოვრების კულტურული მოდელის შესახებ დრესლერის კვლევის კვალდაკვალ გაგვიჩნდა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ცხოვრების სტილის მოდელისგან განსხვავებით ამ მოდელის კვლევისას უფრო რთული იყო კონსენსუსის და კონსონანსის დონეების ერთმანეთისგან გამიჯვნა. დრესლერს ამისათვის ლიკერტის სკალის კონსტრუირება დასჭირდა. ამ პროცესში კი შემდეგ გამოწვევას წააწყდა: კონსენსუსის ანალიზმა კონსენსუსის მეტისმეტად მაღალი დონე გამოავლინა (პირველ და მეორე ფაქტორს შორის შეფარდება 38:1), რაც, როგორც დრესლერი სავსებით სამართლიანად აღნიშნავს, ბუნებრივი იყო. აშკარაა, რომ ყველას ურჩევნია ოჯახში სიყვარული სუფევდეს და არა ფიზიკური შეურაცხყოფა (Dressler, 2018, p.130). ამის გამო საჭირო გახდა პირველადი/წინასწარი ანალიზის ჩატარება:

პირველადი ანალიზის ეტაპზე აღწერითი სტატისტიკის დონეზე, კერძოდ, სიხშირული ანალიზითაც ნათელი გახდა რამდენიმე დებულების შემთხვევაში ინფორმანტებს შორის მკაფიო აზრთასხვადასხვაობა. მათი აზრი ორად გაიყო, რაც ცხადია ამ დებულებების ირგვლივ კონსენსუსის დაბალ დონეზე მიუთითებს. დანარჩენი დებულებების შემთხვევაში კი, პირიქით, თვალსაჩინოა პასუხების სკალის დადებით („ქართველები ასე ფიქრობენ“) ან უარყოფით („ქართველები ასე არ ფიქრობენ“) პოლუსისკენ მკვეთრი გადახრა. სხვა სიტყვებით, ინფორმანტების მაღალი თანხმობა. შესაბამისად, კულტურული კონსენსუსის ანალიზისთვის სწორედ აღნიშნული დებულებები შეირჩა. სულ 37 დებულება (დებულებები იხილეთ დანართში №4).

რაც შეეხება უშუალოდ კულტურული კონსენსუსის ანალიზს, როგორც ზემოთ აღინიშნა, ის ორ ეტაპად განხორციელდა. პირველ ეტაპზე ლიკერტის ოთხბალიანი სკალა ტრანსფორმირდა დიქოტომიურ/ბინარულ პასუხებად და AnthroTools გამოყენებით აიგო კულტურული კონსენსუსის სტატისტიკური მოდელი. მიღებული შედეგები შემდეგნაირია:

- ძირითადი/პირველი ფაქტორის კუთრი წონა (eigenvalue) 14.97 უდრის, ხოლო მეორე ფაქტორის - 3.8-ს. მათი ფარდობა 3.93-ია. ამგვარად, მიღებული შედეგები აკმაყოფილებს **3:1 ფარდობის** წესს, რაც ადასტურებს მოდელის გაზიარებულობას, ანუ მას შეიძლება ვუწოდოთ კულტურული მოდელი.

სხვა სიტყვებით, ბინარული პასუხების შემთხვევაში თვისებრივი კვლევით გამოვლენილი მოდელი კულტურული კონსენსუსის ანალიზის შედეგებით *ვერიფიცირდა.*

რაც შეეხება, ოთხბალიანი ლიკერტის სკალის ანუ რიგის ტიპის მონაცემებს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მის დასამუშავებლად გამოვიყენეთ პაკეტი CCTpack, რომელიც საშუალებას გვაძლევს დავამუშავოთ ყველა ტიპის მონაცემი და მათ შორის, ცხადია, რიგის ტიპის მონაცემებიც. უბრალოდ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ის კლასიკურ

ყველაზე ნეგატიური დებულებების გაცხრილვა და ლიკერტის სკალაში მხოლოდ რამდენიმე უარყოფითი დებულების დატოვება.

კულტურული კონსენსუსის თეორიას კი არ ეყრდნობა, არამედ იერარქიულ ბაესიანურ მოდელირებას მიმართავს. მიღებული შედეგები შემდეგნაირია:

- რიგის მონაცემების შემთხვევაში იერარქიული ბაესიანური მოდელირებით კულტურული კონსენსუსის მოდელის მორგების გრაფიკული შემოწმებისას (Model Fit Diagnostic) მოდელის მორგება არ დადასტურდა (იხილეთ დანართი №6).

სხვა სიტყვებით, ოთხბალიანი ლიკერტის სკალის ანუ რიგის მონაცემების შემთხვევაში გაზიარებულობის/თანხმობის კულტურა დონის ხარისხი არ გამოვლინდა. ვფიქრობთ, მიღებული შედეგი მნიშვნელოვნადაა დაკავშირებული ჩვენი საკვლევი სფეროს სპეციფიკასთან. ვგულისხმობთ ცოდნა/რწმენის კონტინუუმზე რწმენის პოლუსთან სიახლოვეს. ამგვარად, შედეგების თანახმად, ამ სპეციფიკის მასალის და ამავდროულად, რიგის ტიპის მონაცემების პირობებში ინტრაკულტურული ვარიაციის არსებობაზე შეგვიძლია ვისაუბროთ.

მიღებული ემპირიული შედეგი ამყარებს თეორიულ ნაწილში განხილულ დაშვებას იმის შესახებ, რომ კულტურა თავის თავში ორივე ტენდენციას აერთიანებს: ჰომოგენიზაციის, ანუ გაზიარებულობის ხარისხის ზრდის და ჰეტეროგენიზაციის, ანუ ინტრაკულტურული ვარიაციის ზრდის (Quinn & Strauss, 1997, Dressler, 2018, 2019). აღნიშნული ტენდეციების ურთიერთშემავსებლობა ადაპტაციას ემსახურება. მზა, გაზიარებული მოდელები მნიშვნელოვნად ამცირებს ადაპტაციისთვის დახარჯულ ძალისხმევას, მაგრამ ამავდროულად სწორედ მზა, გაზიარებული მოდელები, თუ ისინი სოციალურ ცვლილებების კვალდაკვალ არ მოდიფიცირდება, ადაპტაციისთვე შეიძლება იყოს საფრთხის შემცველი (Dressler, 2019; ნადარეიშვილი 2013, 2020). შესაბამისად, კულტურაში მნიშვნელოვანია, როგორც ჰომოგენიზაციის, ისე ჰეტეროგენიზაციის პროცესების არსებობა.

ჰომოგენიზაციის ტენდენციის სრულიად გამორიცხვის შეუძლებლობის შესახებ თეორიულ პოზიციას ამყარებს ჩვენი კვლევის მეორე შედეგი, რომელიც ბინარული მონაცემების პირობებში გაზიარებული კულტურული მოდელის არსებობას

ადასტურებს. სიველის (2005) მოსაზრებების კვალდაკვალ, როგორც თეორიულ ნაწილში აღვნიშნეთ, კულტურის მკვლევრებისთვის მნიშვნელოვანია კულტურის ჰომოგენიზაციის ტენდენციის მოხელთება იმ დონეზე რა დონეზეც არსებობს ის. შესაბამისად, ბინარული ფორმატის მონაცემებზე აგებულ სტატისტიკური მოდელის შედეგებს გამოვიყენებთ კვლევის შემდგომი ეტაპების განსახორციელებლად. კერძოდ, 1) კულტურული კომპეტენციის მაჩვენებლების გამოსათვლელად, 2) კულტურულად სწორი „პასუხების ფურცლის“ გენერირებისთვის და რაც მთავარია, 3) „პასუხების ფურცელზე“ დაყრდნობით კულტურული კონსონანსის შედეგების გამოსათვლელად.

კულტურული კომპეტენციის მაჩვენებლები და კულტურულად სწორი „პასუხების ფურცელი“ („Answer Key“)

მას შემდეგ რაც კულტურული მოდელი ვერიფიცირდა, შესაძლებლობა გვაქვს შევამოწმოთ ინფორმანტების კულტურული კომპეტენციის დონე. აღნიშნული მაჩვენებელი ვარირებს 0-დან 1-მდე და წარმოადგენს კონკრეტული ინფორმანტის მიერ კულტურული მოდელის შემადგენელ დებულებაზე პასუხის სწორად გაცემის ალბათობას.

ჩვენი კვლევის შედეგების თანახმად, ფატალიზმის შესახებ კულტურული მოდელის შემთხვევაში კულტურული კომპეტენციის მინიმალური მაჩვენებელი 0-ის ტოლია (Min =0), ხოლო მაქსიმალური .99-ს (Max=.99). რაც შეეხება საშუალოს და სტანდარტულ გადახრას: M=.75, ხოლო SD=.23. აღნიშნული შედეგი დამატებით გვიდასტურებს მონაცემებთან სტატისტიკური მოდელის ადეკვატურ მორგებას (სხვა სიტყვებით, გვიჩვენებს, რომ ინფორმანტები ეყრდნობიან ერთ გაზიარებულ კულტურულ მოდელს). მორგების დამადასტურებელია არა მხოლოდ 3:1 ფარდობა, არამედ კულტურული კომპეტენციის საშუალო ქულის 0.5-თან სიახლოვე და საუკეთესო შემთხვევაში, მეტობა (Dengah, 2017). როგორც ვხედავთ, ჩვენი კვლევის შედეგების თანახმად კულტურული კომპეტენციის საშუალო მაჩვენებელი (M=.75) მნიშვნელოვნად აღემატება 0.5-იან ნიშნულს.

საბოლოოდ კი, ინფორმანტების კულტურული კომპეტენციის ქულების გათვალისწინებით დებულებებზე პასუხები შეიწონა და მივიღეთ კულტურულად ყველაზე შეთანხმებული პასუხების წყება, რომელიც „პასუხების ფურცლის“ (Answer Key“) სახელწოდებითაა ცნობილი (Dengah, 2017).

„პასუხების ფურცლის“ არსის უკეთ გასაგებად ბოგარტი (1977) გვთავაზობს შემდეგ წარმოსახულ სიტუაციას: წარმოვიდგინოთ, რომ დავკარგეთ „პასუხების ფურცელი“, რომლითაც სტუდენტების საგამოცდო ტესტი უნდა შეგვემოწმებინა (ცხადია, ეს ის შემთხვევაა, როცა ისეთ სფეროში გვიწევს შემოწმება, რომელშიც ცოდნა არ გვაქვს და „პასუხების ფურცლის“ გარეშე ვერაფერს გავხდებით თ.ჩ). ამ შემთხვევაში სტუდენტთა პასუხების კონსენსუს-ანალიზით, ანუ სტუდენტი-სტუდენტთან კორელაციური პატერნების ფაქტორული ანალიზის შედეგად გავიგებდით თითოეული სტუდენტის ცოდნის დონეს. ასევე, განვსაზღვრავდით თითოეულ კითხვაზე სწორ პასუხს. როგორ? გვეცოდინებოდა ვინ გასცა (მცოდნემ თუ არამცოდნემ) პასუხის აღნიშნული ვარიანტი[117]. როგორც თეორიულ ნაწილში აღვნიშნეთ, ეს ძალიან მნიშვნელოვანია ანთროპოლოგებისთვის, რომლებსაც უცხო კულტურაში ინტერვიუს ჩატარებისას წარმოდგენა არ აქვთ რომელია სწორი პასუხი შეკითხვაზე (Borgatti, 1997).

5.5.5.3. კულტურული კონსონანსის მაჩვენებლები

კულტურული კონსენსუსის გამოვლენის შემდეგ კულტურული კონსონანსის მაჩვენებლები დავთვალეთ. საწყის ეტაპზე კულტურული კონსენსუსის მოდელის შემადგენელი 37 დებულებიდან „პასუხების ფურცლის“ გამოყენებით რევერსული დებულებები იდენტიფიცირდა. ანუ, დებულებები, რომელზეც ინფორმანტებმა უპასუხეს, რომ „ქართველები ასე **არ ფიქრობენ**“. ასეთი ორი დებულებაა. ესენია: “ყველაფერზე, რაც ადამიანის ცხოვრებაში ხდება, პასუხისმგებელი თავად ადამიანია“ და „ღმერთი უძლურია ჩაერიოს ადამიანის ბედისწერაში“. რევერსული დებულებების

[117] მაგალითად, თუ 20 სტუდენტი, რომელმაც შეკითხვების 90%-ს სწორად უპასუხა, მე-7 კითხვაზე „ბ“ ვარიანტს პასუხობს, ალბათობა იმისა, რომ „ბ“ ვარიანტი მცდარი აღმოჩნდება, ძალიან დაბალია (არ აქვს მნიშვნელობა სტუდენტთა უმრავლესობამ რომელი პასუხის ვარიანტი შემოხაზა ამ შეკითხვაზე).

კოდირების სისტემა შებრუნდა და დანარჩენ, არარევერსულ დებულებების მაჩვენებლებთან დაჯამდა.

დამატებით, თვისებრივი კვლევის შედეგად გამოვლენილი კოგნიტური სქემის კომპონენტების მიხედვით (პიროვნული კონტროლი, ღვთაებრივი კონტროლი, წინასწარგანსაზღვრულობა, იღბალი, უმწეობა) ჯამური მაჩვენებლები გამოვითვალეთ. ანუ, კოგნიტური სქემის კომპონენტები რაოდენობრივი კვლევის ეტაპზე ფატალიზმის შესახებ კონსონანსის სკალის სუბსკალებად ფორმირდა. რა თქმა უნდა, პირველ რიგში, უნდა შემოწმდეს სკალის და სუბსკალების ფსიქომეტრული მახასიათებლები. ქვემოთ რამდენიმე მათგანს წარმოგიდგენთ.

შინაგანი შეთანხმებულობის სანდოობა

ფატალიზმის შესახებ კონსონანსის მთლიანი სკალის და სუბსკალების სანდოობის შესამოწმებლად გამოვიყენეთ კრონბახის ალფა, რომელიც დებულებების შინაგან შეთანხმებულობას ზომავს. მთლიანი სკალის შემთხვევაში მაღალი შინაგანი შეთანხმებულობის ხარისხი გამოვლინდა $\alpha=0.87$.

რაც შეეხება სუბსკალებს, პირველ რიგში, საგანგებო ყურადღება გვინდა დავუთმოთ "პიროვნული კონტროლის" კომპონენტს. აღნიშნული კომპონენტის შემადგენელი დებულებების შემთხვევაში ინფორმანტთა პასუხების (შეფასება თუ „როგორ ფიქრობენ ქართველები") სიხშირულმა ანალიზმა ყველაზე დიდი აზრთასხვადასხვაობა აჩვენა, რამაც კულტურული კონსენსუსის ანალიზამდე ამ კომპონენტის ამსახველ დებულებათა უმრავლესობის გაცხრილვა გამოიწვია. დარჩა მხოლოდ ოთხი დებულება, რომელთაგან ერთი პიროვნული კონტროლის ნაკლებობაზე მიუთითებდა (რევერსული დებულება - „ყველაფერზე, რაც ადამიანის ცხოვრებაში ხდება, პასუხისმგებელი თავად ადამიანია"), მეორე ირიბი კონტროლის გამომხატველი დებულება იყო („წარმატების მისაღწევად ადამიანს ალღო უნდა ჰქონდეს"), ხოლო დანარჩენი ორი დებულება „გაზიარებული აგენტობის" გაგებას ასახავდა („წარმატების მისაღწევად მხარში უნდა გედგეს ვინმე"; „ადამიანები თუ ერთად აკეთებენ რამეს, აუცილებლად გამოუვათ - ერთობას დიდი ძალა აქვს"). როგორც ვხედავთ დებულებების სიმცირესთან ერთად სახეზეა მნიშვნელობების

ისეთი ფართო სპექტრი, რომ მათი ერთ სუბსკალად წარმოდგენა არარელევანტურია. შესაბამისად, ვფიქრობთ, რომ საჭიროა პიროვნული კონტროლს შესახებ დამოუკიდებლად ჩატარდეს კვლევა კულტურული მოდელების მეთოდოლოგიის გამოყენებით. აღნიშნული კონსტრუქტის კვლევის განსაკუთრებულ აქტუალურობაზე მიუთითებს არაკონსენსურობის ის დონე, რაც წინამდებარე კვლევამ გამოავლინა. ამის შესახებ უფრო ვრცლად სამომავლო კვლევების ქვეთავში ვისაუბრებთ.

რაც შეეხება ფატალიზმის სკალის დანარჩენ სუბსკალებს, შინაგანი შეთანხმებულობის საკმაოდ კარგი მაჩვენებლები გამოვლინდა: იღბალი (10 დებულება) α= 0.78; წინასწარგანსაზღვრულობა (6 დებულება) α= 0.82; ღვთაებრივი კონტროლი (14 დებულება) α= 0.86 და უმწეობა (6 დებულება) α= 0.58. შედარებით დაბალი შინაგანი შეთანხმებულობის მაჩვენებელი აქვს უმწეობის სუბსკალას, რაც ასევე სუბსკალის მრავალგანზომილებიანობით იხსნება (როგორც არაერთხელ აღინიშნა, ის ორი ტიპის გაგებას მოიცავს: სოციო-ეკონომიკური მდგომარეობის უცვლელობით და ცხოვრების მიკროდონეების ჭარბი რეგულაციით განპირობებული უმწეობა). ასევე, დებულებების სიმცირით (სულ 6 დებულება). როგორც ცნობილია, კრონბახის ალფის მაჩვენებელი სკალის შემადგენელი დებულებების რაოდენობაზეა დამოკიდებული და 10-ზე ნაკლები დებულების შემთხვევაში საკმაოდ დაბალი შეიძლება იყოს (Cortina, 1993).

კონვერგენტული ვალიდობა

შემოწმდა ფატალიზმის შესახებ კონსონანსის სკალის კონსტრუქტული ვალიდობა. კერძოდ, მისი ერთ-ერთი სახე, კონვერგენტული ვალიდობა, რომელიც ერთი და იგივე ან მსგავსი კონსტრუქტის გასაზომად შექმნილი ორი განსხვავებული ინსტრუმენტით მიღებულ შედეგებს შორის კორელაციის დათვლას გულისხმობს (Campbell & Fiske 1959). ჩვენ ამ მიზნით თეორიულ ნაწილში განხილული კონტროლის ლოკუსის კონსტრუქტი შევარჩიეთ. მის გასაზომად კონტროლის ლოკუსის როტერის (1966) სკალის ქართული ვერსია[118] (სუმბაძე, ქიტიაშვილი, ფირცხალავა & მაისურაძე, 2012) გამოვიყენეთ.

---

[118] შინაგანი შეთანხმებულობის მაჩვენებელი α=.65 (N=811). საქართველოში სქესის მიხედვით სკალის საშუალო მაჩვენებლები შემდეგნაირია: ქალებისათვის - M=13.2, SD=3.5, N=519, მამაკაცებისათვის კი - M=11.5, SD=3.9, N=286 (სუმბაძე, ქიტიაშვილი, ფირცხალავა & მაისურაძე, 2012)

ფატალიზმის შესახებ კონსონანსის და კონტროლის ლოკუსის სკალით მიღებულ მაჩვენებლებს შორის საშუალო სიძლიერის დადებითი კორელაცია (r = .36, p <.01) გამოვლინდა, რაც კონვერგენტული ვალიდობის ადეკვატურ მაჩვენებლად ითვლება. ადეკვატური მაჩვენებელია .31-დან .60-მდე დიაპაზონში მაჩვენებლები, გამომდინარე იქიდან, რომ განსხვავებულ საზომებს შორის მაღალი სიძლიერის კორელაცია მოსალოდნელი არ არის (Post, 2016).

აღსანიშნავია, რომ წინამდებარე ნაშრომის ფარგლებში ფატალიზმის შესახებ ემიკურად კონსტრუირებული კონსონანსის სკალას შინაგანი შეთანხმებულობის უკეთესი მაჩვენებლები (α=.87; N=355) აქვს, ვიდრე კონტროლის ლოკუსის სკალის ქართულ ვერსიას (α=.65; N=811).

ემიკური ვალიდობა

წინამდებარე ნაშრომის ფარგლებში შექმნილი ფატალიზმის შესახებ კონსონანსის სკალა ფატალისტური რწმენების შესასწავლ ემიკურ ინსტრუმენტს წარმოადგენს. მისი შემადგენელი დებულებები კონკრეტული ავტორის მიერ კი არაა შექმნილი, როგორც ამას ვხვდებით სკალის კონსტრუირების გავრცელებულ პრაქტიკაში (მაგ. ლიკერტის, ტურსტონის სკალის კონსტრუირება), არამედ თვისებრივი კვლევის ეტაპზე სპეციალური ტექნიკებით (მეტაფორების და პროპოზიციების ანალიზი) გამოვლენილ ამა თუ იმ კულტურაში გავრცელებულ ეჭვშეუტანელ დაშვებებს ეფუძნება. მეტიც, დებულებების შერჩევისთვისაც ექსპერტული შეფასება კი არ გამოიყენება (როგორც ეს ხდება, მაგალითად ტურსტონის სკალის კონსტრუირებისას), არამედ კონკრეტული კულტურის მკვიდრი მოსახლეობისგან მიღებული პასუხები, რომელთა შორის გაზიარებულობის ხარისხი შესაბამისი სტატისტიკური ანალიზით დგინდება (ინფორმანტი ინფორმანტთან თანხმობის მატრიცა).

აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ კულტურული კონსონანსის სკალებს მაღალი „ემიკური ვალიდობა“ აქვთ (Dressler & Oths 2014) და ამით განსხვავდება ის სოციალურ მეცნიერებებში პოპულარული სტანდარტიზებული ეტიკური სკალებისგან.

5.5.5.4. კულტურული კომპეტენციისა და კულტურული კონსონანსის მაჩვენებლების განაწილების მახასიათებლები

კულტურული კონსონანსის მაჩვენებლების გამოთვლის შემდეგ მისი კულტურული კომპეტენციის მაჩვენებლებთან შეპირისპირების საშუალება მოგვეცა. პირველ რიგში, მათი განაწილების ფორმები შევადარეთ ერთმანეთს.

კულტურული ცოდნის სპეციფიკა მისი გავრცელებულობაა მოსახლეობაში, სხვა სიტყვებით, ინფორმანტთა უმრავლესობა კულტურულად კომპეტენტურია. შესაბამისად, მოსალოდნელია, რომ კულტურული კომპეტენციის მაჩვენებლების განაწილება მარცხნივ გადახრილი იქნება. ხოლო კულტურული კონსონანსი, რომელიც კულტურული კომპეტენციისგან იმით განსხვავდება, რომ მხოლოდ კულტურულ ცოდნას კი არ გულისხმობს, არამედ ამ ცოდნის ინტერნალიზებულობასაც, ანუ რამდენადაა თანხვედრაში კულტურა და ინდივიდის დონე. შესაბამისად, ამ მაჩვენებლების განაწილების ფორმა კულტურული კომპეტენციის მაჩვენებლების განაწილების ფორმის ანალოგიური ვერ იქნება და სავარაუდოა, რომ მისი ფორმა ნორმალურ განაწილებას მიუახლოვდება (Dressler, 2018). სხვა სიტყვებით, ინტერნალიზაციის საშუალო ხარისხი ინდივიდების უმრავლესობაში გამოვლინდება, ხოლო როგორც დაბალი, ისე მაღალი ხარისხი უმცირესობაში.

აღნიშნული თეორიული დაშვებები ემპირიულად ვერიფიცირდა. როგორც ჰისტოგრამაზე ვხედავთ, კულტურული კომპეტენციის მაჩვენებლების განაწილება მარცხნივ გადახრილია, რასაც ადასტურებს დახრილობის (skewness=-1.639) უარყოფითი მაჩვენებელი. ნორმალური განაწილებიდან სტატისტიკურად სანდო გადახრას ადასტურებს კოლმოგოროვ-სმირნოვის (KS(355)=.168, p=.0001) და შაპიროს (SW(355)=.816 p=.0001) ტესტებიც.

სურათი № 8: კულტურული კომპეტენციის მაჩვენებლების ჰისტოგრამა



რაც შეეხება კულტურული კონსონანსის მაჩვენებლების განაწილებას, როგორც დიაგრამიდან ჩანს, ის ნორმალურ განაწილებას უახლოვდება. კოლმოგოროვ-სმირნოვის ტესტით (KS (355)=.063, p<.01) განაწილების ნორმალურობა არ დასტურდება, თუმცა დასტურდება შაპიროს ტესტით (SW (355)= .992 p>.05), რომელიც ნორმალურობის შემოწმების ტესტებს შორის ერთ-ერთ ყველაზე სენზიტიურ/ძლიერ (Statistical Power) ტესტად ითვლება (Yap & Sim, 2011; Razali & Wah, 2011; Ogunleye, Oyejola, & Obisesan, 2018).

სურათი № 9: კულტურული კონსონანსის მაჩვენებლების ჰისტოგრამა



კულტურული კომპეტენციისა და კულტურული კონსონანსის აღწერითი სტატისტიკები (საშუალო, სტანდარტული გადახრა, მინიმალური და მაქსიმალური მაჩვენებლები, დახრილობის (Skewness) და განაწილების კუდის სისქის საზომი (Kurtosis)) წარმოდგენილია ცხრილში № 8

ცხრილი № 8: კულტურული კომპეტენცია და კულტურული კონსონანსი -აღწერითი სტატისტიკა

	M	SD	Min	Max	Skewness	Kurtosis
კულტურული კომპეტენცია	.75	.23	0	.99	-1.639	2.435
კულტურული კონსონანსი	75.82	13.45	43	112	-.068	-.538

კულტურული კომპეტენციის და კულტურული კონსონანსის მაჩვენებლების განაწილების განსხვავებულ ფორმას თეორიული ღირებულების გარდა (ადასტურებს კულტურული კომპეტენციებისა და კულტურული კონსენსუსის განსხვავებული თეორიული კონსტრუქტების შესახებ დაშვებებს), პრაქტიკული დატვირთვაც აქვს. როგორც დრესლერი (2018) აღნიშნავს, კულტურული კონსონანსის მაჩვენებლების ნორმალურთან მიახლოებული განაწილების ფორმა საშუალებას გვაძლევს აღნიშნული მონაცემების დასამუშავებლად ისეთი სტატისტიკური ანალიზებიც გამოვიყენოთ, რომელიც მხოლოდ მონაცემთა ნორმალური განაწილების შემთხვევაში გამოიყენება. საუბარი გვაქვს პარამეტრულ დასკვნით სტატისტიკებზე. შემდგომ ქვეთავებში სწორედ ასეთ სტატისტიკურ ანალიზებს წარმოგიდგენთ.

5.5.5.5. ჯგუფთა შორისი განსხვავებები: კულტურული კომპეტენცია და კულტურული კონსონანსის მაჩვენებლები

როგორც კულტურული კომპეტენციის, ისე კულტურული კონსონანსის მაჩვენებლების შემთხვევაში ჯერ სახელდების ცვლადების, კერძოდ, სქესისა და ოჯახური მდგომარეობის მიხედვით ჯგუფთა შორისი განსხვავებები გავაანალიზეთ.

როგორც აღინიშნა, კულტურული კომპეტენციის მაჩვენებლების განაწილება მარცხნივ გადახრილი განაწილებაა, შესაბამისად, გამოვიყენეთ არაპარამეტრული ტესტები:

სქესის, ანუ ორი ჯგუფის შემთხვევაში მან-უიტნის ტესტი (Mann–Whitney) და ოჯახური მდგომარეობის, ანუ ორზე მეტი ჯგუფის შემთხვევაში კრუსკალ-ვოლისის (Kruskal Wallis) ტესტი. ხოლო კულტურული კონსონანსის შემთხვევაში ნორმალური განაწილების დადასტურებამ შესაძლებლობა მოგვცა გამოგვეყენებინა პარამეტრული სტატისტიკები: t ტესტი და ცალმხრივი დისპერსიული ანალიზი (ANOVA).

სქესთაშორისი ანალიზის შედეგები შემდეგნაირია:

- **კულტურული კომპეტენციის** მაჩვენებლების შემთხვევაში სტატისტიკურად მნიშვნელოვანი სქესთაშორისი განსხვავება არ გამოვლინდა ქალებსა (Mdn = .83) და მამაკაცებს (Mdn= .81) შორის, U (355)= -.108, p > .05;

მიღებული შედეგი თანხმობაშია თეორიულ დაშვებასთან, რომ კულტურული კომპეტენციის მაჩვენებლების განაწილება სოციო-დემოგრაფიული ცვლადების მიხედვით განსხვავებული არ უნდა იყოს (უმეტესწილად კულტურულ ცოდნასთან ყველას თანაბარი წვდომა აქვს).

- **კულტურული კონსონანსის** მაჩვენებლების მიხედვით სტატისტიკურად მნიშვნელოვანი სქესთაშორისი განსხვავება გამოვლინდა ქალებსა (M = 76, SD = 13.1) და მამაკაცებს (M = 71, SD = 13.8) შორის, t (355)= -2.98, p = .003;

ანუ, როცა ანალიზისას ფატალიზმის შესახებ კულტურული ცოდნის დონიდან ფატალისტური რწმენების ინტერნალიზაციის დონეზე ვინაცვლებთ, ამ შემთხვევაში სტატისტიკურად სანდო განსხვავება ვლინდება. თან ისეთი ნიშანდობლივი ცვლადის შემთხვევაში, რომელიც ფატალისტური ტენდენციების კვლევაში ერთ-ერთ საკვანძო ადგილს იკავებს. ჩვენი კვლევის შედეგი თანხვედრაშია იმ კვლევების (Esparza Del Villar, et. al, 2019, Lyratzopoulos, et. al, 2015, D'Orlando, Ferrante, & Ruiu, 2011, Ruiu, 2012, 2013, Sherman, et. al, 1997, Freedman, 1992) შედეგებთან, რომელთა თანახმადაც, ქალებში უფრო მაღალია ფატალისტური ტენდენციები, ვიდრე კაცებში. აღნიშნულ შედეგს შემდეგნაირად ხსნიან: ბევრ ქვეყანაში ქალები ჯერ კიდევ შორს არიან ემანსიპირებულობისგან. კულტურული ღირებულებები ჯერ კიდევ აძლიერებს ქალის როლის დრომოჭმულ ხედვას. შესაძლოა, სწორედ საკუთარი როლის ასეთ ხედვასთანაა

დაკავშირებული ქალის შეგუების განცდა, საკუთარ ცხოვრებაზე კონტროლის არ ქონის განცდა (D'Orlando, Ferrante, & Ruiu, 2011). აღნიშნულს ადასტურებს იმ კვლევის შედეგიც, რომლის თანახმადაც ტრადიციული ქალები (გენდერული როლის შესახებ სტერეოტიპული ხედვის მქონე) წარმატებას უფრო მეტად თვლიან ექსტერნალური წყაროდან მომდინარედ, ვიდრე არატრადიციული ქალები (Freedman, 1992).

საინტერესოა, რომ როტერის (1966) კონტროლის ლოკუსის სკალით ჩატარებულ პირველ კვლევაში ქალებსა და კაცებს შორის განსხვავება არ გამოვლენილა, ხოლო მას შემდეგ ჩატარებულ კვლევებში ქალები კონსისტენტურად უფრო და უფრო ექსტერნალობისკენ იხრებოდნენ, ვიდრე კაცები (Sherman, et. al, 1997). წარმატებული ქალებიც კი, წარმატებულ კაცებთან შედარებით, საკუთარ წარმატებებს მეტად აწერენ ექსტერნალურ ფაქტორებს (Freedman, 1992). თუმცა, არა მარტო ქალები, ზოგადად, დაბალი სოციალური ძალაუფლების პოზიციაში მქონე ინდივიდები უფრო მეტად ავლენენ ექსტერნალურ კონტროლის ლოკუსს (Freedman, 1992).

აღსანიშნავია, რომ არსებობს ისეთი კვლევებიც, რომელთა თანახმადაც, ქალების და კაცების მაჩვენებლები კონტროლის ლოკუსის სკალაზე სულ უფრო და უფრო უახლოვდება ერთმანეთს (ზოგიერთ შემთხვევაში ორივე ექსტერნალურობისკენ იხრება, ზოგიერთში ინტერნალობისკენ (Sherman, et. al, 1997)). აღნიშნული კვლევის შედეგები ადასტურებს კონტროლის ლოკუსის ცვლილებაზე სოციალური ფაქტორების ზემოქმედებას. სოციალური ფაქტორების ზემოქმედება კი, როგორც თვისებრივი კვლევის ანალიზის დროს განვიხილეთ, ქართული კონტექსტისთვისაც აქტუალურია და შესაბამისად, ნიშანდობლივია, რაოდენობრივი კვლევის ეტაპზეც ქალებში ფატალისტური რწმენების მაღალი დონის გამოვლენა.

რაც შეეხება ოჯახური მდგომარეობის ცვლადს, მიღებული შედეგები შემდეგნაირია:

- **კულტურული კომპეტენციის** მაჩვენებლების შემთხვევაში კრუსკალ-ვოლისის (Kruskal Wallis) ტესტის თანახმად, სტატისტიკურად სანდო განსხვავება არ გამოვლინდა სხვადასხვა ოჯახურ მდგომარეობას შორის ($H(4)=7.1$; $p > .05$).

ამ შემთხვევაშიც თეორიული დაშვების შესაბამისად, კულტურული კომპეტენციის მაჩვენებელი ერთნაირია იმის და მიუხედავად, თუ როგორი ოჯახური მდგომარეობა აქვს ინფორმანტს.

- **კულტურული კონსონანსის** შემთხვევაში კი ცალმხრივმა დისპერსიულმა ანალიზმა სტატისტიკურად სანდო განსხვავება აჩვენა სხვადასხვა ოჯახურ მდგომარეობას შორის (F (4, 355)=5,7; p = .0001). კერძოდ, Post hoc შედარება (Tukey HSD ტესტი) მოწმობს, რომ ქორწინების გარეშე თანაცხოვრებაში მყოფი ჯგუფის საშუალო (M=67.1, SD=7.66) სტატისტიკურად მნიშვნელოვნად განსხვავდება დაქორწინებულების (M=79.2, SD=13.7), განქორწინებულების (M=82.1, SD=14.3) და ქვრივების ჯგუფის საშუალოსაგან (M=84.6, SD=14.2).

მიღებული შედეგი შესაძლოა აიხსნას იმით, რომ ქორწინების გარეშე თანაცხოვრება კულტურულად ნორმატიულ პრაქტიკად არ მიიჩნევა. გამოდის, რომ ამ ინდივიდების შემთხვევაში არაკონფორმულობის გამოცდილება არსებობს და შესაძლოა, აღნიშნული ტენდენცია ვრცელდება სხვა კულტურულ სფეროებზეც. კერძოდ, ფატალიზმის შესახებ კულტურულ რწმენებთან მიმართებითაც დაბალ კულტურულ კონსონანსს ავლენენ.

რაც შეეხება კვლევაში გამოყენებულ სხვა სოციო-დემოგრაფიულ ცვლადებს (განათლება, ეკონომიკური მდგომარეობა, რელიგიის მნიშვნელობა ა.შ), სქესის და ოჯახური მდგომარეობისგან განსხვავებით, რიგის გაზომვის დონის ცვლადებს წარმოადგენენ, შესაბამისად კომპეტენციის და კონსონანსის მაჩვენებლებთან კავშირის მიმართულების დასადგენად კავშირის შემსწავლელ სტატისტიკურ ანალიზს მივმართეთ.

5.5.5.6. კორელაციური ანალიზი: კულტურული კომპეტენცია და კულტურული კონსონანსი

ფატალიზმის შესახებ კონსონანსის სკალის სუბსკალებს შორის კორელაციური ანალიზის შედეგები და შედეგების განხილვა

კომპეტენციის და კონსონანსის მაჩვენებლების ერთმანეთთან და სოციო-დემოგრაფიულ ცვლადებთან კორელაციებამდე კონსონანსის კითხვარის სუბსკალებს შორის ინტერკორელაციებს წარმოგიდგენთ (იხილეთ ცხრილი №9).

ცხრილი № 9: ფატალიზმის შესახებ კულტურული კონსონანსის სუბსკალებს შორის ინტერკორელაციები

	წინასწარ-განსაზღვრულობა	ღვთაებრივი კონტროლი	იღბალი	უმწეობა
წინასწარ-განსაზღვრულობა	–			
ღვთაებრივი კონტროლი	.508**	–		
იღბალი	.583**	.430**	–	
უმწეობა	.294**	.084	.337**	–

*** p ≤ .01; * p ≤ .05; *** p ≤ .001*

- წინასწარგანსაზღვრულობა ძლიერ დადებით კორელაციურ კავშირშია ღვთაებრივ კონტროლთან, r = .51, p < .01;

წინასწარგანსაზღვრულობის ძლიერი კორელაციური კავშირი ღვთაებრივ კონტროლთან თანხვედრაშია თვისებრივი კვლევის შედეგებთან, რაც მიღებული შედეგის სიღრმისეული ინტერპრეტაციის საშუალებას გვაძლევს. თან, რაც მთავარია, კვლევის მონაწილეთა პერსპექტივიდან. როგორც პროპოზიციების ანალიზის შემაჯამებელ ქვეთავში აღვნიშნეთ, „ღვთაებრივი კონტროლის“ კომპონენტი სწორედ „წინასწარგანსაზღვრულობის“ კომპონენტთან კავშირის გამო განთავსდა როგორც ცვალებადობის, ისე უცვლელობის ნაწილში (იხილეთ სურათი №5, გვ. 119). ამ კავშირის აღმწერი იყო ისეთი დაშვებები, როგორიცაა „ღმერთს თავისთან კარგები მიჰყავს“ და „ღმერთმა უარეს ცოდვას აარიდა“. აღნიშნული გაგებების თანახმად, ღმერთი ადამიანის ქცევების მიხედვით კი არ მოქმედებს და ცვლის მათ ცხოვრებას, არამედ, თითქოს, ადამიანის ცხოვრებაში მძიმე ცოდვა გარდაუვალია და ღმერთისთვის ეს წინასწარ ცნობილია. „ღვთაებრივი კონტროლისა“ და „წინასწარგანსაზღვრულობის“ კომპონენტებს შორის თანაკვეთის არეები აღვწერეთ მეტაფორული ანალიზის ეტაპზეც.

- წინასწარგანსაზღვრულობა ძლიერ დადებით კორელაციურ კავშირშია იღბალთან, r = .58, p < .01;

ეს კორელაციური კავშირიც თანხმობაშია თვისებრივი კვლევის შედეგებთან. მეტაფორების და პროპოზიციების ანალიზის თანახმად, „იღბლის“ ორი ქვეკომპონენტი

გამოვლინდა: „სტაბილური იღბალი“ და „ცვალებადი იღბალი“. „სტაბილური იღბლის“ გაგება გამოხატულია მეტაფორით „ქუდბედიანი“ და მთელი ცხოვრების განმავლობაში უცვლელ, ინდივიდის კონტროლს დაუქვემდებარებელი მოცემულობის არსებობას უშვებს. იღბლის ასეთი გაგების შემთხვევაში ცხოვრებაში მოვლენების უცვლელი ტრაექტორიით განვითარება მოიაზრება, შესაბამისად, შინაარსობრივად ძლიერაა დაკავშირებული „წინასწარგანსაზღვრულობის“ კომპონენტის დაშვებებთან.

- წინასწარგანსაზღვრულობა სუსტ დადებით კორელაციურ კავშირშია უმწეობასთან, $r = .29$, $p < .01$;

თვისებრივი კვლევის თანახმადაც, უცვლელობის ნაწილში მოხვედრილი „უმწეობის“ კომპონენტი დადებით მიმართებაშია ასევე უცვლელობის ნაწილში განთავსებულ „წინასწარგანსაზღვრულობის“ კომპონენტთან. აღნიშნული კავშირი შემდეგი გაგებით იყო გამოხატული - „თუ წინასწარგანსაზღვრულია ყველაფერი, უძლური ვარ რაიმე შევცვალო“.

- ღვთაებრივი კონტროლი საშუალო სიძლიერის დადებით კორელაციურ კავშირშია იღბალთან, $r = .43$, $p < .01$;

თვისებრივი კვლევის მონაცემთა ანალიზზე დაყრდნობით აღნიშნული კავშირი შემდეგნაირად იხსნება: ცრურწმენული რიტუალების აღსრულებით ღმერთის/ღვთაებების კეთილგანწყობა მოიპოვება, რომლებიც „გაზიარებული აგენტობის“ ნაწილად მოიაზრებიან („საქმეში ღმერთიც ხელს მომიმართავს“) და პიროვნების იღბლიანობას განაპირობებენ.

- იღბალი საშუალო სიძლიერის დადებით კორელაციურ კავშირშია უმწეობასთან, $r = .34$, $p < .01$;

თვისებრივი კვლევის ეტაპზეც ინფორმანტთა დისკურსში იღბლის, კერძოდ, მისი ქვეკომპონენტის „სტაბილური იღბლის“ და უმწეობის გაგებები ერთმანეთთან კავშირში ვლინდებოდა: ‘ადამიანები დაბადებიდან ქუდბედიანები არიან’, შესაბამისად, ‘უძლური ხარ შეცვალო ის, რაც დაბადებიდან თანდაყოლილია.’ ან პირიქით, ‘უძლური ხარ, რაღაცები შეცვალო ცხოვრებაში’, გამოდის, რომ ‘იღბლიანობა დაბადებიდან დაგყვება’.

- ღვთაებრივ კონტროლსა და უმწეობას შორის სტატისტიკურად სანდო კორელაციური კავშირი არ გამოვლინდა.

ღვთაებრივი კონტროლსა და უმწეობას შორის კავშირი არც თვისებრივი კვლევის შედეგად გამოვლენილა (იხილეთ კავშირების ამსახველი სურათი №5). „ღვთაებრივი კონტროლის“ კომპონენტთან კავშირში თავი არ უჩენია უიმედობის და უმწეობის შინაარსებს, პირიქით, აღნიშნული კომპონენტი ინფორმანტების დისკურსში იმედთან და საყრდენთან იყო ასოცირებული.

კომპეტენციის და კონსონანსის მაჩვენებლების ერთმანეთთან და სოციო-დემოგრაფიულ ცვლადებთან კორელაციური ანალიზის შედეგები და შედეგების განხილვა

როგორც ზემოთ აღინიშნა, წინამდებარე კვლევა კონსონანსის შესახებ კვლევათა უმრავლესობისგან განსხვავებულად ჩატარდა, რომლის მიზანიც კულტურული კომპეტენციის და კულტურული კონსონანსის მაჩვენებლების ერთსა და იმავე კვლევის სუბიექტებზე შეგროვება იყო. ამგვარად, ამ ორ მაჩვენებლებს შორის კორელაციის დათვლის, ანუ, იმის გარკვევის საშუალება მოგვეცა არიან თუ არა კულტურული კომპეტენციის მაღალი მაჩვენებლების მქონე სუბიექტები ამავდროულად კულტურული კონსონანსის მაღალი მაჩვენებლების მქონე. სხვა სიტყვებით, კულტურული მოდელის შემადგენელი დებულებების შესახებ კარგი ცოდნა (ინფორმირებულობა თუ „რას ფიქრობს ხალხი“, „როგორაა ჩვენში მიღებული“) ამავდროულად ნიშნავს თუ არა აღნიშნულ დებულებებში გაჟღერებულ დაშვებებზე ინდივიდის თანხმობას. კორელაციური ანალიზის შედეგები შემდეგნაირია:

- კულტურული კომპეტენციის და კულტურული კონსონანსის მაჩვენებლებს შორის სტატისტიკურად სანდო კავშირი არ გამოვლინდა $r = -.02$, $p > .05$;

გამოდის, რომ კულტურული კომპეტენციის ქონა ავტომატურად არ გულისხმობს კულტურული დაშვებების შესაბამისი რწმენების/ქცევების არსებობას ინდივიდის დონეზე, სხვა სიტყვებით, კულტურული კომპეტენციის ქონა აუცილებელი, თუმცა არასაკმარისი პირობაა კულტურული დაშვების ინტერნალიზაციისთვის. აღნიშნულმა

შედეგმა კიდევ ერთხელ ცხადყო კულტურული კომპეტენციის და კულტურული კონსონანსის კონსტრუქტების ერთმანეთისგან გამიჯვნის საჭიროება.

კულტურული კომპეტენციის და კულტურული კონსონანსის ჯამური მაჩვენებლებს შორის კორელაციის გამოთვლის შემდეგ კულტურული კომპეტენციის ჯამურ მაჩვენებელსა და კონსონანსის ცალკეულ სუბსკალას შორისაც შევამოწმეთ კორელაციები. სტატისტიკურად სანდო კორელაციები გამოვლინდა ღვთაებრივი კონტროლის (r = -.152, p > .01) და უმწეობის სუბსკალების (r = -.146, p > .01) შემთხვევაში; ღვთაებრივი კონტროლის შემთხვევაში უარყოფითი კორელაცია მიგვითითებს იმაზე, რომ, რაც უფრო კულტურულად კომპეტენტურია რესპონდენტი (სხვა სიტყვებით, კარგად იცის ღვთაებრივის კონტროლის შესახებ კულტურაში გაზიარებული შეხედულებები), მით უფრო განსხვავებული ინდივიდუალური რწმენების მატარებელია ის ამ სფეროში. ცხადია, ჩნდება კითხვა: თუ ამ ინდივიდებს ღვთაებრივი კონტროლის კულტურული მოდელი არ აქვთ ინტერნალიზებული, რა მოდელით ხელმძღვანელობენ და არის თუ არა მათი მოდელი გაზიარებული კონკრეტულ ჯგუფში, ანუ არსებობს თუ არა რაიმე სუბკულტურული კონფიგურაცია? ასეთ კითხვებზე პასუხის გაცემის შესაძლებლობაზე უფრო ვრცლად სამომავლო კვლევების ქვეთავში ვისაუბრებთ.

რაც შეეხება, კულტურული კომპეტენციის უმწეობის სუბსკალასთან დადებით კორელაციას, გამოდის, რომ მხოლოდ უმწეობის სუბსკალის შემთხვევაში ვლინდება კულტურულ მოდელში კოდირებული ხედვების კარგი ცოდნა და ამავდროულად, აღნიშნულ ხედვებზე თანხმობა (ანუ, კულტურა და ინდივიდის დონის თანხმობა).

ცხრილი № 10: კულტურულ კომპეტენციასა და ფატალიზმის შესახებ კულტურული კონსონანსის სუბსკალებს შორის კორელაციები

	კონსონანსი-წინასწარგანსზღვრულობა	კონსონანსი-ღვთაებრივი კონტროლი	კონსონანსი-იღბალი	კონსონანსი უმწეობა
კულტურული კომპეტენცია	-.079	-.152**	.069	.146**

** $p \leq .01$; * $p \leq .05$; *** $p \leq .001$

სუბსკალების შემდეგ დებულების დონეზეც კულტურა („რას ფიქრობს ქართველები“) და ინდივიდის დონის („რას ვფიქრობ მე“) თანხმობის შესამოწმებლად დებულებებს შორისაც გამოვთვალეთ კორელაციები[119]. ასეთი 12 დებულება აღმოჩნდა (გამოვლინდა სანდო დადებითი კორელაცია). დებულებები იხილეთ ცხრილში №11.

ცხრილი № 11: დებულებების დონეზე კულტურა-დონის და ინდივიდი-დონის მონაცემებს შორის დადებითი კორელაციები

დებულება	*r*
ასტროლოგიაც ღმერთის მოგონილია	.144**
თუ მეკვლე ფეხბედნიერი აღმოჩნდა, მეორე წელსაც უნდა მოიწვიო	.119*
ცუდად დაცდილს (ტანსაცმელი, გარემო, ადამიანი და ა.შ) თავი უნდა აარიდო, წარუმატებლობა რომ არ მოგიტანოს	.164**
ახალგაზრდას სიკვდილის დაშვებით ღმერთი მას იმ მძიმე ცოდვისგან იცავს, რომელიც შეეძლო ჩაედინა, ცოცხალი რომ ყოფილიყო	.139**
არსებობენ იღბლიანი ადამიანები, რომლებიც ნაკლები შრომით აღწევენ წარმატებას	.126*
წარმატების მისაღწევად ადამიანს ალღო უნდა ჰქონდეს	.116*
ადამიანი უძლურია ფინანსურ გაჭირვებას თავი დააღწიოს	.134*
ადამიანები თუ ერთად აკეთებენ რამეს, აუცილებლად გამოუვათ - ერთობას დიდი ძალა აქვს	.131*
არსებობენ უიღბლო ადამიანები, რომლებმაც რაც არ უნდა იშრომონ, წარმატებას ვერ აღწევენ	.139**
წარმატების მისაღწევად მხარში უნდა გედგეს ვინმე	.145**
მართლმადიდებლური რელიგია არ ცნობს წინასწარგანსაზღვრულობას	.303**
შეიძლება ადამიანი ნიჭიერი იყოს, მაგრამ თუ საჭირო დროს, საჭირო ადგილას ვერ მოხვდა, წარმატებას ვერ მიაღწევს	.138**

** $p \leq .01$; * $p \leq .05$; *** $p \leq .001$

საინტერესოა, რომ დებულებების დონეზე კორელაციების შემოწმებისას დადასტურდა სანდო უარყოფითი კორელაციების არსებობაც, ანუ, ინდივიდის დონეზე გამოვლინდა კულტურა დონის საწინააღმდეგო ხედვა. დებულები იხილეთ ცხრილში №12.

ცხრილი № 12: დებულებების დონეზე კულტურა-დონის და ინდივიდი-დონის მონაცემებს შორის უარყოფითი კორელაციები

დებულება	*r*
რეალურად ის ხდება, რაც მოსახდენია	-.126*
ლოცვით და მარხვით შესაძლებელია ცოდვის გამოსყიდვა და ღვთის სასჯელის არიდება	-.109*
ბედს ღმერთი წერს	-.113*

[119] დებულებები ოთხბალიანი ლიკერტის სკალას, ანუ რიგის გაზომვის დონეს მიეკუთვნება, შესაბამისად, გამოვიყენეთ სპირმენის კორელაციის კოეფიციენტი.

ასტროლოგიით შესაძლებელია მომავლის წინასწარმეტყველება	-.115*
** $p \leq .01$; * $p \leq .05$; *** $p \leq .001$	

რაც შეეხება სოციო-დემოგრაფიულ ცვლადებთან (ასაკი, განათლების დონე და ეკონომიკური მდგომარეობის სუბიექტური შეფასება) კორელაციებს, როგორც ცხრილიდან №13 ჩანს, კულტურული კომპეტენციის მაჩვენებლებთან არც ერთი ცვლადის შემთხვევაში არ ვლინდება სტატისტიკურად სანდო კორელაცია, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს თეორიულ დაშვებებს ამ კონსტრუქტის შესახებ. კულტურული კომპეტენცია კულტურულ ცოდნას მოიაზრებს, შესაბამისად, ასაკის, განათლების თუ ეკონომიკური მდგომარეობის ცვლადებთან კავშირს არ უნდა ავლენდეს. სხვა სიტყვებით, გაზიარებული უნდა იყოს ყველა ასაკობრივ კატეგორიაში, განათლების საფეხურისა თუ ეკონომიკური მდგომარეობის მქონე ადამიანებში.

ცხრილი № 13: ფატალიზმის შესახებ კულტურული კომპეტენციის და კონსონანსის სოციო-დემოგრაფიულ ცვლადებთან კორელაციები

	ასაკი	ეკონომიკური მდგომარეობა	განათლების დონე
კულტურული კომპეტენცია	-.067	.035	.026
კულტურული კონსონანსი	.186**	-.108**	.101**
** $p \leq .01$; * $p \leq .05$; *** $p \leq .001$			

რაც შეეხება კონსონანსის მაჩვენებლებს, როგორც მოსალოდნელი იყო, კორელაცია ვლინდება სამივე ცვლადის შემთხვევაში (იხილეთ ცხრილი №13).

შედეგების თანახმად, ასაკის ზრდასთან ერთად იზრდება კონსონანსის მაჩვენებლები ფატალიზმის სფეროში. აღნიშნული შედეგი იმეორებს ამ თემაზე ჩატარებული სხვა კვლევების (Straughan & Seow, 1998, D'Orlando, Ferrante, & Ruiu, 2011, Rashwan, 2014,) შედეგს. ლიტერატურაში ასაკსა და ფატალისტურ ტენდენციებს შორის დადებითი კორელაციის ორი ტიპის ახსნას ვხვდებით: პირველი, თაობებს შორის განსხვავებები. ახალგაზრდა თაობას ხანშიშესულებთან შედარებით, როგორც წესი, სხვა პოლიტიკურ წყობაში უწევთ ცხოვრება (Rashwan, 2014). აღნიშნული სხვაობის გათვალისწინება რელევანტურია ჩვენი კვლევის მონაცემების ახსნისასაც. თვისებრივი კვლევის

შედეგების განხილვისას ვრცლად ვისაუბრეთ საბჭოთა კავშირის გამოცდილების გავლენაზე ფატალისტური ტენდენციების ჩამოყალიბებაში. ასაკთან დადებითი კორელაციის გამოვლენა ამის კიდევ ერთი დასტურია.

ასაკისა და ფატალისტური ტენდენციების დადებითი კორელაციის მეორე ახსნა კი სიცოცხლის ციკლზე ამახვილებს ყურადღებას. კერძოდ, ხანში შესვლასთან ერთად ინდივიდებში ოპტიმიზმის შემცირებასა და შესაბამისად, ფატალისტური რწმენების, როგორც ამ კონტექსტში უფრო ადაპტური რეაქციის გაძლიერებაზე (Rashwan, 2014).

კვლევათა უმრავლესობის (Straughan & Seow, 1998, Shapiro & Wu, 2011, D'orlando, Ferrante and Ruiu, 2011, Ruiu, 2013, 2014, Cidade, et.al, 2016) შედეგებს თანხვდება ეკონომიკურ მდგომარეობასა და ფატალიზმის სფეროში კონსონანსის მაჩვენებლებს შორის გამოვლენილი უარყოფითი კორელაციაც. როგორც თეორიულ ნაწილში აღინიშნა, ეკონომიკური მეცნიერებაში ეკონომიკურ საქმიანობაში კაპიტალის დაბანდების ერთ-ერთ ხელშემშლელ ფაქტორად ფატალისტური რწმენები განიხილება. ფატალისტები არ ეძებენ საკუთარი მდგომარეობის გაუმჯობესების გზებს (მაგალითად, თავს იკავებენ ფულის ინვესტირებისგან) რადგან არ სჯერათ, რომ შეუძლიათ შეცვალონ საკუთარი ცხოვრება. უმოქმედობა კი პოზიტიური ცვლილებების განხორციელების უუნარობის რწმენას ამყარებს. სწორედ ამიტომ საუბრობენ ავტორები (Bernard, Dercon, & Taffesse, 2011) ფატალისტურ ხედვასა და ეკონომიკურ მდგომარეობას შორის ჩაკეტილ წრეზე.

აღნიშნული ჩაკეტილი წრის გამრღვევად განათლება მოიაზრება. ამ საკითხით დაინტერესებული ავტორები (D'Orlando, Ferrante, & Ruiu, 2011; Ruiu, 2012, 2013) ყურადღებას ამახვილებენ განათლების როლზე კულტურულ ცოდნასა (კულტურა დონე) და ინდივიდუალურ რწმენებს (ინდივიდის დონე) შორის კავშირის შესუსტებაში. განათლება არამარტო მეტი ინფორმაციის მიღებას, არამედ უნარების განვითარებასა და პრაქტიკაში მათ რეალიზაციასაც უზრუნველყოფს. შესაბამისად, ინდივიდებს შესაძლებლობა ეძლევათ ირწმუნონ საკუთარ ცხოვრებაზე კონტროლი.

ჩვენს კვლევაში კი, როგორც ვხედავთ, განათლება უარყოფითის ნაცვლად სუსტ დადებით კორელაციაში ფატალიზმის სფეროში კონსონანსის მაჩვენებლებთან. გამოდის,

რომ განათლება ქართველ რესპონდენტებში ვერ ასრულებს იმ ფუნქციას, რაზეც ამ საკითხით დაინტერესებული ავტორები (D'Orlando, Ferrante, & Ruiu, 2011; Ruiu, 2012, 2013) საუბრობენ. რაც შეეხება დადებით სუსტ კავშირს, ვიფიქრეთ, რომ აღნიშნული ასაკსა და განათლების ცვლადებს შორის კავშირმა (r=.77 p=.0001) გამოიწვია. შესამოწმებლად ნაწილობრივ/პარციალურ კორელაციურ ანალიზს მივმართეთ და მართლაც, ასაკის გაკონტროლების პირობებში, ფატალიზმის სფეროში კულტურულ კონსონანსა და განათლებას შორის, სტატისტიკურად სანდო კორელაციური კავშირი აღარ ვლინდება (r=.04 p>.05). ანუ, ფატალისტურ ტენდენციასა და განათლებას შორის კავშირი მხოლოდ და მხოლოდ ფატალისტურ ტენდენციასა და ასაკსა შორის კავშირის მიმართულებას იმეორებს. სხვა სიტყვებით, ქართველი რესპონდენტების შემთხვევაში განათლების ცვლადი ასაკთან კავშირის მიღმა უცხოური კვლევების თანახმად მასთან ასოცირებულ სპეციფიკას (უნარების განვითარებითა და მათი პრაქტიკაში რეალიზაციით საკუთარ ცხოვრებაზე კონტროლის განცდის მატება) არ ავლენს.[120]

რაც შეეხება ფატალიზმის შესახებ კონსონანსის მაჩვენებლების ეკონომიკურ მდგომარეობასთან უარყოფით კორელაციას, ჯამური მაჩვენებლის გარდა, კორელაციები შემოწმდა სუბსკალების დონეზეც. სანდო კორელაცია დადასტურდა ღვთაებრივი კონტროლის (r = -.127, p > .01) და უმწეობის (r = -.0.12, p > .01) სუბსკალების შემთხვევაში. უმწეობის კომპონენტის ეკონომიკური განზომილების შესახებ მდიდარ მასალას, როგორც ვნახეთ, თვისებრივი კვლევის შედეგები გვაწვდის, ხოლო ღვთაებრივი კონტროლის უარყოფით კორელაციას ეკონომიკურ მდგომარეობასთან, ვფიქრობთ, კარგად ხსნის საქართველოში შრომის კულტურისა და რელიგიური დისკურსის შესახებ არსებული კვლევა (კაჭკაჭიშვილი, მატარაძე, ნიჟარაძე, შუბითიძე, 2013). აღნიშნულ კვლევაში ლიტერატურის მიმოხილვის და ექსპერტული გამოკითხვის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ მართლმადიდებლურ დოქტრინებში შრომის კავშირი სულის ცხონებასთან გამოკვეთილი არაა. დამატებით, მორწმუნეებთან ჩატარებული ფოკუს-ჯგუფების და სიღრმისეული ინტერვიუების საფუძველზე დასტურდება, რომ შრომით

[120] უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო კვლევების (PISA; WEF- Global Competitiveness Reports) თანახმად, საქართველო განათლების ხარისხის რეიტინგებში საკმაოდ დაბალ ადგილს იკავებს.

ვალდებულებებთან შედარებით უდავო პრიორიტეტი რელიგიური რიტუალების შესრულებას ენიჭება.

რელიგიური რიტუალების შესახებ ცვლადებს წინამდებარე კვლევაც მოიცავდა. როგორც ზემოთ აღინიშნა, სოციო-დემოგრაფიული ცვლადების გარდა კითხვარში ჩართული გვქონდა შეკითხვები ყოველდღიურ ცხოვრებაში რელიგიის მნიშვნელობის („ძალიან მნიშვნელოვანიდან“ „სრულიად უმნიშვნელომდე“) და რელიგიური პრაქტიკის (რელიგიურ მსახურებებზე დასწრების, მარხვის და ლოცვის სიხშირე) შესახებ. აღნიშნულ ცვლადებთან სტატისტიკურად სანდო კორელაციები გამოვლინდა როგორც კულტურული კომპეტენციის, ისე კულტურული კონსონანსის შემთხვევაში.

ლოგიკურია, კულტურული კომპეტენციის სუსტი უარყოფითი კორელაცია რელიგიის მნიშვნელობის (r=-.13 p<.01), რელიგიურ მსახურებაზე დასწრებისა (r=-.08 p<.05) და მარხვის (r=-.13 p<.01) ცვლადებთან. როგორც ზემოთ აღინიშნა, ის უარყოფით კორელაციაში ღვთაებრივი კონტროლის სუბსკალასთან. ღვთაებრივი კონტროლის სფეროში კულტურაში გაზიარებული ხედვების კარგად მცოდნე ინდივიდებს არათუ ინტერნალიზებული არ აქვთ აღნიშნული ხედვა, არამედ საწინააღმდეგო ხედვის მატარებლებიც არიან, რაც მათ ქცევაშიც აისახება. აღნიშნულს გვიდასტურებს კულტურული კომპეტენციის უარყოფითი კორელაცია რელიგიურ მსახურებაზე დასწრებასა და მარხვის სიხშირის ცვლადებთან.

ცხრილი № 14: ფატალიზმის შესახებ კულტურული კომპეტენციის და კონსონანსის რელიგიურობის შესახებ ცვლადებთან კორელაციები

	რელიგიის მნიშვნელობა	რელიგიურ მსახურებაზე დასწრება	ლოცვა	მარხვა
კულტურული კომპეტენცია	-.130**	-.082*	-.058	-.130**
კულტურული კონსონანსი	.398**	.331**	.374**	.264**

** $p \leq .01$; * $p \leq .05$; *** $p \leq .001$

ლოგიკურია, ასევე, კულტურული კონსონანსის მაჩვენებლებთან ოთხივე ცვლადის საშუალო სიძლიერის დადებითი კორელაცია. აღნიშნული მეტწილად კონსონანსის სკალის ისეთი სუბსკალითაა განპირობებული, როგორიცაა ღვთაებრივი კონტროლი. თუმცა, არა მარტო. როგორც კონსონანსის სკალის სხვა სუბსკალებსა და აღნიშნულ ცვლადებს შორის კორელაციები გვიჩვენებს (იხილეთ ცხრილი №15), ღვთაებრივი კონტროლის გარდა, სანდო კორელაციები დასტურდება წინასწარგანსაზღვრულობის და იღბლის სუბსკალების შემთხვევაშიც. აღნიშნულს კარგად გვიხსნის თვისებრივი კვლევის არაერთხელ ნახსენები შედეგები, რომლის თანახმადაც, ღვთაებრივ კონტროლს, წინასწარგანსაზღვრულობასა და იღბლის კომპონენტებს შორის უხვად იკვეთება შინაარსობრივი ბმები.

ცხრილი № 15: რელიგიურობის შესახებ ცვლადებსა და ფატალიზმის შესახებ კონსონანსის სუბსკალებს შორის კორელაციები

	რელიგიის მნიშვნელობა	რელიგიური მსახურებაზე დასწრება	ლოცვა	მარხვა
ღვთაებრივი კონტროლი	726**	.639**	649**	.507**
წინასწარგანსაზღვრულობა	.369**	.324**	.326**	.231**
იღბალი	.214**	.185**	.233**	.129*
უმწეობა	-.022	-.018	.063	.021

** $p \leq .01$; * $p \leq .05$; *** $p \leq .001$

5.5.5.7. რეგრესული ანალიზის შედეგები და შედეგების განხილვა

კორელაციური კავშირების გაანალიზების შედეგად გადავწყვიტეთ ზემოთ აღნიშნული ცვლადების (ასაკი, სქესი, განათლება, ეკონომიკური მდგომარეობა, რელიგიის მნიშვნელოვანება, რელიგიურ მსახურებზე დასწრება, ლოცვის სიხშირე, მარხვის სიხშირე) წვლილის დადგენა ფატალიზმის შესახებ კონსონანსის მაჩვენებლების ვარიაბელობაში. ამისათვის გამოვიყენეთ მრავლობითი რეგრესული ანალიზი.

ჩატარდა წინასწარი/პირველადი ანალიზი მრავლობითი რეგრესული ანალიზისთვის საჭირო სტატისტიკური დაშვებების შესამოწმებლად. პირველადი ანალიზის შედეგად არ

დარღვეულა ნორმალურობის (normality), წრფივობის (linearity), მულტიკოლენიალურობისა (multicollinearity) და ჰომოსკედასტურობის (homoscedasticity) შესახებ დაშვებები, რაც მიგვითითებს იმაზე, რომ მრავლობითი რეგრესული მოდელის აგება შესაძლებელია.

რეგრესული ანალიზის შედეგები შემდეგნაირია:

- ცვლადების ჯგუფის ეს მოდელი (ასაკი, სქესი, განათლება, ეკონომიკური მდგომარეობა, რელიგიის მნიშვნელოვანება, რელიგიურ მსახურებზე დასწრება, ლოცვის სიხშირე, მარხვის სიხშირე) სტატისტიკურად სანდოა და ხსნის ფატალიზმის შესახებ კონსონანსის მაჩვენებლების ვარიაბილობის 33.4 %-ს (R2 Adj. = .334, F(8, 355) =21.7, p =.0001).
- რაც შეეხება თითოეული სკალის პრედიქტორულ ღირებულებას, სტატისტიკურად სანდო პრედიქტორი აღმოჩნდა მხოლოდ ოთხი ცვლადი: სქესი (β =.139, p <.01); ეკონომიკური მდგომარეობა (β =-.122, p <.01); ლოცვის სიხშირე (β =.190, p <.01); რელიგიის მნიშვნელობა(β =.349, p <.01); მათ შორის, ყველაზე მაღალი პრედიქტორული ღირებულების აღმოჩნდა რელიგიის მნიშვნელობა ყოველდღიურ ცხოვრებაში: რელიგიის მნიშვნელობის ერთი სტანდარტული ერთეულით ზრდა ფატალისტურ ტენდენციებს საშუალოდ .349 სტანდარტული ერთეულით ზრდის. რაც შეეხება ეკონომიკურ მდგომარეობას, მისი ერთი სტანდარტული ერთეულით ზრდა ფატალისტურ ტენდენციებს .122 სტანდარტული ერთეულით ამცირებს.

რეგრესული მოდელის შედეგები თანხმობაშია ფატალიზმის შესახებ თეორიულ ხედვებსა და სხვა ამ თემაზე ჩატარებული კვლევების შედეგებთან. განსხვავება გამოვლინდა მხოლოდ განათლების ცვლადის შემთხვევაში. ყველაზე მაღალი პრედიქტორული ღირებულების მატარებელ ცვლადად რელიგიის ყოველდღიურ ცხოვრებაში მნიშვნელობის გამოვლენას კი დამატებით კარგად ხსნის თვისებრივი კვლევის შედეგები, რომლის თანახმადაც, „ღვთაებრივი კონტროლის“ კომპონენტი ფატალიზმის შესახებ კოგნიტური სქემის დანარჩენ კომპონენტებთან

ურთიერთმიმართებების ფართო ქსელით გამოირჩევა. თუმცა, კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ რელიგიის მნიშვნელობის ცვლადი წინამდებარე კვლევაში მხოლოდ ერთი შეკითხვით იზომებოდა და ცხადია, სამომავლოდ საჭიროა ფატალიზმის მსგავსად რელიგიურობის ემიკური ინსტრუმენტის შექმნა.

ნიშანდობლივია, რომ დრესლერის (2018) კვლევებში დეპრესიის ეტიკური საზომის გამოყენების ირგვლივაც კი გაჩნდა კითხვები, მიუხედავად იმისა, რომ დეპრესია ბიოლოგიური საფუძვლების მქონე მდგომარეობაა და სხვა კულტურულ კონსტრუქტებთან შედარებით უფრო მეტად უნივერსალისტურ ფენომენად შეიძლება ჩაითვალოს. თუმცა, როგორც დრესლერი დასძენს თავად, სხვა ბიოლოგიური მაჩვენებლების საზომებისგან განსხვავებით (მაგ. არტერიული წნევის საზომი), დეპრესიის გაზომვისას ვეყრდნობით ადამიანის ვერბალურ თვითანგარიშს. როცა რესპონდენტს საკუთარი მდგომარეობის/სიმპტომების აღწერას ვთხოვთ და ის ამაზე საუბრობს, მისი პასუხები, როგორც წესი, ლოკალური კულტურული მნიშვნელობებითაა დატვირთული. შესაბამისად, ამ შემთხვევაშიც იკვეთება ემიკური ინსტრუმენტის შექმნის საჭიროება. აღარაფერს ვამბობთ ისეთი სოციალურ კონსტრუქტების გაზომვაზე როგორიცაა ფატალიზმი და რელიგიურობა.

5.6. სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი შედეგების შეჯამება

ნაშრომში განხილული თეორიული დაშვებები ემპირიული შედეგებით ვერიფიცირდა. კერძოდ:

- თეორიული ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ კულტურის თეორიის განვითარებას მნიშვნელოვნად აფერხებდა დუალისტური მიდგომა. განსაკუთრებით, ისეთი ფუნდამენტური საკითხების ურთიერთგამომრიცხავ ოპოზიციებად წარმოდგენა, როგორიცაა კულტურის ადგილმდებარეობა (შინაგანი vs გარეგანი) და კულტურის კოჰერენტულობის პრობლემა (ჰომოგენური vs ჰეტეროგენული). აღნიშნული დიქოტომიების მცდარობაზე ყურადღება თანამედროვე ფსიქოანთროპოლოგიაში გამახვილდა. ამ უკანასკნელის ამოცანა ის კი არაა, ამტკიცოს ორი პოზიციიდან რომელია უფრო სწორი, არამედ

დაასაბუთოს, თუ როგორაა შესაძლებელი, რომ ***ორივე პოზიცია ერთდროულად იყოს სწორი*** (Quinn & Strauss, 1997).

ორივე პოზიციის ერთდროულად სისწორე ემპირიულ დონეზეც დასტურდება: ფატალიზმის კულტურული მოდელის გამოვლენისა და ვერიფიკაციის პროცესმა შინაგანი/გარეგანი და ჰომოგენური/ჰეტეროგენული განზომილებების ურთიერთშემავსებლობა ცხადყო.

- **შინაგანი/გარეგანი:** ფატალიზმი არა მხოლოდ ფსიქიკის მიღმა არსებულ ობიექტური კულტურის ელემენტად შეგვიძლია განვიხილოთ (სტრუქტურული ფატალიზმი - ისტორიული, ეკონომიკური და სოციო-პოლიტიკური ინსტიტუტები/ნორმები და კოსმოლოგიური ფატალიზმი - რელიგიური/კოსმოლოგიური დოქტრინები), არამედ ფსიქიკის ნაწილადაც. სახელდობრ, საერთო გამოცდილებების საფუძველზე ფორმირებულ კოგნიტურ სქემად/მოდელად. ამ შემთხვევაში ხაზგასასმელია შინაგანის და გარეგანის ურთიერთქმედების ორმხრივობა: მენტალური სტრუქტურები/სქემები ობიექტური სამყაროს და იმ მენტალური სტრუქტურების/სქემების ურთიერთქმედების პროდუქტია, რომლებიც, თავის მხრივ, წარსულში, ასევე, ობიექტურ სამყაროსთან ინტერაქციის პროცესში და შედეგად წარმოიქმნა (ჩხაიძე, 2015, გვ. 29).

  ფატალიზმის შესახებ კოგნიტური სქემის/მოდელის გამოვლენისას გამოვიყენეთ დისკურსის ანალიზზე დაფუძნებული მიდგომა, კერძოდ მეტაფორების და პროპოზიციების ანალიზი.

  - მეტაფორების ანალიზის შედეგად ფატალიზმის კოგნიტურის სქემის შემდეგი ემიკური კომპონენტები გამოვლინდა: *პიროვნული კონტროლი, ღვთაებრივი კონტროლი, წინასწარგანსაზღვრულობა, უმწეობა და იღბალი.*
  - პროპოზიციების ანალიზმა დაადასტურა მეტაფორების ანალიზის შედეგები. დამატებით, კომპონენტებს შორის ურთიერთმიმართებების შესწავლის საშუალება მოგვცა. კომპონენტების ურთიერთმიმართება

ცვალებადობა/უცვლელობა განზომილებით აღიწერა. ცვალებადობის ნაწილში გაერთიანებული გაგებების თანახმად, ადამიანი თავად მართავს თავის ცხოვრებას. შესაბამისად, მის ცხოვრებაში მოვლენების სხვადასხვა ტრაექტორიით განვითარების, ანუ ცვალებადობის შესაძლებლობა არსებობს, ხოლო ასეთ შესაძლებლობას გამორიცხავს უცვლელობის პოლუსი. ამ უკანასკნელში განთავსებულია „წინასწარგანსაზღვრულობის“ (‘ადამიანის ცხოვრებაში მოვლენები წინასწარ გაწერილია’) და „უმწეობის“ (‘შეუძლებელია რაიმეს ცვლილება’) კომპონენტები, ხოლო „პიროვნული კონტროლის“ კომპონენტი ცვალებადობის ნაწილში თავსდება. განსხვავებული ვითარება გვაქვს „ღვთაებრივი კონტროლისა“ და „იღბლის“ კომპონენტების შემთხვევაში. ამ კომპონენტების შესაბამისი გაგებები/ხედვები მიეკუთვნება როგორც ცვალებადობის, ისე უცვლელობის ნაწილს.

კულტურის შინაგან/გარეგან განზომილებების საკითხს რომ დავუბრუნდეთ, მნიშვნელოვანია შინაგან განზომილებაში დამატებით ერთმანეთისგან განსხვავდეს ისეთი ქვეგანზომილებები, როგორიცაა იდიოსინკრეტული და გაზიარებული. ეს უკანასკნელი თავისი არსით გარეგან განზომილებადაც კი შეიძლება ჩაითვალოს: ინდივიდის ფსიქიკაში კი არსებობს, მაგრამ ამავდროულად გარეგანია იმ თვალსაზრისით, რომ სხვა ინდივიდების ფსიქიკებშიც არსებობს (Dressler, 2018, 2019).

ინდივიდების ფსიქიკაში ფატალიზმის შესახებ გაზიარებული კოგნიტური სქემის არსებობას ადასტურებს წინამდებარე ემპირიული კვლევაც: კულტურული კონსენსუსის ანალიზის შედეგად ფატალიზმის კულტურული მოდელი ვერიფიცირდა: დაკმაყოფილდა 3:1 ფარდობის წესი, რაც კულტურული მოდელის არსებობის დამადასტურებელ გაზიარებულობის ხარისხზე მიუთითებს.

- **ჰომოგენური/ჰეტეროგენული:** ნიშანდობლივია, რომ კულტურული მოდელის არსებობა დადასტურდა სახელდების (ბინარული) მონაცემების დონეზე, ხოლო ოთხბალიანი ლიკერტის სკალის, ანუ რიგის მონაცემების შემთხვევაში გაზიარებულობის/თანხმობის კულტურა დონის ხარისხი არ გამოვლინდა. აღნიშნული შედეგი თანხმობაშია თეორიული ანალიზის დროს გამოკვეთილ საჭიროებასთან - დაიძლიოს დიქოტომია ჰომოგენური/ჰეტეროგენული. შეუძლებელია კულტურა წარმოვადგინოთ ჰომოგენურ მთელად, რომლის არც ერთი წევრი ფიქრობს განსხვავებულად. თუმცა, ამავდროულად, შეუძლებელია ჰომოგენურობის ხარისხის სრულიად გამორიცხვა ინტრაკულტურული ვარიციის არსებობის პირობებში.

  როგორც არაერთხელ აღვნიშნეთ, გაზიარებული კულტურული მოდელების მთავარი ფუნქცია ადაპტაციური ფუნქციაა. *„შესაძლოა პარადოქსულ დებულებად მოგვეჩვენოს, მაგრამ ცხოვრების ბევრი სფერო კოგნიტურად ორგანიზებული გაზიარებული მნიშვნელობების სახით გამზადებულად მოგვეცემაო (თითქოს წინასწარ შეგვიფუთესო)* - წერს დრესლერი (2019, p.9). თუმცა, დრესლერი მიუთითებს იმაზეც, რომ მეორე მხრივ, გაზიარებულობა, ანუ სამყაროს კონსენსური ხედვის ურყევი ეჭვშეუტანლობა ადაპტაციისთვისვე შეიძლება აღმოჩნდეს პრობლემური. როცა გარემო პირობები იცვლება, სოციალური ჯგუფებიც მასთან ერთად უნდა იცვლებოდეს. ადრე თუ გვიან ყოველდღიური ამოცანების გადაჭრის ინოვაციური მეთოდების საჭიროება დგება. შესაბამისად, ბევრ კულტურულ სფეროში ალტერნატიული პატერნები თუ კონფიგურაციები ყალიბდება.

  წინამდებარე ნაშრომში ნაჩვენებია, რომ კულტურაში ზემოთ ხსენებული ინოვაციების ფსიქოლოგიური მექანიზმების დახასიათება განწყობის ფსიქოლოგიის დამუშავების თანამედროვე მცდელობების (ნადარეიშვილი, 2010, 2013, 2015, 2020) ცენტრალური საკითხს წარმოადგენს. კერძოდ,

აღნიშნული თეორიული პრობლემა არაცნობიერის და ცნობიერის სინერგიის კონცეფციის ფარგლებში მუშავდება.

- კოგნიტური მოდელის გაზიარებულობის შესახებ კონცეფციასთან ერთად ხანიერ თეორიულ პრობლემას გაზიარებული კულტურული მოდელების ქცევაში რეალიზაციის საკითხი წარმოადგენს. ჯერ კიდევ როდის ამახვილებდა ყურადღებას სოციალური პრაქტიკის თვალსაჩინო თეორეტიკოსი, პიერ ბურდიე (1977) იმაზე, რომ კულტურული მოდელები ზოგჯერ რეალიზდება ქცევაში, ზოგჯერ კი არა (Dressler, 2019). შესაბამისად, საჭიროა ერთმანეთისგან განსხვავდეს გაზიარებული კულტურული მოდელის მხოლოდ ცოდნა (კულტურული კომპეტენცია) და კულტურული მოდელის ინტერნალიზებულობა და შესაბამისად, ქცევაში რეალიზაცია (ანუ, საკუთარი, ინდივიდუალური და კულტურულ მოდელში კოდირებული რწმენების/ქცევების თანხვედრა). ეს უკანასკნელი კულტურული კონსონანსის სახელწოდებითაა ცნობილი.

  წინამდებარე კვლევაში კულტურული კომპეტენციის და კულტურული კონსონანსის განსხვავებული თეორიული კონსტრუქტები ემპირიულად ვერიფიცირდა. კერძოდ:

  - კულტურული კომპეტენციის და კულტურული კონსონანსის მაჩვენებლების განაწილების მახასიათებლები თანხმობაშია თეორიულ დაშვებებთან. კერძოდ, კულტურული კომპეტენციის მაჩვენებლების განაწილება **მარცხნივ გადახრილია,** რაც კულტურული ცოდნის უმრავლესობაში გავრცელებულობაზე მიგვითითებს. ხოლო კულტურული კონსონანსის მაჩვენებლების განაწილება **ნორმალურია,** რაც საშუალო კულტურული კონსონანსის მქონე ინდივიდების უმრავლესობაში ყოფნას ადასტურებს, ხოლო როგორც დაბალი, ისე მაღალი კონსონანსის მაჩვენებლების მქონე ინდივიდების, უმცირესობაში.
  - დასტურდება ფატალიზმის შესახებ კულტურული კონსონანსის სკალის შინაგანი შეთანხმებულობის სანდოობა, კონვერგენტული და ემიკური ვალიდობა.

- თეორიული დაშვებების შესაბამისია დემოგრაფიულ ცვლადებთან სტატისტიკურად სანდო სხვაობის გამოვლენა (სქესი, ოჯახური მდგომარეობა) კულტურული კონსონანსის და არ გამოვლენა კულტურული კომპეტენციის მაჩვენებლების შემთხვევაში.
- ფატალიზმის შესახებ თეორიული დაშვებებიდან გამომდინარე ლოგიკურია ფატალიზმის შესახებ კულტურული კონსონანსის მაჩვენებლების სტატისტიკურად სანდო *დადებითი* კორელაცია **ასაკთან** და *უარყოფითი* კორელაცია **ეკონომიკური მდგომარეობასთან**. აღნიშნული შედეგები თანხმობაშია სხვა ამ თემაზე ჩატარებულ კვლევების შედეგებთან. საინტერესოა, ქართულ პოპულაციაზე ჩატარებულ კვლევაში ამ კანონზომიერებიდან განათლების ცვლადის ამოვარდნა. უცხოური კვლევების თანახმად, სწორედ განათლების ცვლადია ფატალისტური ტენდენციების შემცირებასთან ასოცირებული, ხოლო ქართველი რესპონდენტების შემთხვევაში, ეს ასე არ აღმოჩნდა. ასაკის გაკონტროლების პირობებში განათლების ცვლადთან კავშირი საერთოდ არ ვლინდება.
- ფატალიზმის შესახებ კონსონანსის მაჩვენებლებისთვის ყველაზე მაღალი პრედიქტორული ღირებულება აღმოაჩნდა **რელიგიის ყოველდღიურ ცხოვრებაში მნიშვნელობის** ცვლადს. აღნიშნული შედეგი თანხმობაშია თვისებრივ შედეგებთან. კერძოდ, ფატალიზმის კულტურული მოდელის ერთ-ერთ კომპონენტად "ღვთაებრივი კონტროლის" კომპონენტი გამოვლინდა, რომელიც სხვა დანარჩენ კომპონენტებთან კავშირების სიუხვით გამოირჩევა. ერთადერთი კომპონენტი, რომელთანაც "ღვთაებრივი კონტროლის" კომპონენტის კავშირი არ ვლინდება, „უმწეობის" კომპონენტია.

5.7. სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი დასკვნები

სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი დასკვნები ნაშრომის ამოცანებთან შესაბამისობაში შემდეგნაირია:

1) კულტურული ფენომენების ემპირიული კვლევისთვის საჭიროა კულტურის თეორიაში ოპოზიციური წყვილები („შინაგანი/გარეგანი“, „ჰომოგენური/ჰეტეროგენული“) ურთიერთგამომრიცხავად კი არ იყოს კონცეპტუალიზებული, არამედ ურთიერთშემავსებლად.

2) ფატალიზმის ფენომენი კონცეპტუალიზდა და ვერიფიცირდა როგორც კულტურის გარეგანი (სტრუქტურული, კოსმოლოგიური ფატალიზმი) და შინაგანი (საერთო გამოცდილებების საფუძველზე ფორმირებული ფსიქიკური წარმონაქმნი) განზომილებების ერთიანობა.

3) ფატალიზმის მსგავსი ფსიქიკური წარმონაქმნების ფუნქციონირების მექანიზმთა შესწავლაში ფსიქოანთროპოლოგიური (კულტურული მოდელებს სკოლა) თეორიის ახსნითი პოტენციალის კულტურულ-ფსიქოლოგიურ (სემიოტიკური მედიაციის კულტურული ფსიქოლოგია) და ზოგადფსიქოლოგიურ (განწყობის ფსიქოლოგია) თეორიული კონცეფციებით გაძლიერების შესაძლებლობა არსებობს.

4) ფატალიზმის კლასიკური მეცნიერული თეორიებისა და ეთნოთეორიების შეპირისპირებითი ანალიზის შედეგად ფატალიზმის ფენომენის მრავალგანზომილებიანობა და შინაარსობრივი მრავალფეროვნება ვლინდება.

5) ფატალიზმის ქართული კულტურული მოდელის ემიკურ კომპონენტებს წარმოადგენს ***პიროვნული კონტროლი, ღვთაებრივი კონტროლი, წინასწარგანსაზღვრულობა, უმწეობა და იღბალი;*** ამ კომპონენტთა ურთიერთმიმართების ამსახველი მნიშვნელოვანი მოდუსია ***ცვალებადობა/უცვლელობის განზომილება.***

6) ფატალიზმის კოგნიტური მოდელის კონსენსუს-ანალიზით დადასტურებული გაზიარებულობა (ჰომოგენიზაციის ტენდენცია) სახელდების დონეზე, ხოლო ინტრაკულტურული ვარიაციულობის გამოვლენა (ჰეტეროგენიზაციის ტენდენცია) რიგის დონეზე, ცხადყოფს კულტურის თეორიაში არსებული ოპოზიციური წყვილის - ჰომოგენური/ჰეტეროგენული - ურთიერთშემავსებლობას არა მარტო თეორიულ, არამედ ემპირიულ დონეზეც.

7) კულტურა-დონის (ფატალიზმის შესახებ კულტურული კომპეტენცია) და ინდივიდი-დონის (ფატალიზმის შესახებ კულტურული კონსონანსი) შეპირისპირებითმა ანალიზმა ამ ტიპის მონაცემების შესახებ არსებული თეორიული დაშვებები ემპირიულად დაასაბუთა.

5.8. კვლევის შეზღუდვები და სამომავლო კვლევის პერსპექტივები

კვლევის ერთ-ერთ შეზღუდვას რაოდენობრივი კვლევის შერჩევის მეთოდი წარმოადგენს. პანდემიის პირობებში გამოყენებული იყო არაალბათური შერჩევის

მეთოდი, კერძოდ ხელმისაწვდომი შერჩევა. როგორც ცნობილია, არაალბათური მეთოდის გამოყენება აკადემიური კვლევებში გავრცელებული პრაქტიკაა, რადგან ალბათური შერჩევის განხორციელება საკმაოდ დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული. თუმცა, არაალბათური შერჩევის მეთოდებიდანაც, რესპონდენტთა დაბალი აქტივობის გამო, საბოლოოდ, ხელმისაწვდომ შერჩევაზე შევაჩერეთ არჩევანი. ცხადია, დემოგრაფიული ცვლადების მიხედვით თანაბარი მოცულობის ჯგუფების უზრუნველსაყოფად უკეთესი იქნებოდა კვოტური შერჩევა.

რაც შეეხება რაოდენობრივი კვლევის პროცედურას, სასურველია ონლაინ რეჟიმის ნაცვლად რაოდენობრივი კითხვარის ადმინისტრირება პირისპირ რეჟიმში მომხდარიყო. მართალია, რესპონდენტები კითხვების გაჩენის შემთხვევაში ონლაინ რეჟიმში უკავშირდებოდნენ მკვლევარს, თუმცა, ვფიქრობთ, რომ პირისპირ ადმინისტრირებისას გაუგებარი საკითხების დასაზუსტებლად უფრო კომფორტული და წამახალისებელი გარემო შეიქმნებოდა.

ასევე, ვფიქრობთ, რომ კარგი იქნებოდა, კითხვარში გამოყენებული ეკონომიკური მდგომარეობის სუბიექტურ საზომთან ერთად ობიექტური საზომიც (პირადი და ოჯახის ჯამური შემოსავალი) გამოგვეყენებინა. მართალია, რესპონდენტები თავს იკავებენ ხოლმე მსგავსი ტიპის ინფორმაციის გაზიარებაზე, მაგრამ, შესაძლოა, შევსებული მონაცემები საკმარისი აღმოჩენილიყო სტატისტიკური ანალიზისთვის.

დემოგრაფიულ ცვლადებთან ერთად კითხვარში კარგი იქნებოდა დაგვემატებინა ისეთი მარტივად გასაზომი ცვლადები, როგორიცაა სიგარეტის მოწევა და არჩევნებზე სიარულის სიხშირე, რომლებიც ფატალისტურ ტენდენციებთან კავშირის შესასწავლად საინტერესო ცვლადებს წარმოადგენს. თუმცა, ცხადია, ცვლადების შერჩევისას მაქსიმალურად ვითვალისწინებდით კითხვარის დიდ მოცულობას.

დაბოლოს, კვლევის შედეგებმა გვაჩვენა, რომ კარგი იქნებოდა განათლების გასაზომად განათლების საფეხურის გარდა, აღნიშნული საფეხურის წარმატებით დასრულების ცვლადიც შემოგვეტანა (GPA ქულა ან მანამდე არსებული სხვა შეფასების სისტემები).

სამომავლო კვლევის პერსპექტივები

ნაშრომში არაერთხელ გამოვკვეთეთ საკითხები, რომელიც დამატებით კვლევას საჭიროებს. ერთ-ერთი ასეთი საკითხია კულტურული მოდელების სკოლის მეთოდოლოგიით ღმერთის კულტურული მოდელის გამოვლენა. ეს იდეა "ღვთაებრივი კონტროლის" კომპონენტის თვისებრივი მონაცემების დამუშავებისას გაჩნდა. იმავე იდეის განხორციელების საჭიროება "პიროვნული კონტროლის" კომპონენტის შემთხვევაშიც გამოიკვეთა, ოღონდ რაოდენობრივი მონაცემების დამუშავებისას, როცა არაკონსენსურობის მაღალი მაჩვენებელი მივიღეთ.

სამომავლო კვლევის პერსპექტივები იკვეთება არა მხოლოდ სხვადასხვა კულტურული მოდელის (რომელთა არჩევანი მართლაც რომ უსაზღვროა) გამოვლენის მიმართულებით, არამედ ერთი და იმავე მოდელის გამოსავლენად და ვერიფიკაციისთვის კვლევის სხვადასხვა პროცედურის გამოყენების თვალსაზრისითაც. როგორც წინამდებარე ნაშრომში აღინიშნა, კულტურული მოდელების გამოვლენის ეტაპზე შესაძლებელია როგორც დისკურსის ანალიზზე დაფუძნებული მიდგომის, ისე ექსპერიმენტული მეთოდების გამოყენება. ნაშრომში ყურადღება გამახვილდა იმაზეც, რომ კულტურული კონსენსუსის და კულტურული კონსონანსის მონაცემების დაკავშირების ორი გზა არსებობს: 1) მათი ერთსა და იმავე კითხვარში გაერთიანება და დროის შუალედის გარეშე ჩატარება ან 2) ცალ-ცალკე კითხვარებით ერთსა და იმავე შერჩევაზე გარკვეული დროის ინტერვალით მონაცემთა შეკრება. ჩვენს კვლევაში პირველი ვარიანტი განხორციელდა, ანუ რესპონდენტები დროის ერთსა და იმავე პერიოდში აფასებდნენ (ერთმანეთს უპირისპირებდნენ) კულტურულ და საკუთარ ხედვას. საინტერესო იქნებოდა, მეორე ვარიანტის განხორციელებაც, როცა რესპონდენტი ხელოვნურად არ იქნებოდა ჩაყენებული ასეთი დაპირისპირების პირობებში და დროის შუალედის შემდეგ ნაკლებად ემახსოვრებოდა რა პასუხები დააფიქსირა კვლევის პირველ ტალღაში (ანუ, კულტურა დონის პასუხების შევსებისას).

გარდა ამისა, საჭიროა კულტურული კონსენსუსის ბლოკის გარეშე და პიროვნული კონტროლის შესახებ დებულებების გამოცხრილვით ფატალიზმის შესახებ კონსონანსის

სკალით ახალ შერჩევებზე კვლევების გაგრძელება სკალის ფსიქომეტრული მახასიათებლის (მათ შორის, სკალის ფაქტორული სტრუქტურის[121]) შესამოწმებლად.

რაც შეეხება სამომავლო კვლევების სხვა ცვლადებით გამდიდრებას, უნდა აღინიშნოს, რომ კულტურული კონსონანსის თეორიის შესაძლებლობებმა გზა გაუხსნა მრავალი საჭირბოროტო საკითხის შესწავლას, რომელთა შორისაც ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინოა კულტურასთან ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის კავშირი (Kagawa Singer et al., 2016). კონსონანსის თეორიის ავტორი ეყრდნობა სალუტოგენეზისის მოდელს[122], რომელიც მოიაზრებს ფოკუსირებას არა დაავადების გამომწვევ მიზეზებზე (როგორც ეს პათოგენეზისის მოდელშია), არამედ ადამიანის ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის ხელშემწყობ ფაქტორებზე. შესაბამისად, სალუტოგენეტიკური მოდელი ჯანმრთელობას, სტრესსა და დაძლევის მექანიზმებს შორის კავშირებს შეისწავლის. ამგვარი შესწავლის ნიმუშია კვლევა, რომელიც მიეძღვნა ფსიქოლოგიურ დისტრესთან კულტურული კომპეტენციისა და კულტურული კონსონანსის კავშირის შესწავლას. ამ კვლევის თანახმად, კულტურული მოდელის ცოდნა (კულტურული კომპეტენცია) მნიშვნელოვნად ამცირებს ფსიქოლოგიური დისტრესს, მაგრამ კიდევ უფრო ძლიერია კულტურული კონსონანსის ეფექტი - როცა კულტურული მოდელის რეალიზება პრაქტიკაში/ქცევაში რეალურად ხდება (Dressler, Balieiro & Santos, 2018). აღნიშნული შედეგები ნაშრომში არაერთხელ ნახსენებ, კულტურის ადაპტაციური ფუნქციის ემპირიულ ვერიფიკაციას წარმოადგენს.

---

[121] ფატალიზმის შესახებ კონსონანსის სკალის ფაქტორული სტრუქტურის დასადგენად მიზანშეწონილია ახალ შერჩევაზე ჩატარდეს კვლევა. წინამდებარე კვლევაში რესპონდენტებს საკუთარ პოზიციასთან ერთად ქართველების პოზიციიდანაც უწევდათ დებულებების შეფასება, რაც გავლენას იქონიებდა მათ პასუხებზე. ასევე, როგორც აღინიშნა, პირველადი ანალიზის საფუძველზე პიროვნული კონტროლის აღმწერი დებულებების გაცხრილვის შედეგად პიროვნული კონტროლის ცალკე სუბსკალად ფორმირებისთვის საკმარისი დებულება არ დარჩა. შესაბამისად, საჭიროა პიროვნული კონტროლის დარჩენილი დებულებებიც ამოვიღოთ სკალიდან და რესპონდენტთა ახალი შერჩევის ფარგლებში მიღებულ მონაცემებზე ჩატარდეს ახსნითი (Exploratory) და დამადასტურებელი (Confirmatory) ფაქტორული ანალიზი.
თუმცა, პირველადი ტენდენციების გამოსაკვეთად მაინც გამოვიყენეთ არსებული კვლევის მონაცემები და ჩავატარეთ ახსნითი ფაქტორული ანალიზი (Exploratory Factor Analysis). ფაქტორული ანალიზი ჩატარდა პიროვნული კონტროლის აღმწერი დებულებების გარეშე. შედეგები იხილეთ დანართი №6

[122] შეიმუშავა სამედიცინო სოციოლოგმა, აარონ ანტონოვსკიმ. სიტყვა სალუტოგენეზი მომდინარეობს ლათინური salus = ჯანმრთელობა და ბერძნული– genesis =წარმოშობა

დაბოლოს, აღსანიშნავია, რომ „კულტურული მოდელები → კულტურული კონსენსუსი→კულტურული კონსონანსის“ მეთოდოლოგიური ჯაჭვით განხორციელებულ ბოლოდროინდელ კვლევებში, კოსენსუსის დონის გაზომვასთან ერთად, საგანგებო ყურადღება ეთმობა ინტრაკულტურული ვარიაციის გაზომვასაც, სახელდობრ, გაზიარებული მოდელიდან სისტემური გადახრის შედეგად მიღებული სუბკულტურული პატერნების მოხელთებას შესაბამისი მეთოდით, რომელიც ნაშთების თანხმობის (Residual Agreement) სახელწოდებითაა ცნობილი (Dressler, 2018, 2019). როგორც დრესლერი აღნიშნავს, კულტურული კომპეტენციის და კულტურული კონსონანსის მაჩვენებლებთან ერთად, ნაშთების თანხმობის მაჩვენებლები კულტურული მნიშვნელობების სივრცის უფრო სრულყოფილ სურათს წარმოგვიდგენს.

ცხადია, ემპირიული ემპირიულ მეთოდების განვითარებას არ უნდა ჩამორჩეს საკითხების თეორიული დამუშავების დონე[123]. მაგალითად, კულტურული მნიშვნელობების სივრცეში ნაშთების თანხმობის (Residual Agreement) კომპონენტის დაშვება, ანუ განსხვავებული მოდელების არსებობაზე ხაზგასმა და მათ საფუძველზე ქცევის განსაზღვრის საკითხი, კულტურისა და ქცევის მიმართების ფუნდამენტურ თეორიულ პრობლემაში ახალ პლასტს აჩენს.

ერთმანეთის საწინააღმდეგო ფსიქიკური წარმონაქმნების შემთხვევაში ქცევის აღძვრის საკითხი დიდი ხანია კოგნიტური დისონანსის თეორიის შესწავლის საგანია. შესაბამისად, ამ კონტექსტში აქტუალური ხდება აღნიშნული თეორიის დამუშავება. დამატებით, ხაზი უნდა გაესვას კოგნიტური დისონანსის კონსტრუქტის მიმართ კულტურული ფსიქოლოგების ინტერესს და ასევე, ამ მიმართულებით საკითხის დამუშავების კარგ ასპარეზს ქმნის განწყობის ფსიქოლოგიაც.

ცხადია, კოგნიტური დისონანსი არ არის ის ერთადერთი საკითხი, რომელიც დამატებით თეორიულ დამუშავებას მოითხოვს. წინამდებარე ნაშრომში კულტურული კომპეტენციის და კულტურული კონსონანსის დონეების გამიჯვნამ კიდევ ერთხელ

---

[123] ფსიქოლოგიური მეცნიერების შესახებ იან ვალსინერი (2017) აღნიშნავს, რომ ესაა მეცნიერება, რომელიც განადიდებს მეთოდებს და ნაკლებად მნიშვნელოვნად წარმოაჩენს თეორიას. ასეთი მიდგომის თავიდან არიდება კი ნებისმიერი სამეცნიერო სფეროს ამოცანა უნდა იყოს.

ცხადყო, რომ საგანგებო ყურადღება უნდა დაეთმოს კოგნიტურ დისონანსთან მჭიდროდ დაკავშირებულ, მაგრამ გაცილებით უფრო ფუნდამენტურ საკითხს, როგორიცაა ინტერნალიზაციის პროცესი. ამ შემთხვევაშიც საჭიროა ანთროპოლოგიასა და ფსიქოლოგიის სხვადასხვა მიმართულებაში არსებული ცოდნის სინთეზი.

5.9. სადისერტაციო ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული ღირებულება

ნაშრომს აქვს როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული ღირებულება.

თეორიული ღირებულება ორი მიმართულებით იკვეთება: 1. ნაშრომში თანამედროვე ფსიქოანათროპოლოგიური პრობლემების კონტექსტში სისტემატიზებულია კულტურის თეორიის წამყვანი სამეცნიერო პრობლემატიკა და ამ ბაზაზე განსაზღვრულია მათი შემდგომი დამუშავებისთვის ანთროპოლოგიური და ფსიქოლოგიური მეცნიერებების ურთიერთთანამშრომლობის როლი და არეალი; 2. თანამედროვე ეტაპზე ძალზე აქტუალური სამი პრობლემის (ფსიქიკაში კულტურის არსებობის ფორმა, ფსიქიკური წარმონაქმნების სტაბილურობა/ცვალებადობის თანაარსებობის უზრუნველმყოფი მექანიზმები, კულტურისა და ქცევის ურთიერთმიმართება) განხილვაზე დაყრდნობით, ნაშრომში წარმოდგენილია თანამედროვე ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიის კოგნიტივისტური მიმართულების (კულტურული მოდელების სკოლა), სემიოტიკური ორიენტაციის კულტურული ფსიქოლოგიის და ქართული ფსიქოლოგიური სკოლის (განწყობის ფსიქოლოგია) კონცეფციათა შეპირისპირებითი ანალიზის შედეგები და მონიშნულია შემდგომი თეორიული ძიების პერსპექტივები.

რაც შეეხება ნაშრომის პრაქტიკული ღირებულებას, ის იმთავითვე განსაზღვრა კვლევის მიზნად მნიშვნელოვანი პრედიქტორული ძალის მქონე კონსტრუქტის - ფატალიზმის შერჩევამ. როგორც მკვლევრები აღნიშნავენ, ფატალიზმის კონსტრუქტს ძლიერი ამხსნელი შესაძლებლობები გააჩნია სოციალური ცხოვრების მრავალ სფეროში და ადამიანის ქცევის საკმაოდ ფართო სპექტრში - ეკონომიკური კაპიტალის დაბანდება, უმუშევრობის დაძლევა, სამოქალაქო აქტივობა, საარჩევნო ქცევა, ჯანმრთელობასთან

დაკავშირებული ქცევა და ა.შ. შესაბამისად, სადისერტაციო ნაშრომში ინტერდისციპლინურ ფსიქოანთროპოლოგიურ ჭრილში წარმოდგენილი შედეგები ღირებულ ინფორმაციას წარმოადგენს მეცნიერების სხვადასხვა დარგის წარმომადგენელ მკვლევართა ფართო აუდიტორიისთვის, ვინც დაინტერესებულია არა მხოლოდ თავისთავად ფატალისტური რწმენებით, არამედ სოციალური ცხოვრების სხვადასხვა სფეროზე ან, ზოგადად, ადამიანის აქტივობაზე ფატალისტური ორიენტაციების გავლენითაც. გარდა ამისა, ამ კვლევის შედეგთა გათვალისწინება, შესაძლოა, სასარგებლო აღმოჩნდეს სტრატეგიული გეგმების შემუშავებისას სოციალური ცხოვრების სხვადასხვა სფეროში მომუშავე პრაქტიკოსებისთვის.

წარმოდგენილი ნაშრომის პრაქტიკულ ღირებულებას წარმოადგენს ისიც, რომ ის წარმოადგენს პირველ ქართულ კვლევას, რომელიც ეხება ე.წ. აბსტრაქტული ცნებით ასახულ მოვლენას, თუმცა ამგვარი ცნებებით აღნიშნული რეალობები ადამიანის და ადამიანური საზოგადოებების ცხოვრებაში ხშირად გადამწყვეტ როლს ასრულებს. ფატალიზმის მსგავსად, თავისუფლება, სიკეთე, სამართლიანობა და მსგავსი იმ კატეგორიის წარმონაქმნებია, რომლებიც ე.წ. ობიექტური კულტურისა და მენტალურ-ინდივიდუალური ფსიქიკის გადაკვეთაზე ფორმირდება. ამგვარი რთული წარმონაქმნების ურთიერთზეგავლენის შესწავლა თანამედროვე ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიის კვლევა-ძიების ერთ-ერთი უმთავრესი მიზანია. ამ თვალსაზრისით, სადისერტაციო ნაშრომს ფატალიზმის შესახებ გარკვეული წვლილი შეაქვს სოციოკულტურული გარემოსა და ადამიანის ფსიქიკური ფუნქციონირების ურთიერთმიმართების ფუნდამენტური სამეცნიერო პრობლემის შესწავლაში.

წინამდებარე კვლევა, რომელიც ე.წ. კულტურული მოდელების თეორიული ჩარჩოს ფარგლებში განხორციელდა, ბიძგს აძლევს იმ თემათა კულტურული მოდელების შესწავლას, რომელთაც ცენტრალური ადგილი უჭირავს ქართულ კულტურულ ძეგლებში („ვეფხისტყაოსანი“, „დავითიანნი“ „სიბრძნე სიცრუისა“ და ა.შ.) და, გარკვეული თვალსაზრისით, ქართული კულტურის თვითმყოფადობის ამსახველიცაა. თქმა არ უნდა,

რომ მსგავსი კვლევები ხელს უწყობს კულტურის თვითშემეცნებას და ადეკვატური თვითცნობიერების ჩამოყალიბებას.

მეთოდოლოგიური კუთხით პროექტის მეცნიერულ ღირებულებას ზრდის კომბინირებული მეთოდის გამოყენება, რის შესაძლებლობასაც, თანამედროვე ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიის ფარგლებში ე.წ. „რბილი“ და „მკაცრი“ მეთოდების სინთეზის პოტენციალი გვაძლევს. კვლევაში გამოყენებული მეთოდები (კულტურული კონსენსუსის და კულტურული კონსონანსის მეთოდები) გაამდიდრებს კვლევის მეთოდებისა და მონაცემთა ანალიზის კურსის სილაბუსებს.

დაბოლოს, სადისერტაციო ნაშრომის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრაქტიკული ღირებულება ემიკური ინსტრუმენტის კონსტრუირების მეთოდოლოგიის შემოთავაზებაცაა, რომელიც, როგორც ანთროპოლოგებს, ისე ფსიქოლოგებს საშუალებას მისცემს საკუთარ კვლევებში გამოჩენილი ანთროპოლოგის, ბრონისლავ მალინოვსკის, ძირითად ანთროპოლოგიურ დირექტივას - „დაინახო სამყარო კულტურის მკვიდრის თვალით“(Malinowski, 1922 cited in Dressler, 2018) - შეასხან ხორცი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Abelson, R. P. (1979). Differences between belief and knowledge systems. Cognitive science, 3(4), 355-366.
2. Lakoff, G., & Johnson, M. (2008). Metaphors we live by. University of Chicago press.
3. Acevado, G. (2008). Islamic fatalism and the clash of civilizations: An appraisal of a contentious and dubious theory. Social Forces, 86(4), pp. 1711-1752. https://doi.org/10.1353/sof.0.0033
4. Acevedo, G. (2005). Turning anomie on its head: fatalism as Durkheim's concealed and multidimensional alienation theory. Sociological Theory, 23(1), pp. 75-85. https://doi.org/10.1111/j.0735-2751.2005.00243.x
5. Afshin Matin-Asgari (2004) Islamic studies and the spirit of Max Weber: a critique of cultural essentialism, Critique: Critical Middle Eastern Studies, 13:3, 293-312, DOI: 10.1080/1066992042000300666
6. Anders, R., & Batchelder, W. H. (2015). Cultural consensus theory for the ordinal data case. Psychometrika, 80(1), 151-181.
7. Anders, R., Alario, F. X., & Batchelder, W. H. (2018). Consensus analysis for populations with latent subgroups: applying multicultural consensus theory and model-based clustering with CCTpack. Cross-Cultural Research, 52(3), 274-308.

8. Atran, S., Medin, D., Ross, N., Lynch, E., Coley, J., Ek, E. U., & Vapnarsky, V. (1999). Folkecology and commons management in the Maya Lowlands. Proceedings of the National Academy of Sciences, 96(13), 7598-7603.
9. Barrett, J., & Keil, F. (1996). Conceptualizing a nonnatural entity: Anthropomorphism in God concepts. Cognitive Psychology, 31, pp. 219–247. DOI: 10.1006/cogp.1996.0017
10. Bennardo, G., & Munck, V. C. D. (2014). Cultural models: Genesis, methods, and experiences. Oxford: Oxford University Press.
11. Bernard, T., Dercon, S., & Taffesse, A. (2011). Beyond fatalism-an empirical exploration of self-efficacy and aspirations failure in Ethiopia.
12. Blount, B. G. (2011). A history of cognitive anthropology. In D. B. Kronenfeld, G. Bennardo, V. De Munck, & M. Fischer, A companion to cognitive anthropology (pp. 11-29). Chichester: Wiley-Blackwell.
13. Boster, J. S. 1986. Exchange of varieties and information between aguaruna manioc cultivators. American Anthropologist 88:428–36.
14. Boster, J., and J. C. Johnson. 1989. Form or function—A comparison of expert and novice judgments of similarity among fish. American Anthropologist 91:866–89.
15. Branco, A., & Valsiner, J. (2010). Towards cultural psychology of affective processes: Semiotic regulation of dynamic fields. Estudios de Psicología, 31(3), pp. 243-251.
16. Bruner, J. (1996). Foreword. In B. Shore, Culture in Mind: Cognition, Culture, and the. Problem of Meaning. New York: Oxford University Press.
17. Cabell, K. R., & Valsiner, J. (2011). Affective Hypergeneralization: Learning from Psychoanalysis. In S. Salvatore, & T. Zittoun, Cultural psychology and psychoanalysis: Pathways to synthesis (pp. 87–113). Information Age Publishing.
18. Campbell, D. T., & Fiske, D. W. (1959). Convergent and discriminant validation by the multitrait-multimethod matrix. Psychological bulletin, 56(2), 81.
19. Chen, N., & Young, M. (2018). The Relationship Between Belief in Stable Luck and a Propensity for Superstition: The Influence of Culturally Conferred Agency Beliefs. Journal of Cross-Cultural Psychology, 49(7), pp. 1098-1113. https://doi.org/10.1177/0022022118777296
20. Chkhaidze, T., Chubinidze, D., & Gegenava, E. (2019). Fatalism–Georgian Cultural Model. Prizren Social Science Journal, 3(3), 41-52.
21. Chkhaidze, T., & Surmanidze, L. (2019). Culture and Individual Action: Rebuilding the Broken Dialog between Anthropology and Psychology. Human Arenas, 3(3), 421-434.
22. Cidade, E. C., Moura Jr, J. F., Nepomuceno, B. B., Ximenes, V. M., & Sarriera, J. C. (2016). Poverty and fatalism: Impacts on the community dynamics and on hope in Brazilian residents. Journal of prevention & intervention in the community, 44(1), 51-62.
23. Cortina, J. M. (1993). What is coefficient alpha? An examination of theory and applications. Journal of applied psychology, 78(1), 98.
24. D'Orlando, F., Ferrante, F., & Ruiu, G. (2011). Culturally based beliefs and labor market institutions. The Journal of Socio-Economics, 40(2), 150-162.
25. Dalgleish, T., & Power, M. (2015). Cognition and Emotion: From Order to Disorder. Psychology press.
26. D'Andrade, R. (1992). Schemas and motivation. In R. D'Andrade , & C. Strauss , Human motives and cultural models (pp. 23–44). Cambridge University Press.

27. D'Andrade, R. (1995). The Development of Cognitive Anthropology. New York: Cambridge University Press.
28. Dengah, H. F. (2017). Religion as cultural models: Developing an emic measure of religiosity. Journal for the Scientific Study of Religion, 56(1), 104-125.
29. Dressler, W. W. (2018). Culture and the individual: Theory and method of cultural consonance. Routledge.
30. Dressler, W. W. (2020). Cultural consensus and cultural consonance: Advancing a cognitive theory of culture. Field Methods, 32(4), 383-398.
31. Dressler, W. W., Borges, C. D., Balieiro, M. C., & Dos Santos, J. E. (2005). Measuring cultural consonance: Examples with special reference to measurement theory in anthropology. Field methods, 17(4), 331-355.
32. Dressler, W. W., M. Balieiro, and J. E. dos Santos. (1997). The cultural constructionof social support in Brazil: Associations with health outcomes. Culture, Medicine and Psychiatry 21:303–35.
33. Dressler, W. W., M. C. Balieiro, and J. E. dos Santos. (1998). Culture, socioeconomic status, and physical and mental health in Brazil. Medical Anthropology Quarterly 12:424–46.
34. Dressler, W. W., M. C. Balieiro, and J. E. dos Santos. (1999). Culture, skin color, and arterial blood pressure in Brazil. American Journal of Human Biology 11:49–59
35. Dressler, William W. and James R. Bindon. (2000) The health consequences of cultural consonance: cultural dimensions of lifestyle, social support and arterial blood pressure in an African American community. American Anthropologist 102: 244-260.
36. Dressler, William W., Mauro C. Balieiro, and José Ernesto dos Santos. (2019) Agency, cultural consonance, and depressive symptoms: A Brazilian example. Ethos 47: 148-167.
37. Dressler, William W., Mauro C. Balieiro, and José Ernesto dos Santos. (2018) What you know, what you do, and how you feel: Cultural competence, cultural consonance, and psychological distress. Frontiers in Psychology 8: 2355. doi: 10.3389/fpsyg.2017.02355
38. Dressler, William W., Mauro C. Balieiro, and José Ernesto dos Santos. (2017) Cultural consonance in life goals and depressive symptoms in urban Brazil. Journal of Anthropological Research 73: 43-65.
39. Dressler, William W., Mauro C. Balieiro, Rosane P. Ribeiro, and José Ernesto Dos Santos. (2007) Cultural consonance and psychological distress: Examining the associations in multiple cultural domains. Culture, Medicine and Psychiatry 31: 195-224
40. Durkheim, E. (2005). Suicide: a study in sociology [1897]. Translated by JA Spaulding and G. Simpson (Glencoe, Illinois: The Free Press, 1951; This edition published in the Taylor & Francis e-Library, 2005)
41. Ember, C. R., & Ember, M. (2009). Cross-cultural research methods (2nd ed.). Lanham, MD:AltaMira Press
42. Esparza Del Villar, O. A., Maercker, A., Ben-Ezrea, M., & Augsburger, M. (2019). Fatalism as a traditional cultural belief potentially relevant to trauma sequelae: Measurement equivalence, extent and associations in six countries. Instituto de Ciencias Sociales y Administración.
43. Esparza, O., Wiebe, J., & Quiñones, J. (2015). Simultaneous development of a multidimensional fatalism measure in English and Spanish. Current Psychology 34(4), pp. 597-612. https://doi.org/10.1007/s12144-014-9272-z
44. Essays on the History of Georgia, eleventh volume. (1974). Tbilisi.

45. Faiciuc, L. (2009). The dynamics of the mental representations in the deductive reasoning processes.
46. Fatalism. (2019). In Lexico dictionary. Retrieved from https://www.lexico.com/en/definition/fatalism
47. Fortes, M. (2018). Oedipus and Job in West African religion: The 1956 Frazer Lecture. HAU: Journal of Ethnographic Theory, 8(1-2), pp. 394-413. https://doi.org/10.1086/698432
48. Freedman, S. A. (1992). Sex, Gender and Locus of Control in College Students.
49. Gammeltoft, T. M., & Segal, L. B. (2016). Anthropology and psychoanalysis: Explorations at the edges of culture and consciousness. Ethos, 44(4), 399-410.
50. Gamsakhurdia, V. L. (2019). Making Identity, Proculturation In-between Georgianness and Westernness. Human Arenas, pp. 1-22.
51. Gatewood, J. B. (2012). Cultural models, consensus analysis, and the social organization of knowledge. Topics in cognitive science, 4(3), pp. 362-371.
52. Goodwin, R., & Allen, P. (2000). Democracy and Fatalism in the Former Soviet Union 1. Journal of Applied Social Psychology, 30(12), pp. 2558-2574. https://doi.org/10.1111/j.1559-1816.2000.tb02450.x
53. Goodwin, R., Allen, P., Nizharadze, G., Emelyanova, T., Dedkova, N., Saenko, Y., & Bugrova, I. (2002). Fatalism, social support, and mental health in four former Soviet cultures. Personality and Social Psychology Bulletin, 28(9), pp. 1166-1171. https://doi.org/10.1177/01461672022812002
54. Guimarães, D. (2019). Towards a cultural revision of psychological concepts. Culture & Psychology 25(2), pp. 135–145. https://doi.org/10.1177/1354067X18820632
55. Hannerz, U. (1992). Cultural complexity: Studies in the social organization of meaning. Columbia University Press.
56. Hickman,J. R. (2010). Psychology and Anthropology. 21st Century Anthropology. A Reference Handbook. Vol. 2.
57. Ho, D. Y. (1998). Indigenous psychologies: Asian perspectives. Journal of cross-cultural psychology, 29(1), 88-103.
58. Ho, D. Y. F. (1988). Asian psychology: A dialogue on indigenization and beyond. In A. C. Paranjpe, D. Y. F. Ho, & R. W. Rieber (Eds.), Asian contributions to psychology (p. 54–77). Praeger Publishers.
59. Holland, D., & Quinn, N. (1987). Cultural models in language and thought. Cambridge University Press.
60. Huang, Y., Bedford, O., & Zhang, Y. (2018). The relational orientation framework for examining culture in Chinese societies. Culture & Psychology, 24(4), pp. 477–490. https://doi.org/10.1177/1354067X17729362
61. Hui, C. C. H. (1982). Locus of control: A review of cross-cultural research. International Journal of Intercultural Relations, 6(3), 301-323.
62. Josephs, I. E., & Valsiner, J. (1998). How does autodialogue work? Miracles of meaning maintenance and circumvention strategies. Social Psychology Quarterly, 61 (1) 68-83.
63. Josephs, I. E., & Valsiner, J., & Surgan, S.E. (1999). The process of meaning construction. In J. Brandtstadter, J., & Lerner, R. M. (Eds.). *Action and self-development* (pp. 257-282). Thousand Oaks, Ca.: Sage
64. Kapp, K. (1963). Hindu culture, economic development and social planning in India. Asia Publishing House.

65. Kihlstrom, J. F. (1990). The psychological unconscious. In L. A. Pervin, & O. P. John, Handbook of personality. Theory and research (pp. 424-442). Guilford Press.
66. Kihlstrom, J. F. (2015). Dynamic versus Cognitive Unconscious. In R. L. Cautin, & S. Lilienfeld, The Encyclopedia of Clinical Psychology. JohnWiley & Sons, Inc.
67. Kristesashvili, J., Surmanidze, L., Tsuladze, L., Shengelia, L., & Zardiashvili, P. (2009). Adolescent reproductive healt survey in Georgia (Reproductive health initiative for youth in the south caucasus). Tbilisi: UNFPA.
68. Kroeber, A. L., & Kluckhohn, C. (1952). Culture: A critical review of concepts and definitions. Papers. Peabody Museum of Archaeology & Ethnology, Harvard University.
69. Lakoff, G., & Johnson, M. (1980). Metaphors we live by. University of Chicago press. Chicago, IL.
70. Lu, L. (2012). Etic or emic? Measuring culture in international business research. International Business Research, 5(5), p. 109. https://doi:10.5539/ibr.v5n5p109
71. Lyratzopoulos, G., Liu, M. P. H., Abel, G. A., Wardle, J., & Keating, N. L. (2015). The association between fatalistic beliefs and late stage at diagnosis of lung and colorectal cancer. Cancer Epidemiology and Prevention Biomarkers, 24(4), 720-726.
72. Malinowski, B. (1922). Ethnology and the Study of Society. Economica, (6), 208-219.
73. Markova, I. (2017). Case studies and dialogicality. Journal of Deafblind Studies on Communication, 3(1).
74. Marková, I. (2017). Case studies and dialogicality. Journal of Deafblind Studies on Communication, 3(1).
75. Marková, I., & Marková, I. (2003). Dialogicality and social representations: The dynamics of mind. Cambridge University Press.
76. Markus, H. R., & Kitayama, S. (2003). Models of agency: Sociocultural diversity in the construction of action. In V. Murphy-Berman & J. J. Berman (Eds.), Vol. 49 of the Nebraska symposium on motivation. Cross-cultural differences in perspectives on the self (p. 18–74). University of Nebraska Press.
77. Mattingly, C., Lutkehaus, N., & Throop, C. (2008). Bruner's Search for Meaning: A Conversation between Psychology and Anthropology. Ethos, 36(1), pp. 1–28.
78. Menon, T., Morris, M., Chiu, C., & Hong, Y. (1999). Culture and the construal of agency: Attribution to individual versus group dispositions. Journal of personality and social psychology, 76(5), pp. 701-717. DOI: 10.1037/0022-3514.76.5.701
79. Morris, M., Menon, T., & Ames, D. (2001). Culturally conferred conceptions of agency: A key to social perception of persons, groups, and other actors. Personality and Social Psychology Review, 5(2), pp. 169-182. https://doi.org/10.1207/S15327957PSPR0502_7
80. Moscovici, S. (2001). Social representations: Essays in social psychology. NYU Press.
81. Nadareishvili, V., & Chkheidze, T. (2015). Legal culture and legal consciousness in terms of set and attitude. European Scientific Journal.
82. Norenzayan, A., & Lee, A. (2010). It was meant to happen: explaining cultural variations in fate attributions. Journal of personality and social psychology, 98(5), p. 702. DOI: 10.1037/a0019141
83. Nuttin, J., Lorion, R. P., & Dumas, J. E. (1984). Motivation, planning, and action: A relational theory of behavior dynamics. Leuven University Press.
84. Ogunleye, L. I., Oyejola, B. A., & Obisesan, K. O. (2018). Comparison of some common tests for normality. Int. J. Probab. Stat, 7, 130-137.

85. Omi, Y. (2012). Collectivistic individualism: Transcending a traditional opposition. Culture & Psychology 18(3), pp. 403–416. https://doi.org/10.1177/1354067X12446232
86. Oravecz, Z., Vandekerckhove, J., & Batchelder, W. H. (2014). Bayesian cultural consensus theory. Field Methods, 26(3), 207-222.
87. Pelto, P. J., & Pelto, G. H. (1975). Intra-cultural diversity: Some theoretical issues. American Ethnologist, 2 (1), 1–18.
88. Pew Research Center (May 10, 2017). Religious Belief and National Belonging in Central and Eastern Europe [Report]. Retrieved from http://assets.pewresearch.org/wp-content/uploads/sites/11/2017/05/15120244/CEUP-FULL-REPORT.pdf.
89. Port, R. F., & Gelder, T. (1995). Mind as motion: Explorations in the dynamics of cognition. MIT press.
90. Post, M. W. (2016). What to do with "moderate" reliability and validity coefficients?. Archives of physical medicine and rehabilitation, 97(7), 1051-1052
91. Power, M., & Brewin, C. (1991). From Freud to cognitive science: A contemporary account of the unconscious. British Journal of Clinical Psychology, 30(4), pp. 289-310.
92. Quinn, N. (2005). Finding culture in talk: A collection of methods. New York: Palgrave Macmillan.
93. Quinn, N. (2011). The History of the Cultural Models School Reconsidered: A Paradigm Shift in Cognitive Anthropology. In D. B. Kronenfeld, M. Bennardo, V. De Munck, & M. Fischer, A companion to cognitive anthropology (pp. 30-46). Chichester: Wiley-Blackwell.
94. Quinn, N. (Ed.). (2018). Advances in culture theory from psychological anthropology. Springer.
95. Ragupathy, S., Steven, N. G., Maruthakkutti, M., Velusamy, B., & Ul-Huda, M. M. (2008). Consensus of the'Malasars' traditional aboriginal knowledge of medicinal plants in the Velliangiri holy hills, India. Journal of Ethnobiology and Ethnomedicine, 4(1), 1-14.
96. Rashwan, B. (2014). Fatalism in Post-Revolution Egypt (Doctoral dissertation, The Ohio State University).
97. Razali, N. M., & Wah, Y. B. (2011). Power comparisons of shapiro-wilk, kolmogorov-smirnov, lilliefors and anderson-darling tests. Journal of statistical modeling and analytics, 2(1), 21-33
98. Read-Wahidi, M. R., and J. A. DeCaro. 2017. Guadalupan devotion as a moderator of psychosocial stress among Mexican Immigrants in the rural southern United States. Medical Anthropology Quarterly 31:572–91
99. Romney, A. K., Weller, S. C., & Batchelder, W. H. (1986). Culture as consensus: A theory of culture and informant accuracy. American anthropologist, 88(2), 313-338.
100. Romney, A., Batchelder, W., & Weller, S. (1987). Recent applications of cultural consensus theory. American Behavioral Scientist, 31(2), pp. 163-177. https://doi.org/10.1177/000276487031002003
101. Rotter, J. B. (1966). Generalized expectancies for internal versus external control of reinforcement. Psychological monographs: General and applied, 80(1), 1.
102. Rotter, J. B. (1975). Some problems and misconceptions related to the construct of internal versus external control of reinforcement. Journal of consulting and clinical psychology, 43(1), 56.
103. Rotter, J. B. (1990). Internal versus external control of reinforcement: A case history of a variable. American psychologist, 45(4), 489.
104. Ruiu, G. (2012). Is fatalism a cultural belief? An empirical analysis on the origin of fatalistic tendencies. https://mpra.ub.uni-muenchen.de/41705/

105. Ruiu, G. (2013). The origin of fatalistic tendencies: An empirical investigation. Economics & Sociology, 6(2), pp. 103-125. DOI:10.14254/2071-789X.2013/6-2/10
106. Salvatore, S., & Zittoun, T. (2011). Outlines of psychoanalytically informed cultural psychology. In S. Salvatore, & T. Zittoun, Cultural psychology and psychoanalysis: Pathways to synthesis. (pp. 3–46). Information Age Publishing.
107. Schrauf, R. W., & Iris, M. (2011). Using consensus analysis to investigate cultural models of Alzheimer's disease. A Companion to Cognitive Anthropology, Blackwell Publishing Limited, Oxford, 548-568.
108. Sewell Jr, W. H. (2005). The concept (s) of culture. Practicing history: New directions in historical writing after the linguistic turn, 76-95
109. Shafto, P., & Coley, J. D. (2003). Development of categorization and reasoning in the natural world: Novices to experts, naive similarity to ecological knowledge. Journal of Experimental Psychology: Learning, Memory, and Cognition, 29(4), 641–649.
110. Shapiro, J., & Wu, S. (2011). Fatalism and savings. The Journal of Socio-Economics, 40(5), 645-651.
111. Sherman, A. C., Higgs, G. E., & Williams, R. L. (1997). Gender differences in the locus of control construct. Psychology and Health, 12(2), 239-248.
112. Shore, B. (1996). Culture in Mind: Cognition, Culture, and the. Problem of Meaning. New York: Oxford University Press.
113. Shweder, R., & Miller, J. (1991). The social construction of the person: How is it possible? In R. A. (Ed.), Thinking through cultures: Expeditions in cultural psychology (pp. 156–195). Cambridge, MA: Harvard University Press.
114. Spickard, J. V. (1998). Ethnocentrism, social theory and non-Western sociologies of religion: toward a Confucian alternative. International Sociology, 13(2), 173-194.
115. Spiro, M. E., Killborne, B., & Langness, L. L. L. (Eds.). (1987). Culture and human nature. Transaction Publishers.
116. Straughan, P. T., & Seow, A. (1998). Fatalism reconceptualized: a concept to predict health screening behavior. Journal of Gender, Culture and Health, 3(2), 85-100.
117. Strauss, C. (2018). The complexity of culture in persons. In Advances in culture theory from psychological anthropology (pp. 109-138). Palgrave Macmillan, Cham.
118. Strauss, C., & Quinn, N. (1997). A Cognitive Theory of Cultural Meaning. Cambridge: Cambridge University Press.
119. Surmanidze, L. (2000). Some Orientations of the Georgian Culture. Tbilisi: International. Center for Women s Education and Information. pp. 1-35.
120. Surmanidze, L., & Tsuladze, L. (2008). The formation of nation-state and cultural indentity: A Georgian perspective. IBSU Scientific Journal (IBSUSJ), 2(2), 86-102.
121. Surmanidze, L., & Tsuladze, L. (2010). Georgians' Perception of Mental Concepts in the Context of Value of Family. Moldoscopie (Probleme De Analiza Politica), N 1 (XLVIII), 119-127
122. Tateo, L. (2018). Affective semiosis and affective logic. New Ideas in Psychology, 48, pp. 1-11.
123. Tripathi, R., & Leviatan, U. (2003). Individualism and collectivism: In search of a product or process? Culture & Psychology, 9(1), pp. 79–88. DOI: 10.1177/1354067X03009001005
124. Valsiner, J. (1991). Construction of the Mental: From theCognitive Revolution'to the Study of Development. Theory & Psychology, 1(4), pp. 477-494.

125. Valsiner, J. (2001). Process structure of semiotic mediation in human development. Human Development, 44(2-3), pp. 84-97.
126. Valsiner, J. (2003). Beyond social representations: A theory of enablement. Papers on social representations, 12, pp. 7.1-7.16.
127. Valsiner, J. (2007). Culture in Minds and Societies: Foundations of Cultural Psychology. Sage.
128. Valsiner, J. (2013). Cultural psychology. In The Encyclopedia of Cross-Cultural Psychology (pp. 319-327).
129. Valsiner, J. (2014). Invitation to Cultural Psychology. Sage.
130. Valsiner, J. (2019). Culture & Psychology: 25 Constructive years. Culture & Psychology, 25(4), pp. 429-469. https://doi.org/10.1177/1354067X19872358
131. Valsiner, J., & Rosa, A. (Eds.). (2007). The Cambridge handbook of sociocultural psychology. Cambridge University Press.
132. Wagoner, B. (2009). The experimental methodology of constructive microgenesis. In Dynamic process methodology in the social and developmental sciences (pp. 99-121). Springer, New York, NY.
133. Weber, M. (1905). The Protestant Ethic and the Spirit of Capitalism.
134. Weller, (2007). Cultural Consensus Theory: Applications and Frequently Asked Questions. 19; 339 Field Methods
135. Westen, D. (2001). Beyond the Binary Opposition in Psychological Anthropology: Integrating Contemporary Psychoanalysis and Cognitive Science. In C. C. Moore, & H. Mathews, The Psychology of Cultural Experience (pp. 21-47). Cambridge: Cambridge University Press.
136. Yamaguchi, S. (2001). Culture and control orientations. In D. Matsumoto , The handbook of culture and psychology (pp. 223-243).
137. Yap, B. W., & Sim, C. H. (2011). Comparisons of various types of normality tests. Journal of Statistical Computation and Simulation, 81(12), 2141-2155.
138. Young, M., Chen, N., & Morris, M. (2009). Belief in stable and fleeting luck and achievement motivation. Personality and Individual Differences, 47(2), pp. 150-154. DOI: 10.1016/j.paid.2009.02.009
139. Young, M., Morris, M., Burrus, J., Krishnan, L., & Regmi, M. (2011). Deity and destiny: Patterns of fatalistic thinking in Christian and Hindu cultures. Journal of Cross-Cultural Psychology, 42(6), pp. 1030-1053. https://doi.org/10.1177/0022022110381123
140. აბაკელია, ნ. (1997). სიმბოლო და რიტუალი ქართულ კულტურაში [Symbol and Ritual in Georgian Culture]. ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი. თბილისი.
141. ბასიალაია, მ. (2008). ეთნოსები საქართველოში [Ethnic groups in Georgia]. საქართველოს სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრი. თბილისი.
142. გამსახურდია, ლ. (2016). ქართველთა ეთნიკური იდენტობის ასპექტებისა და სტრუქტურის კვლევა მოდერნულ კონტექსტში. დისერტაცია. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბილისი.
143. იმედაძე, ი. (2008). ფსიქოლოგიის ისტორია.გამომც. „მწიგნობარი“
144. იმედაძე, ი. (2020). თბილისის არაცნობიერის სიმპოზიუმი - მცირე რეტროსპექტივა. ქართული ფსიქოლოგიური ჟურნალი, 2 (1). ISSN 2667–9027. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

145. კაჭკაჭიშვილი, ი., ნიჟარაძე, გ., მატარაძე, თ., შუბითიძე, გ., (2013): შრომის კულტურა და რელიგიური დისკურსი საქართველოს სხვადასხვა თემში. თბილისი, ინტელექტი
146. ლორთქიფანიძე ნ., (2000) შელოცვა რადიოთი, ქართველი მწერლები-ნიკო ლორთქიფანიძე, თბილისი.
147. ლორთქიფანიძე, მ., მეტრეველი, რ., აფაქიძე, ა., მუსხელიშვილი, დ., (2012) საქართველოს ისტორიის ოთხტომეული. პალიტრა L. თბილისი.
148. ნადარეიშვილი, ვ. (2009). მოსალოდნელი ღირებულების კონცეფცია და განწყობა. „ფსიქოლოგია“, შრომები, ტ. XXI, თბ.
149. ნადარეიშვილი, ვ. (2010). პიროვნება და ნორმატიული ქცევა. სამეცნიერო კრებული ”ფსიქოლოგია”. შრომები ტ. XXII თბ.
150. ნადარეიშვილი, ვ. (2013). განწყობა და ნებელობა პიროვნების აქტივობაში. „საქართველოს ფსიქოლოგიის მაცნე“. საერთაშორისო გამოცემა.
151. ნადარეიშვილი, ვ. (2013). განწყობის ფუნქცია ნებელობითი აქტივობის რეგულაციაში
152. ნადარეიშვილი, ვ. (2020). ფიქსირებული და სიტუაციური დისპოზიციური ფსიქიკური წარმონაქმნების მიმართება. ქართული ფსიქოლოგიური ჟურნალი, 2 (1). ISSN 2667–9027. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. 129-156.
153. ნადირაშვილი, შ. (1968). განწყობის ფსიქოლოგია ტ. I. თბილისი: მეცნიერება.
154. ნადირაშვილი, შ. (1985). განწყობის ფსიქოლოგია ტ. II. თბილისი:მეცნიერება.
155. ომიაძე, ს. (2006). ქართული დისკურსის ლინგვოკულტურულ შემადგენელთა სტრუქტურა, სემანტიკა და ფუნქციონირება [The structure, semantics and function of the lingvocultural characteristics of Georgian discourse] (Unpublished doctoral dissertation). არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტი. თბილისი.
156. პაპუაშვილი, ნ., (2002) მსოფლიო რელიგიები საქართველოში. გამომცემლობა: თბილისი
157. რატიანი, ი., ლეთოდიანი, გ., წერედიანი, ა., (2017) ბურჟუა XIX საუკუნის ქართულ დრამატურგიაში; კრებული: ეკონომიკური კონცეპტები ქართულ მხატვრულ პროზაში. XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან XX საუკუნის 20-იან წლებამდე.
158. სახოკია, თ. ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი, გამომცემლობა „მერანი“, თბილისი, 1979.
159. სუმბაძე, ნ., ქიტიაშვილი, ა,. ფირცხალავა, ე., & მაისურაძე, მ. (2012). სოციალური კვლევის მეთოდები: თვით აღწერითი საზომები ფსიქოლოგიაში I. თბილისი: ენპეკი
160. სურმანიძე, ლ. (1998). ქალი ქართულ მენტალიტეტში. თბილისი: UNDP.
161. სურმანიძე, ლ. (2010). კულტურა მეთოდოლოგიურ პერსპექტივაში. თბილისი, უნივერსალი.
162. სურმანიძე, ლ. (2021 ბეჭდვის პროცესში). ფსიქოლოგიური ანთროპოლოგია - სხვა ფლანგიდან დანახული; ქართული ფსიქოლოგიური ჟურნალი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
163. უზნაძე, დ. (1964). შრომები, ტ. III-IV, ზოგადი ფსიქოლოგია, თბილისი.
164. უზნაძე, დ. (1977). შრომები, ტ. VI. განწყობის ფსიქოლოგიის ექსპერიმენტული საფუძვლები. თბილისი.
165. ფარჯანაძე, დ. (2008). მეხსიერების ფსიქოლოგია. თბილისი.
166. ჩუბინიძე, დ. (2018). ქართული ანდაზები და ადაპტაციური ქცევის კულტურული მოდელები [Georgian proverbs and cultural models of adaptive behavior] (Unpublished doctoral dissertation). ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბილისი

167. ჩხაიძე, თ., (2015). კულტურისა და ქცევის მიმართების საკითხები თანამედროვე ფსიქოლოგიურ ანთროპოლოგიაში (სამაგისტრო ნაშრომი)
168. ჯავახიშვილი მ., (2011) ჯაყოს ხიზნები, ჩემი რჩეული, ტ.3, გამომც. პალიტრა, თბილისი.

დანართი №1: თვისებრივ კვლევაში გამოყენებული ინფორმირებული თანხმობის ფორმა და ინტერვიუს გზამკვლევი

სიღრმისეულ ინტერვიუში მონაწილეობის ინფორმირებული თანხმობის ფორმა

გთხოვთ, მონაწილეობა მიიღოთ ფატალისტური შეხედულებების შესახებ კვლევაში. ვარ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამის - „ფსიქოლოგიური ანთროპოლოგია“ (ინტერდისციპლინური) დოქტორანტი. ვაგროვებ ბედის/ბედისწერის შესახებ ქართველების წარმოდგენებს, შეხედულებებს, საინტერესო ისტორიებს. იმისათვის, რომ სრულყოფილად შევძლოთ ამ საკითხის შესწავლა, მნიშვნელოვანია გულწრფელად გაგვიზიაროთ თქვენი შეხედულებები.

1. <u>რისი გაკეთება მოგეთხოვებათ:</u> თუ თანახმა ხართ მონაწილეობა მიიღოთ კვლევაში, პირისპირ ინტერვიუს ფარგლებში უნდა უპასუხოთ შეკითხვებს ქართველებში გავრცელებული მოსაზრებებისა და თქვენი ცხოვრების სხვადასხვა ასპექტის შესახებ. ინტერვიუ გაგრძელდება დაახლოებით 80-100 წუთი.
2. <u>რისკები:</u> კვლევაში მონაწილეობა არ შეიცავს ყოველდღიურ ცხოვრებასთან დაკავშირებული რისკებისგან განსხვავებულ რისკებს. თუმცა, გაითვალისწინეთ, რომ შესაძლოა ზოგიერთმა კითხვამ უსიამოვნების გრძნობა აღძრას თქვენში. გახსოვდეთ, რომ უფლება გაქვთ, არ ისაუბროთ ისეთ თემაზე, რომელზე საუბარიც არ გსურთ.
3. <u>ნებაყოფლობითი მონაწილეობა და კვლევაში მონაწილეობის შეწყვეტა:</u> კვლევაში მონაწილეობა ნებაყოფლობითია. გარდა ამისა, ნებისმიერ დროს შეგიძლიათ, მოითხოვოთ შესვენება ან შეწყვიტოთ ინტერვიუ.
4. <u>კონფიდენციალობა:</u> ინტერვიუს დროს მიღებული ინფორმაციის კონფიდენციალურობა ზედმიწევნით იქნება დაცული. აუდიო ჩანაწერი ტრასკრიპტების შექმნისთანავე განადგურდება. მიღებულ მონაცემებს გამოვიყენებთ სადისერტაციო ნაშრომისა და პუბლიკაციების მოსამზადებლად კონკრეტული მონაწილის შესახებ ინფორმაციის (სახელი/გვარი და სხვა საიდენტიფიკაციო ინფორმაცია) მითითების გარეშე.

ინტერვიუს გზამკვლევი

ინტერვიუს გზამკვლევის დემოგრაფიული ბლოკი:

სქესი; ასაკი ; საცხოვრებელი ადგილი; განათლების დონე; შემოსავალი; რელიგიურობა (1-დან 10-მდე სკალაზე).

1. როგორ ადამიანს უწოდებთ იღბლიან ადამიანს? რა განაპირობებს ადამიანის იღბლიანობას?
2. წარმატებულ ადამიანზე ვინ გახსენდებათ? თქვენი აზრით, რამ განაპირობა მისი წარმატება? თქვენს შემთხვევაშიც ასეა?

   წარუმატებელ ადამიანის შემთხვევაში რას გვეტყოდით? ვის გაიხსენებდით, რამ განაპირობა, თქვენს შემთხვევაში როგორაა..

3. თქვენი აზრით, რატომ წარიმართა თქვენს ცხოვრებაში მოვლენები ისე როგორც ახლაა და არა სხვაგვარად? თქვენი აზრით რა განაპირობებს ამას?
4. ყოფილა თუ არა რაიმე მომენტი თქვენს ცხოვრებაში, რომელზეც გიფიქრიათ, რომ–„რომ არა ეს მომენტი“ თქვენი ცხოვრება სულ სხვანაირი იქნებოდა? როგორ ხსნით ასეთ მომენტებს?
5. გაიხსენეთ შემთხვევა, როცა დასვით კითხვა *რატომ მოხდა ასე* თქვენს ცხოვრებაში? (როგორი იყო თქვენი პასუხი ამ კითხვაზე..)
   ქვემოთ ჩამოთვლილ თითოეულ კითხვას ვუსვამთ იმავე შემთხვევაზე. გქონდათ თუ არა შემდეგი სახის კითხვებიც: (როგორი იყო თქვენი პასუხები)

   მე რატომ დამემართა? მე ვარ ამაზე პასუხისმგებელი? რისი გაკეთება შემეძლო ან შემიძლია?

   რას ამბობს ეს მოვლენა ჩემს პიროვნებაზე/ჩემს ღირსებაზე? რა გავლენა ექნება ამას ჩემს სოციალურ ურთიერთობებზე?

6. როგორ ხსნით სხვადასხვა უბედურ შემთხვევას?*ჩამოვუთვალოთ: ბუნებრივი კატასტროფები, საავტომობილო შემთხვევები, უეცარი სიკვდილი, ომი, ავადმყოფობა, მკვდრადშობა, უშვილობა, მოუსავლიანობადა ა.შ.*
   როგორ ხსნით ასეთ შემთხვევებს როცა მისი მსხვერპლი კარგი პიროვნებაა და მას ცუდი არაფერი ჩაუდენია?
   და თუ ჩაუდენია? რაიმე კონკრეტულ მაგალითს ხომ ვერ გაიხსენებდით?
7. როცა უბედურ შემთხვევაზე იგებთ, მაგალითად, ავტოსაგზაო შემთხვევა, ფიქრობთ თუ არა იმ დღეს მანქანით რომ არ წასულიყო ეს ადამიანი ცოცხალი იქნებოდა?
   ეთანხმებით ფრაზას –რაც მოსახდენია მოხდება?
8. შესაძლებელია თუ არა ბედის მართვა? მაგალითად, უბედური შემთხვევების არიდება? როგორ? (თავიდან არიდების რა სტრატეგიებს მიმართავს, თვითონ უნდა ჩამოთვალოს -მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩამოვუთვლით, თუ თვითონ ვერაფერს ჩამოთვლის –*ლოცვა, მკითხავთან მისვლა, კეთილი საქმის კეთება – კარგად დავაზუსტოთ, მაგალითად, ქველმოქმედება, სხვისი დახმარება რა გავლენას ახდენს..)*
9. გჯერათ თუ არა წინასწარგანსაზღვრულობის? როგორ ხსნით? თუ წინასწარგანსაზღვრულია მოვლენები, შესაძლოა მათ შესახებ წინასწარ შევიტყოთ? რა გზებით? (ჯერ თვითონ ჩამოთვალოს, მერე ჩვენ ვუხსენოთ, სიზმარი, მკითხაობა, ცუდი წინათგრძნობა, თითოეულზე მოგვითხროს...)
10. შესაძლებელია თუ არა გავლენა მოვახდინოთ მოვლენების განვითარებაზე? რაიმე რიტუალი ხომ არ გაქვთ? *შემდეგ ჩვენ ვეკითხებით..*

    - მაგალითად, შევარჩიოთ კარგი მეკვლე (მოგვიყვეს თავისი გამოცდილება მეკვლეს შესახებ, ჰყოლია თუ არა, თვითონ ყოფილა თუ არა, რა სმენია ამ რიტუალზე, მისი დამოკიდებულება როგორია და ა.შ.
    - ე.წ ცუდი თვალის, „დათარსვის“ მიმართ როგორია თქვენი დამოკიდებულება, გჯერათ? თუ გჯერათ, ფიქრობთ თუ არა რომ შესაძლებელია მისი თავიდან არიდება? რა განაპირობებს მსგავს მოვლენებს (ცუდი თვალი, დათარსვა) როგორ ხსნით?
    - ჯადოს მიმართ თქვენი დამოკიდებულება
    - წყევლის მიმართ თქვენი დამოკიდებულება.

11. რას ნიშნავს ფრაზა „კარგი ბედი აქვს“? რა განაპირობებს? (თვითონ ჩამოთვალოს. თუ ვერ ჩამოთვლის – დამაზუსტებელი კითხვები: პიროვნებაზეა დამოკიდებული? წინაპრებზე? და ა.შ.
12. თქვენი აზრთ, რას გულისხმობენ (ან რაში გამოიხატება), როცა ამბობენ - „ადამიანს ცუდი ბედი აქვს“?
13. ასტროლოგიასთან დაკავშირებით რას გვეტყვით..გჯერათ? ეცნობით?

14. გიფიქრიათ თუ არა საცხოვრებელი გარემოს უსაფრთხოებაზე? სამუშაო გარემოს უსაფრთხოებაზე? გიზრუნიათ უსაფრთხოების ზრდაზე? დაზღვევის პოლიტიკის მიმართ როგორია თქვენი დამოკიდებულება? დაგიზღვევიათ კერძო საკუთრება? ჯანმრთელობა?
15. წინასწარ გეგმავთ თუ არა ცხოვრებას?ფინანსურადაც თუ გეგმავთ? ზოგავთ თუ არა ფულს? აგიღიათ სესხი? სხვისთვის თუ გისესხებიათ? თქვენი აზრით რაზეა დამოკიდებული ჩამოთვლილი ფინანსური ოპერაციების წარმატება?
16. გამართლებულია თუ არა ცხოვრებაში რისკის გაწევა? ფულის დაბანდება, ახალი საქმის წამოწყება და ა.შ. ამ საქმეებში გამართლება რაზეა დამოკიდებული?
17. შესაძლებელია თუ არა ქვემოთ ჩამოთვლილ სფეროებში ცვლილებები? როგორ?
    - ჯანმრთელობის მდგომარეობის (ჯანსაღი ცხოვრების წესით, ვარჯიშით, მავნე ჩვევებზე უარის თქმით, ექიმთან კონსულტაციებით, სკრინინგით, კონტრაცეფტივების გამოყენებით..)
    - ეკონომიკური მდგომარეობის (სიღარიბე.)
    - ეკოლოგიური მდგომარეობის (კლიმატის ცვლილება, ჰაერის დაბინძურება..
    - პოლიტიკური მდგომარეობის (კორუფცია, ნეპოტიზმი, კრიმინალის მაღალი დონე.. არჩევნებში წასვლა, აქციები, პეტიციები)
18. ვინ წერს ბედს?
19. როგორ მიგიღიათ ან იღებთ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს? მაგალითად, ისეთი გადაწყვეტილებები, როგორიცაა: როდის უმჯობესია ოჯახის შექმნა, ვის დაუკავშიროს მისი ცხოვრება, რა პროფესია აირჩიოს, სამსახურის შერჩევა, სამსახურის გამოცვლა და ა.შ.*(სხვების აზრს ხომ არ ითვალისწინებს, მკითხავს, ასტროლოგიას ხომ არ მიმართავს, რაიმე მინიშნებას ხომ არ ელოდება)*
20. როგორ გესმით „ბედი გაეხსნა“? თქვენი აზრით რაიმე გავლენა აქვს თუ არა ბედს ქორწინებაზე (იმაზე თუ როგორი ქორწინება იქნება, ბედნიერი თუ უბედური), ვინ იქნება შენი მომავალი მეუღლე და ა.შ.
21. თქვენი აზრით სიტყვა „ბედნიერში“ რატომ გვხვდება ფუძედ „ბედი“?
22. ფიქრობთ თუ არა, რომ ადამიანები იღებენ იმას, რასაც იმსახურებენ?
23. ცრურწმენების თუ გჯერათ? შეგიძლიათ ჩამოგვითვალოთ, რომელიც გახსენდებათ.. (თუ არ იცის რა არის ცრურწმენა, შევახსენოთ *„შავი კატის გადარბენა, ყვავის ჩხავილი, ძაღლის ყმუილი და საწოლიდან მარცხენა ფეხით გადმოსვლა, ოჯახის წევრი რომ შორ გზაზე წავა და შენ მის ჩასვლამდე სახლს რომ არ გამოგვი, პატარა ბავშვის ნაბანავებ წყალს მეორე დილამდე ანუ დაბნელების მერე არ ღვრიან,რიცხვი 13…*
    როგორ ხსნით? თუ გახსოვთ საიდან იცით ამ ცრურწმენების შესახებ?
24. რაიმე ანდაზას, გამოთქმას ხომ არ გაიხსენებდით ბედზე?
    როგორ გესმით შემდეგი გამოთქმები/ანდაზები:
    - ბედი მომე და სანახვეზე გადამაგდეო
    - თავის ბედს კაცი ვეღარსად დაემალება
    - სადაც არის ბედი შენი, იქ მიგიყვანს ფეხი შენიო
    - ბედის მორჩილი მონობაში მოკვდებაო
25. ქართულ ზღაპრებში თუ გახსენდებათ რაიმე ამ თემასთან დაკავშირებით? როგორ გესმით ბედის მაძიებელი პერსონაჟები.. პერსონაჟები, რომლებიც ბედის გამოსაცდელად მიდიან.. როგორ გესმით „ბედის გამოცდა“?
26. ლატარია თუ გითამაშიათ? მოგვიყევით ამის შესახებ.. წარმატება რაზეა დამოკიდებული?
27. თქვენი აზრით, როგორია რელიგიის ხედვა ბედისწერის შესახებ?

დანართი №2: რაოდენობრივ კვლევაში გამოყენებული კითხვარი

მოგესალმებით, ვარ ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიის პროგრამის დოქტორანტი. ვატარებ კვლევას ქართველების მსოფლმხედველობის შესახებ სხვადასხვა საკითხის შესახებ.

გამოკითხვა ანონიმურია. თქვენი პასუხები აისახება მონაცემთა საერთო ბაზაში.

საკითხის სრულყოფილად შესასწავლად თითოეული თქვენგანის მონაწილეობა ძალიან მნიშვნელოვანია. მადლობას გიხდით დათმობილი დროისთვის!

ბლოკი I: ქართველების აზრი

გთხოვთ, კითხვარის ამ ბლოკში დებულები შეაფასოთ არა თქვენი პირადი შეხედულების მიხედვით, არამედ, ზოგადად, ქართველების პოზიციიდან - „რას ფიქრობს ხალხი“.

რა თქმა უნდა, არ არსებობს სწორი და არასწორი პასუხები. პასუხის გაცემისას მნიშვნელოვანია იმის დაფიქსირება, რაც გსმენიათ: ამა თუ იმ საკითხის შესახებ როგორია გავრცელებული აზრი ქართველებში. ზოგჯერ შეიძლება ქართველების/ტიპური ქართველის პოზიციიდან შეფასება რთული აღმოჩნდეს, ამ შემთხვევაში მონიშნეთ ის პასუხი, რომელიც პირველი მოგივათ თავში.

თითოეული დებულების შემთხვევაში ჯერ განსაზღვრეთ ფიქრობენ თუ არ ფიქრობენ ასე ქართველები და შემდეგ დააზუსტეთ რა ხარისხით ფიქრობენ ან არ ფიქრობენ ასე. ამისათვის გამოიყენეთ ოთხბალიანი სკალა, სადაც 1 ნიშნავს „ქართველები ასე ნამდვილად არ ფიქრობენ“, 2 - „ქართველები ასე არ ფიქრობენ“, 3 –„ქართველები ასე ფიქრობენ“ და 4 – „ქართველები ნამდვილად ასე ფიქრობენ“.

		ქართველები ასე ნამდვილად არ ფიქრობენ	ქართველები ასე არ ფიქრობენ	ქართველები ასე ფიქრობენ	ქართველები ნამდვილად ასე ფიქრობენ
1.	თუ ადამიანი მოინდომებს, ყველაფრის მიღწევა შეუძლია.	1	2	3	4
2.	რა ვარსკვლავზეც ხარ დაბადებული, ცხოვრებაც ისეთი გექნება	1	2	3	4
3.	ცოდვების გამო ღმერთი გვსჯის	1	2	3	4
4.	წარმატებას მხოლოდ შრომით ვერ მიაღწევ, იღბალიც აუცილებელია	1	2	3	4
5.	ასტროლოგიაც ღმერთის მოგონილია	1	2	3	4
6.	როგორ წარიმართება ადამიანის ცხოვრება, მის არჩევანზეა დამოკიდებული.	1	2	3	4
7.	ადამიანი ბედისწერას ვერსად წაუვა	1	2	3	4
8.	თუ ადამიანი საკუთარ თავზე არ იმუშავებს, არაფერი გამოუვა.	1	2	3	4
9.	თუ მეკვლე ფეხბედნიერი აღმოჩნდა, მეორე წელსაც უნდა მოიწვიო	1	2	3	4
10.	აზრი არ აქვს რამის გაკეთებას, საბოლოოდ მაინც არაფერი გამოვა	1	2	3	4

11.	როგორც წესი წარუმატებლობა ადამიანის ბრალია (რაღაც დააკლო)	1	2	3	4
12.	მკითხავს შეუძლია უწინასწარმეტყველოს ადამიანს, მომავალში რა მოხდება მის ცხოვრებაში	1	2	3	4
13.	ღმერთს თავისთან კარგები მიჰყავს	1	2	3	4
14.	მთლად მეკვლეს ფეხის იმედზე არ უნდა იყოს ადამიანი, თვითონაც უნდა მოინდომოს	1	2	3	4
15.	უბედური შემთხვევის მიზეზი ძირითადად ადამიანების გაუფრთხილებლობაა	1	2	3	4
16.	ღმერთი უძლურია ჩაერიოს ადამიანის ბედისწერაში	1	2	3	4
17.	უიღბლობის მიზეზი შეიძლება სხვისი ბოროტი თვალი იყოს	1	2	3	4
18.	უბედური შემთხვევები ღვთის დაშვებულია	1	2	3	4
19.	გინდა, არ გინდა, იძულებული ხარ ისეთი მეუღლე შეარჩიო, ოჯახს და ახლობლებს რომ მოეწონება	1	2	3	4
20.	შეიძლება ზოგჯერ უბედური შემთხვევა აგცდეს, მაგრამ აუცილებლად შემოგიბრუნდება, თუ ეს შენი ბედისწერაა	1	2	3	4
21.	ყველაფერზე, რაც ადამიანის ცხოვრებაში ხდება, პასუხისმგებელი თავად ადამიანია	1	2	3	4
22.	რეალურად ის ხდება, რაც მოსახდენია	1	2	3	4
23.	ქუდბედიანი (იღბლიანი) იბადება ადამიანი, თვითონ ამას ვერ მიაღწევს	1	2	3	4
24.	ადამიანი ცხოვრებაში წინასწარ უნდა გეგმავდეს სამომავლო ნაბიჯებს	1	2	3	4
25.	ცუდად დაცდილს (ტანსაცმელი, გარემო, ადამიანი და ა.შ) თავი უნდა აარიდო, წარუმატებლობა რომ არ მოგიტანოს	1	2	3	4
26.	ვერსად წაუვალთ იმას, რომ საზოგადოება ინდივიდის პირად ცხოვრებაში ერევა	1	2	3	4
27.	ახალგაზრდას სიკვდილის დაშვებით ღმერთი მას იმ მძიმე ცოდვისგან იცავს, რომელიც შეეძლო ჩაედინა, ცოცხალი რომ ყოფილიყო	1	2	3	4
28.	არსებობენ იღბლიანი ადამიანები, რომლებიც ნაკლები შრომით აღწევენ წარმატებას	1	2	3	4
29.	ინდივიდი უძლურია რაიმე შეცვალოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში	1	2	3	4
30.	ჯანსაღი ცხოვრების წესით შესაძლებელია დაავადებების თავიდან არიდება	1	2	3	4

31.	შეიძლება ადამიანი ნიჭიერი იყოს, მაგრამ თუ საჭირო დროს საჭირო ადგილას ვერ მოხვდა, წარმატებას ვერ მიაღწევს	1	2	3	4
32.	მართლმადიდებლური რელიგია არ ცნობს წინასწარგანსაზღვრულობას	1	2	3	4
33.	წლის განმავლობაში რაიმე ცუდი თუ მოხდა, შეიძლება ოჯახის მეკვლეს ფეხის ბრალი იყოს	1	2	3	4
34.	წარმატების მისაღწევად ადამიანს ალღო უნდა ჰქონდეს	1	2	3	4
35.	საფრთხეების თავიდან ასარიდებლად ადამიანმა პრევენციას უნდა მიმართოს (მაგ., უსაფრთხო საცხოვრებელი, სამუშაო, სამოგზაურო და ა.შ. გარემოს უზრუნველყოფა)	1	2	3	4
36.	ლოცვით და მარხვით შესაძლებელია ცოდვის გამოსყიდვა და ღვთის სასჯელის არიდება	1	2	3	4
37.	არსებობენ უიღბლო ადამიანები, რომლებმაც რაც არ უნდა იშრომონ, წარმატებას ვერ აღწევენ	1	2	3	4
38.	ბედისწერის მართვა შეუძლებელია.	1	2	3	4
39.	სტიქიური უბედურება შეიძლება ღვთის სასჯელი იყოს	1	2	3	4
40.	ქართველები ყოველთვის ასეთ გამოუვალ მდგომარეობაში ვიქნებით	1	2	3	4
41.	ცრურწმენული რიტუალების (მაგ.: „ვინმე თუ სადმე მიდის, არ უნდა გამოხვეტო“, „დაყრილ მარილზე წყალი უნდა დაასხა“ და ა.შ.) შეუსრულებლობის შემთხვევაში, შეიძლება მართლაც ისე მოხდეს, როგორც ამბობენ	1	2	3	4
42.	ღმერთმა ადამიანს თავისუფალი ნება მიანიჭა	1	2	3	4
43.	ბედს ღმერთი წერს	1	2	3	4
44.	დროთა განმავლობაში არაფერი იცვლება და მომავალშიც ასე იქნება	1	2	3	4
45.	რაც გიწერია, ვერ ასცდები	1	2	3	4
46.	სხვა გზა არ არის, ისე უნდა იქცეოდე, როგორც შენგან შენი ოჯახი და ახლობლები ელიან	1	2	3	4
47.	უფლის ნებაა ყველაფერი	1	2	3	4
48.	წარმატების მისაღწევად მხარში უნდა გედგეს ვინმე	1	2	3	4
49.	ლოცვას აქვს ძალა	1	2	3	4
50.	ადამიანი უძლურია ფინანსურ გაჭირვებას თავი დააღწიოს	1	2	3	4
51.	ასტროლოგიით შესაძლებელია მომავლის წინასწარმეტყველება	1	2	3	4

52.	ადამიანს წინაპრების ცოდვა მოეკითხება	1	2	3	4
53.	ადამიანები თუ ერთად აკეთებენ რამეს, აუცილებლად გამოუვათ - ერთობას დიდი ძალა აქვს	1	2	3	4
54.	თუ მეკვლეს კარგი ფეხი ექნება, ის წელი წარმატებული იქნება	1	2	3	4
		არასდროს	იშვიათად	ზოგჯერ	ხშირად
55.	ქართველებისგან გაიგონებთ საუბარს იმის შესახებ, რომ გარშემომყოფებისგან გრძნობს წნეხს/ზეწოლას რომ აუცილებლად უნდა დაოჯახდეს	1	2	3	4
56.	ქართველებისგან გაიგონებთ საუბარს იმის შესახებ, რომ ქალის მიმართ არსებობს წნეხი/ზეწოლა რომ შვილი აუცილებლად უნდა გააჩინოს	1	2	3	4

ბლოკი II: პირადი აზრი

კითხვარის ამ ბლოკში კი თქვენი პირადი აზრი უნდა გამოხატოთ. თითოეული დებულება უნდა შეაფასოთ ოთხბალიან სკალაზე, სადაც 1 ნიშნავს "სრულიად არ ვეთანხმები", 2 -"არ ვეთანხმები", 3-"ვეთანხმები" და 4 -"მთლიანად (სრულად) ვეთანხმები".

		სრულიად არ ვეთანხმები	**არ ვეთანხმები**	**ვეთანხმები**	**სრულად ვეთანხმები**
1	თუ მოვინდომებ, ყველაფრის მიღწევა შემიძლია	1	2	3	4
2	რა ვარსკვლავზეც ვარ დაბადებული, ისეთი ცხოვრება მაქვს/მექნება	1	2	3	4
3	ღმერთი გვსჯის ცოდვების გამო	1	2	3	4
4	წარმატებას მხოლოდ შრომით ვერ მივაღწევ, იღბალიც აუცილებელია	1	2	3	4
5	ასტროლოგიაც ღმერთის მოგონილია	1	2	3	4
6	ჩემ არჩევანზეა დამოკიდებული, როგორ წარიმართება ჩემი ცხოვრება	1	2	3	4
7	ვერსად წაუვალ ჩემს ბედისწერას	1	2	3	4
8	თუ საკუთარ თავზე არ ვიმუშავე, არაფერი გამომივა	1	2	3	4

9	თუ მეკვლე ფეხბედნიერი აღმოჩნდა, მეორე წელსაც მოვიწვევ	1	2	3	4
10	აზრი არ აქვს რამე გავაკეთო, საბოლოოდ მაინც არაფერი გამოვა	1	2	3	4
11	როგორც წესი, წარუმატებლობა ჩემი ბრალია (რაღაც დავაკელი)	1	2	3	4
12	მკითხავს შეუძლია მიწინასწარმეტყველოს მომავალში რა მოხდება ჩემს ცხოვრებაში	1	2	3	4
13	ღმერთს თავისთან კარგები მიჰყავს	1	2	3	4
14	მთლად მეკვლეს ფეხის იმედზე არ უნდა ვიყო, მეც უნდა მოვინდომო	1	2	3	4
15	ადამიანის გაუფრთხილებლობაა ძირითადად უბედური შემთხვევის მიზეზი	1	2	3	4
16	ღმერთი უძლურია ჩაერიოს ადამიანის ბედისწერაში	1	2	3	4
17	უიღბლობის მიზეზი შეიძლება სხვისი ბოროტი თვალი იყოს	1	2	3	4
18	მწამს, რომ უბედური შემთხვევები ღვთის დაშვებულია	1	2	3	4
19	გინდა, არ გინდა იძულებული ვიყავი/ვარ ისეთი მეუღლე შემერჩია/შევარჩიო, ოჯახს და ახლობლებს რომ მოეწონებოდა/მოეწონება	1	2	3	4
20	შეიძლება უბედური შემთხვევა აქამდე ამცდა, მაგრამ აუცილებლად შემომიბრუნდება, თუ ეს ჩემი ბედისწერაა	1	2	3	4
21	მე ვარ პასუხისმგებელი ყველაფერზე, რაც ჩემს ცხოვრებაში ხდება	1	2	3	4
22	რეალურად ის ხდება, რაც მოსახდენია	1	2	3	4
23	ქუდბედიანი (იღბლიანი) იბადება ადამიანი, თვითონ ამას ვერ მიაღწევს	1	2	3	4
24	როგორც წესი, წინასწარ ვგეგმავ სამომავლო ნაბიჯებს ცხოვრებაში	1	2	3	4
25	ცუდად დაცდილს (ტანსაცმელი, გარემო, ადამიანი და ა.შ) თავს ვარიდებ ხოლმე, წარუმატებლობა რომ არ მომიტანოს	1	2	3	4
26	ვერსად წაუვალ იმას, რომ საზოგადოება ჩემს პირად ცხოვრებაში ერევა	1	2	3	4
27	ახალგაზრდას სიკვდილის დაშვებით ღმერთი მას იმ მძიმე ცოდვისგან იცავს, რომელიც შეეძლო ჩაედინა, ცოცხალი რომ ყოფილიყო	1	2	3	4
28	არსებობენ იღბლიანი ადამიანები, რომლებიც ნაკლები შრომით აღწევენ წარმატებას	1	2	3	4

29	უძლური ვარ რაიმე შევცვალო საზოგადოებრივ ცხოვრებაში	1	2	3	4
30	დაავადებების თავიდან არიდების მიზნით ვცდილობ დავიცვა ჯანსაღი ცხოვრების წესი	1	2	3	4
31	შეიძლება ნიჭიერი ვიყო, მაგრამ თუ საჭირო დროს საჭირო ადგილას ვერ მოვხვდი, წარმატებას ვერ მივაღწევ	1	2	3	4
32	მართლმადიდებლური რელიგია არ ცნობს წინასწარგანსაზღვრულობას	1	2	3	4
33	წლის განმავლობაში რაიმე ცუდი თუ მოხდა, შეიძლება ოჯახის მეკვლეს ფეხის ბრალი იყოს	1	2	3	4
34	სტიქიური უბედურება შეიძლება ღვთის სასჯელი იყოს	1	2	3	4
35	როგორც წესი, მივმართავ პრევენციას, საფრთხეები თავიდან რომ ავირიდო (მაგ., უსაფრთხო საცხოვრებელი, სამუშაო, სამოგზაურო და ა.შ. გარემოს უზრუნველყოფა)	1	2	3	4
36	ლოცვით და მარხვით შესაძლებელია ცოდვის გამოსყიდვა და ღვთის სასჯელის არიდება	1	2	3	4
37	არსებობენ უიღბლო ადამიანები, რომლებმაც რაც არ უნდა იშრომონ, წარმატებას ვერ აღწევენ	1	2	3	4
38	შეუძლებელია ვმართო ჩემი ბედისწერა	1	2	3	4
39	ალღოს გარეშე წარმატების მიღწევა გამიჭირდება	1	2	3	4
40	ქართველები ყოველთვის ასეთ გამოუვალ მდგომარეობაში ვიქნებით	1	2	3	4
41	თუ ცრურწმენულ რიტუალებს (მაგ.: „ვინმე თუ სადმე მიდის, არ უნდა გამოხვეტო“, „დაყრილ მარილზე წყალი უნდა დაასხა“ და ა.შ.) არ შევასრულებ, შეიძლება მართლაც ისე მოხდეს, როგორც ამბობენ	1	2	3	4
42	ღმერთმა ადამიანს თავისუფალი ნება მიანიჭა	1	2	3	4
43	ღმერთი წერს ბედს	1	2	3	4
44	დროთა განმავლობაში არაფერი იცვლება და მომავალშიც ასე იქნება	1	2	3	4
45	რაც მიწერია, ვერ ავცდები	1	2	3	4
46	სხვა გზა არ მაქვს, ისე უნდა მოვიქცე, როგორც ჩემგან ჩემი ოჯახი და ახლობლები ელიან	1	2	3	4
47	უფლის ნებაა ყველაფერი	1	2	3	4
48	ვინმეს მხარში დგომის გარეშე წარმატების მიღწევა გამიჭირდება	1	2	3	4
49	ლოცვას აქვს ძალა	1	2	3	4

50	შეუძლებელია ფინანსურ გაჭირვებას თავი დააღწიოს ადამიანმა	1	2	3	4
51	ასტროლოგიით შესაძლებელია მომავლის წინასწარმეტყველება	1	2	3	4
52	ადამიანს წინაპრების ცოდვა მოეკითხება	1	2	3	4
53	თუ ერთად ვაკეთებთ რამეს, აუცილებლად გამოგვივა - ერთობას დიდი ძალა აქვს	1	2	3	4
54	თუ მეკვლეს კარგი ფეხი ექნება, ის წელი წარმატებული იქნება	1	2	3	4
55	გარშემომყოფებისგან ვგრძნობ წნეხს, რომ აუცილებლად უნდა დავოჯახდე/გარშემომყოფებისგან ვგრძნობდი წნეხს, რომ აუცილებლად უნდა დავოჯახებულიყავი	1	2	3	4
56	ქალის მიმართ არსებობს წნეხი, რომ შვილი აუცილებლად უნდა გააჩინოს	1	2	3	4

ბლოკი III

ქვემოთ წარმოდგენილი დებულებები ცხოვრების სხვადასხვა მხარეს ეხება. გთხოვთ, სკალის ყოველი პუნქტიდან, რომელიც ორი - „ა“ და „ბ“ - დებულებისგან შედგება, შეარჩიოთ ერთი, რომელიც თქვენ უფრო მართებულად მიგაჩნიათ. სკალის მიზანია პიროვნული მსოფლმხედველობის დადგენა. შესაბამისად, პასუხი ვერ შეფასდება როგორც სწორი, ან არასწორი.

გთხოვთ, დაკვირვებით შეარჩიოთ თქვენთვის მისაღები დებულებები და ეცადოთ კითხვარის სწრაფად შევსება. ზოგჯერ შეიძლება ორივე დებულება მართებულად მიიჩნიოთ, ან არც ერთი მათგანი არ მიიჩნიოთ მართებულად. ასეთ შემთხვევაში ის დებულება მონიშნეთ, რომელიც შედარებით უფრო მართებულად მიგაჩნიათ.

1	ა. ბავშვები ხშირად ხიფათს გადაეყრებიან იმის გამო, რომ მშობლები მათ ზედმეტად მკაცრად ექცევიან.
	ბ. ჩვენს დროში ბევრი ბავშვის პრობლემა გაპირობებულია იმით, რომ მშობლები მათ ზედმეტად ლმობიერად ექცევიან.
2	ა. ცხოვრებაში ადამიანთა უსიამოვნებების მიზეზი, არც თუ იშვიათად, უიღბლობაა.
	ბ. უსიამოვნებები, რომლებიც ადამიანს ცხოვრებაში ხვდება, მისივე შეცდომების შედეგია.
3	ა. ომების ერთ–ერთი ძირითადი მიზეზი ისაა, რომ ადამიანები პოლიტიკის მიმართ საკმაო ინტერესს არ იჩენენ.
	ბ. ომები იქნება ყოველთვის, ადამიანებმა მათი თავიდან აცილება როგორც არ უნდა სცადონ.
4	ა. საბოლოოდ, ადამიანი დამსახურებულ აღიარებას ჰპოვებს.
	ბ. სამწუხაროდ, ინდივიდი, მისი მცდელობის მიუხედავად, ხშირად დამსახურებულ აღიარებას მაინც ვერ ჰპოვებს.
5	ა. მოსაზრება, რომ პედაგოგები სტუდენტების მიმართ უსამართლონი არიან, არასწორია.
	ბ. სტუდენტთა უმრავლესობა ვერ აცნობიერებს, თუ რა დიდ ზეგავლენას ახდენს მათ შეფასებაზე შემთხვევითობა.
6	ა. ხელშემწყობი პირობების გარეშე ადამიანი წარმატებული ლიდერი ვერ იქნება.

	ბ. უნარიანი ადამიანები იმიტომ ვერ ხდებიან ლიდერები, რომ დროულად ვერ იყენებენ არსებულ შესაძლებლობებს.
	ა. რამდენიც არ უნდა ეცადო, ყველას მოსაწონი ვერ იქნები.
7	ბ. ადამიანები სხვების მოწონებას იმიტომ ვერ იმსახურებენ, რომ არ იციან სხვებთან ურთიერთობა.
8	ა. პიროვნება, ძირითადად, განსაზღვრულია მემკვიდრეობით.
	ბ. პიროვნება, ძირითადად, განსაზღვრულია ცხოვრებისეული გამოცდილებით.
	ა. ხშირად დავრწმუნებულვარ, რომ მოსახდენი მაინც მოხდება.
9	ბ. ჩემთვის ბედზე მინდობას არასდროს გაუმართლებია იმდენად, რამდენადაც გადაწყვეტილებას, რომ მემოქმედა.
10	ა. კარგად მომზადებული სტუდენტისთვის უსამართლო გამოცდა, ფაქტობრივად, არ არსებობს.
	ბ. საგამოცდო კითხვები ხშირად იმდენად შორს არის კურსის შინაარსისგან, რომ სწავლას აზრი ეკარგება.
	ა. წარმატება სერიოზული შრომით მიიღწევა, იღბალს საერთო ამასთან ძალზე ცოტა, ან საერთოდ არაფერი აქვს.
11	ბ. კარგი სამსახურის შოვნა, ძირითადად, იმაზეა დამოკიდებული, რომ საჭირო დროს შესაბამის ადგილზე აღმოჩნდე.
	ა. რიგით მოქალაქეს შეუძლია ზეგავლენა მოახდინოს მთავრობის გადაწყვეტილებაზე.
12	ბ. მსოფლიოს მართავს ძალაუფლების მქონე ადამიანთა მცირერიცხოვანი ჯგუფი, ძალიან ცოტა რამ არის ისეთი, რაზეც რიგით მოქალაქეს გავლენის მოხდენა შეუძლია.
13	ა. როცა რამეს ვგეგმავ, თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ შევძლებ გაკეთებას.
	ბ. ყოველთვის ჭკვიანური არ არის შორეული გეგმების დასახვა, რადგან ბევრი რამ მაინც ბედზეა დამოკიდებული.
14	ა. არსებობენ ყოვლად უვარგისი ადამიანები.
	ბ. ყველა ადამიანში არის რაღაც კარგი.
15	ა. ჩემთვის სასურველი მიზნის მიღწევას იღბალთან საერთო ძალზედ ცოტა, ან საერთოდ არაფერი აქვს.
	ბ. ზოგჯერ, შესაძლოა, გადაწყვეტილება მონეტის აგდებითაც მივიღოთ.
16	ა. ხელმძღვანელად გახდომა ხშირად შესაბამის ადგილზე ყოფნის იღბალზეა დამოკიდებული.
	ბ. სხვა ადამიანების სწორად მართვა დამოკიდებულია უნარზე. იღბალს ამასთან ძალზედ ცოტა, ან საერთოდ არაფერი აქვს საერთო.
17	ა. რაც შეეხება მსოფლიო მოვლენებს, ბევრი ჩვენგანი იმ ძალების მსხვერპლია, რომელთა არც გაგება შეგვიძლია და არც გაკონტროლება.
	ბ. პოლიტიკურ და სოციალურ მოვლენებში აქტიური მონაწილეობით ადამიანებს შეუძლიათ მსოფლიო მოვლენათა კონტროლი.
18	ა. ადამიანთა უმრავლესობა ვერ აცნობიერებს, თუ რამდენად განსაზღვრავს მათ ცხოვრებას შემთხვევითობა.
	ბ. „იღბალი“, როგორც ასეთი, ფაქტობრივად, არ არსებობს.
19	ა. ყოველთვის მზად უნდა იყო, აღიარო საკუთარი შეცდომები.
	ბ. ჩვეულებრივ, სჯობს, დამალო საკუთარი შეცდომები.
20	ა. ძნელია იმის გაგება, ნამდვილად მოსწონხარ თუ არა ადამიანს.
	ბ. მეგობრების რაოდენობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რადენად სასიამოვნო პიროვნება ხარ
21	ა. უსიამოვნებები, რომლებიც ცხოვრებაში გვხვდება, საბოლოოდ, სასიამოვნო მოვლენებით წონასწორდება.
	ბ. უსიამოვნებები, ძირითადად, უუნარობის, უცოდინრობის, სიზარმაცის ან სამივეს შედეგია.
22	ა. თუ სათანადოდ მოვინდომებთ, შევძლებთ პოლიტიკური კორუფციის აღმოფხვრას.
	ბ. ხალხისთვის ძნელია პოლიტიკოსთა საქმიანობის გაკონტროლება.
23	ა. ზოგჯერ ვერ ვიგებ, რა პრინციპით წერენ მასწავლებლები ნიშნებს.

	ბ. მიღებული ნიშანი პირდაპირ კავშირშია ჩემს სიბეჯითესთან.
24	ა. კარგი ლიდერი ელის, რომ სხვებმა გადაწყვეტილებები თავად მიიღონ.
	ბ. კარგი ლიდერი ყოველ ცალკეულ ადამიანს ურკვევს, რა გააკეთოს.
25	ა. ხშირად ვფიქრობ, რომ მცირე გავლენა მაქვს იმაზე, რაც ჩემს თავს ხდება.
	ბ. ვერ დავიჯერებ, რომ შემთხვევა ან იღბალი მნიშვნელოვან როლს თამაშობს ჩემს ცხოვრებაში.
26	ა. ადამიანები მარტოხელა არიან იმიტომ, რომ არ ცდილობენ, იყვნენ მეგობრული.
	ბ. აზრი არა აქვს დიდ მცდელობას, რომ სხვებს თავი მოაწონო, თუ ვინმეს მოსწონხარ, ისედაც მოეწონები.
27	ა. უმაღლეს სასწავლებელში სპორტს ზედმეტი ყურადღება ექცევა.
	ბ. გუნდური სპორტი პიროვნების ფორმირების საუკეთესო საშუალებაა.
28	ა. რაც ჩემს თავს ხდება, ყველაფერი ჩემი ბრალია.
	ბ. ზოგჯერ ვგრძნობ, რომ ვერ ვაკონტროლებ ჩემს ცხოვრებას.
29	ა. ხშირად არ მესმის, რატომ იქცევიან პოლიტიკოსები მაინც და მაინც ამგვარად.
	ბ. საბოლოოდ, ადამიანები პასუხისმგებელნი არიან ცუდ ხელისუფლებაზე - როგორც სახელმწიფოებრივ, ისე ადგილობრივ დონეზე.

დემოგრაფიული ბლოკი: დაბოლოს, გთხოვთ უპასუხოთ რამდენიმე შეკითხვას თქვენს შესახებ.

1. გთხოვთ, მონიშნოთ თქვენი სქესი
   1) მამრობითი
   2) მდედრობითი
2. გთხოვთ, მიუთითოთ თქვენი ასაკი
3. გთხოვთ, მონიშნოთ თქვენი ოჯახური მდგომარეობა

   1) დაქორწინებული
   2) თანავცხოვრობ ქორწინების გარეშე
   3) განქორწინებული
   4) არასდროს ვყოფილვარ ქორწინებაში
   5) ქვრივი
4. გთხოვთ, მონიშნოთ საცხოვრებელი ადგილი
1. თბილისი
2. კახეთი
3. ქვემო ქართლი
4. სამცხე-ჯავახეთი
5. მცხეთა-მთიანეთი
6. შიდა ქართლი
7. იმერეთი
8. გურია
9. სამეგრელო
10. სვანეთი
11. რაჭა-ლეჩხუმი
12. აჭარა

5. თუ ბოლო 10 წლის განმავლობაში შეიცვალეთ საცხოვრებელი ადგილი, გთხოვთ, მონიშნოთ ის ადგილიც, სადაც მანამდე ცხოვრობდით

1. თბილისი
2. კახეთი
3. ქვემო ქართლი
4. სამცხე-ჯავახეთი
5. მცხეთა-მთიანეთი
6. შიდა ქართლი
7. იმერეთი
8. გურია
9. სამეგრელო
10. სვანეთი
11. რაჭა-ლეჩხუმი
12. აჭარა

6. რომელი შეესაბამება თქვენს მიერ მიღებული განათლების ყველაზე მაღალ საფეხურს?
   1. არასრული საშუალო განათლება
   2. სრული საშუალო განათლება
   3. პროფესიული განათლება
   4. არასრული ბაკალავრიატი
   5. ბაკალავრიატი
   6. არასრული მაგისტრატურა
   7. მაგისტრატურა (ხუთწლიანი დიპლომის ჩათვლით)
   8. არასრული დოქტორანტურა
   9. დოქტორანტურა (ან ასპირანტურა)

7. ჩამონათვალიდან, რა უფრო შეესაბამება თქვენს მდგომარეობას? გთხოვთ, შეარჩიეთ ის საქმიანობა, რომელიც თქვენთვის ძირითადია.

1. ვარ პენსიონერი და არ ვმუშაობ
2. ვარ სტუდენტი და არ ვმუშაობ
3. ვარ დიასახლისი და არ ვმუშაობ
4. ვარ უმუშევარი
5. ვმუშაობ სრულ ან ნახევარ განაკვეთზე (სტუდენტის/პენსიონერის ჩათვლით)
6. ვარ თვითდასაქმებული (სტუდენტის/პენსიონერის ჩათვლით)
7. ვარ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირი და მუშაობა არ შემიძლია
8. სხვა

8. გთხოვთ, წარმოიდგინოთ, რომ არსებობს საქართველოს ოჯახების ეკონომიკური მდგომარეობის ამსახველი 10-საფეხურიანი კიბე. ამ „კიბის“ პირველი საფეხური შეესაბამება საზოგადოებაში არსებულ ყველაზე დაბალ ეკონომიკურ მდგომარეობას, ხოლო მე-10 საფეხური შეესაბამება ყველაზე მაღალ ეკონომიკურ მდგომარეობას. თქვენი აზრით, ამ კიბის რომელ საფეხურზე დგას თქვენი ოჯახი ამჟამად?

   ---- საფეხური

9. რომელ რელიგიას ან აღმსარებლობას მიაკუთვნებთ თქვენს თავს?
   1. მართლმადიდებლური ეკლესია
   2. ისლამი
   3. სომხური სამოციქულო ეკლესია
   4. სხვა ქრისტიანული ეკლესიები (კათოლიკე, პროტესტანტული)

5. სხვა
6. არცერთი

10. რამდენად მნიშვნელოვანია რელიგია თქვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში? ის არის ....
    1. ძალიან მნიშვნელოვანი
    2. მნიშვნელოვანი
    3. არც მნიშვნელოვანი, არც უმნიშვნელო
    4. უმნიშვნელო
    5. სრულებით უმნიშვნელო
11. განსაკუთრებული შემთხვევების გარდა, როგორიცაა ქორწინება ან დაკრძალვა, რამდენად ხშირად ესწრებოდით რელიგიურ მსახურებას კორონავირუსის გავრცელებამდე?
    - კვირაში ერთხელ ან უფრო ხშირად
    - თვეში ერთხელ მაინც
    - მხოლოდ განსაკუთრებულ რელიგიურ დღესასწაულებზე
    - უფრო იშვიათად
    - არასდროს
12. რამდენად ხშირად მარხულობთ, როცა ამას მოითხოვს თქვენი რელიგია? თქვენ
    - ყოველთვის მარხულობთ
    - ხშირად მარხულობთ
    - ხანდახან მარხულობთ
    - იშვიათად მარხულობთ
    - არასდროს არ მარხულობთ
    - ჩემი რელიგია არ მოითხოვს მარხვის დაცვას
13. რამდენად ხშირად ლოცულობთ, როცა ამას მოითხოვს თქვენი რელიგია?
    - ყოველთვის ლოცულობთ
    - ხშირად ლოცულობთ
    - ხანდახან ლოცულობთ
    - იშვიათად ლოცულობთ
    - არასდროს არ ლოცულობთ
    - ჩემი რელიგია არ მოითხოვს ლოცვას

დანართი №3: ქართველების პოზიციიდან შეფასებული დებულებების სიხშირული ანალიზი (გამუქებულია კონსენსუსის ანალიზისთვის შერჩეული 37 დებულება)

	კომპონენტი/ სუბსკალა	დებულება	ქართველები ასე ნამდვილად არ ფიქრობენ	ქართველები ასე არ ფიქრობენ	ქართველები ასე ფიქრობენ	ქართველები ნამდვილად ასე ფიქრობენ
1	პიროვნული კონტროლი	თუ ადამიანი მოინდომებს, ყველაფრის მიღწევა შეუძლია	8%	45%	40%	7%
2	პიროვნული კონტროლი	როგორ წარიმართება ადამიანის ცხოვრება, მის არჩევანზეა დამოკიდებული	12%	51%	33%	5%
3	პიროვნული კონტროლი	თუ ადამიანი საკუთარ თავზე არ იმუშავებს, არაფერი გამოუვა	14%	41%	37%	7%
4	პიროვნული კონტროლი	როგორც წესი წარუმატებლობა ადამიანის ბრალია (რაღაც დააკლო)	9%	45%	37%	9%
5	პიროვნული კონტროლი	უბედური შემთხვევის მიზეზი ძირითადად ადამიანების გაუფრთხილებლობაა	6%	39%	45%	9%
6	**პიროვნული კონტროლი**	**ყველაფერზე, რაც ადამიანის ცხოვრებაში ხდება, პასუხისმგებელი თავად ადამიანია**	**13%**	**59%**	**23%**	**5%**
7	პიროვნული კონტროლი	ადამიანი ცხოვრებაში წინასწარ უნდა გეგმავდეს სამომავლო ნაბიჯებს	13%	44%	35%	8%
8	პიროვნული კონტროლი	ჯანსაღი ცხოვრების წესით შესაძლებელია დაავადებების თავიდან არიდება	11%	43%	39%	6%
9	**პიროვნული კონტროლი**	**წარმატების მისაღწევად ადამიანს ალღო უნდა ჰქონდეს**	**2%**	**6%**	**69%**	**23%**
10	პიროვნული კონტროლი	ადამიანმა საფრთხეები წინასწარ უნდა აირიდოს (მაგ., უსაფრთხო საცხოვრებელი, სამუშაო, სამოგზაურო გარემოს უზრუნველყოფით)	10%	41%	39%	10%
11	**პიროვნული კონტროლი**	**წარმატების მისაღწევად მხარში უნდა გედგეს ვინმე**	**2%**	**5%**	**51%**	**43%**
12	**პიროვნული კონტროლი**	**ადამიანები თუ ერთად აკეთებენ რამეს, აუცილებლად გამოუვათ - ერთობას დიდი ძალა აქვს**	**2%**	**25%**	**50%**	**24%**
13	**ღვთაებრივი კონტროლი**	**ცოდვების გამო ღმერთი გვსჯის**	**2%**	**7%**	**40%**	**51%**
14	**ღვთაებრივი კონტროლი**	**ღმერთს თავისთან კარგები მიჰყავს**	**2%**	**8%**	**45%**	**45%**
15	ღვთაებრივი კონტროლი	უბედური შემთხვევები ღვთის დაშვებულია	11%	26%	46%	17%
16	**ღვთაებრივი კონტროლი**	**ლოცვით და მარხვით შესაძლებელია ცოდვის გამოსყიდვა და ღვთის სასჯელის არიდება**	**2%**	**5%**	**45%**	**48%**
17	**ღვთაებრივი კონტროლი**	**სტიქიური უბედურება შეიძლება ღვთის სასჯელი იყოს**	**3%**	**11%**	**54%**	**32%**

18	ღვთაებრივი კონტროლი	უფლის ნებაა ყველაფერი	2%	2%	40%	56%
19	ღვთაებრივი კონტროლი	ლოცვას აქვს ძალა	2%	3%	40%	55%
20	ღვთაებრივი კონტროლი	ადამიანს წინაპრების ცოდვა მოეკითხება	3%	14%	60%	23%
21	წინასწარგანსაზღვრულობა	რა ვარსკვლავზეც ხარ დაბადებული, ცხოვრებაც ისეთი გექნება	4%	16%	57%	23%
22	წინასწარგანსაზღვრულობა	ადამიანი ბედისწერას ვერსად წაუვა	1%	4%	53%	42%
23	წინასწარგან საზღვრულობა	მკითხავს შეუძლია უწინასწარმეტყველოს ადამიანს მომავალში რა მოხდება მის ცხოვრებაში	8%	29%	51%	12%
24	წინასწარგანსაზღვრულობა	შეიძლება ზოგჯერ უბედური შემთხვევა აგცდეს, მაგრამ აუცილებლად შემოგიბრუნდება, თუ ეს შენი ბედისწერაა	3%	15%	62%	20%
25	წინასწარგანსაზღვრულობა	რეალურად ის ხდება, რაც მოსახდენია	4%	7%	63%	26%
26	წინასწარგანსაზღვრულობა	ბედისწერის მართვა შეუძლებელია	4%	12%	57%	27%
27	წინასწარგანსაზღვრულობა	რაც გიწერია, ვერ ასცდები	2%	4%	50%	45%
28	წინასწარგან საზღვრულობა	ასტროლოგიით შესაძლებელია მომავლის წინასწარმეტყველება	9%	43%	42%	5%
29	იღბალი	თუ მეკვლე ფეხბედნიერი აღმოჩნდა, მეორე წელსაც უნდა მოიწვიო	2%	5%	42%	52%
30	იღბალი	უიღბლობის მიზეზი შეიძლება სხვისი ბოროტი თვალი იყოს	2%	8%	63%	27%
31	იღბალი	ქუდბედიანი/იღბლიანი იბადება ადამიანი, თვითონ ამას ვერ მიაღწევს.	2%	19%	57%	22%
32	იღბალი	ცუდად დაცდილს (ტანსაცმელი, გარემო, ადამიანი და ა.შ) თავი უნდა აარიდო, წარუმატებლობა რომ არ მოგიტანოს	4%	15%	57%	24%
33	იღბალი	არსებობენ იღბლიანი ადამიანები, რომლებიც ნაკლები შრომით აღწევენ წარმატებას	3%	4%	48%	46%
34	იღბალი	შეიძლება ადამიანი ნიჭიერი იყოს, მაგრამ თუ საჭირო დროს, საჭირო ადგილას ვერ მოხვდა, წარმატებას ვერ მიაღწევს	3%	6%	55%	36%
35	იღბალი	წლის განმავლობაში რაიმე ცუდი თუ მოხდა, შეიძლება ოჯახის მეკვლეს ფეხის ბრალი იყოს	7%	24%	58%	11%
36	იღბალი	არსებობენ უიღბლო ადამიანები, რომლებმაც რაც არ უნდა იშრომონ, წარმატებას ვერ აღწევენ	2%	16%	58%	24%

37	იღბალი	ცრურწმენული რიტუალების (მაგ.: „ვინმე თუ სადმე მიდის, არ უნდა გამოხვეტო“, „დაყრილ მარილზე წყალი უნდა დაასხა“ და ა.შ.) შეუსრულებლობის შემთხვევაში, შეიძლება მართლაც ისე მოხდეს, როგორც ამბობენ.	5%	21%	54%	21%
38	იღბალი	თუ მეკვლეს კარგი ფეხი ექნება, ის წელი წარმატებული იქნება	1%	6%	63%	30%
39	უმწეობა	აზრი არ აქვს რამე გავაკეთო, საბოლოოდ მაინც არაფერი გამოვა	6%	39%	45%	10%
40	უმწეობა	გინდა, არ გინდა, იძულებული ხარ ისეთი მეუღლე შეარჩიო, ოჯახს და ახლობლებს რომ მოეწონება	3%	15%	57%	26%
41	უმწეობა	ვერსად წავუვალთ იმას, რომ საზოგადოება ინდივიდის პირად ცხოვრებაში ერევა	3%	11%	50%	36%
42	უმწეობა	ინდივიდი უძლურია რაიმე შეცვალოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში	5%	24%	52%	18%
43	უმწეობა	ქართველები ყოველთვის ასეთ გამოუვალ მდგომარეობაში ვიქნებით	5%	17%	46%	32%
44	უმწეობა	დროთა განმავლობაში არაფერი იცვლება და მომავალშიც ასე იქნება	5%	31%	47%	18%
45	უმწეობა	სხვა გზა არ არის, ისე უნდა იქცეოდე, როგორც შენგან შენი ოჯახი და ახლობლები ელიან	2%	12%	55%	32%
46	უმწეობა	ადამიანი უძლურია ფინანსურ გაჭირვებას თავი დააღწიოს	6%	53%	35%	6%
47	უმწეობა	ქართველებისგან გაიგონებთ საუბარს იმის შესახებ, რომ გარშემომყოფებისგან გრძნობს წნეხს/ზეწოლას რომ აუცილებლად უნდა დაოჯახდეს	2%	6%	22%	71%
48	უმწეობა	ქართველებისგან გაიგონებთ საუბარს იმის შესახებ, რომ ქალის მიმართ არსებობს წნეხი/ზეწოლა რომ შვილი აუცილებლად უნდა გააჩინოს	3%	7%	21%	69%
49	ურთიერთმი მართებები	წარმატებას მხოლოდ შრომით ვერ მიაღწევ, იღბალიც აუცილებელია	1%	6%	51%	42%
50	ურთიერთმი მართებები	ასტროლოგიაც ღმერთის მოგონილია	23%	49%	23%	5%
51	ურთიერთმი მართებები	მთლად მეკვლეს ფეხის იმედზე არ უნდა იყოს ადამიანი, თვითონაც უნდა მოინდომოს	5%	30%	58%	7%
52	ურთიერთმი მართებები	ღმერთი უძლურია ჩაერიოს ადამიანის ბედისწერაში	51%	40%	6%	3%
53	ურთიერთმი მართებები	ახალგაზრდას სიკვდილის დაშვებით ღმერთი მას იმ მძიმე ცოდვისგან იცავს, რომელიც შეეძლო ჩაედინა, ცოცხალი რომ ყოფილიყო	13%	31%	39%	17%
54	ურთიერთმი მართებები	მართლმადიდებლური რელიგია არ ცნობს წინასწარგანსაზღვრულობას	16%	43%	29%	12%
55	ურთიერთმი მართებები	ღმერთმა ადამიანს თავისუფალი ნება მიანიჭა	8%	37%	44%	11%
56	ურთიერთმი მართებები	ბედს ღმერთი წერს	3%	8%	60%	29%

დანართი №4: პირადი პოზიციიდან შეფასებული დებულებების სიხშირული ანალიზი

	კომპონენტი/ სუბსკალა	დებულება	სრულიად არ ვეთანხმები	არ ვეთანხმები	ვეთანხმები	სრულად ვეთანხმები
1	პიროვნული კონტროლი	თუ მოვინდომებ, ყველაფრის მიღწევა შემიძლია	2%	5%	41%	52%
2	პიროვნული კონტროლი	ჩემ არჩევანზეა დამოკიდებული, როგორ წარიმართება ჩემი ცხოვრება	3%	7%	54%	36%
3	პიროვნული კონტროლი	თუ საკუთარ თავზე არ ვიმუშავე, არაფერი გამომივა	2%	3%	27%	68%
4	პიროვნული კონტროლი	როგორც წესი, წარუმატებლობა ჩემი ბრალია (რაღაც დავაკელი)	8%	13%	57%	23%
5	პიროვნული კონტროლი	უბედური შემთხვევის მიზეზი ძირითადად ადამიანების გაუფრთხილებლობაა	8%	19%	51%	21%
6	პიროვნული კონტროლი	მე ვარ პასუხისმგებელი ყველაფერზე, რაც ჩემს ცხოვრებაში ხდება	4%	13%	46%	37%
7	პიროვნული კონტროლი	როგორც წესი, წინასწარ ვგეგმავ სამომავლო ნაბიჯებს ცხოვრებაში	6%	19%	53%	21%
8	პიროვნული კონტროლი	დაავადებების თავიდან არიდების მიზნით ვცდილობ დავიცვა ჯანსაღი ცხოვრების წესი	3%	18%	55%	24%
9	პიროვნული კონტროლი	ალღოს გარეშე წარმატების მიღწევა გამიჭირდება	8%	23%	59%	9%
10	პიროვნული კონტროლი	როგორც წესი, მივმართავ პრევენციას, საფრთხეები თავიდან რომ ავირიდო (მაგ., უსაფრთხო საცხოვრებელი, სამუშაო, სამოგზაურო და ა.შ. გარემოს უზრუნველყოფა)	10%	16%	50%	24%
11	პიროვნული კონტროლი	ვინმეს მხარში დგომის გარეშე წარმატების მიღწევა გამიჭირდება	15%	36%	45%	4%
12	პიროვნული კონტროლი	თუ ერთად ვაკეთებთ რამეს, აუცილებლად გამოგვივა - ერთობას დიდი ძალა აქვს	8%	12%	46%	35%
13	ღვთაებრივი კონტროლი	ცოდვების გამო ღმერთი გვსჯის	32%	33%	28%	7%
14	ღვთაებრივი კონტროლი	ღმერთს თავისთან კარგები მიჰყავს	45%	35%	17%	3%
15	ღვთაებრივი კონტროლი	უბედური შემთხვევები ღვთის დაშვებულია	33%	38%	21%	8%
16	ღვთაებრივი კონტროლი	ლოცვით და მარხვით შესაძლებელია ცოდვის გამოსყიდვა და ღვთის სასჯელის არიდება	34%	29%	29%	8%
17	ღვთაებრივი კონტროლი	სტიქიური უბედურება შეიძლება ღვთის სასჯელი იყოს	44%	38%	16%	2%
18	ღვთაებრივი კონტროლი	უფლის ნებაა ყველაფერი	36%	32%	25%	6%
19	ღვთაებრივი კონტროლი	ლოცვას აქვს ძალა	21%	14%	42%	23%
20	ღვთაებრივი კონტროლი	ადამიანს წინაპრების ცოდვა მოეკითხება	51%	32%	15%	1%

21	წინასწარგან საზღვრულობა	რა ვარსკვლავზეც ვარ დაბადებული, ისეთი ცხოვრება მაქვს/მექნება	38%	53%	8%	1%
22	წინასწარგან საზღვრულობა	ვერსად წაუვალ ჩემს ბედისწერას	35%	48%	15%	3%
23	წინასწარგან საზღვრულობა	მკითხავს შეუძლია მიწინასწარმეტყველოს მომავალში რა მოხდება ჩემს ცხოვრებაში	61%	27%	9%	3%
24	წინასწარგან საზღვრულობა	შეიძლება უბედური შემთხვევა აქამდე ამცდა, მაგრამ აუცილებლად შემომიბრუნდება, თუ ეს ჩემი ბედისწერაა	50%	36%	13%	1%
25	წინასწარგან საზღვრულობა	რეალურად ის ხდება, რაც მოსახდენია	20%	38%	34%	8%
26	წინასწარგან საზღვრულობა	ბედისწერის მართვა შეუძლებელია	37%	47%	14%	2%
27	წინასწარგან საზღვრულობა	რაც მიწერია, ვერ ავცდები	40%	45%	14%	1%
28	წინასწარგან საზღვრულობა	ასტროლოგიით შესაძლებელია მომავლის წინასწარმეტყველება	50%	35%	14%	1%
29	იღბალი	თუ მეკვლე ფეხბედნიერი აღმოჩნდა, მეორე წელსაც მოვიწვევ	48%	34%	16%	2%
30	იღბალი	უიღბლობის მიზეზი შეიძლება სხვისი ბოროტი თვალი იყოს	40%	38%	20%	2%
31	იღბალი	ქუდბედიანი/იღბლიანი იბადება ადამიანი, თვითონ ამას ვერ მიაღწევს.	32%	48%	17%	4%
32	იღბალი	ცუდად დაცდილს (ტანსაცმელი, გარემო, ადამიანი და ა.შ) თავს ვარიდებ ხოლმე, წარუმატებლობა რომ არ მომიტანოს	42%	38%	18%	2%
33	იღბალი	არსებობენ იღბლიანი ადამიანები, რომლებიც ნაკლები შრომით აღწევენ წარმატებას	9%	15%	57%	19%
34	იღბალი	შეიძლება ადამიანი ნიჭიერი იყოს, მაგრამ თუ საჭირო დროს, საჭირო ადგილას ვერ მოხვდა, წარმატებას ვერ მიაღწევს	12%	32%	48%	9%
35	იღბალი	წლის განმავლობაში რაიმე ცუდი თუ მოხდა, შეიძლება ოჯახის მეკვლეს ფეხის ბრალი იყოს	68%	29%	3%	0%
36	იღბალი	არსებობენ უიღბლო ადამიანები, რომლებმაც რაც არ უნდა იშრომონ, წარმატებას ვერ აღწევენ	66%	29%	4%	0%
37	იღბალი	თუ ცრურწმენულ რიტუალებს (მაგ.: „ვინმე თუ სადმე მიდის, არ უნდა გამოხვეტო“, „დაყრილ მარილზე წყალი უნდა დაასხა“ და ა.შ.) არ შევასრულებ, შეიძლება მართლაც ისე მოხდეს, როგორც ამბობენ	52%	39%	9%	1%
38	იღბალი	თუ მეკვლეს კარგი ფეხი ექნება, ის წელი წარმატებული იქნება	48%	34%	16%	2%

39	უმწეობა	აზრი არ აქვს რამე გავაკეთო, საბოლოოდ მაინც არაფერი გამოვა	66%	26%	4%	4%
40	უმწეობა	გინდა, არ გინდა იძულებული ვიყავი/ვარ ისეთი მეუღლე შემერჩია/შევარჩიო, ოჯახს და ახლობლებს რომ მოეწონებოდა/მოეწონება	51%	34%	15%	0%
41	უმწეობა	ვერსად წაუვალ იმას, რომ საზოგადოება ჩემს პირად ცხოვრებაში ერევა	19%	38%	37%	6%
42	უმწეობა	ინდივიდი უძლურია რაიმე შეცვალოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში	38%	50%	12%	1%
43	უმწეობა	ქართველები ყოველთვის ასეთ გამოუვალ მდგომარეობაში ვიქნებით	37%	47%	9%	8%
44	უმწეობა	დროთა განმავლობაში არაფერი იცვლება და მომავალშიც ასე იქნება	45%	44%	7%	4%
45	უმწეობა	სხვა გზა არ მაქვს, ისე უნდა მოვიქცე, როგორც ჩემგან ჩემი ოჯახი და ახლობლები ელიან	45%	46%	7%	1%
46	უმწეობა	ადამიანი უძლურია ფინანსურ გაჭირვებას თავი დააღწიოს	49%	43%	6%	1%
47	უმწეობა	გარშემომყოფებისგან ვგრძნობ წნეხს, რომ აუცილებლად უნდა დავოჯახდე/გარშემომყოფებისგან ვგრძნობდი წნეხს, რომ აუცილებლად უნდა დავოჯახებულიყავი	20%	27%	35%	18%
48	უმწეობა	ქალის მიმართ არსებობს წნეხი, რომ შვილი აუცილებლად უნდა გააჩინოს	12%	9%	41%	37%
49	ურთიერთმიმართებები	წარმატებას მხოლოდ შრომით ვერ მივაღწევ, იღბალიც აუცილებელია	11%	30%	50%	9%
50	ურთიერთმიმართებები	ასტროლოგიაც ღმერთის მოგონილია	51%	36%	12%	1%
51	ურთიერთმიმართებები	მთლად მეკვლეს ფეხის იმედზე არ უნდა იყოს ადამიანი, თვითონაც უნდა მოინდომოს	11%	4%	24%	61%
52	ურთიერთმიმართებები	ღმერთი უძლურია ჩაერიოს ადამიანის ბედისწერაში	18%	35%	27%	20%
53	ურთიერთმიმართებები	ახალგაზრდას სიკვდილის დაშვებით ღმერთი მას იმ მძიმე ცოდვისგან იცავს, რომელიც შეეძლო ჩაედინა, ცოცხალი რომ ყოფილიყო	58%	30%	10%	1%
54	ურთიერთმიმართებები	მართლმადიდებლური რელიგია არ ცნობს წინასწარგანსაზღვრულობას	13%	34%	38%	15%
55	ურთიერთმიმართებები	ღმერთმა ადამიანს თავისუფალი ნება მიანიჭა	12%	5%	36%	47%
56	ურთიერთმიმართებები	ბედს ღმერთი წერს	42%	41%	15%	2%

დანართი №5: რიგის (ordered categorical) მონაცემების შემთხვევაში ბაესიანური მოდელირებით კულტურული კონსენსუსის შემოწმების შედეგები

CCTpack პაკეტის გამოყენებით რიგის მონაცემებზე მორგებული მოდელის მათემატიკური მახასიათებლების გათვალისწინებით ფაქტორების კუთრი წონები (eigenvalue) გამოვთვალეთ და გრაფიკზე (Screeplot) გამოვსახეთ. გრაფიკზე ხაზის გარდატეხის ადგილი (ადგილი, რომლის შემდეგაც ხაზი ბრტყელდება) გვიჩვენებს რამდენი კონსენსუსური ჯგუფი (ანუ, „კულტურა“) შეიძლება გამოიყოს კვლევის მონაცემების საფუძველზე. შემდეგ კი, რამდენი „კულტურაც“ გამოიყოფა გრაფიკის თანახმად, იმდენ “კულტურაზე“ მორგებული „კულტურული კონსენსუსის სტატისტიკური მოდელი“ იგება. ბოლოს, მიღებული სტატისტიკური მოდელის რეალურ მონაცემებთან მორგება მოწმდება. ეს უკანასკნელი პოსტერიორ პროგნოზირების მოდელის (posterior predictive model check) შემოწმების სახელწოდებითაა ცნობილი. ასეთი შემოწმების დროს მონაცემებზე მორგებული მოდელის (პოსტერიორ განაწილება) პარამეტრების გამოყენებით მონაცემთა სერიების სიმულაციას მიმართავენ (ჩვენი კვლევის შემთხვევაში 10000 შემთხვევითი სერიის სიმულაციას მივმართეთ) და ამოწმებენ რამდენადაა თანხმობაში მიღებული ტენდენცია რეალური მონაცემების ტენდენციასთან.

ჩვენი კვლევის შემთხვევაში, როგორც გრაფიკიდან (Screeplot) ჩანს, რეალური მონაცემები ერთი „კულტურის“ გამოყოფაზე მიგვითითებს, თუმცა ერთ „კულტურაზე“ აგებული სტატისტიკური მოდელის მორგება რეალურ მონაცემებთან არ დასტურდება: სიმულირებული მონაცემების საფუძველზე მიღებული კუთრი წონების ტენდენცია (მოცემულია რუხ ფერში) ზუსტად არ ასახავს/არ თანხვდება რეალური მონაცემების საფუძველზე მიღებული კუთრ წონების განაწილების ტენდენციას (შავი ხაზი გრაფიკზე). სხვა სიტყვებით, ფატალიზმის გაზიარებული კოგნიტური მოდელის არსებობა სახელდების სკალისგან განსხვავებით მონაცემთა გაზომვის უფრო დიფერენცირებული სკალის დონეზე, როგორიცაა რიგის სკალა, სტატისტიკურად არ ვერიფიცირდა.





დანართი №6: ფაქტორული ანალიზის შედეგები

პირველ რიგში შემოწმდა არსებულ მონაცემებზე ფაქტორული ანალიზის ჩატარების ადეკვატურობა. კაიზერ-მაიერ-ოლკინის (Kaiser-Meyer-Olkin –KMO) მნიშვნელობა უდრის 0.87-ს, რაც საგრძნობლად აღემატება ავტორების მიერ რეკომენდებულ ზღვარს - 0.6-ს (Kaiser 1970, 1974). ბარტლეტის სფერულობის (Bartlett's test of Sphericity) ტესტის მნიშვნელობაც სტატისტიკურად სანდოა, რაც ადასტურებს მონაცემების ფაქტორებად დაყოფის მიზანშეწონილობას

ვინაიდან, ფატალიზმის შესახებ კონსონანსის სკალა ახალი ინსტრუმენტია და საჭიროა დებულებების საფუძველზე ლატენტური კონსტრუქტების იდენტიფიცირება, გამოვიყენეთ ძირითადი ღერძების ფაქტორული ანალიზის (Principal Axis Factoring იგივე Exploratory Factor Analysis (EFA)) მეთოდი პრომაქსის ალგორითმული ბრუნვით (კაპპა პარამეტრით 4).

კაიზერის კრიტერიუმის (კუთრი წონების (eigenvalues) მნიშვნელობა აღემატება 1-ს) და კუთრი წონების გრაფიკზე (Screeplot) მრუდის გარდატეხის ადგილზე დაკვირვებით 6 ძირითადი ფაქტორი გამოიკვეთა. გამოყოფილი ფაქტორები ცვლადების ვარიაციის მნიშვნელოვან წილს - 54% - ხსნის.

ექვსფაქტორიანი სტრუქტურა თანხმობაშია თვისებრივი მონაცემების შედეგებთან, რომლის თანახმადაც გამოიყო „წინასწარგანსაზღვრულობის", „ღვთაებრივი კონტროლის", „იღბლის", „უმწეობის" კომპონენტები და ეს უკანასკნელნი („იღბალი" და „უმწეობა") თავის მხრივ, კიდევ ორ ქვეკომპონენტად დაიშალა. ამ ლოგიკას იმეორებს დებულებების ფაქტორული დატვირთვების ნათელი სტრუქტურაც (ქვემოთ იხილეთ ცხრილი). თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ორმაგი (Cross-loading) და მცირე დატვირთვის კრიტერიუმზე დაფუძნებით საჭირო გახდა იღბლის და უმწეობის სუბსკალიდან ორ-ორი დებულების ამოღება.

ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ უმწეობის სუბსკალის შემთხვევაში დებულებების ორ კატეგორიად გაყოფის საჭიროებაა მხოლოდ თანხმობაში თვისებრივი კვლევის შედეგებთან. კატეგორიების გამიჯვნის კრიტერიუმი კი შინაარსობრივად განსხვავებული აღმოჩნდა. როგორც არაერთხელ აღვნიშნეთ, თვისებრივი კვლევის შედეგებმა „უმწეობის" კომპონენტი ორ ქვეკომპონენტად წარმოადგინა: 1) სოციო-ეკონომიკური მდგომარეობით გამოწვეული უმწეობა და 2) ცხოვრების მიკრო-დონეების ჭარბი რეგულაციით გამოწვეული უმწეობა. ფაქტორული ანალიზის ეტაპზე კი სოციო-ეკონომიკურ მდგომარეობასთან დაკავშირებული დებულებების (აღსანიშნავია, რომ მათი უმეტესობა რესპონდენტებში გამოვლენილი აზრთასხვადასხვაობის გამო კონსენსუს-ანალიზამდე გაიცხრილა) ცალკე ფაქტორად წარმოდგენის ნაცვლად, ცხოვრების მიკროდონეების ჭარბი რეგულაციის შესახებ დებულებები გაიყო ორ ფაქტორად. პირველი ფაქტორი საზოგადოების მხრიდან ირიბი კონტროლის, ხოლო მეორე პირდაპირი (დაუფარავი ზეწოლის) კონტროლის შინაარსის მატარებელია.

რაც შეეხება იღბლის სუბსკალებს, ამ შემთხვევაში არა მარტო მათი რაოდენობა, არამედ შინაარსობრივი მხარეც ზუსტად ემთხვევა თვისებრივი კვლევის შედეგებს, რომლის თანახმადაც იღბლის ორი ქვეკომპონეტი გამოიყო: „სტაბილური იღბალი" და „ცვალებადი იღბალი". ამ უკანასკნელში ცრურწმენული რიტუალების აღსრულებით კონტროლის მოპოვების ამსახველი დებულებები გაერთიანდა, ხოლო „სტაბილურ იღბალში" პირიქით, კონტროლის არ ქონის შინაარსის მქონე დებულებებმა მოიყარა თავი.

		ღვთაებრივი კონტროლი	წინასწარგანსაზღვრულობა	ცვალებადი იღბალი	სტაბილური იღბალი	უმწეობა I (პირდაპირი)	უმწეობა II (ირიბი)
წინასწარგანსაზღვრულობა 1	რა ვარსკვლავზეც ვარ დაბადებული, ისეთი ცხოვრება მაქვს/მექნება		.572				
წინასწარგანსაზღვრულობა 2	ვერსად წაუვალ ჩემს ბედისწერას		.780				
წინასწარგანსაზღვრულობა 3	შეიძლება უბედური შემთხვევა აქამდე ამცდა, მაგრამ აუცილებლად შემომიბრუნდება, თუ ეს ჩემი ბედისწერაა		.381				
წინასწარგანსაზღვრულობა 4	რეალურად ის ხდება, რაც მოსახდენია		.486				
წინასწარგანსაზღვრულობა 5	შეუძლებელია ვმართო ჩემი ბედისწერა		.583				
წინასწარგანსაზღვრულობა 6	რაც მიწერია, ვერ ავცდები		.803				
ღვთაებრივი კონტროლი 1	ღმერთი გვსჯის ცოდვების გამო	.579			.404		
ღვთაებრივი კონტროლი 2	ღმერთს თავისთან კარგები მიჰყავს	.500			.428		
ღვთაებრივი კონტროლი 3	ლოცვით და მარხვით შესაძლებელია ცოდვის გამოსყიდვა და ღვთის სასჯელის არიდება	.850					
ღვთაებრივი კონტროლი 4	სტიქიური უბედურება შეიძლება ღვთის სასჯელი იყოს	.710					
ღვთაებრივი კონტროლი 5	უფლის ნებაა ყველაფერი	.736					
ღვთაებრივი კონტროლი 6	ლოცვას აქვს ძალა	.780					
ღვთაებრივი კონტროლი 7	ადამიანს წინაპრების ცოდვა მოეკითხება	.362					
იღბალი 1	თუ მეკვლე ფეხბედნიერი აღმოჩნდა, მეორე წელსაც მოვიწვევ			.623			
იღბალი 2	ცუდად დაცდილს (ტანსაცმელი, გარემო, ადამიანი და ა.შ) თავს ვარიდებ ხოლმე, წარუმატებლობა რომ არ მომიტანოს			.684			
იღბალი 3	წლის განმავლობაში რაიმე ცუდი თუ მოხდა, შეიძლება ოჯახის მეკვლეს ფეხის ბრალი იყოს			.666			
იღბალი 4	თუ ცრურწმენულ რიტუალებს (მაგ.: „ვინმე თუ სადმე მიდის, არ უნდა გამოხვეტო“, „დაყრილ მარილზე წყალი უნდა დაასხა“ და ა.შ.) არ შევასრულებ, შეიძლება მართლაც ისე მოხდეს, როგორც ამბობენ			.702			
იღბალი 5	თუ მეკვლეს კარგი ფეხი ექნება, ის წელი წარმატებული იქნება			.665			

იღბალი 6	უიღბლობის მიზეზი შეიძლება სხვისი ბოროტი თვალი იყოს			.391	.467		
იღბალი 7	ქუდბედიანი (იღბლიანი) იბადება ადამიანი, თვითონ ამას ვერ მიაღწევს				.806		
იღბალი 8	არსებობენ უიღბლო ადამიანები, რომლებმაც რაც არ უნდა იშრომონ, წარმატებას ვერ აღწევენ				.617		
უმწეობა 1	გინდა, არ გინდა, იძულებული ხარ ისეთი მეუღლე შეარჩიო, ოჯახს და ახლობლებს რომ მოეწონება						.816
უმწეობა 2	სხვა გზა არ მაქვს, ისე უნდა მოვიქცე, როგორც ჩემგან ჩემი ოჯახი და ახლობლები ელიან						.581
უმწეობა 3	გარშემომყოფებისგან ვგრძნობ წნეხს, რომ აუცილებლად უნდა დავოჯახდე/გარშემომყოფებისგან ვგრძნობდი წნეხს, რომ აუცილებლად უნდა დავოჯახებულიყავი					.641	
უმწეობა 4	ქალის მიმართ არსებობს წნეხი, რომ შვილი აუცილებლად უნდა გააჩინოს					.888	